

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ე
1984

ქვემოთ 44

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

41
675 2

3. 1984

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 8

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1984

ქრნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),

თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

● „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1984, № 3

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 29.6.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.1.1985;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 16.8; სააღრიცხო-
საგამომცემლო თაბახი 14.2; ტირაჟი 1750; უე 05007; შეკვ. 2055; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мешниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მ. ვაშაყშიაძე, პუბლიცისტის აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ნარკვევი	5
გ. კაპანაძე, გაზეთ „დროების“ ბრძოლა ალექსანდრე მესამის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ	14
ლ. ბოჩკოვა, ალექსანდრე ცაგარელი — პროზაიკოსი	25
მ. კვატაია, ილია ჭავჭავაძის „ქატკოვის პასუხად“ ქართულ და რუსულ პრესაში	33
ც. ხახანაშვილი, ა. ს. პუშკინის ისტორიულ-ფილოსოფიური პოემის „ბრინჯაოს მხედრის“ მხატვრული პრინციპები	43
მ. ბუზოლი, სიტყვიერების ნორმატიული თეორიების კრიტიკა ვ. გ. ბელინსკის მიერ	51
კ. ჯამბურია, „კალმასობის“ უნარული თავისებურებანი	65
დ. ბედიანიძე, პასტორალური ფორმის ზოგიერთი საკითხისათვის დავით გურამიშვილის „ჭაყვია მწყემსში“	78
ზ. გამსახურდია, რუსთველი და ანტონი I	95
რ. ფირცხალაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მბეჭდავი მიქელ	108
ე. დონანაშვილი, „დროება“ სიტყვის განმარტებისათვის	128
მ. გოცირიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი როგორც თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო	133
შ. კოპალიანი, ადამიანისა და ცხოველის ურთიერთმიმართების გაგებისათვის აღმოსავლურ მისტიკურ აზროვნებაში	141
გ. ხუხუნი, ლინგვა-გენეტური გამოკვლევების მეთოდთა რუსულ ენათმეცნიერებაში XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე	151
ე. სარიშვილი, რთული სიტყვის სტრუქტურისათვის სალიტერატურო თურქულ ენაში	164
ზ. ჩოფიკაშვილი, განუყოფელი კუთვნილების სახელთა მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურისა და ფრაზეოლოგიკაში მათი რეალიზაციის საკითხისათვის	175

კ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ვ. ბაკაშვილი, ათონელთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტი	179
ბ. გიგინეიშვილი, ხანმეტი ტექსტები, ნაკვ. I	185

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

М. Ш. Вашакмадзе, Актуальные проблемы публицистики и современный очерк	5
Г. Ш. Капанадзе, Борьба газеты «Дрозба» против реакционной политики Александра III	14
Л. В. Бочкова, Александр Цагарели — прозаик	25
М. Е. Кватана, «В ответ Каткову» Ильи Чавчавадзе в грузинской и русской прессе	33
Ц. Н. Хаханашвили, Художественные принципы историко-философской поэмы А. С. Пушкина «Медный всадник»	43
М. А. Бузогли, Критика В. Г. Белинским нормативных теорий словесности	51
К. Г. Джамбурия, Жанровые особенности «Калмасоба»	65
Д. А. Бедианидзе, Некоторые особенности пасторальной формы в поэме Д. Гурамишвили «Пастух Кацвия»	78
З. К. Гамсахурдиа, Руставели и Антон I	95
Р. В. Пирцхалаишвили, Первый печатник поэмы «Витязь в барсовой шкуре» — Микел	108
Е. И. Дочанашвили, К толкованию слова «droeba»	128
М. А. Гоциридзе, Еврейский перевод «Витязя в барсовой шкуре», как источник обогащения лексики современного еврейского языка	133
Ш. Г. Копалиани, К вопросу о взаимоотношениях между человеком и животным в восточном мистическом мышлении	141
Г. Т. Хухуни, Методология лингво-генетических исследований в русском языкознании конца XIX — начала XX столетия	151
Э. Р. Саришвили, О структуре сложных слов в литературном турецком языке	164
З. М. Чопикашвили, О семантической структуре значения имен неотторжимой принадлежности и ее реализации в рамках фразеологизмов	175

Критика и библиография

В. Т. Баакашвили, Греческий текст «Жития» афонцев	179
Б. К. Гигинейшвили, Ханмэтные тексты, ч. I	185



გ ა რ ი ნ ი მ ა შ ა ა მ ა მ ი

პუბლიცისტიკის აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ნარკვევი

სხვადასხვა ქანრის ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ყოველდღიურად გვხვდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ნარკვევი მკითხველთა განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა, რაც უთუოდ ქანრობრივი თავისებურებითაც არის გამოწვეული.

რაში მდგომარეობს ნარკვევის ეს თავისებურება? რა განსაკუთრებული, სხვათაგან განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება იგი? ამ კითხვებზე ერთბაშად პასუხის გაცემა ძნელია.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყამირის გატეხა არ გვიწევს — ამ საინტერესო საკითხს არა ერთი და ორი გამოკვლევა მიეძღვნა, შემუშავებულია ძირითადი მიმართულებები, განსაზღვრულია ქანრის სპეციფიკა, ჩარჩოები, ნიშან-თვისებები.

ჩვენ განზრახული გვაქვს, გავანალიზოთ დაგროვილი გამოცდილება, თანამედროვე ქართული პრესის მასალების მიხედვით შევისწავლოთ და შევაფასოთ ამ ქანრის განვითარების თავისებურებები, გავარკვეოთ, რამდენად პასუხობს იგი წყენებულ მოთხოვნებს, რა პერსპექტივები აქვს.

იმისათვის, რომ შეგვეძლოს ანალიზი და მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად უპასუხებენ პრესაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები წყენებულ მოთხოვნებს, უწინარეს ყოვლისა, მყარი და გარკვეული უნდა იყოს თვით ეს მოთხოვნები. მართალია, ნარკვევის ქანრი საკმაოდ შესწავლილია, ძირითადად კრიტერიუმებიც ნათლადაა შემუშავებული, მაგრამ მკვლევართა შორის ერთსულოვნება მაინც არ არის მიღწეული.

პუბლიცისტიკი თეორიის ცნობილი მკვლევარი მ. ჩერეპახოვი ნაწრომში «Проблемы теории публицистики» წერს: „ლიტერატურაში ქანრების შესახებ ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული ერთიანი კრიტერიუმები... პუბლიცისტური ქანრების ტიპოლოგიური თავისებურებების... შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრულია მათი ტიპოლოგიური ნიშნები: ერთ მხრივ, თუ რა აერთიანებს მათ და, მეორე მხრივ, რა ქმნის «სპეციფიკას»“.

ამ „სპეციფიკის“ ძირითადი თავისებურებების გამოვლენის გარეშე, შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა. კრიტერიუმების არარსებობა იწვევს შემოქმედებითი ღონის გაყინვას, დაკნინებას. მ. ჩერეპახოვი იქვე აღნიშნავს: „პუბლიცისტური ქანრების ნიშნების განსაზღვრა პრაქტიკულად ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან არასწორი შეხედულება ქანრის დანიშნულებასა და შესაძლებლობებზე თავისთავად განაპირობებს მის მიმართ მოთხოვნათა შესუსტებას“.

1 М. Черепухов, Проблемы теории публицистики, М., 1973, гл. 212.

17871

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ყოველივე ზემოაღნიშნული ნარკვევისაც შეეხება, თუმცა, სხვა ეპოქებთან შედარებით, ყველაზე უკეთაა გამოკვლეული და ტყუილად როდი მიიჩნევენ „ფავორიტულ“ ეპოქად.

მყარ კრიტერიუმებზე მსჯელობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს კრიტერიუმები დოგმად ვაქციოთ. ყოველი ეპოქა, ცხადია, ვითარდება, ჩნდება ახალი თავისებურებებით, ახალი ტენდენციებით. არც ეპოქის საზღვრები და ჩარჩოები ურყევი და ჩაკეტილი, რაც, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის ეპოქის სტრუქტურის დაზღვევასა და შეცვლას ვგულისხმობდეთ. მხედველობაში გვაქვს ეპოქის შინაარსის გამდიდრება, მისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოყენება.

დღეს, პუბლიცისტიკის საკითხების კვლევისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, ხშირად ვხვდებით გამოთქმას „ეპოქური დიფიკულტა“. რომელიც გულისხმობს ახალ ტენდენციას ეპოქის ისტორიაში: ორი ეპოქური სტრუქტურის შერწყმას. რიგი პრობლემების გასაშუქებლად ხანდახან სასარგებლოა ეპოქების ამგვარი კოოპერირება. ეს მოვლენა არათუ მისაღებია, ეპოქის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსაც ქმნის. მაგრამ ეპოქების სრულფასოვნად შერწყმა ძნელი საქმეა და „ეპოქური დიფიკულტა“ ფენომენი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი დომინირებს, მეორესი კი მხოლოდ ელემენტებია მოხმობილი.

არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ნაწარმოები სრულფასოვანი ნარკვევიც იყოს და, ვთქვათ, რეპორტაჟიც. თუ ნარკვევს ვწერთ, ნარკვევი უნდა დავეწროთ, თუმცა ამისათვის რეპორტაჟის ან ინტერვიუს ელემენტებითაც შეგვიძლია ვისარგებლოთ. ეს კი არ დააკნინებს ნარკვევის, როგორც ეპოქის ღირსებას, პირობით, გაამდიდრებს კიდევ.

ნარკვევის პოპულარობა, მისადმი ესოდენ დიდი ინტერესი არ შეიძლება მხოლოდ ეპოქობრივი თავისებურებებით იყოს გამოწვეული. უმთავრესი, უთუოდ, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირია; ნარკვევის მთავარი თემა ხომ ადამიანია მთელი თავისი ცხოვრებით და ყოფით, ყოველდღიურობით. ადამიანთა ცხოვრებაზე დაკვირვება, ღრმა ანალიზი, ტიპური ნიშნების აღმოჩენა ჩვენი საზოგადოების საერთო სურათს ქმნის. ის კი, რაც ცხოვრებას ეყრდნობა, არასოდეს არ იქნება უინტერესო და უმნიშვნელო.

ილია ჭავჭავაძე თავის ცნობილ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ამგვარად განსაზღვრავდა ხელოვნებისა და მეცნიერების კავშირს ცხოვრებასთან: „...ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოსწევვენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და რიგს, მოსწევვენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასეუ გადმოსცემენ ახლის ცხოვრების გამოსაკვანძვად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ ცნობიერებაზედ“². ბაზედ“².

ცხოვრებისა და ცნობიერების ეს დიალექტიკური კავშირი ჩვენი საკვლევი საგნის ბუნებაშიც ვლინდება.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 3, თბ., 1953, გვ. 62.

პუბლიცისტიკა ხომ ამ შემთხვევაში ცნობიერების ნაწილია. როდესაც პუბლიცისტიკის შესწავლის საგანი ადამიანებზე, მათ ყოფასა და ცხოვრებაზე დაკვირვებაა, ტიპური ნორმების აღმოჩენა და წინ წამოწევაა, განვითარებული სოციალიზმის სახელმწიფოში — ეს თავისთავად ნიშნავს სოციალისტური ცხოვრების წესის პრობაგანდას.

„სოციალისტური ცხოვრების წესის პრობაგანდაში პუბლიცისტიკა სამმაგ ამოცანას ასრულებს. პირველ ყოვლისა, იგი ასახავს ჩვენი ცხოვრების თანამედროვე წესებს, მეორე: იბრძვის მათი დამკვიდრებისათვის, მესამე: მონაწილეობს მოდელირებაში, ცხოვრების წესის გადმოცემაში“³.

ამრიგად, პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების მართებულად ასახვა, ვაზარება და ანალიზია, რომელიც შემდეგ თვით ახდენს გავლენას საზოგადოების ცხოვრებაზე, მის ფორმირებაზე. რაკი ნარკვევი პუბლიცისტიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, მისი „მძიმე არტილერია“, როგორც ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე მკვლევრები, ცხადია, ამ ამოცანების შესრულებაში მან შესაფერისი როლი უნდა შეასრულოს.

„სამყაროს სწორად და ენერგიულად შეცნობას ემსახურება ნარკვევი. იგი თავის ადგილს პოულობს გაზეთში, ჟურნალსა თუ კრებულში“⁴. ასე ესმოდა ამ ქანრის დანიშნულება მაქსიმ გორკის, ნარკვევის ერთ-ერთ პირველ მკვლევარსა და უდიდეს მოამაგეს.

ჟურნალისტიკისა და ცხოვრების მჭიდრო კავშირზე გამუდმებით მიგვიტოთებს ვ. ი. ლენინი. სინამდვილის ღრმა წვდომასა და მართებულად გადმოცემაში ხელდაედა იგი პრესის დანიშნულებას.

„კიდევ და კიდევ უფრო კონკრეტულად შევისწავლოთ ადგილობრივი გამოცდილება, დეტალები, წვრილმანები, პრაქტიკა, საქმიანი გამოცდილება, ღრმად ჩაეწვდეთ როგორც მაზრის, ისე თემის, სოფლის, ნამდვილ ცხოვრებას, გავარჩიოთ თუ სად, ვინ და რატომ (რა საშუალებით) ახერხებს, მიუხედავად უსაზღვრო სეტყვისა და გაჩანაგებისა, მიაღწიოს ნამდვილ, თუნდაც მცირე გაუმჯობესებას, არ გვეშინოდეს გამოვამჟღავნოთ შეცდომები და უუნარობა, მთელი ძალ-ღონით გავუწიოთ პოპულარიზაცია რამდენადმე მაინც თვალსაჩინო ადგილობრივ მუშაკს, დაეხატოთ იგი ნიმუშად“⁵, — სწერდა ვ. ი. ლენინი ნ. ოსინსკის.

მაშასადამე, ნარკვევის, როგორც პუბლიცისტიკის ერთ-ერთი წამყვანი ქანრის, მთავარი ამოცანა ცხოვრებაზე დაკვირვება, მისი კვლევაა, სწორედ ეს განსაზღვრავს ამ ქანრის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს — მის დოკუმენტურობას.

მაგრამ ცხოვრების ჰერეტა და მისი ნარკვევის ფორმაში ასახვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მიზანი მიღწეულია. ცხოვრების ნებისმიერი ფაქტი ნარკვევის თემად როდი გამოდგება. ამიტომაც მთავარი მოთხოვნა, რომელიც ნარკვევის ქანრში მომუშავე მწერალს თუ ჟურნალისტს წაყენება, თემის სწორი შერჩევაა.

³ В. Чикин, Особая миссия публицистики, в сборнике: «Горизонты публицистики», М., 1981, стр. 124.

⁴ М. Горький, Собр. соч. в 30-ти томах, т. 27, М., 1953, стр. 38.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 36, თბ., 1950, გვ. 659.

მიმდინარე ცხოვრების უამრავი ფაქტიდან და მოვლენიდან მენარკვევეს უნდა შეეძლოს ყველაზე დამახასიათებლის გამოყოფა და სწორად წარმოჩენა, განხილვა, განსჯა და, თუ საჭიროა, საკითხის გადაწყვეტის საკუთარი ვარიანტის შემოთავაზება. თემის შერჩევის მნიშვნელობაზე ყურნალისტთა პირველ საკავშირო ყრილობაზევე გაამახვილდა ყურადღება: ყურნალისტთა ცოცხალი შემოქმედებითი საქმეა, მოითხოვს ლიტერატურულ ნიჭს. გამუდმებულ მუშაობას თემის შერჩევაზე, ყოველდღიურ დაკვირვებას ცხოვრებასა და პრაქტიკაზე.

მოსკოველ ყურნალისტთა საქალაქო შეკრებაზე, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ყრილობას მოჰყვა, დიდი ადგილი დაეთმო საუბარს შემოქმედებით პროცესში თემის, პრობლემის შერჩევის მნიშვნელობაზე. რეზოლუციაში აღნიშნულია: „ყოველი დღე ჩვენს ცხოვრებაში, ადვილი ჩვენი ხალხის შთაგონებული შრომით, თითოეული ყურნალისტისათვის გვევლინება შესანიშნავი თემების დაუშრეტელ წყაროდ. უნდა შეგველოს იპოვნო ეს თემები, გამუდმებით იტრიალო ცხოვრების შუაგულში, ყოველმხრივ შეისწავლო იგი“.

დიახ, თემის შერჩევა ის უმთავრესი და ურთულესი მომენტია პუბლიცისტის შემოქმედებაში, რომელიც თითქმის მთლიანად განსაზღვრავს მომავალი წერილის წარმატებას. „თემის შერჩევის მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა შორის განმსაზღვრელია აქტუალობა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა“⁶. ეს პუბლიცისტის ალღოსა და ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ბორის პოლევოის სიტყვით: „ავტორის უნარი, შენიშნოს, შეისწავლოს, განაზოგადოს ტიპური, ყველაზე დამახასიათებელი, განიხილოს ეს ტიპური თავისი დროის მოწინავე პოზიციებიდან. განაპირობებს ნაწარმოების პარტიულობას“⁷.

მწერლის ლიტერატურულ ოსტატობაზე მსჯელობისას ნ. ჩერნიშევსკი აღნიშნავდა: „ამოიჩინეთ შინაარსით მდიდარი და დამაჯერებელი ამბავი და გვიამბეთ ისე, როგორც იყო სინამდვილეში. თუ არჩევანი ცუდი არაა... მაშინ ცხოვრებიდან აღებული, თქვენი გადაუკეთებელი მოთხრობა გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე „ხელოვნების მოთხოვნათათვის“ გადაკეთებული, ე. ი. ლიტერატურული ეფექტისთვის. კი მაგრამ, რალაში გამოჩნდება თქვენი „შემოქმედება“? — იმაში, რომ თქვენ შეძლებთ გამოაჩინოთ უმთავრესი ნაკლებად მნიშვნელოვნისაგან, მოვლენის არსთან დაკავშირებული მომენტები — გარეგნულისაგან“⁸.

თუკი ეს მწერლობას ეხება, მით უმეტეს უნდა გაითვალისწინონ იგი გაზეთში მომუშავე ყურნალისტებმა. „მხატვარს უნდა ჰქონდეს განზოგადების უნარი — სინამდვილის განმეორებადი მოვლენების ტიპიზაციის უნარი“, — ასწავლიდა გორკი დამწყებ ლიტერატორებს⁹.

უამრავ მოვლენათა შორის უმთავრესის, ყველაზე ტიპურის გამოვლენა, აი, რა განსაზღვრავს პუბლიცისტური ნაწარმოების დონეს, აქტუალობას. ნარკვევში, სადაც პუბლიცისტის მთავარი ობიექტი აღმამინა, საქმე იმი-

⁶ Мастерство журналиста. М., 1977, გვ. 104.

⁷ Б. Н. Полевой, Очерк в газете, М., 1953, გვ. 23.

⁸ Н. Г. Чернышевский, Полн. собр. соч. в 50-ти томах, т. II, М., 1938—1958, გვ. 282.

⁹ М. Горький о литературе, М., გვ. 386.

თაც რთულდება, რომ სოციალურ პრობლემებზე თეორიული მსჯელობით ვერ დავკმაყოფილდებით. ყურადღების ცენტრში ადამიანი უნდა იყოს, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სოციალური პრობლემატიკა უკანა პლანზე იწევს. ჯერ ერთი, ადამიანზე დაკვირვება უკვე თავისთავად გულისხმობს სოციალურ პრობლემებზე დაკვირვებას, ამ პრობლემების საფუძვლიანი კვლევა კი სწორედ ადამიანზე დაკვირვების ფონზე უნდა მიმდინარეობდეს.

იმის გამო, რომ ნარკვევი, უმეტეს შემთხვევაში, ერთ კონკრეტულ პირს წარმოგიდგენს, ფართო განზოგადება დიდ ოსტატობას ითხოვს. სოციალური ტიპის ძიებით, პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების კვლევითა და გააზრებით, ინდივიდუალურ სახეში საერთო, სოციალურად ტიპური უნდა აღმოვაჩინოთ. ვთქვათ, ნარკვევი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეხება, მისი პიროვნული თვისებების გარდა ის ნიშნებიც უნდა წარმოჩინდეს, რომლებიც საერთოდ ახასიათებს სოფლის თავკაცს, მიწის მოსიყვარულე ადამიანს, თვითონაც გლეხური ფსიქოლოგიის მატარებელს, ოღონდ რაღაც განსაკუთრებული, სოციალურად და პიროვნულად შესამჩნევი თავისებურებებით, რაც მას სხვა, მისთანავე ადამიანთა წინამძღოლად აქცევს.

ერთი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საფუძველზე ნარკვევი ააშკარავებს საბჭოთა ადამიანის ტიპოლოგიურ თავისებურებებს, ადამიანისა, რომელიც გარკვეულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს განეკუთვნება. მთლიანობაში სოციალისტური საზოგადოების სახის კონსტრუირების საშუალებად და პუბლიცისტური განზოგადების მეთოდიც მიმართულია მომავლის ადამიანის ფორმირებისას პიროვნებაში ზოგადის, ტიპურის გახსნისაკენ¹⁰.

ამ მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელია პიროვნების შესწავლა მისი კონკრეტული როლის მიხედვით. მენარკვევემ უნდა გამოიკვლიოს მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების ყოფა, ინტერესები, ფსიქოლოგია. ეს კი შესაძლებელია სოციალური ანალიზის საშუალებით.

ამასთანავე, ზოგადისა და ტიპურის კვლევამ არ უნდა გაგვიტყუოს და დავკვირვდეთ ის, რომ უწინარესად საჭიროა გმირის ინდივიდუალობის ჩვენება, რაც ნიშან-თვისებების ჩამოთვლას როდი გულისხმობს.

პიროვნების ინდივიდუალური ხასიათის შესწავლა და სოციალური როლის კვლევა მჭიდროდ გადაჯაჭვული პროცესებია, სადაც ერთი მეორეს განაპირობებს.

როცა მენარკვევე ფართოდ, დეტალურად გვიხატავს თავის გმირს, მრავალმხრივ წარმოაჩენს მის ინდივიდუალურ თვისებებს, ამით, უწინარეს ყოვლისა, გვიჩვენებს კავშირს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ამ გზით ხდება თვალნათელი ხასიათის სოციალური დატვირთულობა, ე. ი. სრული ტიპობრივი ნიშნების გამოვლინება.

თავის მხრივ, პიროვნების სოციალური როლის გამოკვლევას მივყავართ ამა თუ იმ ინდივიდუალური თვისების გამოცნობამდე.

ინდივიდუალური მუდამ კავშირშია სოციალურთან, სოციალური მდიდრდება ინდივიდუალურით.

როგორ გავიგოთ „როლის თეორია“, რა იგულისხმება ამ ცნებაში, რომელიც მტკიცედ იკიდებს ფეხს სპეციალურ ლიტერატურაში?

¹⁰ М. Черепанов, Проблемы теории публицистики, М., 1973, გვ. 246.

საქმე ის გახლავთ, რომ ნარკვევის უმთავრესი მოთხოვნა: შეისწავლოს და წარმოგვიჩინოს ჩვენი თანამედროვე, გვიჩვენოს პიროვნება მისი ინდივიდუალური სოციალურ-ტიპობრივი ნიშნებით, უაღრესად რთული ამოცანაა. დღევანდელ პირობებში აღარ ხერხდება მისი გადაჭრა უბრალო პიროვნული დაკვირვებითა და ინტუიციით, ზოგჯერ არც ჟურნალისტური მეთოდებია საკმარისი. ამ შემთხვევაში ჟურნალისტიკა სხვა მეცნიერებებს მიმართავს დახმარებისთვის (ლიტერატურათმცოდნეობა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა. შ.).

ამა თუ იმ პროპაგანდისტულ კამპანიაზე მუშაობისას არ კმარა ზოგადად იცნობდე საქმეს. აუცილებელია კონკრეტული ცოდნა ობიექტისა, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებისა, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სპეციფიკისა, რაც მოითხოვს ფსიქოლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, კონკრეტული სოციოლოგიის და ა. შ. მონაპოვართა დაუფლებას, რომლებიც ჭერჭერობით ნაკლებადაა მისადაგებული ჟურნალისტური პრაქტიკის გამოყენებით ამოცანებთან. ჟურნალისტს უხდება ამ სფეროში თავის ცოდნას თავის საქმესთან დაკავშირებით თვითონვე მისცეს „გამოყენებითი“ ხასიათი¹¹.

შეერთებული შტატების 70-იანი წლების პრესაში გამოჩნდა ახალი მიმართულება „პრეციზიული ჟურნალისტიკა“ (სახელწოდება დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ფ. მაიერის წიგნი „პრეციზიული ჟურნალისტიკა“). ამ მიმართულების მიმდევართ მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტური ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ტრადიციული მეთოდები მოძველდა და ველარქმენის თანამედროვე სამყაროს რეალურ, ობიექტურ სურათს.

იმისათვის, რომ „გამოსწორონ“ ეს ნაკლოვანებანი, „პრეციზიული ჟურნალისტიკის“ თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები გეთავაზობენ, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისათვის ფართოდ გამოვიყენოთ სოციოლოგიური და სხვა პუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდები.

„ტრადიციული ჟურნალისტიკა“, — ამბობენ ისინი, — მხოლოდ აისბერგის წყლის ზედა ნაწილს დაგვანახებს, მაშინ როცა სოციალურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენება საშუალებას გვაძლევს ჩაეწვდეთ მოვლენათა არსს, მის სიღრმეებს. ფ. მაიერს მიაჩნია, რომ ჟურნალისტებმა უნდა მიმართონ შეგროვების მეთოდების, ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის იმ გამოცდილებას, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებს დაუგროვებია და ისინი თავიანთ საკუთარ მეთოდებად გადააქციონ¹².

ცხადია, ამ მოსაზრებაში არავითარი აღმოჩენა არ არის.

ცნობილია, რომ კონკრეტულ-სოციოლოგიური ანალიზის მეთოდს თავის ჟურნალისტურ მოღვაწეობაში წარმატებით იყენებდა უკვე მარქსი. მის მიერ შექმნილი „ანკეტა მუშებისათვის“, რომელიც მან ფრანგული ჟურნალის „La revue socialiste“-ისათვის შეადგინა („სოციოლოგიური მიმოხილვა“), გამოირჩევა შინაარსით, შეკითხვების საინტერესო აღნაგობითა და თანმიმდევრობით.

„კ. მარქსის ანკეტა არა მხოლოდ სრულად უპასუხებდა იმდროინდელ სამეცნიერო კრიტერიუმებს, არამედ, ფაქტობრივად, განავითარებდა მას. ეს იყო მეცნიერებისათვის ცნობილი პირველი ანკეტა, რომელიც ითვალისწინებ-

¹¹ Мастерство журналиста, М., 1971, стр. 205.

¹² Буржуазные теории журналистики, М., 1980, стр. 95.

და როგორც იდეოლოგიას, ასევე პროლეტარიატის ფართო მასების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს¹³.

დროთა ვითარებაში სხვა მეცნიერებათა მეთოდოლოგიის გამოყენების ტენდენცია უფრო გაღრმავდა და დღეს საბჭოთა პრესა შედეგიანად მუშაობს ამ მიმართულებით. დასავლელი სპეციალისტების გამოცდილებიდან კი ის უნდა ავიღოთ, რაც ჩვენთვისაც სასარგებლო და გამოსადეგი იქნება. აი, თუნდაც, თეორიული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დროულად დანერგვა, ოღონდ, ცხადია, ჩვენი მიზნებისათვის. ვ. ი. ლენინი ხომ საგანგებოდ შეახსენებდა პროპაგანდისტებს: „შეხედეთ ბურჟუაზიას, რა შესანიშნავად ძალუძს მას რეკლამა გაუწიოს იმას, რაც სჭირდება!.. „სამაგალითო“ ბურჟუაზიული დაწესებულებებიდან, როგორ იქმნება ნაციონალური სიამაყის საგანი“¹⁴.

სხვადასხვა მეცნიერებანი სულ უფრო ფართოდ იჭრებიან ჟურნალისტიკაში. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს მას თავისი მიზნების ხორცშესხმისათვის სოციოლოგია და ფსიქოლოგია.

ზემოთ ნახსენები „როლის თეორია“ სწორედ ამ მეცნიერების სფეროებს განეკუთვნება და მენარკვევთა ერთგულ თანაშემწეს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, ნარკვევის გმირის სახის შესაქმნელად პუბლიცისტმა უნდა წარმოაჩინოს მისი როგორც პიროვნული, ინდივიდუალური თვისებები, ისე სოციალურ-ტიპობრივი ნიშნები, მაგრამ დაკვირვების პროცესში ეს ერთობლიობა უნდა ეჭმბოს არა ისეთ ნიშნებში, როგორიცაა, ვთქვათ, გულწრფელობა, სიკეთე, საქმისადმი სიყვარული, არამედ იმ სიტუაციათა ერთობლიობაში, რომლებშიც ეს ნიშნები და თვისებები ვლინდება.

ცხადია, როცა პუბლიცისტი თავისი მომავალი თხზულების გმირზე დაკვირვებას აწარმოებს, იგი ამ პიროვნების დამახასიათებელ ნიშნებს მათ რეალურ გამოვლინებაში ხედავს. არ კმარა ამ ნიშნების შემჩნევა და მკითხველისათვის მათი ჩამოთვლა, ან, თუნდაც, ამა თუ იმ ნიშანთან დაკავშირებული ილუსტრაცია. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ღრმა, პიროვნული პორტრეტის ჩვენების მაგიერ მშრალი ოქმური დახასიათება გამოდის.

როდესაც ავტორი პიროვნების სხვადასხვა ნიშნის შესახებ მხოლოდ ცნობებს გვაწვდის და არ გვიჩვენებს ამ ნიშნების გამოვლინების პროცესს კონკრეტულ საქციელში, კონკრეტულ სიტუაციაში, ცხადია, დახასიათება უბადრუკი და უსიცოცხლო გამოვა, მკითხველი ვერ მიიღებს მართებულ ცოდნას ადამიანის ქცევასა და მოქმედებაზე. ასეთი ღრმა, სოციალური და ფსიქოლოგიური კვლევის გარეშე კი წარმოუდგენელია ჩვენი თანამედროვეს ჰეშმარტი პორტრეტის შექმნა.

პიროვნებისათვის „საზოგადოებრივი გარემო გვევლინება როგორც კონკრეტული სიტუაცია, რომელიც განსაზღვრავს მის მოქმედებას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამ კონკრეტული სიტუაციის გარეშე, პიროვნებას არ შეუძლია, ბოლომდე თავი გამოავლინოს“¹⁵.

როგორ შევისწავლოთ პიროვნება მისი სოციალური მოქმედების მიხედვით ამა თუ იმ სიტუაციაში? სწორედ აქ გვეხმარება „პიროვნების როლის“ თეორია.

¹³ В. П. Таловов, Из опыта использования К. Марксом и Ф. Энгельсом методов конкретного социологического плана в области журналистики, в сб.: «Журналист, пресса аудитория», Выпуск I, 1975, გვ. 27.

¹⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც. ტ. 39, თბ., 1950, გვ. 25.

¹⁵ Личность при социализме, М., 1968, გვ. 137.

დღეს პიროვნების შესწავლის პრობლემა, როგორც სოციალური როლების ერთობლიობისა, საკმაოდ აქტიურად მუშავდება და მკვლევრებს საინტერესო პერსპექტივებს უქმნის.

ყოველმხრივ დამუშავებული „როლის თეორია“ საშუალებას მოგვცემს — ადეკვატურად აღვეწეროთ პიროვნება სიტუაციაში, ავხსნათ ობიექტური და სუბიექტური მომენტებით განპირობებული მისი მოქმედება. ამისათვის საჭიროა, მხოლოდ პიროვნების შეკითხვაზე დაიძვნოს პასუხი.

როგორია პიროვნების როლი ამა თუ იმ სიტუაციის ჩარჩოებში? რომელი მათგანია ადამიანის ნება-სურვილების მიუხედავად განპირობებული და რომელი მეტ-ნაკლებად მის მიერ თავისუფლად ამორჩეული? როგორია როლების ობიექტური სუბორდინაცია და როგორ გაიაზრებს მათდამი დაქვემდებარებას თვით პიროვნება? როგორია გარემომცველთა თვალსაზრისი და როგორია თვით პიროვნების დამოკიდებულება როლების მთელი ერთობლიობისა და ცალკე თითოეულის მიმართ? როგორია პიროვნების რეალური საქციელი მის მიერ როლების შესრულებისას? როგორია პიროვნების თვითშეგნება, ე. ი. როგორ შეფასებას აძლევს იგი საკუთარ როლებს, როგორი ცვლილებებისკენ მიისწრაფის და ა. შ.¹⁶

ამგვარ შეკითხვებზე პასუხების დაძებნით ეს კი, ახლავ უნდა ვთქვათ, ძალზე რთულია, გამოიკვეთება პიროვნების საერთო სახე. ხასიათის ინდივიდუალური ნიშნების გამოვლინებასთან ერთად კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს მივალწევთ: გავიგებთ, როგორ აირეკლება პიროვნების ინდივიდუალურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორები, რა გავლენას ახდენენ ისინი პიროვნებაზე, როგორ განაპირობებენ ამა თუ იმ საქციელს და ა. შ.

როცა პუბლიცისტი მკითხველს, თანამედროვე გმირის ასეთ ღრმა და გააზრებულ პორტრეტს უხატავს, საშუალებას აძლევს დეტალურად დაუკვირდეს მის ცხოვრებას, ყოფას, ფსიქოლოგიას, ურთიერთობებს, ადგილს საზოგადოებაში, უნებლიეთ თავისი თავი წარმოიდგინოს ნარკვევის გმირის ამა თუ იმ როლში, შეადაროს, განსაზღვროს როგორ მოიქცეოდა ანალოგიურ სიტუაციაში, ეს უკვე ნიშნავს, რომ მენარკვევე სოციალური პედაგოგისა და აღმზრდელის როლში გამოდის, — „სოციალური ინჟინერის“ როლში, როგორც ე. პროხოროვი უწოდებს.

ასეთი მაღალი წოდების დამსახურება იოლი როდია. ამისათვის „სულ ცოტა“ ზემოაღნიშნული თეორიული მოსაზრებების პრაქტიკაში გადატანა უნდა შეგეძლოს, თანაც, ძალიან კარგად გადატანა. დაკვირვებისას ზშირად ისიც იჩენს თავს, რომ პრაქტიკა კვალში ვერ მისდევს თეორიულ შეხედულებებს.

სხვადასხვა მეცნიერებათა მეთოდის ეურნალისტიკის სამსახურში ჩაყენება სულაც არ ნიშნავს, რომ იგი პირდაპირ, უცვლელი სახით გადმოვიტანოთ ეურნალისტიკაში, რომელიც მეცნიერების სრულფასოვანი დამოუკიდებელი დარგია, მაშასადამე, საკუთარი პრინციპები და ფუნქციები, საკუთარი მეთოდია აქვს.

ეურნალისტიკა თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებას კონკრეტული შემოქმედებითი მეთოდებით აღწევს.

საბჭოთა ეურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის პროფესიული მეთო-

¹⁶ Е. П. Прохоров, Публицист и действительность, М., 1973, გვ. 220.

დები მის ფუძემდებლურ პრინციპებსა და სოციალურ ფუნქციებს ემყარება. მიმდინარე მოვლენების ასახვის მეცნიერული მეთოდების აუთენსებლად შექმნილია პარტიულობისა და იდეურობის პრინციპების ცხოვრებაში ვატარება. ჟურნალისტურ მოღვაწეობაში ერთიანდება მეთოდები, რომლებიც განვითარდა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საზოგადოებრივი ყოფიერების სხვადასხვა განშტოებით (პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, პედაგოგია, ადმინისტრაციული ხელშეწყობა და სხვ.). მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტიკაში სპეციფიკურად განსხვავებული მეთოდების გამოყენების პრობლემა ამომწურავად შესწავლილი არაა. ისიც დავსძინოთ, რომ რაც უნდა გულმოდგინედ შევისწავლოთ შემოქმედების ესა თუ ის მეთოდი, გავაფართოოთ მეთოდების ერთიანობა, საჭირო მომენტსა და ასპექტში მათი შერჩევა და გამოყენება მაინც რთული ამოცანა იქნება.

მეთოდების დაუფლება ვერ შეცვლის, ვერ აანაზღაურებს შემოქმედებითს მხარეს. ის გვეხმარება მხოლოდ, ეკონომიურად გამოვიყენოთ საზოგადოების უდიდესი მონაპოვარი — მწარმოებლური ღირსება.

ჟურნალისტი იყო და დარჩება შემოქმედებითი პროცესის გადამწყვეტ ფიგურად, ვერავითარი რეცეპტი ვერ მიანიჭებს მას სითამამეს, საზრიანობას, ინტუიციას, მებრძოლ სულს. სამაგიეროდ, ამ ძიებასა და ბრძოლაში ჟურნალისტს დიდ დახმარებას გაუწევს საერთო ორიენტირთა არსებობა, დაგროვილი გამოცდილების გაზარებული ცოდნა.

М. Ш. ВАШАКМАДЗЕ

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ПУБЛИЦИСТИКИ И СОВРЕМЕННЫЙ ОЧЕРК

Резюме

Среди различных публицистических жанров очерк особенно популярен. Это, вероятно, обусловлено некоторыми его жанровыми особенностями.

В чем они заключаются?

Попытки ответить на этот вопрос предпринимались не раз, но единой выработанной точки зрения все еще нет. В то же время очевидна необходимость определения «специфики» жанра и выработки четких критериев, не превращая их при этом в догму, т. к. очерк по мере своего развития обогащается как жанр.

Основным фактором, определяющим популярность очерка, как жанра, безусловно, является тесная его связь с жизнью в самых различных ее проявлениях, что и определяет его основной признак — документальность.

Главный объект очерка — человек, но это не значит, что социальная тематика отступает на второй план. В индивидуальных чертах личности очеркист должен найти общее, социально-типическое. Для этого и необходимо изучение личности героя с помощью «ролевой теории».

Огромную роль при этом играет и личность самого журналиста.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ზიზი კაკანაძე

გ ა ზ ი თ „დ რ ო მ ბ ი ს“ ბ რ ძ ო ლ ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ის ა მ ი ს რ ე ა კ ც ი უ ლ ი
 კ ო ლ ი ბ ი ტ ი კ ის წ ი ნ ა ა ლ მ დ ე ბ ა

ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ (1881 წლის 1 მარტი) ცხადი გახდა, რომ იმდროინდელი რუსეთის მმართველ წრეებს აღარ შეეძლოთ ძველებური პოლიტიკის გაგრძელება, შემობრუნება უნდა მომხდარიყო ან მარცხნივ ან მარჯვნივ. უფრო მოსალოდნელი იყო რეაქციის გაძლიერება, რადგან ახალი მეფე თავიდანვე ამქალაქებდა მიდრეკილებას უკიდურესად რეაქციული და შოვინისტური კურსისადმი. მიუხედავად ამისა, მკვეთრი ცვლილება დაუყოვნებლივ არ მომხდარა. მთავრობაში მნიშვნელოვანი პოსტები პირველ ხანებში კვლავ რჩებოდა ისეთი ადამიანების ხელში, როგორც იყვნენ მ. ტ. ლორის-მელიქოვი, ა. ა. აბაზა, დ. ა. მილიუტინი, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც ლიბერალური რეფორმების მომხრეები. მეორე მხრივ, ალექსანდრე მესამის ყველაზე გავლენიანი მრჩეველი იყო უკიდურესი რეაქციონერი კ. პ. პობედონოსცევი. მთავრობის შიგნით ამ ორი დაჯგუფების ბრძოლა განაპირობებდა იმას, რომ ალექსანდრე მესამე თავისი მეფობის პირველ თვეებში ლავირებას ეწეოდა ლიბერალიზმსა და რეაქციას შორის. რუსეთი გზაჯვარედინზე იდგა და, გასაგებია, რომ მაშინდელი პრესა გულგრილი ვერ დარჩებოდა იმისადმი, თუ რა გზას დაადგებოდნენ მისი ხელისუფალნი.

როცა საქმე ეხებოდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ლანძღვას, მის წინააღმდეგ ევროპული მასშტაბით ბრძოლის აუცილებლობის მოთხოვნას, ახალი მეფის უშიშროების უზრუნველყოფას, კონსერვატიულ და ლიბერალურ გაზეთებს შორის არ შეიმჩნეოდა რაიმე ასრებიითი უთანხმოება. ახლა კი კვლავ მოხდა მათი პოზიციების პოლარიზაცია.

კონსერვატიული გაზეთები ჯერ კიდევ ალექსანდრე მეორის სიცოცხლეში ცდილობდნენ რუსეთი რეაქციის გზით წაეყვანათ, ხოლო მისი მოკვლის შემდეგ, რასაკვირველია, უფრო გააქტიურდნენ. მათი მტკიცებით, რუსეთის სინამდვილეში რევოლუციურ მოძრაობას თითქოს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა და, თუ მან აქ ერთგვარი გაქანება პოვა, ამაში დამნაშავე იყო მხოლოდ და მხოლოდ ლიბერალიზმი, რომლითაც ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი იყვნენ მოწამლულნი. თავის მხრივ, ლიბერალური პრესა ცდილობდა დაერწმუნებინა ალექსანდრე მესამე, რომ რეაქცია არ შეიძლება ყოფილიყო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

ლიბერალურ პრესას აშკარად ეტყობოდა მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური შეზღუდულობა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მის საქმიანობას ამ მიმართებით უთუოდ ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა და, გასაგებია, რომ „დროებაც“ მის მხარეზე აღმოჩნდა. 1881 წლის 25 მარტის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა მეთაური, სადაც გამოესარჩლა ლიბერალურ პრესას, ხოლო რეაქციული ჟურნალ-გაზეთების პოზიცია ასე დაახასიათა: „მათ ცეცხლი და ნავთი გასდით პირიდან. მშვიდობიანი გზა რას მიქვიანო! თვითონ მმართველთაც

ნიგილისტების შხამი აქეთ ხორცში და რბილში გამჭდარი: სულყველანი გასაწყვეტნი არიანო! რაც უფრო სასტიკი ზომიერებანი იქნებიან ხმარებულნი, ის უფრო უკეთესი იქნებაო. ეხლა ველარავის ვერ ვენდობითო. ერთის სიტყვით ბრძოლა, შეუბრალებელი ბრძოლა ყველასთან, რაც კი ცოტაოდენად მოგავს თავისუფლებას, მშვიდობიანობას, ცხოვრების წარმატებას. პეტერბურლი მოწამლულიაო, ხელმწიფის ტახტი ისევ მოსკოვში უნდა იქმნეს გადატანილიო¹.

ყურადღებას იპყრობს გაზეთის დასკვნაც: „ჯერჯერობით ამგვარი სჯა და ბასია ატეხილი რუსეთში, რაგვარ პოლიტიკას დაადგება რუსეთი ღმერთმა უწყის“². „დროება“ აშკარად ეუბნებოდა მკითხველებს: არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ მუფე და მისი მთავრობა ელემენტარულ გონიერებას გამოიჩინენ და არ დაადგებიან იმ გზას, რომელიც გაზეთმა ასე გროტესკულად წარმოგვიდგინა.

ამ საკითხს „დროება“ კვლავ უბრუნდება იმავე წლის 23 აპრილის მოწინავე სტატიაში „რუსეთის მკურნალები“, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი დრო ავადყოფი დრო არისო, აჰა საზოგადო აზრი. თუ ეს ასეა, მაშასადამე ექიმობაა საჭირო. მაგრამ რანაირი მკურნალობა, ან ვინ უნდა იქმნეს ექიმი? — ექიმები აღმოჩნდნენ. ეს რუსეთის უურნალისტებია“³.

„დროება“ ერთმანეთს უპირისპირებს პეტერბურგისა და მოსკოვის პრესას, მხარს უჭერს პირველ მათგანს და სასტიკად აკრიტიკებს უკანასკნელს. „პეტერბურლის მწერლობა... არი მემკვიდრე მეოცდაათე და მეორმოცე წლების მწერლობისა. მაშინ საუკეთესო რუსეთის შვილები იმ აზრის იყვნენ, რომ რუსეთს მხოლოდ მაშინ შეუძლია კაცობრიობის ნამდვილი წვერი შეიქმნეს, თუ იმ გზას დაადგება, რომელზედაც მსვლელობს ევროპის ხალხები, თუ შემოიღებს და შეითვისებს საუკეთესო ელემენტებს დასავლეთ ევროპის ცხოვრებისას. ამ აზრს ადგია პეტერბურლის მწერლობაც, თუმცა ბრმა და მონურ წაბაძვის წინააღმდეგია“⁴.

„დროება“ თავის პოზიციას უკვე თვით სიტყვათა შერჩევაში ამკლავნებს. ამას ცხადყოფს მოსკოვური პრესის დასახასიათებლად მომარჯვებული სიტყვებიც: „დორბლს ჰყრის“, „დაბღავის“, „შეაფურთხა“ და მისთანანი. „მოსკოვის გაზეთები, ე. ი. აქსაკოვი და კატკოვი — წერს გაზეთი — თავიანთ გაზეთებითურთ თავიანთ მოპირდაპირებებში ხედვენ სამშობლოს დამღუპველ მიმართულებას და ამასთან სწყყელიან მთელ ევროპას, რომელსაც ხდიან ბრალდებულათ რუსეთის არეულობისა. კატკოვის მიმართულება მკითხველებმა იციან: ის გაბრაზებით და გაცხარებით დაბღავის, თუ ყველას ლაგამი არ აუდვა მმართველობამ, თუ ყოველი აზრს თავისი ბეჭედი არ დაასვა აღმინისტრაციამ უფსკრულ ხრამში ჩავარდებითო... განიზრახავს თუ არა საზოგადოება, ან მმართველობა რომელიმე ცხოვრების წყობილების გაუმჯობესებას, კატკოვი დორბლს ჰყრის და უცნაურის ხმით დაჰყვირის „დავიღუპენითო“. აქსაკოვმა... შეაფურთხა იმ წყობილებას, რომელიც პეტრე პირველმა შემოიღო ორასის წლის წინეთ რუსეთში... საჭიროა ხელახლავ ძველებურ

¹ გაზ. „დროება“, 1881, № 64.
² იქვე.
³ გაზ. „დროება“, 1881, № 83.
⁴ იქვე.

ცხოვრების პირობებს დავადგეთ და ისინი განვახორციელოთო, უარი ვპყობთ ყოველგვარ ევროპულ გავლენასაო“⁵.

როგორც ვხედავთ, მოსკოვური პრესა „დროება“ მკითხველებს წარმოდგინა როგორც ნამდვილი ბნელეთის მოციქული და, რასაკვირველია, საესებით ლოგიკურია მეთაურის შემდეგი სიტყვებით დამთავრება: „დაიფარე, ღმერთო, რუსეთი მსგავსი მკურნალისაგან“⁶.

ალექსანდრე მესამის გამეფების პირველივე დღეებიდან „დროება“ სისტემატურად ბეჭდავდა ისეთ მასალებს, რომლებიც უპირისპირდებოდა რეაქციის მოსალოდნელი გაძლიერების საფრთხეს. 1881 წლის 12 მარტის „კავკასში“ გამოქვეყნდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშა, სადაც აღნიშნული იყო: „Ежедневно арестовывают злоумышленников“⁷. აქ მხედველობაში ჰყავდათ მეფის მოკვლაში დადანიშნულებული პირები. „დროება“ დეპეშის ეს ადგილი შემდეგნაირად შესთავაზა მკითხველებს: „მუდამ იჭერენ ისეთს პირებს, რომელთაც ხელმწიფის მოკვლაში მონაწილეობა მიუღიათ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ მხრივ სავსებით უმართლებელ პირებსა და არჩაივლებიან“⁸ (ხაზგასმა ჩვენია. — გ. კ.). „დროება“ აქ არა მარტო „ბოროტმოქმედის“ ხმაურებს აარიდა თავი, არამედ ამასთანავე ჩაუმატა ჩვენს მიერ ხაზგასმული ფრაზა ხელისუფლების მხრივ რეპრესიების გაძლიერებაზე, კერძოდ იმაზე, რომ აღმაინის დასაბატიმრებლად საკმარისი ხდებოდა „საზოგადოებრივ პოლიტიკურის მხრივ“ მისი არასაიმედო პირად მიჩნევა.

„დროება“ ცდილობდა საზოგადოებრივი აზრი განეწყობა იმ უგუნური პოლიციური რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებიც ალექსანდრე მეორის მოკვლას მოჰყვა. იმავე წლის 20 მარტის ნომერში გაზეთი წერდა: „მეტისმეტი გახშირებულიაო, იწერებიან გაზეთებში, სახლების ჩხრეკა ამჟამად პეტერბურგში. 3-დამ 9 საათამდე განუწყვეტლივ სჩხრეკდენ სახლებს სხვადასხვა ქუჩაზედ“⁹. იმავე ნომერში „დროება“ იმომწებს გაზეთების ცნობებს, რომ გახშირებული ყოფილა აგრეთვე დაპატიმრებანი: „საზოგადოებრივად ძრიელ გახშირებულია ამ უკანასკნელ დროს დატუსალება პეტერბურგში“¹⁰. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითი, რომელიც როგორც პოლიციას, ისე საერთოდ ხელისუფლებს კომიკურ სიტუაციაში წარმოგვიდგენს. გაზეთი იუწყება, რომ პეტერბურგის ცენტრში, ნევის პროსპექტზე, პოლიციელს დაუპატიმრებია არტილერიის ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც საეჭვოდ მოსჩვენებია მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ოფიცერს სათვალე ეკეთა.

კიდევ უფრო მძაფრია თავისი ფორმით ინფორმაცია, რომელიც „დროება“ 28 მარტის ნომერში გამოაქვეყნა: „პეტერბურგში დამ გვეწერენ.. სტუდენტები ქუჩებში სიფრთხილით დადიან; ცდილობენ, რომ პოლიციელების ყურადღება არ მიიქციონ; თუ პოლიციელმა, ტანისამოსით ან საზოგადოებრივად შეხედულებით საეჭვო კაცად გიცნო, შეგაჩერა ქუჩაში და ამ დროს როგორმე ფერი გეცვალა, უნდა იცოდეთ, რომ დაგიჭერენ.

⁵ გაზ. „დროება“, 1881, № 83.

⁶ იქვე.

⁷ Газ. «Кавказ», 1881, № 56.

⁸ გაზ. „დროება“, 1881, № 53.

⁹ გაზ. „დროება“, 1881, № 60.

¹⁰ იქვე.

გაზეთებიდანაც გვეკოდინებათ, რომ ძალიან ბევრს, ხშირად სრულიად უმანკო ხალხსაც, იჭერენ ამჟამად რუსეთში“¹¹.

რეაქციის საწინააღმდეგო მოწოდებას შეიცავს 19 მარტის „დროებაში“ გამოქვეყნებული შემდეგი ინფორმაცია: „ნემსურ გაზ. Presse-ში სწერენ, რომ ვითომ ალექსანდრე მესამეს მთელი სახელმწიფო მმართველობა გარდაეცეს გრაფ ლორის-მელიქოვისათვის, და ამგვარად გრაფი დასავლეთ ევროპის სიტყვით გახდა კანცლერიო. თუ ეს მართალია, უმატებს გაზეთი, ახალი იმპერატორი, არამც თუ არ ასცილდება მისი მშობლისგან ამორჩეულ გზას, არამედ უფრო მჭიდროთ დაადგება მასა“¹². გაზეთს აქ მხედველობაში ჰქონდა ის ხმები, რომელთა თანახმადაც ალექსანდრე მეორე სიკვდილის წინ გარკვეული ლიბერალური რეფორმების გატარებას ათიარებდა.

„დროება“ შეეცადა თეორიულადაც დაესაბუთებინა რეაქციის გაძლიერების კურსის სრული უაზრობა და უსარგებლობა. სამისოდ იგი ხან პრესის სხვა ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ მასალებს იყენებდა, ხან კი საკუთარ პუბლიკაციებს სთავაზობდა მკითხველებს. ამავე მიზნით გაზეთი ყოველ შესაძლო მომენტში ხაზგასმით აღნიშნავდა რევოლუციონერთა ძლიერებასა და მათი მოქმედების ფართო მასშტაბს, 9 აპრილის ნომერში „დროება“ წერდა: „თუ რა უძლური იყო ადმინისტრაციული ბრძოლა რევოლუციონერებთან, გაზ. „ზემსტვოს“ მოჰყავს ამის შესახებ ცნობები ერთ ოფიციალურ ბროშურადმ, აღრინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის მაკოვის მოგზაურობის აღწერა ოლონეცკის მაზრაში, 1879 წ. სტატია თავდება შემდეგის სიტყვებით: „მთელი ერთი კვირის განმავლობაში გადაეჩრტიკ-გადამოეჩრტიკეთ ჩვენ შინაგან საქმეთა მინისტრის საქმეები და უმნიშვნელო რამეების მეტი ვერა ვნახეთ რა შიგ; რევოლუციონერები კი ამ დროს რამოდენიმე ალაგას უშზადებდნენ ხელმწიფეს აფეთქებას. 19 ნოემბერს აუფეთქეს კურსკის რკინის გზა, მოსკოვის ახლო. 5-ს თებერვალს 1880 წ. აუფეთქეს საზამთრო სასახლე. სამი შემაძრწუნებელი ბოროტგანზრახულება მოხდა იმპერატორის სიცოცხლეზედ, ერთის წლის განმავლობაში, მაკოვის მინისტრობის დროს.“

დამტკიცდა, ცხადათ აღმოჩნდა, რომ ძველი კაცები უძლურები არიან. საჭიროდ დაინახეს მოენახათ ახალი კაცები სახელმწიფო საქმეების მმართველათ. ამგვარ კაცად აღმოჩნდა გრაფი ლორის მელიქოვი, რომელმაც თავი-დამევე გამოიჩინა პოლიტიკური გამჭრიახობა და დაიმსახურა თანაგრძნობა საზოგადოებისა. საზოგადოებაც თითქო დამშვიდდა და რევოლუციური მოძრაობაც თითქო შეჩერდაო. მაგრამ, ვაი, გრაფი ლორის-მელიქოვი შეიქმნა იმ ერთ მერცხლათ, რომელსაც მარტო არ შეუძლიან ზაფხულის მოყვანა. მას გარს ეხვიენ ძველი წარმომადგენელნი რეაქციის დროისა, რომელნიც ხელს უშლიდნენ მას. საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა რეფორმებს და ვერც ერთს ე- ეღირსა. აი, ამ დროს ისევე გაიღვიძა რევოლუციურმა მოძრაობამ და მოხდა 1 მარტს შემაძრწუნებელი ამბავი“¹³.

ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი „დროებას“ გაზეთ „ზემსტვოდან“ აქვს მოყვანილი. ცხადია, „დროება“ არ იზიარებდა „ზემსტვოში“ გამოთქმულ

¹¹ გაზ. „დროება“, 1881, № 66.

¹² გაზ. „დროება“, 1881, № 59.

¹³ გაზ. „დროება“, 1881, № 76.

საქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. სახ. რესპუბ.
 ბიბლიოთეკა

1787

ყველა შეხედულებას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამას არც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ „ზემსტვოს“ სახით „დროებამ“ მოკავშირე დანახა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ორი გაზეთის პოზიციებს შორის როგორც მსგავსება, ისე განსხვავება კარგად შეიმჩნევა „დროების“ მოწინავეში „ლორის-მელიქოვის გადადგომა“.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოწინავე დაიწერა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან ლორის-მელიქოვის გადადგომის გამო, რის შესახებაც ცნობა გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა. პეტერბურგიდან მიღებული დეპეშა იტყობინებოდა: „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: გრაფი ლორის-მელიქოვი, თავის თხოვნით, ავადმყოფობის გამო, დაითხოვება თანამდებობიდან და დარჩება სახელმწიფო არჩევის წევრად; გრაფი ივანტიევი დაინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრად¹⁴. „დროებამ“ აშკარა სიყალბედ მიიჩნია ლორის-მელიქოვის გადაყენება მისი ავადმყოფობის მომიზეზებით და უკვე სტატიის დასაწყისში პირდაპირ მიუთითა, რომ „ეს გარემოება მთელი რუსეთისა და სამშღვარ-გარეთის მწერლობაში და საზოგადოებაში დიდს ეჭვს დაჰბადებს შესახებ იმ მიმართულებისა, რომელსაც მიიღებს ახლა ჩვენი მმართველობა“¹⁵.

„დროება“ მიმოიხილავს იმ ვითარებას, რომელმაც შესაძლებელი გახადა ლორის-მელიქოვის აღზევება, და მიუთითებს, რომ ამის მიზეზი გახდა მმართველი წრეების მიერ იმის შეგნება, რომ აუცილებელი იყო ანგარიში გაეწიათ რევოლუციური მოძრაობისათვის. „შემდეგ სასახლის აფეთქებისა — წერს გაზეთი — რუსეთი დარწმუნდა, რომ მმართველობის მოწინააღმდეგენი მძლავრ დასს შეადგენენ, რომ მათთან ბრძოლა ადვილი არ არის. მმართველობა ებრძოდა, სდევნიდა ესრეთ-წოდებულ ნიგილისტებს, მაგრამ უქმთ ჩაუარა“¹⁶.

„დროება“ აღწერს, თუ რა ალტაცებით მიეგებნენ რუსეთის ლიბერალური წრეები ლორის-მელიქოვის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნას, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ მათი იმედები არ გამართლდა. სხვა რამის მოლოდინი არც უნდა ჰქონოდათ, მიუთითებს გაზეთი. ლორის-მელიქოვს მხარდაჭერა სჭირდებოდა საზოგადოების მხრივ, ეს უკანასკნელი კი ამის საშუალებას მოკლებული იყო. „რა საშუალებით უნდა დახმარებოდა საზოგადოება? — კითხულობს გაზეთი და თვითონვე უპასუხებს, — მისი შეწყვენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა რომ რამე ორგანო ჰქონოდა, საცა შესძლებოდა გამოთქმა თავის აზრისა; როგორც მოგეხსენებათ, ამ უფლებას მოკლებულია ის“¹⁷.

როგორც ვხედავთ, „დროება“ აქ „ზემსტვოსავით“ მარტო ლორის-მელიქოვის გარემოცვას კი არ ადანაშაულებს, არამედ თვითმპყრობელობის შეუზღუდველ ძალაუფლებასაც უტევს. გაზეთი მიუთითებს აგრეთვე ლორის-მელიქოვის გაუბედაობასა და მერყეობაზე. „სასიამოვნო პირველი ნაბიჯის“ გადადგმის შემდეგ — აღნიშნავს „დროება“ — ლორის-მელიქოვი „თითქო რალაც შიშმა შეაჩერაო: სიტყვა სიტყვათ დარჩა. ამის გამო პირველი ალტაცება დაეცრა“¹⁸.

¹⁴ გაზ. „დროება“, 1881, № 94.

¹⁵ გაზ. „დროება“, 1881, № 92.

¹⁶ გაზ. „დროება“, 1881, № 95.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

გაზეთი ეკამათება იმათ, ვინც ამტკიცებდა, რომ „სიჩქარე შეუძლებელი იყოვო, ჯერ მომზადება იყო საჭიროვო, უამისოთ არ შეიძლებოდა ის წყობილება შემოეღო, რომელიც გამოიწვევდა საზოგადოების ნამდვილ შემწობას და დახმარებასო“¹⁹. „როცა სახელმწიფო რყევაშია, როცა სიმშვიდე დარღვეულია, როცა წესიერების და კანონის მნიშვნელობა შებღალღულია, — აღნიშნავს „დროება“ — ამ შემთხვევაში მაგარის და ძირეულის წყობილების შემოღება საჭირო, მაგარის და ჩქარის ნაბიჯით უნდა მიეშუროს მმართველი უმთავრესს საგანს; თორემ ბორძიკი, რყევა, დღეს ერთის უფლებების მიცემა და ხვალ კი იმავე უფლებების შემცილება ან წართმევა კეთილს არ დააყრის“²⁰.

მოწინავედან მკითხველს ის ძირითადი დასკვნა უნდა გამოეტანა, რომ „დროებას“ საერთოდ წარმოუდგენლად მიაჩნდა რეფორმებს მოწყურებული საზოგადოების მიერ ლორის-მელიქოვზე დამყარებული იმედების განხორციელების თეორიული შესაძლებლობაც კი. აკი აღნიშნავს კიდევ გაზეთი სტატიის დასასრულს: „ამგვარი მოქმედება იყო საჭირო ლორის-მელიქოვისათვის და, თუ ამის შესრულება ვერ შესძლო სხვადასხვა მიზეზების გამო, უმჯობესი იქნებოდა მაშინვე თავი დაენებებია თავის თანამდებობისათვის“²¹.

1881 წლის 19 მაისის ნომერში „დროება“ კიდევ უფრო მძაფრად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც რევოლუციონერებთან ბრძოლაში მმართველი წრეების წარუმატებლობის მიზეზად მთავრობის პოლიტიკაში ლიბერალური ტენდენციების არსებობას თვლიდა და ამ გზით ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ თითქოს ხსნა რეაქციული კურსის დამკვიდრება იყო. გაზეთს მოჰყავს ერთი ადგილი „ცერკოვნო-ობშესტვენნი ვესტნიკიდან“, სადაც აღნიშნული იყო: „წარმოუდგენელი უტვინობა და უსვინდისობა იქნებოდა, რომ 1 მარტის შემთხვევა შევაკავშიროთ გრ. მიხაილ ტარიელოვიჩისაგან (ლორის-მელიქოვისაგან. — გ. კ.) სახელმწიფო მმართველობაში შემოღებულ წესებთან: რუსეთის სასირცხვილოთ, ამგვარი შეუპოვარი აზრი გამოისმა მაინც ხმამაღლა ზოგიერთი რეტროგრადიულ მწერლობისაგან“²².

„დროებამ“ მკითხველებს გააცნო აგრეთვე ინგლისური „დეილი ნიუსის“ აზრი იმის შესახებ, რომ „იმგვარის სასტიკის ზომების მიღება ნიგილისტების წინააღმდეგ, როგორცაც აქამდისინ ხმარობდა რუსეთი, ამათ დასამშვიდებლად არ გამოდგება“²³.

„დროებამ“ გამოიყენა „დეილი ნიუსის“ კიდევ ერთი პუბლიკაცია, სადაც გამოთქმული იყო თვალსაზრისი, რომ რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მთავრობას რაიმე წარმატების იმედი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჰქონოდა, თუ უარს იტყოდა რეპრესიებზე და არსებითი ხასიათის ცვლილებებს შეიტანდა როგორც თავის საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში: „ნიგილისტების წყარო რუსეთში არის კანონის სისუსტე, ბეჭდვის თავისუფლების დაჩაგვრა, გარდამეტებული სამხედრო ხარჯები ახალ-ახალი ადგილების დასაპყრობად, გარდა ამ მიზეზებისა დიდძალი დატუსაღება და ურიცხვი აღმინისტრაციული წესით გაგზავნა“²⁴. საჭიროაო, — მიუთითებდა გაზეთი —

¹⁹ გაზ. „დროება“, 1881, № 95.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² გაზ. „დროება“, 1881, № 99.

²³ გაზ. „დროება“, 1881, № 57.

²⁴ გაზ. „დროება“, 1881, № 80.

რომ „ბეჭდვით სიტყვას თავისუფლად შეეძლოს სჯა ყოველ საქმეზედ და ხალხს შეუშლუბუქდეს მდგომარეობა“²⁵.

როგორც ცნობილია, მამის სიკვდილით შეზინებულმა ალექსანდრე მესამემ საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით საგანგებო ღონისძიებანი განახორციელა. ერთ-ერთი ამ ღონისძიებთაგანი ითვალისწინებდა, რომ სატახტო ქალაქის უფროსთან შექმნილიყო დროებითი საბჭო, რომელიც ვითომც პეტერბურგის მოსახლეობას უნდა აერჩია. მას უნდა დაეკისრებოდა რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიციის ხელშემწყობის როლი. ლიბერალურმა პრესამ ხოტბა შეასხა მეფის ამ ნაბიჯს, როგორც სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში ხალხის წარმომადგენლების ჩაბმის კეთილ ნიშანს. „დროება“ ერთხანს თავი შეიკავა კომენტარებისაგან, ხოლო შემდეგ დაბეჭდა მოწინავე სტატია, სადაც სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი განავითარა.

სტატიაში „დროება“, უპირველეს ყოვლისა, დასცინის და ფანტავს ლიბერალური პრესის ილუზიებს. „თითქმის ყველა რუსული გაზეთები — აღნიშნავს იგი — ალტაცებაში მოვიდნენ ამ განკარგულებით. ამბობდნენ: ხელმწიფე იმპერატორმა თვითონ ხალხი. იმის წარმომადგენლები მოიხმო მთავრობის დასახმარებლად, ეს კარგი ნიშანია: ტყუობა, ხალხსაც ეძლევა რაიმე ხმა, იმასაც მიენიჭება ცოტაოდენი მაინც უფლება სახელმწიფო, საერო საქმეების გამგეობაშიო! მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ხსენებული რჩევა სრულეებით ამ აზრით არ ყოფილა დაწესებული“²⁶. აქ ყურადღებას იქცევს „დროების“ მსჯელობა ხალხის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამოც, რომელსაც „ცოტაოდენი უფლება“ კი არ ჰქონდა „სახელმწიფო, საერო საქმეების გამგეობაში“.

გაზეთი კარიკატურული ფორმით უხატავს მკითხველებს დროებითი საბჭოს არჩევის პროცედურას: „18 მარტს რომ უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, მეორე დღესვე, 19-ს, პეტერბურგის ქალაქ-მთავრის (გრადონაჩალნიკის) განკარგულებით, აფიცრებმა, ჩინოვნიკებმა და ქალაქის რჩევის ხმოსნებმა დაიარეს ყველა სახლების პატრონები და იმათი მღგმურები და კენჭი მოაგროვეს... ზოგიერთებმა არცკი იცოდნენ რისთვის თხოულობდნენ იმათგან კანდიდატის ამორჩევას, არ იცოდნენ ვინ ამოერჩიათ და როგორც ამბობენ, ზოგიერთ ქალებს გულიც კი შემოეყარათ შიშითაო, როდესაც ღამის პირველ და მეორე საათზე პოლიციის აფიცრები მიაღვნენ იმათ კანდიდატების სიითაო. ეგონათ დაჭერას გვიპირებენო, და სხვ.“²⁷.

ასევე გამასხარავებულაა მეთაურში დროებითი საბჭოს პირველი ნაბიჯებიცა და მისი საქმიანობის შემდგომი პერსპექტივებიც. „დროება“ მიანიშნებს იმაზეც, რომ საქმის ვითარების სხვაგვარად წარმოდგენა დროებითი საბჭოს უუფლებობის გამო არც შეიძლებოდა. „თვითონ ამ რჩევის წვეგრებს — აღნიშნავს გაზეთი — უფლება არა აქვს, რომელიმე თავის წინადადება ანუ აზრი შეიტანონ განსახილველად რჩევაში; იმას შეუძლიან მხოლოდ იმ საგანზე და იმ წინადადებაზე მოილაპარაკოს, იქონიოს სჯა, რომელსაც თვითონ ქალაქ-მთავარი წარუდგენს მას“²⁸.

²⁵ გაზ. „დროება“, 1881, № 80.

²⁶ გაზ. „დროება“, 1881, № 71.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

რამდენადაც მეთაურში საქმე ეხება უმაღლესი განკარგულებით შექმნილ საგანგებო ორგანოს, უფლება გვაქვს, რომ გაზეთის მიერ დროებითი საბჭოს კრიტიკა განვიხილოთ როგორც გაბედული ნაბიჯი, რომელიც პირადად ალექსანდრე მესამის პოლიტიკის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

ასეთივე გაბედულებად და სარისკოდ უნდა მივიჩნიოთ „დროებაში“ იმ პუბლიკაციების გამოქვეყნება, სადაც ფიქსირებულია კონსტიტუციური მოთხოვნები.

1881 წლის 25 მარტის ნომერში „დროებას“ „Journal de Débats“-ს პუბლიკაციიდან მოჰყავს ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „ჰოლანდიის კაროლს, გარდა კონსტიტუციის ერთგულებისა, არა გაუყეთებია რა და შეეძლო თავისუფლათ სეირნობა მარტით-მარტო ქუჩებში, შეეძლო ესარგებლნა სრული თავისუფლებით უბრალო მოქალაქისა“, რუსეთის მეფეს კი „არ შეეძლო უცხო ქვეყანაშიაც კი ხელმწიფობა დაევიწყებინა და მუდამ სიკვდილის უნდა შინებოდა“²⁹. ამით „დროებას“ ვითომ უნდოდა ეთქვა, დახეთ ბედის უკუღმართობას, ჰოლანდიის მეფეს არაფერი მოუშოქმედებია თავისი ხალხის ინტერესებისათვის, რუსეთის მეფის დამსახურებანი კი საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, პირველის მოკვლა არავის მოსვლია აზრად, მეორეს კი მუდამ და ყველგან „სიკვდილის უნდა შინებოდაო“. სინამდვილეში კი ცხადია, რომ გაზეთი ცენზურას კონსტიტუციურ იდეას აპარებს. „დროება“ მიანიშნებს მკითხველებს: რუსეთს რომ კონსტიტუცია ჰქონოდა, მაშინ ალექსანდრე მეორესაც შეეძლო უბრალო მოქალაქის სრული თავისუფლებით ესარგებლა და იმის მოკვლასაც არავინ განიზრახავდაო.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმდროისათვის მთავრობას მკაცრად ჰყავდა გაფრთხილებული რედაქციები კონსტიტუციის თემაზე საუბრის დაუშვებლობაზე. ხ. ვ. ნარბეკოვი წერს: „როგორც ამის შესახებ უთქვამს ლორის-მელოქოვს (შინაგან საქმეთა მინისტრს. — გ. კ.) სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 8 მარტს, რედაქტორებისათვის განუცხადებიათ: «რომ, თუ რომელსამე პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდებოდა სტატია კონსტიტუციის აუცილებლობაზე, ასეთი გამოცემა დაუყოვნებლივ დაიხურებოდა, ამასთან არა 1866 წლის 6 აპრილის კანონის საფუძველზე, არამედ ხელმწიფის მიერ ნაბობები განსაკუთრებული უფლებამოსილების ძალით. ამ შეუპარამ გაჰრათ»³⁰.

იმევე ნომრის მოწინავეში, მიმოიხილავს რა პოლიტიკურ დანაშაულობათა, მათ შორის ალექსანდრე მეორის მოკვლის, მიზეზებს, „დროება“ წერს: „ამბობენ, რომ ზემოხსენებულს ბოროტმოქმედობის მოსასპობლად მხოლოდ ერთი საშუალება არის შესაძლებელი. ცხოვრებას ცოტა შეღავათი უნდა მიეცესო: საზოგადოებას და ხალხს ცოტაოდენი მაინც თავისუფლება უნდა მიენიჭოსო: პასუხის გამცემნი ქვეყნის წინაშე თვითონ პირდაპირნი მმართველნი უნდა იყვნენო და სახელმწიფოსის მოთავე. ერთის სიტყვით, დაგუბულ ცხოვრებას ცოტაოდენი ფართო გზა უნდა მიეცესო, ხმაგაკმენდილ საზოგადოებას პირი უნდა გაეხსნასო, და ბოროტმოქმედებანი მაშინ თავისთავად განქრებიანო. უკანასკნელ დროს აღშფოთებულ საზოგადოების დაწყნარება

²⁹ გაზ. „დროება“, 1881, № 64.

³⁰ Н. В. Нарбеков, Печать и 1 марта (обзор столичных газет и журналов), в сб.: 1 марта 1881 года, М., 1933, გვ. 22.



მარტო ამ გზით შეიძლება³¹. აქედან გამომდინარე გამოტანილ უნდა იქნეს დასკვნა, რომ, ჯერ ერთი, თუ ყოველივე ამის განხორციელება მომავალში ააცილებდა რუსეთს თავიდან პოლიტიკურ დანაშაულობებს, იგივე შეიძლება ითქვას წარსულზეც: ალექსანდრე მეორეს არავინ მოკლავდა, აღნიშნული მოთხოვნები რომ გაეთვალისწინებინა. მეორე, ახალი მეფის სიცოცხლის ხელყოფასაც აღარავინ განიზრახავდა, თუ იგი უარს იტყოდა რეაქციულ კურსზე და პროგრესულ რეფორმებს განახორციელებდა. და მესამეც, ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მეთაურის ქვეყნის წინაშე ანგარიშვალდებულების მოთხოვნას, რაც აბსოლუტიზმის უარყოფასა და მონარქის უფლებამოსილების შეზღუდვას გულისხმობდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, აქაც იგივე კონსტიტუციური იდეა გატარებული.

ადგილი შესამჩნევია, რომ ასეთი პოზიციით „დროება“ ლიბერალურ პრესას უახლოვდება. მათ შორის მსგავსება სხვაგანაც ბევრჯერ შეინიშნება, მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას, ვილაპარაკოთ მათი მსოფლმხედველობისა და საბოლოო მიზნების იდენტურობაზე. „დროება“ ითვალისწინებდა იმდროინდელ რეალურ ვითარებას, ლეგალური პრესის რეალურ შესაძლებლობებს, ამიტომ უარს ამბობდა რა მაქსიმალიზმზე, იბრძოდა ყოველივე იმისათვის, რაც მაშინდელ დაზავებულ ცხოვრებას ოდნავ მაინც დასძრავდა ადგილიდან, პროგრესის გზით წაიყვანდა და ამით გააადვილებდა და მოაახლოვებდა იმ სოციალური იდეალის განხორციელებას, რომლისკენაც გაზეთი მიისწრაფოდა. სწორედ ასე უნდა შევავსოთ „დროების“ ის პუბლიკაციები, რომლებშიც იგი მოითხოვს ლიბერალურ რეფორმებს. ასევე უნდა გავიგოთ გაზეთის კონსტიტუციური მისწრაფებანიც, რომლებიც ვერაფრით ვერ თავსდება მისი, როგორც რევოლუციონერ-დემოკრატთა ორგანოს, საბოლოო პოლიტიკური მიზნების ჩარჩოებში. ასევე ტაქტიკური მოსაზრებებით უნდა ავხსნათ „დროების“ მხრივ მთავრობის გაფრთხილება იმის თაობაზე, თუ რა საშიში შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა რეაქციის გაძლიერებას რუსეთის სახელმწიფო წყობილებისათვის, თორემ, ცხადია, გაზეთს არასოდეს მოსვლია აზრად, რომ გულთან ახლოს მიეტანა ცარიზმის მომავლის ინტერესები.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე მესამის მეფობაში აშკარა რეაქციის პერიოდი იწყება შინაგან საქმეთა მინისტრად გრაფ დ. ა. ტოლსტოის დანიშვნით, რაც 1882 წელს მოხდა. ეს იყო უკიდურესი რეაქციული შეხედულებების ადამიანი, რომელიც ბატონყმობის გაუქმებასაც კი შეცდომად თვლიდა. ბ. ნ. ჩიჩერინის დახასიათებით იგი „შექმნილი იყო იმისათვის, რომ რეაქციის იარაღი ყოფილიყო“³². არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბ. ა. ზაიონჩკოვსკის, რომელიც აღნიშნავს: „ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც მოასწავებდა მთავრობის კურსის შეცვლას ზამთრის სასახლეში მომხდარი აფეთქების შემდეგ, იყო ტოლსტოის განთავისუფლება ორივე თანამდებობიდან (დ. ა. ტოლსტოის იმდროს სახალხო განათლების მინისტრისა და სინოდის ობერ-პროკურორის პოსტები ეკავა. — გ. კ.). ამ აქტმა ლორის-მელიქოვს დიდი პოპულა-

³¹ გაზ. „დროება“, 1881, № 64.

³² Б. Н. Чичерин, Воспоминания, М., 1929, გვ. 192.

რობა მოუპოვა“³³. ამასვე აღნიშნავს „დროებაც“ მოწინავე სტატიაში „ლორის-მელიქოვის გადადგომის გამო“³⁴.

ბ. ა. ზაიონჩოვსკის მოპყავს ერთი ადგილი ლორის-მელიქოვის წერილიდან თავისი ყოფილი მდივნის ა. ლ. სკალკოვსკისადმი, სადაც აღნიშნულია: „ბოლოს და ბოლოს შევეძელი გრაფ ტოლსტოის, რუსეთის მიწის ამ ბოროტი გენის გადაყენება. სახელმწიფოში იყო საერთო სიხარული. ყველას ახსოვს, თუ ზამთრის სასახლეში ცისკრისას როგორ კოცნიდნენ და ესალმებოდნენ ერთმანეთს სიტყვებით: «ტოლსტოი გადაყენებულია, ქეშმარიტად გადაყენებულია»³⁵.

დ. ა. ტოლსტოის გადაყენებიდან გავიდა რამდენიმე თვე და „დროებამ“ ამ ამბავს მიუძღვნა სავანგებო მოწინავე სტატია, რომელიც ვახუტის 1881 წლის 17 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. ჩვენი აზრით, ასეთი დაგვიანებული გამოხმაურების ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ თუმცა ამ დროისათვის დ. ა. ტოლსტოი მთავრობის წევრი აღარ იყო, მაგრამ ის რჩებოდა რეაქციის ერთ-ერთ სიმბოლოდ, ანუ „რუსეთის ბოროტ გენიად“, როგორც მას თანამედროვენი უწოდებდნენ. ასეთ პირობებში უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინათ გადაყენებული მინისტრის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა საერთოდ რეაქციის, როგორც მოვლენის, წინააღმდეგ ვალაშქრებას ნიშნავდა. არც ის არის გამორიცხული, რომ „დროება“ დ. ა. ტოლსტოიში ხედავდა პოტენციურ შინაგან საქმეთა მინისტრს და ამის გამო საჭიროდ თვლიდა ველაშქრა ამ პოსტზე მისი შესაძლო დანიშვნის წინააღმდეგ.

აფხაებს რა განათლების მინისტრის თანამდებობაზე დ. ა. ტოლსტოის საქმიანობას, „დროება“ წერს: „წარსული ხუთმეტი წელი შეადგენს ერთ უუბნელესს პერიოდს რუსეთის სწავლა-განათლების ისტორიისასა. ბევრი უბედობა გადახდა სამოსწავლო უწყებას ამ დროების განმავლობაში. მწარე იყო ეს ხანი და კიდევ უმწარესი ნაყოფი გამოიღო.

გრაფის ტოლსტოის წყობილებამ უთვალავი დაბრკოლება მისცა საზოგადო რუსეთის განათლებას. ამ აზრს ყველანი აღიარებს, ყველანი, ვინც კი შეადგენს საუკეთესო ნაწილს რუსეთის მწერლობისა და საზოგადოებისას, ვისაც თავის სამშობლოს ბედნიერება ჰსურს წრფელი გულით“³⁶ (ხაზგასმა ჩვენია. — გ. კ.).

გავიდა დაახლოებით ერთი წელიწადი ამ მეთაურის გამოქვეყნებიდან და „დროების“ მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ იმათ შორის, ვინც კი შეადგენს საუკეთესო ნაწილს რუსეთის... საზოგადოებისას, ვისაც თავის სამშობლოს ბედნიერება ჰსურს წრფელის გულით“, არ აღმოჩნდა თვითონ რუსეთის თვითმპყრობელი მონარქიც — ალექსანდრე მესამე, რომელმაც ისეთი ბნელეთის მოციქული, როგორც გრაფი დ. ა. ტოლსტოი იყო, შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

³³ П. А. Зайончковский, Александр III и его ближайшее окружение, «Вопросы истории», 1966, № 8, гл. 139.

³⁴ ვახ. „დროება“, 1881, № 95.

³⁵ П. А. Зайончковский, Александр III и его ближайшее окружение, «Вопросы истории», 1966, № 8, гл. 139.

³⁶ ვახ. „დროება“, 1881, № 78.

Г. Ш. КАПАНАДЗЕ

 БОРЬБА ГАЗЕТЫ «ДРОЭБА» ПРОТИВ РЕАКЦИОННОЙ
 ПОЛИТИКИ АЛЕКСАНДРА III

Резюме

После убийства Александра II (1 марта 1881 года) стало ясно, что последует наступление реакции и усиление царского режима.

Газета «Дроэба» (1866—1885 гг.) решительно встала на путь борьбы с ожидаемым усилением реакции. В этих целях она использовала как собственные материалы, так и публикации из других газет. «Дроэба» доказывала бессмысленность репрессий, высмеивала усердия властей, имеющие целью ограждение жизни нового монарха от посягательств со стороны революционеров, отмечая, что этого можно добиться лишь путем отказа от реакции и проведения прогрессивных реформ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ფუნქციონირებისა და ფეეჭტურობის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ლ შ ი ა გ ო რ ო ვ ა

ა ლ მ ქ ს ა ნ დ რ მ ც ა ბ ა რ ი მ ლ ი — პ რ ო ზ ა ი კ ო ს ი

გახმაურებულ კრიტიკულ წერილში „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“¹, რომელიც მიუხეხილად იყო გამოგზავნილი და ხელმოუწერლად გამოქვეყნდა, შემდეგში სახელგანთქმული ენათმეცნიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი, სხვათა შორის, ულმობლად აკრიტიკებდა რა მაშინდელი „დროების“ პროზაიკოსებს, შენიშნავდა, მათ შორის მე თვითონაც მედგა ფეხიო.

როგორც გამოირკვა, ალ. ცაგარელს მხედველობაში ჰქონია თავისი მოთხრობა „ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“ (ზოგან: „რამდენიმე სურათი“). ეს არის კიდევ ერთი დამატებითი საბუთი, რომ ალ. ცაგარელი 60-იანი წლების ქართული ლიტერატურული ცხოვრების უაღრესად აქტიური მონაწილე ყოფილა, შესანიშნავ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებთან (რომელთა უმრავლესობა სხვადასხვა ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული), თეატრალურ რეცენზიებთან, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებთან და ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად, პროზაშიაც უცდია კალამი.

დღეს, როცა საუკუნეზე მეტი გავიდა, იმის თქმაც შეგვიძლია, რომ „ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“ უთუოდ ყველაზე ტიპური და დამახასიათებელია „დროების“ 60-იანი წლების პროზისათვის. მისი ბეჭდვა დაიწყო 1866 წ. (№ 14), ებიგრაფად წამძღვარებული აქვს სტრიქონები ი. ჭავჭავაძის ლექსიდან „მუშა“: „შენ სიცოცხლსა დააღამებ ესრეთ შრომაში, კაცი კაცურად ვერ იცოცხლებ ვერც ერთსა დღესა“.

მოთხრობა დათარიღებულია 1866 წ. 15.V. ხუთი ფელეტონის შემდეგ მისი ბეჭდვა შეწყდა. როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს (1866 წ.) ალ. ცაგარელი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გაემგზავრა და დარჩენილ ნაწილზე მუშაობის საშუალება აღარ ექნებოდა. მართლაც (ამ მოთხრობის პირველი ნაწილი დაბეჭდილია „დროების“ 1866 წ. 14, 15, 16, 17 და 18 ნომრებში) მეორე ნაწილი გამოგზავნილია პეტერბურგიდან, ახალი ებიგრაფით: „ბევრი ვნახე ქვეყნის უბედურება, ყველა კაცი ცრუ სოფელს ემდურება“ (მუხამბაზი: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“). საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ალ. ცაგარლის უმცროსმა ძმამ, აექსენტიმ ეს სიტყვები („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) თავისი კომედიის სათაურად გამოიყენა.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, მწერლობისა და სოციალური მოძრაობის მკვლევარს არ შეუძლია ღივრულად არ შეაფასოს ეს კლასობრივი სულით გამსჭვალული, მწვავე სოციალური კონფლიქტების ამსახველი ნაწარმოები, მით უფრო, რომ ალ. ცაგარლის „ორიოდე სურათს“ მხოლოდ ხუთი-ექვსი წელი ამორებს დ. ჭონჭაძის „სურამის ცახესა“ და ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიან მეჯანუაშვილისაგან“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი

¹ დროება, 1970 წ., №№ 2, 3, 4, 6, 7.

ნაეის (გლახა ბედკრულაძისა) და მისი ოჯახის თავგადასავალი გვიჩვენებს, რა გზით მიდიოდა ხალხის ცხოვრება. ბატონყმობის გაუქმებას სასიკეთო გავლენა ვერ მოუხდენია ღარიბ-ღატაკთა, შრომელთა მდგომარეობაზე.

მწერლის ალღო იმაშიც მკლავდებდა, რომ მთავარ პერსონაჟად ირჩევს გლახა ბედკრულაძეს, რომელიც, დიდი ხანია, ახალგაზრდა ცოლთან ერთად გამოქცევიდა თავის ბატონსა და თბილისში, ვერაზედ, ერთს ქოხს შეჰფარებინან, სადაც ვადაუწყვეტით, ცოლს მუყაითი ხელსაქმით, ქმარს ავურის ქურახზებზედ შეშის ჩეხით თავიანთი ოჯახის საქმე მოეგვარებინათ. ეს ფაბულა მწერალს საშუალებას აძლევს, დაგვანახოს როგორც სოფლის, ისე ქალაქის მდგომარეობა. იმდროინდელი ქალაქის ამსახველი ნაწარმოებები კი ძალიან ცოტა გვაქვს. მოთხრობა სწორედ ამ სურათებით იწყება. „ჯერ ისევ დილა არის... გლახების მეტი არავენ მოსულან სასაფლაოზედ. ყველა იმათგანი ცდილობს დაიჭიროს შესავალი გზაში, ისეთი ალაგი, სადაც უფრო ბევრი ხალხი ზედება და სადაც მოწყალეობას უფრო მისცემენ. პატარახანს უკან გამოცხადდა გზაზედ, დამწკრივებული გლახებს შუა თეთრწვერიანი, ძველ ფარაჯაში გახვეული ბერიკაცი, ნაყვავილარი, თვალებამღვრეული. იმის გრძელ წვერსა და თმას თითქოს თავის დღეში სავარცხელი არ მიჰკარებიათ, პირდაუბანელი, მხრებზედ ხურჩინი, ცალ ხელში წყლის — ლიტრა და ცალ ხელში — კეტი. ეს ვახლდათ, თუ როდისმე გაგიგონიათ ან გინახავთ, მკითხველო, განთქმული (ერთმა უცხო ენის სიტყვიერების მოყვარე ქართველმა ბიოგრაფიაც შეუდგინა უცხო ენაზედ)... „ივანე გლახა“. ივანე გლახამ მამინვე, ჩვეულებისამებრ, წაუტეგ-წამოუტეგა გლახა დედაკაცებს და მამაკაცებს, ჯერ დალანძლა, „ხალხს ნუ აწუხებთ თხოვნითაო, თუ უნდათ მოწყალეობის მოცემა, კარგად გხედვენო“. მერე დაამწკრივა და შორს გააყენა გზიდან პარკებით პატარა მათხოვრები, ყმაწვილი ბიჭები, რომლებიც გლახაობას ჯერ სწავლობდნენ, იფრინა ივანე გლახამ და სულ გარეკა იქიდან. მაინც საკვირველია, რომ კაცის ბუნება თავის მშვენიერებას ბევრჯელ არ დაჰკარგავს დაჩაგრულ და დავრდომილ გამაშვიც გამოსტყირს. თუნდა წარსული ცხოვრება ივანე გლახასი არ გცოდნოდეთ, ერთხელ რომ შეგეხედნათ, რაღაც უნებლიეთ პატივს უძღვნიდი ამ გაბურძგვნილ კაცსა. გლახა იყო, მაგრამ თავის დღეში არ ითხოვდა, იდგა კუნძულში თავისთვის. ბევრჯელ ჩემი თვალით მინახავს, რომ საკუთარი მოგროვილი ფული დაერიგებინოს გლახა-დედაკაცებისა და კაცებისათვის, როდესაც ისინი აწუხებდნენ გამვლელ-გამომვლელ ხალხსა“.

აღ. ცავარელმა ცხოვრების გრძელი ტანჯვის გზაზე გამოატარა თავისი გმირი, სანამ ის ამ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მას ჯერ ხარახის შევირდოდ ვხედავთ და მწერალს ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის თბილისელი ხელოსნების შრომისა და ყოფის ასახვისათვის.

მოთხრობის სიმართლეში დარწმუნებული ავტორი, რომელსაც, ეტყობა, საფუძვლიანად შეუსწავლია პერსონაჟების მოქმედების გარემო, პათეტიკურად დასძენს: „აი, ჩემო ბატონო, მეჩექმის შაგირდის მდგომარეობა. ვისაც ამაზედ უკეთესი ჰგონია იმათი ცხოვრება და ჩემ სიტყვებში ეჭვს შეიტანს, იმან ინებოს შებრძანება მეჩექმის დუქანში, ტფილისში, და რაც იქა ნახოს, ის იყოს იმის სასჯელი ურწმუნოებისათვის... კმარა... რასაკვირველია, მკითხველო, პირველად ვერ გაიგებ, ვინ არის ეს შაგირდი, მაშინ პატარა იყო, ეხლა გაიზარდა, და მამასავით, წლოვანებასთან, ბედმა სიმუხთლევ უფრო და უფრო მოუმატა...“

ეს გახლავთ გლახა ბედკრულადის ვაჟი, დერცის რომ ებარა“.

შვილების მდგომარეობა არაფრით განსხვავდება მშობლების ბედისაგან. ოსტატები არაადამიანურად ეპყრობიან მათ, სცემენ, ძარცვავენ.

მოთხრობის სხვა მხარეებზე რომ არაფერი ვთქვათ, მის ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში შემონახულია თბილისელ მშრომელთა ყოფის უნიკალური სურათები, რომელთაც ვერავითარი სხვა წყაროებით ვერ აღვადგენთ. აღწერილია „გროშობა“, „ასასობა“ და ა. შ. გამოვლინებულია თითოეული მათგანის სოციალური შინაარსი.

„გროშოებს“ ახალგაზრდა ბიჭებს ეძახდნენ თურმე, რომლებსაც „მეიდნებზე“ ნაყიდი ნახშირი მიჰქონდათ ზურგით, ჯორით და ამისთვის გროშებს იღებდნენ.

ამ ხელობას მიჰყო ხელი გლახა ბედკრულადიმაც (ხახატო შავბედაძემ) და ორიოდ აბაზი იშოვა.

„ძალიან ფეხმარდობა გამოიჩინა „გროშობაში“ შავბედაძემ. ბინდიდან დაწყობილი დიდ ვახშობამდის ჯერ სახლებში დაჰქონდა ნახშირი, მერე ქუჩა-ქუჩა დაჰყვანდა ნახშირის საპალნეთი ჯორები და მოუღალავად გაიძახოდა: „უგლი! უგლი! აბა, ნახშირი!“ წვიმა, თოვლი, ტალახი ყოფილიყო, ამისთვის სულ ერთი იყო. ამის ახალგაზრდა ამქრებს უყვარდათ ამის სიმხნე: ერთი ამორჩეული ბინა არ ჰქონდა სავაჭროთ შავბედაძეს, სადაც ნახშირის საპალნე იყო წასაღები, ისიც იქვე დაიბადებოდა“.

მაგრამ ეს გროშები დიდ შემწეობას არ იძლეოდა და მშიერ-მწყურვალი ბიჭები ცდილობდნენ, რაღაც გზა გამოენახათ პირობების გასაუმჯობესებლად, ოჯახის შესამაგრებლად. ხშირად ეს „რაღაც გზა“ წვრილმანი ქურდობით იწყებოდა და მძარცველობით მთავრდებოდა.

„ღამე მოსასვენებლად და ნაქურდალის შესანახავად, რაც გადარჩებოდათ, სავანგებო დარბაზი იშოვენს გამჭირახმა გროშოებმა და ამით უფრო ნიშნს უეჭვდნენ თავიანთ „ლობო“ ამხანაგებს, რომლებიც სიცოცხლეში ცის ქვეშ ფიჩხებდნენ... ეხლა კი შემურდათ ამათაც გამბედავების სიცოცხლე, მაგრამ გვიან იყო: სიკვდილის შემდეგ, სინანული აღარ არისო. იმათ ახლოც აღარ მიიკარეს, თუმცა აქამდის ეხვეწებოდნენ ამ ამხანაგებს.

რიყეზე და მტკვრის პირას, მალაქნები რომ დგანან — აქ თივის ზვინები იყო დადგმული გასასყიდათ. იმ თივის ძირებში გამოთხრილი იყო ორიოდ ვეება, განჯინებსავით დოლაბები, ეს გროშეები იქ დგანან“.

არანაკლებ სავალალოა „ასასების“ მდგომარეობა. ასე ეძახდნენ თურმე დუქნის მცველებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ბედმა ღია ცის ქვეშ ღამის თევა არგუნა. ქარ-წვიმაში, თოვლში, მშიერ-ტიტველნი ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. თუ წასთვლემდნენ, ფეხით გათელვა ელოდათ. მათ საღილს შეადგენდა გამხმარი პურის ნატეხი.

ალ. ცაგარელს რეალისტური დეტალიზაციით აქვს გადმოცემული ამ უბედურთა ექსპლოატაციის, აბუჩად აგდების სურათები. რა ქნან — თითოეული გროში თითო დღის სიცოცხლეს ჰმატებს მათ ცოლ-შვილს. ცარიელი პური რომ ჰქონდეთ, დღესვე მიატოვებდნენ ამ საქმეს, სად იშოვონ ეს დღიური ლუკმა!

მწერალი დამაჯერებლად აგვიწერს კლასობრივი ჩავგრისა და უსამართლობის ამბებს.

დუქნის პატრონმა უკანასკნელი კაპიკებიც წაგლიჯა ბედკრულაძეს, რომელსაც ასე ესახება თავისი მდგომარეობა: „ცოლ-შვილი, ღმერთო, ხომ შენა ხარ გულთა-მხილავი, (ზეცას შეხედა და თეთრ წვერზედ ჩამოვარდა ორიოდ ობოლი მარგალიტებით ცრემლი). შიმშილით მეხოცება, სესხით ავიმსენით, გლახაობით თავი მოვაწყინეთ მთელს უბანს. ცემა-ტყეპით და ლანძღვით ისტუმრებენ ჩემ ცოლ-შვილს მეზობლები, როდესაც იმათ კარზედ მივრულენ“.

მკითხველს ამასსოვრდება გაბღენძილი შემის მყიდველის მიერ ბედკრულაძის მოტყუება. აქაც ალ. ცაგარელი წარმოგვიდგება დაკვირვებულ, ხალხის ცხოვრების მცოდნე მხატვრად. დეტალებისა და ეპიზოდების სიმდიდრით მას შეიძლება ტოლიც არ ჰყავდეს იმ დროის პროზაში. თვალისა და გეგმორდება შემთხვევითი ურმის შორიახლოს ნელ-ნელა მიმავალი, ილღიაში ცულამოჩრდილი ბედკრულაძე.

ასევე დამახასიათებელია, როცა მყიდველისაგან მოტყუებული გაიძვერა უკან ბრუნდება და თავის განსაცდელზე ფიქრობს.

მოგვიანებით, ე. ნინოშვილის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებებში თუ შეხვდებით ხალხის, ოჯახის ასეთი გასაცოდავებული მდგომარეობის სურათებს.

მოტყუებული, გულმოკლული ბედკრულაძე ძიწოლით უახლოვდება თავის სოროს, სადაც მშვიდი ცოლ-შვილი ელოდება: „ოჰ, კაცო, შენა ხარ!? რაზედ ამოგვწყვიტე შიმშილით, აი ეხლა დაბნედილი და გაბრუნებული ვიყავი, არაქათი აღარ მაქვს სიცოცხლისა, მე ჯანი გამეარდეს, თითქოს მაგანაც ეხლა ენა ამოიდგა, ისე ცხადათ მეყურებოდა მაგის ტირილი, პურს ითხოვდა ეგეტა... გული ჩამეთუთქა... მოვკვიდი... პირში სული აღარა მაქვს...“

მამა ღამე „ასასობს“, დღე — შემის მჭრელია. დედა სხვის ბავშვებს ძუძუს აწოვებს, კერავს, შეძლებულებს პურს უტხოვს, ურცხვავს, წინდა-პაჭიკებს უქსოვს, ჩახსაკრავებს უბამს, ბავშვებს კი მინც ლუკმა სანატრელი აქვთ.

ქართველი მკითხველისათვის დაუვიწყარია თამროს („გლახის ნაამბობი“), ქრისტინეს, ესმას სახეები, მაგრამ ამ მოთხრობის გმირის, თამრიკოს, ტრაგედიას, იქნებ, ვერც ერთის უბედურება ვერ შეედაროს. მას არც სიყვარული ეღირსა, თუნდაც ერთი წუთის სიყვარული, არც ვისიმე გამოსარჩლება ახსოვს, ღირსებით კი არავის დაუეარდება; მშვენიერი, ჰკვიანი, ნიჭიერი, კეთილი, მამის სიკვდილის შემდეგ ყოველგვარ ნუგეშს მოაკლდა. ატორი ასე გვისურათებს მის ახალ ცხოვრებას: „აი, ჩემო მკითხველო, ზემოხსენებულს ქედმოხრილადის ქალს უჭდა პირისფარეშით მონავარდისა. გოგო მშვენიერი, ქალური სახისა, კარგა ათქვირებული და მოჩიტებული...“

ეს იყო ბედკრულაძის პატარა ქალი, თამარი... რაც მამა მოუკვდა, ეს ქალი თავის თავს აღარ ეკუთვნის და არც საკუთარი სახელი აქვს. მონავარდისა ჰქვია, ვითომ, ქალბატონი — ვარდია და ეს იმის მონა ანუ მოსამსახურე...“

„ორიოდე სურათი“ ბატონყმობის გაუქმების დროს იწერებოდა, მასში არეკლილია, როგორც რეფორმამდელი, ისე რეფორმის შემდგომი ვითარება, მაგრამ ზნეობრივი შედეგები არ ჩანს: მებატონე ისე ექცევა მონავარდისას, როგორც დათიკო — თამროს.

შეურაცხყოფილი, ნაცემი, გამოგდებული მონავარდისა დასნეულდა. დედამ, რაც შეეძლო, უწამლა, მაგრამ ახალგაზრდა ქალს აგებულებამ უღალატა, ცოცხალ-მკვდარსა ჰგავდა. ბოლოს, ვერაზედ ვხედავთ, ქალაქის საავადმყოფო-

ფოში. „... ერთ ოთახში რამდენიმე ქალია; მღერიან ქალაქურ სიმღერებს „ქალო ხაბარდიანოს“, „ლამუ-ლამუს“, „მთვარეს“, „ლამეს“, „დილას“ და სხვა სიმღერებს. „ივენანასაც“ ხშირად მღერიან, ვითომდა, „ბატონები“ სწვევიან და ყვავილი ან ქუნთრუშა სჭირთ. ადამიანის სახე არც ერთს არა აქვს; გამბდრები, დამახინჯებულები, ტურნებდასიებულნი, კბილებჩაშავებულნი. ზოგს კიდევ ჩასცვენია, თავზედ თმა აღარ ადგებათ. ზოგნი ტანში იმტვრევიან და იზმორებიან ნამძინარევისათ. ზოგს რა სტკივა და ზოგს რა...“

ამს წინ უსწრებს არანაკლებ გულისმომწყვლევი ეპიზოდები „უზნეო“ ცხოვრებისა, როცა, მწერლის სიტყვა რომ გავიმეოროთ, „უბედური მსხვერპლი“ „ლამის ბუნავში“ აღმოჩნდება. ტკივილის გარეშე ძნელი წასაკითხავია მოთხრობის ეს ადგილები, რომლებიც თვალნათლივ წარმოგვისახავენ ლარბ-ლატაკთა მძიმე ცხოვრებას, სოციალურ ურთიერთობათა გამწვავებას და საერთო უიმედობას.

ამ თვალსაზრისით, ანგარიში უნდა გაეწიოს არა მხატვრულ ხარისხს, არამედ სოციალური მხილების მასშტაბსა და დროს. თუ ასე მივუდგებით, მაშინ ალ. ცაგარლის ეს მოთხრობა თავისი დროის ერთ ყველაზე საყურადღებო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

„მე რა ბრალი ვარ? რა დანაშაული ვარ, რომ ისეთ ალაგას ჩამაგდეს, რომელიც მეც მეზოზღება, მაგრამ ვერსად წაუვალ და ბევრიც მინდოდეს, ვერას ვაგაწყობ... ასე უდრო უდროთ უნდა ვეწვიო საიჭიოს, სადაც უარესი მიმელის, ღმერთმა ხომ იცის, ბრალი კი არა ვარ, ისიც არ ვიცი, ვისი ბრალია, მაგრამ მე ჩემ დღეში არ ვეძებდი ამ გვარ ცხოვრებას, რომელმაც ასე ადრე მომაცლო სიცოცხლეს და საზიზღარი გამხადა მშებისათვისაც კი...“ ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო დაძაბული ხდება, როცა მკითხველი გაიგებს, რომ ამ მღვდლმარცობაში მყოფ შვილთან დედა პურის ნამცეცების სათხოვნელადაა მისული.

მოთხრობის გმირები ორ მოპირდაპირე პოლუსზე იმყოფებიან. როცა ერთნი ვანცხრომას მისცემიან, მეორეთ სული ხდებათ ყოველგვარი შევიწროებისაგან. მწერალი არც ერთს არ ტოვებს უყურადღებოდ, ცდილობს, არ დააკლოს მათ ძირითადი შტრიხები; გვამცნობს, რომ თავად ქედმოხრილადის მამულები „პრიკაზის“ ვალში გაყიდეს. ახლა ის თავის საკუთარ სახლში ქირას იხდის, „სამსახურშიც აღარაა“.

როცა უდანაშაულო ადამიანებს სცემენ, ბედნიერი, კარგა ჩათბუნებული კაცი მოდის „ტანცოვშიცის“ სახლიდან. იგი ბენფისის შემდეგ ტაშისცემით მოაცილეს შინ.

ცოლ-ქმარი ქედმოხრილადები თავისებური ვარიანტია თათქარიძეებისა. განსაკუთრებით, კნეინები, თუმცა, პირველნი ქალაქში დასახლებულან და ყოფაქცევა ცოტათი შეცვლიათ.

ამ ოჯახის აღწერა, ეტიკეტისა და ყოფის დახასიათება იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ ეს ქალაქური ცხოვრების განუმეორებელი სურათებია ჩვენს ლიტერატურაში, მათში ბევრი რამ დაეწყებული და გარდასულია შემონახული.

ყოველდღიურობაში შემოდიოდა ახალი ნივთები და ჩვევები. „ჩვენს ქალბატონს ფერ-უშარილის გლეხით ისე გასქელებოდა პირისკანი, რომ ეხლა აღარც კი ადგებოდა პირზედ. დღეში რამდენჯერმე იკრავდა ხოლმე შუშტაკს,

მაგრამ ვერც არას ამითა ხდებოდა. ოფლი იყო ამის მტერი და ჩამშხამებელი. ქალბატონი სიმუქნისაგან კვერცხის დასადებ დედალსავით აქეთ-იქით თეძობეზედ გადადიოდ-გადმოდიოდა. ის ამ გვარ აგებულებას აბრალებდა ოფლსა. სიცხის დროს ლოყებზედ, ლაბაზზედ და კავეების ქვეშ სულ დაღარული იყო პირის სახე. ზევიდან წამოვიდოდა ოფლი და სულ თან მოჰქონდა არეზარე. რაც გზაზედ ფერ-უმარილი მოხვდებოდა, წამოიღებდა და ამგვარად ვეგებ-ვეგება რუებს გააკეთებდა სახეზედ, რომლებშიაც რიყე შავი იყო და ნაპირები თეთრ-წითელი...“

მწერლის სერიოზული წარმატებაა თამროს (მონავარდისას) სახე. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ყველაზე სრული და თანმიმდევრული სახეა მოთხრობაში, — საინტერესო როგორც შემეცნებითი თვალსაზრისით, ისე მხატვრულად. დახატულია სიმპათიით, იმ ტენდენციით, რომ ქვეყნის იმედი დაბალი ფენები, მშრომელი ადამიანები არიან და მათი შევიწროება, ჩაგვრა, ერის დაღუპვას მოასწავებს.

როცა ქალბატონი მონავარდისას ქმართან შეუსწრებს, მკითხველი არათუ მხოლოდ თანაუგრძნობს მას, არამედ მისი საქციელი არწმუნებს, რომ მომავალი ამ ადამიანებისაა.

ბედკრულაძეებმა დიდი ეკლიანი გზა გაიარეს. ეს გზა დამცირობის, ადამიანური ღირსებისა და უფლებების ფეხქვეშ გათელვის, გაყვლეფის, შიმშილის გოლგოთაა. მასში კონდენსირებულია არა მარტო კლასობრივი ექსპლოატაცია, არამედ ის დიდი ენერჯია, გაუტეხლობა, სიმტკიცე, სიფხიზლე, რომელმაც მათ საბოლოო გამარჯვება უნდა მოუტანოს. ყვლეფას, ცემას, უსაქმურობას, გარყვნილებას მომავალი არ შეიძლება ჰქონდეს.

ალ. ცაგარლის „ორიოდე სურათი“ იმ მხრივაც მიგვაჩნია მნიშვნელოვან თხზულებად, რომ ის სათავე და წინამორბედია ქართული ხალხოსნური პროზისა, რომელიც 80-იან წლებში გაშლის ფრთებს. მასში უკვე ისმის „ტექნიკათა მოტრფიალეების“ ხმები. ამის დასტურია სოფლისა და ქალაქის ლატაკთა ცხოვრების კოლორიტული პასაჟები. ალ. ცაგარლის პროზას — ხალხოსნურ პროზასთან ანათესავენს. შავბნელი, სულისშემზუფველი ეპიზოდები და სურათები (შავბედაძის გადათელვა, ცემა, სიკვდილი), სილატაკის აღწერა, უკიდურესი ჩამორჩენილობა, პერსონაჟთათვის ტენდენციურად შერჩეული გვარები: შავბედაძე, ბედკრულაძე და ა. შ.

„იქნებ, მკითხველმა ბრძანოს, ეს რა ამბავი არის, რომ ყველას სახელები და გვარიც კი ეცვლებო... ასეა, ჩემო ბატონო, ამ ხალხის ბედი ნამდვილ სიცოცხლეში: ვისაც რა უნდა, იმას დაარქმევს ამ ხალხსა, იმათ არ შეუძლიანთ სიტყვა შეუბრუნონ თავიანთ აღებსა „სხვა სახელი დაგვიძახეთო“... და ამგვარად დღეს, ხვალ, ზეგ და დაერქმევათ ხოლმე სხვადასხვა სახელები. თითქმის იშვიათია მოსამსახურე ბიჭი და გოგო, რომ ნათლობის სახელი შერჩეს ბოლომდინ. ხანდახან მოსამსახურე ბიჭებს არათუ სხვადასხვა სახლებში სხვადასხვა სახელებს ეძახიან, ბევრჯერ ერთსა და იმავე სახლში ყველა თავისებურათ ეძახის სახელსა. მაგ. სახელი ჰქვიან პეტრე: ერთგან ეძახიან პეტრიკას, მეორეგან პეტრუხას, მესამეგან პეტრუშკას და სხვა. თუ ოჯახში ვისმესა ჰქვიან ბიჭისა ან გოგოს სახელი, მაშინვე შეუცვლიან ნათლობის სახელს და სხვას დაარქმევენ...“

მოგვიანებით ქართული ხალხოსნური პროზის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ხდება ავადმყოფობების, ბუნების სტიქიურ უბედურებათა, ცრუმორწმუნეობის, ქელეხის აღწერა, როგორც ხალხის სილატაკის მიზეზისა.

არ ზოგავს მწერალი არც მღვდლის ანგარებას, არც შკითხავეებს. შემთხვევითი არაა, რომ მწერალს მოთხრობაში ი. ჭავჭავაძის სტრიქონები ჩაურთავს (ოდნაგ შეცვლილი):

ამბობენ, თურმე მე მიყვარს გულხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!
რომ ბედში მყოფი შენ მძად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია;
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

სამართლიანი არ იქნებოდა, ამ მოთხრობაში არ დაგვენახა სოციალური და ფილოსოფიური განზოგადების ტენდენცია. მართალია, მოვლენები შესაფერის მხატვრულ ხარისხში ვერაა აყვანილი, მაგრამ ავტორი ხელიდან არ უშვებს მომენტს, რათა მსჯელობის საგნად აქციოს ცალკეული მომენტები; გამოხატავს მათდამი თავის დამოკიდებულებას, გვთავაზობს მათ საზოგადოებრივ, ფსიქოლოგიურ ახსნას. გულწრფელი და მართალია მისი დიგრესიები სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე, ადამიანის დანიშნულებაზე. პესიმისტური კილო აქ ხელს უწყობს სოციალური ემანსიპაციის იდეით გამსჭვალვას.

რიტორიკული შეკითხვები ასეთ შემთხვევაში „ფილოსოფოსობის პრეტენზიას“ კი არ გამოხატავს, არამედ სოციალურ აქცენტს ამახვილებს.

მოთხრობის მთავარი ღირსება მისი მამულიშვილური სულისკვეთებაა. ყველგან იგრძნობა, რომ მწერალს სამშობლოს ბედი და მომავალი აღელვებს. სოციალური სამართლიანობა საქართველოს კეთილდღეობის გარანტიად მიიჩნია. ამასვე ადასტურებს ცრუპატრიოტობის სატირული მხილება: „წამოვიდა ჩვენი ჩიტირეკია, ახალგაზრდა ქართველი გამწყვრალი, მომღურავი ხალხისა და ცხოვრებისა, უკმაყოფილო და უმადური თავის მეერთმამულეებისა, რომლებიც ვერ მიხვდნენ და ვერ იტვირთეს იმის მალალკაცობრიული ჰაზრები, — უარყვეს პროექტი, რომელშიაც ის ამტკიცებდა მიუცილებელ საჭიროებას ორიოდ რიგიანი თეატრის დაფუძნებაზედ თბილისში“.

მოთხრობაში შემორჩენილია ეპოქის სურნელი, კილო და ხასიათი. მართალია, ენა მდგრადი ვერაა, მაგრამ ალაგ-ალაგ ცოცხალი და მდიდარია.

მკითხველთან კონტაქტს ხელს უწყობს ინტიმური, თანმიმდევრული თხრობის უნარი. ზოგიერთი დიალოგი ბუნებრივადაა შესრულებული.

რამდენად მწვავე და აქტუალური იყო ალ. ცაგარლის მოთხრობა — იქიდანაც ჩანს, რომ ცენზურას მთელი VII თავი ამოუღია.

„რამდენიმე სურათი“ კიდევ უფრო აფართოებს ჩვენს წარმოდგენას შემდეგ სახელგანთქმული მეცნიერის ალ. ცაგარლის ლიტერატურულ ღვაწლსა და შესაძლებლობებზე.

Л. В. БОЧКОВА

АЛЕКСАНДР ЦАГАРЕЛИ — ПРОЗАИК

Резюме

Известный ученый, профессор Петербургского университета А. А. Цагарели в начале 60-х годов XIX в. привлек внимание общест-венности интересными критическими статьями и рассказами на акту-альные темы.

В исследовании дан идейно-художественный анализ прозы А. Ца-гарели («Картины из жизни народа»), заострено внимание на ее об-личительном направлении, гуманности и правдивости.

А. Цагарели внес несомненный вклад в развитие грузинского критического реализма.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახე-ლობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

მანანა კვაბია

ილია ჭავჭავაძის „კატაქომოს პასუხად“ ქართულ და რუსულ პრესაში

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან ერთ-ერთი საუკეთესო სტატიაა „კატკოვის პასუხად“, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვისათვის. სტატია გამოქვეყნდა 1882 წლის 24 თებერვალს გაზეთ „დროებაში“ (№ 40, გვ. 1—2).

როგორც ცნობილია, 1882 წლის 20 და 22 იანვარს თბილისში ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნა დავით ერისთავის დრამა „სამშობლო“, რომელიც გადმოკეთებული იყო ფრანგი დრამატურგის ვ. სარდუს პიესიდან „Patrie“. წარმოდგენას მასშტაბური აღფრთოვანებით შეხვდა, მას აღტაცებით გამოეხმაურა ქართული პრესაც. მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ, 1882 წლის 13 თებერვალს, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ (№ 44) С. Р.-ს ხელმოწერით გამოქვეყნდა კორესპონდენცია: «Из Тифлиса 3 февраля», რომელიც, არსებითად, მეფის მთავრობის წინაშე ქართველი და სომეხი ხალხების პოლიტიკურ დაბეზღებას წარმოადგენდა. იგი ფეხქვეშ თელავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას.

ქართული პრესა აღაშფოთა რეაქციონერთა ამგვარმა მოქმედებამ. რამდენიმე დღის შემდეგ, 1882 წლის 19 თებერვალს, გაზეთი „დროება“ (№ 36, გვ. 1) აუწყებდა მკითხველს: „დღევანდელის ფონტით მოსულს ვაზ. „მოსკოვის უწყებებში“ (№ 44) დაბეჭდილია თფილისიდან გაგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც საძაგელ ცილისწამებით ქართველ და სომხის ახალგაზდებზე, რომელიც საზიზღარ „დანოსსა“ და ჯაშუშის საკადრის დაბეზღებას შეიცავს. კორესპონდენცია დაწერილია დრამის „სამშობლოს“ წარმოდგენის თაობაზე, ხელმოწერილია ვილაც ს. რ.-ის სახელით.

საუბედუროდ, დღეს ვერ ვასწრობთ ამ კორესპონდენციის გაცნობას მკითხველისათვის; ხვალ კი გადავთარგმნით და ვეცდებით ცალკე სტატია ვუძღვნათ ამ საგანს“. მართლაც, იმავე წლის 21 თებერვალს „დროების“ 38-ე ნომერში (გვ. 1—2) დაბეჭდა „სიტყვასიტყვითი თარგმანი იმ თფილისიდან გაგზავნილის კორესპონდენციისა“. იქვე გაზეთი წერდა: «„დროების“ რედაქცია ამ კორესპონდენციის შესახებ პასუხს ამზადებს და, თუ გარეშე დამარკოლებელი მიზეზი არ აღმოუჩნდა, ერთ შემდეგ ნომერთაგანში დაბეჭდავს».

როგორც ჩანს, მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, კერძოდ, „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს, საპასუხო სტატიის დაწერა და ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა ილია ჭავჭავაძისათვის მიუღწევიათ.

აი, რას წერდა ილიას შესახებ მწერლის პირველი ბიოგრაფი ვრიგოლ ყოფშიძე: „საზოგადოდ ილია, გაჭირვების ტალკვეს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. როცა საფრთხე რამ იყო მოსალოდნელი ჩვენის ქვეყნის ინტერესებისათვის, იმას შემოეხვეოდნენ ხოლმე ჩვენი მამულიშვილები, აბა, უნდა გვიშველო როგორმე, ხმა ამოიღო, ჩვენს საქმეს ემუქრებთან, დაბალ ლობედ

დაგვსახეს, ლამის ზედ შეგვდგნენ და გავთვლონო. მუდამ დინჯი, აუჩქარებელი ილიაც ყურადღებით მოუსმენდა ხოლმე ყველას, საითთაოდ აპკრებდა თითოეულის აზრს, ბოლოს ყველას ერთად თავითავს მოუყრიდა, გააშუქებდა საგანს, რაც უნდა რთული და დახლართული ყოფილიყო, და იკისრებდა გამოსვლას საბრძოლველად; გამოვიდოდა, როგორც გამოცდილი ფალავანი წინადადე კარგად მოსაზრებულის საბრძოლველის გეგმით, შეიარაღებული ფერხით თხემამდე; გამოვიდოდა და იცავდა თავის ქვეყანას, თავის ძვირფას სამშობლოს ძნელად გასამეტს, უმაღლეს ინტერესებს.

ასე გაუმკლავდა ილია M. Вел.-საც 1882 წელს, როცა ამ გაზეთმა და მისმა სულის ჩამდგმელმა კატკოვმა მასხრად აიგდო საქართველოს დროშა და ცხად-ყო თვისი კაციკამიაობა, თვისი დიდი სიძულვილი ქართველი ერისადმი¹.

მართლაც, ცნობილია, თუ რა გამანადგურებელი პასუხი გაცა ი. ჰავჭავაძემ კატკოვსა და მის დამქაშებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ილიას პირად საარქივო ფონდში 171-ე ნომრით დაცულია „კატკოვის პასუხად“ — შავი ავტოგრაფი, რომლის გაცნობა გვეხმარება ნაწილობრივ აღვადგინოთ ამ სტატიის შექმნის ისტორია. ილიასეული ავტოგრაფი დაწერილია შავი მეღნით, თაბახის ფურცლის ერთ ნახევარზე (სულ 7 ამგვარი ფურცელია). როგორც ჩანს, მწერალს სტატია ერთბაშად, ერთი ამოსუნთქვით დაუწერია. აქვეა მისეული შესწორებები თუ ჩამატებანი, ერთი სიტყვით, წარმოდგენილია მთელი შემოქმედებითი მუშაობა ტექსტზე.

ილიას ბევრი უფიქრია სტატიის სათაურსა და ეპიგრაფზე. სათაურად ჰქონია: „პასუხად“, „ღვეწული მღვეწელს“, „პასუხად კატკოვისა“, რომლებიც შემდეგ გადაუხაზავს და საბოლოოდ „კატკოვის პასუხად“ შეურჩევია. ეპიგრაფად შოთა რუსთაველის ორი აფორიზმიდან — „მოყვარე — მტერი ყოველისა მტრისაგან უფროა მტერია“ და „მართლა თქმულა, არას მართებს ყვავისა ვარდი, ვირსა რქანი“ — უპირატესობა პირველისათვის მიუნიჭებია.

როგორც ჩანს, ეს სტატია სასწრაფოდ უნდა გამოქვეყნებულიყო. ილიას მისი გადაწერაც კი ვერ მოუსწრია და შავი ავტოგრაფის სახით გაუგზავნია იგი „დროშის“ რედაქციაში (მწერალს ტექსტი დასაბეჭდად ამ ხელნაწერიდან გაუმზადებია: აღუნიშნავს აბზაცები, ეპიგრაფისა და ბოლო სტრიქონისათვის მიუწერია წვრილი ასოებით დაიბეჭდოსო, იქვე აღნიშნულია სტატიის დაწერის თარიღი: 23 თებერვალი). ილია დაინტერესებული ყოფილა რედაქციის თანამშრომელთა აზრითაც. ამას გვიჩვენებს პატარა ბარათი სერგეი მესხისადმი, რომელიც იქვე მიუწერია მწერალს: „სერგეი! თუ ჰერ წავიკითხავთ ერთად და მერე დაბეჭდამ კარგს იზამ. ამაღამ შევიყარნეთ და წავიკითხოთ. მომწერე თუ თანახმა იქნები. ილია ჰავჭავაძე“.

ჩანს, ი. ჰავჭავაძეს ს. მესხთან ერთად წაუკითხავს ეს სტატია და ერთი ადგილი ჩაუმატებია კიდევ ლურჯი მეღნით: „ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სისოებითა და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობასა და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუძღვარებია, ძღვევამოსილობით ომი-

¹ გრ. ყ იფ შ იძ ე, ილია ჰავჭავაძე. ბიოგრაფია. იხ.: ი. ჰავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, მიხეილ გელევიანიშვილის გამოცემა, თბ., 1914, გვ. XLII.

დამ გამოუტანია და რუსეთისათვის ჩაუბარებია, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობითა და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უნთხევია მამულისათვის, დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა...“ მწერალი დიანტერესებულა სტატიის კორექტურითაც. იქვე, ილიასეულ ავტოგრაფზე, ს. მესხს იმავე ლურჯი მელნით სტამბის ასოთამწყობისათვის მიუწერია პატარა ბარათი: „დიომიდე, თუ ორ საათამდინ ამოაწყონ ეს სტატია, კორექტურა ბანკში გაუგზავნეთ ილიას, ასე ითხოვს. ორი საათის შემდეგ — კი შინ გაუგზავნე. მალე გაეასწორებ და იმწამსვე ჩავაბარებო; გთხოვთ. სერ. მესხი“.

ილიას „კატკოვის პასუხად“ დაწერიდან მეორე დღესვე, 24 თებერვალს, გამოქვეყნდა „დროებაში“. ნაბეჭდ ტექსტში რამდენიმე ადგილი ამოღებულია. „როცა ბეზლობა, — ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილი კაცისა, პირახდირი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლექსმა პურს აწედის მამბეზლარს (— მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო)“ — ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ამოღებულია. არაა დაბეჭდილი აგრეთვე ფრჩხილებში ჩასმული შემდეგი სიტყვები: „ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზლობა ის ბეზლობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც („შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“) ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს“.

ამოღებულია ილიასეული ტექსტის უკანასკნელი სტრიქონიც: „ესე-ლა დავერჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა?!“².

ილიას სტატიას საყოველთაო მოწონება დაუმსახურებია. რამდენიმე დღის შემდეგ „დროება“ წერდა: „დიდის სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ ჩვენი გაზეთის № 40-ში დაბეჭდილის სტატიის გამო, — „კატკოვის პასუხად“ — ავტორს ამ სტატიისათ. ი. ილ. გრ. ჭავჭავაძეს რამდენიმე ტელეგრამა მოუვიდა, რომელშიაც თანაგრძნობას და მადლობას უცხადებენ ამ სტატიაში გამოთქმულ აზრების გამო. ამგვარი თანაგრძნობა გამამხნევებელი და სულისჩამდგმელია არათუ მარტო მწერლისა, არამედ თვით იმ საქმისა, რომელსაც ის თავის კალმით ემსახურება“... („დროება“, 1882 წლის 28 თებერვალი, № 43, გვ. 2). მართლაც, ამ სტატიით ილიამ მთელი ქართველი ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება გამოხატა. „მოსკოვსკიე ველომოსტის“ კორესპონდენტმა საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი ააღელვა. „ამ უკანასკნელ დღეებში, — წერდა „დროების“ კორესპონდენტი პ. სემენენკო თელავიდან, — აქ არც ეს დიდი ზამთარი ახსოვს ვისმე, არც მოსავალი და არც ალაზნის გადიდება. ყველანი ერთს საგანზე ლაპარაკობენ, ყველანი აღელვებული, გაცხარებული არიან, როდესაც ამ საგანზე ჩამოვარდება ხოლმე სჯა... ეს კორესპონდენცია, რასაკვირველია, ღირსი არ იყო ყურადღებისა, თუ რომ ის არ ყოფილიყო საქაგელის ცილისწამებითა და მავნებელის ბეზლებით შეზავებული ვიღაც უსინდისო და ზნეობამოკლებულის კორესპონდენტისა. კახელები, როგორც შევატყვე,

² იხ. აგრეთვე: სარდაქციო შენიშვნები, ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 359—360. აღსანიშნავია, რომ იუსტი არაა პ. ინგოროყვას ერთი შენიშვნა: „ეგ დროშა... ძველმოსილობით ომიდამ გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში“ სიტყვები „დაუმკვიდრებია კავკასიაში“ ცენზურის მიზეზით შეე ილია ამრიად: „რუსეთისათვის ჩაუბარებია“ (გვ. 360). როგორც ილიასეული ავტოგრაფიდან ჩანს, ეს სიტყვები თვით ი. ჭავჭავაძეს შეუცვლია.

განსაკუთრებით გაჯავრებული არიან იმიტომ, რომ ამ კორესპონდენტმა გაბედა შეგინება იმ ერის სახელისა და პატივის ემბლემისა — დროშისა, რომელიც შეღებლია მთელის ქართველობის სისხლითო, რომლითაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ურჯულოებისა და მტარვალობისაგან ვიცავდით ქრისტიანობას...³

ილიას სტატიას გამოეხმაურა რუსული პროგრესული პრესაც. ორიოდ კვირის შემდეგ, 1882 წლის 9 მარტს, იგი გადაბეჭდა გაზეთმა „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“ (№ 66, გვ. 1). „კატკოვის პასუხად“ ძალზე მოწონებია მოსკოვის საზოგადოებას. თუ როგორი იყო მასზე მოსკოველების რეაქცია, ვიგებთ ილია ოქროშქედლიშვილის მიერ იმავე წლის 17 მარტს ილია ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილი პირადი წერილიდან: „ძმაო ილიაო! „მოსკოვის ტელეგრაფში“ წავიკითხე შენი წერილი კატკოვის დანოსხედ, წერილი მეტად მშვენიერი, ჭეშმარიტი, ენერგიული და ზომიერი. ჩემი სიამოვნება იმან უფრო ასწია, რომ აქ, არათუ სომხები, ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცებული კმაყოფილება შენ წერილზედ. ამ ორ-სამ წელიწადში მოსკოვში მოხდა დიდი ცვლილება. ეხლა აქ იშვიათად იპოვნი იმისთანა კაცს, რომელიც კატკოვის მოპაზრეს და მიდრეკილების კაცს არ უყურებდეს, როგორც ხალხის მოღალატესა და შპიონს. განათლებულ პირებს გარდა, ეს ცვლილება მოხდა ვაჭრებში და ჩინოვნიკებშიც. ტრაქტირებში, რესტორნებში, ვაგონში ანუ სხვა შეყრილობაში სადმე, თუკი დაიწყებოდა ლაპარაკს კატკოვის წინააღმდეგ, ანუ იმის მომხრისა, ე. ი. მაღალი ზოხოლების, დარწმუნებული იყავ, რომ სიამოვნებით დაეგიდებენ ყურს და მოგუმხრებიან. თუკი ეს ცვლილება მოხდა მოსკოვში, საცა კვასный патриотизм-ს აქვს უფრო მეტი ბუდე, წარმოიდგინე, რა იქნება სხვა რუსეთის მხარეებში! ეს გარემოება მეტად სანუგეშოა და არის ერთი მიზეზთაგანი, რომელმაც შენი წერილი, თავის საკუთარ ღირსების გარდა, ძალიან მოაწონა აქაურ რუსის საზოგადოებას“ (ეს წერილი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში: № 568).

ი. ოქროშქედლიშვილის აღნიშნულ პირად წერილს პირველად ყურადღება მიაქცია პროფესორმა შალვა გოზალიშვილმა⁴. ამ წერილით მან მიაკვლია „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ გადაბეჭდილ ი. ჭავჭავაძის სტატიის რუსულ თარგმანს. მანამდე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობის საგანი არ გამხდარა მისი რუსულ პრესაში გამოქვეყნების ფაქტი. შ. გოზალიშვილი წერდა: «ილია ჭავჭავაძემ „კატკოვის პასუხად“ ქართულთან ერთად, მაშინვე რუსულადაც დაწერა და გაგზავნა მოსკოვში გამოაქვეყნებლად... სიძიებელია თვით ილია ჭავჭავაძის აღნიშნული სტატიის — „კატკოვის პასუხად“ — ილიასეული რუსული ავტოგრაფიც, რის მიხედვითაც იგი დაიბეჭდა „მოსკოვსკი ტელეგრაფში“.

ჩვენ შევადარეთ 1882 წელს „დროებასა“ და „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული ი. ჭავჭავაძის ამ სტატიის ქართული და რუსული ტექსტები. შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა: „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ დაბეჭდილ სტატ-

³ „დროება“, 1882 წლის 5 მარტი, № 46, გვ. 3.

⁴ შ. გოზალიშვილი, ილია ჭავჭავაძის სტატია რუსულ პროგრესულ გაზეთში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1958 წლის 9 მაისი, № 19, გვ. 3. იხ. აგრეთვე: შ. გოზალიშვილი, ილია ოქროშქედლიშვილი, თბ., 1976, გვ. 125—133. შდრ. ა. პ. მახარაძე, ილია ჭავჭავაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1963, გვ. 77—88.

იას, „დროებაში“ დაბეჭდილისაგან განსხვავებით, არ აქვს ილიასეული სათაური („კატკოვის პასუხად“) და ეპიგრაფი. სამაგიეროდ, მას წინ უძღვის სარედაქციო წერილი, სადაც მხილებულია მ. კატკოვისა და მისი რედაქტორობით გამოშვებული გაზეთის მოქმედების რეაქციული ხასიათი (შეენიშნავთ, რომ „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ წინა ნომერშიც არაერთი სტრიქონია კატკოვის წინააღმდეგ მიმართული). გაზეთი წერს: «Вот г. Катков — совсем другое дело. Доносы его органа — настоящие доносы, в полной форме, и слава этих доносов растет и растет... Г. Каткову нужно волнение народов, сепаратистические стремления, бунты, восстания. Тут его сфера, тут на его улице праздник, потому что как только скажут, «отечество в опасности», то кто же, как не он, сможет быть его спасителем... На другой окраине, он чует «сепаратистические стремления» — и вот к его услугам доносчик, делающий грузинский и армянские театры каким-то политическим веретеном. Все это творится обдуманно, последовательно, по строгой системе. Но, увы, и тут постоянно срывается... Новые времена, новые люди, новые идеи наступили для русской земли, и г. Каткову не сладить с ними. Правда, он и теперь достигает некоторой цели...»⁶ შემდეგ „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ აცნობს მკითხველს იმ რეაქციას, რომელიც კატკოვის გაზეთის დაბეჭდვას მოჰყვა სომხურ და ქართულ პრესაში: «Но посмотрите, какой единодушный, общий взрыв негодования возбуждает эта позорная деятельность. На безчестную инсинуацию из Тифлиса вся местная печать ответила единодушным порывом». ამ სარედაქციო წერილიდან ვიგებთ, რომ გაზეთის წინა ნომერში (იხ. „მოსკოვსკი ტელეგრაფი“, № 65, გვ. 1) გამოქვეყნებულა სომხური პრესის გამოსხაურება ამ დაბეჭდვაზე: «Вчера мы воспроизвели несколько строк из армянского журнала «Арцаганк», теперь приведем отзывы представителя грузинской прессы.

Редактор журнала «Иверия», кн. И. Г. Чавчавадзе, пишет в газете «Дрозд»... შემდეგ მოყვანილია ილიას სტატიის რუსული თარგმანის ტექსტი, ბოლოს კი რედაქციის შემდეგი შენიშვნა კატკოვის მისამართით: «Какая завидная доля для старого публициста — нести на своих плечах всенародное безславие».

მალე გაზეთმა „დროებამ“ ქართველ მკითხველს აუწყა ილიას წერილის რუსულ პრესაში გამოქვეყნების ფაქტი. 1882 წლის 16 მარტს (№ 55, გვ. 1) იგი წერდა: „გუშინ და დღეს მოსკოველ გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, თუ რა საზიზღარი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსეთში ბ-ნ კატკოვის და მისი კორესპონდენტის ბეზლაობას. „მოსკოვსკი ტელეგრაფს“ გადაუბეჭდია ვრცლად ბ-ნი ილია ჭავჭავაძის კატკოვისადმი პასუხი...“ აქვე გაზეთს შემოკლებული სახით მოჰყავს „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ სარედაქციო წერილის ქართული თარგმანი.

ახლა თვით ილიას სტატიის რუსული თარგმანის შესახებ: მისი „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ დაბეჭდილი ტექსტი ემყარება „დროებაში“ 1882 წლის 24 თებერვალს გამოქვეყნებულ ილიას სტატიას „კატკოვის პასუხად“ (და არა მის შემოკლებულ ილიასეულ ავტოგრაფს). ის მცირე ტექსტობრივი სხვაობანი, რომლებიც ავტოგრაფსა და ნაბეჭდ ტექსტს შორის არსებობს, შენარ-

⁶ «Московский телеграф», 9 марта 1882 г., № 66, გვ. 1.

ჩუნებულა მის რუსულ თარგმანშიც. სტატია ნაწილობრივ შემოკლებული სახითაა რუსულად გამოქვეყნებული. ამოღებულია მისი რამდენიმე აბზაცი:

1. „როცა ბეზლობა, — ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამეტუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მამბეზლარს“.

2. „მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამკედურად აქეს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა, და საბერველად კიდევ „შაბაში“ და „ბარაქალა“ იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზლობა და ერთგულება ერთს ფარდში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია“.

3. „ეს ოციოდ წელიწადია, რაც ბეზლობამ ენა ამოიდგა რუსეთში ბ-ნის კატკოვისა და მის კამპანიის წყალობითა და მხნობითა“.

4. „ეს სამივე წყობა მამბეზლართა რაზმისა ერთსა და იმავე კურდღელს სდევნიან დასაჭერად. „აი, ქვეყნის ერთგულნი ჩვენა ვართო, ძალღურის აღლოს აღება ჩვენთვის მოუნიჭებია ღმერთსაო, ჩვენ ყველაფერს ვამხელთ, რასაც სხვანი ხელს აფარებენო და, ჯილდოს მაგიერ, ჩვენვე გვდევნიან, სამსახურიდამ გვეყრიანო, სამსახურში წინ არ მივეყვართო. აბა, ერთი ხელში ჩაგვიდგონ რაიმე მოხელეობა და მაშინ ჩვენ ვიცით, რას აღმოვაჩინთო და რამდენ დაფარულს გამოვაქვეყნებთო“, და სხვანი და სხვანი“.

5. „კორესპონდენტს ჩვენის სეპარატისტობის და გადადგომის სურვილის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ: ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიო, და როცა რუსები არდგენენ, მაშინ — კი არაო. ქართულ და ნამეტნავად სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რუსულში კი არაო. ქართველებმა „სამშობლოს“ გადამოკეთებელი ავტორი ღიდის ყოფით მიაცილეს შინამღინაო და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომხურს აქტრისას გრაჩიასაო.

სასაცილოა, რომ საზიზლარი არ იყოს, ამისთანა ბეზლი, ამისთანა საბუთებზედ აშენებული! ქართველებს თუ სომხებს რომ სციოდეთ და თეატრი გაათბონ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაშია! ქართველებმა რომ მოწონებულის თხზულების ავტორს პატივი სცენ და სომხებმა კიდევ თავის აქტრისას საჩუქარი მიართვან, — აქ სეპარატისტობა რა მოსაყვანია?“

6. „ესეთი გულგრილობა აქაურის რუსებისა რუსულის თეატრის მიმართ უფრო ძლიერი საბუთი იქნებოდა, რომ აქაურ რუსებისათვის სეპარატისტობა შეეწამებინა ბ-ნის კორესპონდენტს, ვიდრე ის უმანკო გულმხურვალეობა, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს „სამშობლოს“ ავტორის გაცილებაში და რომელიც ბ-ნის კორესპონდენტს თავის ბეზლის სარჩულად და საბუთად დაუდვია“.

როგორც ვხედავთ, „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ დაბეჭდილ ილიას სტატიის რუსულ თარგმანში შერბილებულია მისი მწვავე ტონი, ერთგვარად მიჩქმალულია მისი დაწერის მიზეზი (არაფერია ნათქვამი დ. ერისთავის „სამშობლოზე“ — სტატიის ეს ნაწილები ამოღებულია). სამაგიეროდ, შენარჩუნებულია კატკოვისა და მისი გაზეთის საწინააღმდეგოდ მიმართული სტრიქონები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის სტატიის რუსული თარგმანი კარგადაა შესრულებული, ოღონდ ერთგვარად იგრძნობა მისი საგაზეთო ინფორმა-

ციად გადაკეთების ტენდენცია. შეცვლილია ზოგიერთი სიტყვა და წინადადება, მაგალითად, ალემ-მიცემობა — эксплуатация, „სამარცხვინო ფარხმალის მჭედელს“ — Рыцарей этого позорного оружия, „ორგულობა შეუწამებია და გადადგომის სურვილი დაუბრალებია“ — обвинял ее в сепаратизме და სხვა. ზოგიერთი ადგილი ოდნავ შემოკლებული და შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი რუსულ თარგმანში.

მაგალითები: 1. „უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის ისიც არის, როცა ერთ გვარს ბეზლობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზლობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო ვზა გაეხსნება და ალემ-მიცემობის საგნად გახდება“.

«Горе всякого народа,— велик-ли он или мал, между прочим, заключается и в том, когда известного рода доносу, называемому политическим, дается широкий простор, и он превращается в предмет эксплуатации».

2. „თვითონ მაგ სამარცხვინო ფარხმალის მჭედელს, ბეზლის მთქმელს, როგორც იქნება, ადამიანი გაუძღვებდა, მოიგერიებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს, რომ მაგ საზიზღარის ფარხმალით მორთულს „შაბაშის“ და „ბარაქალის“ ძახილით არ აქეზებდეს იმისთანა წმიდა რამ, როგორც ლიტერატურა“.

«Рыцарей этого позорного оружия еще кое-как можно было бы выносить, если б у них не были свои правверные, если б облаченных в эти отвратительные доспехи не подстрекало кликами одобрения нечто столь возвышенное, как литература».

3. „იგი (კორესპონდენტი. — მ. კ.) ამბობს, რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზე დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსო“.

«Корреспондент говорит: «Жаль затрат, сделанных на постановку пьес» და სხვა.

ერთგან რუსული თარგმანის ტექსტში იგრძნობა რედაქციისეული შესწორება: — „მინამ დიდი მთავარი აქ ბძანდებოდლო, ამბობს იგი კორესპონდენტი, ქართული და სომხური თეატრი არ იყოფო და, როცა წაბძანდა, მაშინ ხელი შეუწყვესო“.

«Пока великий князь был здесь, по словам корреспондента, грузинские и армянские театры не существовали, с отъездом же его высочества дело пошло иначе».

ვთქვით, „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ გამოქვეყნებული ი. ჭავჭავაძის „კატკოვის პასუხად“ რუსული თარგმანი ილიას კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს. ჩანს, მოსკოვის ამ გაზეთის ყურადღება მიიქცია სომხურ და ქართულ პრესაში დაბეჭდილმა მ. კატკოვის საწინააღმდეგო მწვავე ხასიათის წერილებმა იმ მიზნით, რომ ისინი ამ რეაქციონერი პუბლიცისტისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ მიმართული კამპანიისათვის გამოეყენებინა. ამას უნდა მიგვიითებდეს „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ სარედაქციო წერილის სიტყვები: „Вчера мы воспроизвели несколько строк из армянского журнала «Арцаганк». Теперь приведем отзвыы представителя грузинской прессы. Редактор журнала «Иверия» кн. И. Г. Чавчавадзе пишет в газете «Дрозба»“. ამასვე უნდა გულისხმობდეს „დროების“ ზემომოყვანილი სიტყვები: „მოსკოვსკი ტელეგრაფს“ გადაუბეჭდია ვრცლად ბ-ნი ილია ჭავჭავაძის კატკოვისადმი პასუხი“. ერთი სიტყვით, სტა-



ტია თვით ი. ჭავჭავაძეს რომ გაეგზავნა მოსკოვის გაზეთისათვის, ამას მიუთითებდნენ კიდევ. ამ სტატიის რუსული თარგმანი ილიასეული რომ არ უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს კიდევ ერთი გარემოება: 1882 წლის 28 თებერვალს გაზეთმა „კავკაზში“ (№ 55, გვ. 2—3) სათაურით «Обзор печати» შემოკლებით გამოაქვეყნა ილიას „კატკოვის პასუხად“ რუსული თარგმანი, რომელიც არსებითად განსხვავდება „მოსკოვისკი ტელეგრაფის“ თარგმანისაგან. შედარებისათვის მოვიყვანოთ ერთ ადგილს:

„კავკაზში“ — «Из всех видов ябедничества самым опасным следует считать политическое ябедничество, донос на целый народ, но зло еще более усугубляется и донос становится еще более возмутительным, когда он направлен против народа, лишенного возможности к самооправданию и выражению своих задушевных желаний».

„მოსკოვისკი ტელეგრაფი“ — «Опаснейший и самый омерзительный из всех доносов тот, что изобретает своим объектом целую нацию, которая лишена всех средств для оправдания, для всенародного провозглашения своих сердечных движений, своей мучительной тоски».

ამ სტატიის ილიასეული რუსული თარგმანი რომ არსებულაყო, „კავკაზის“ იმდროინდელი რედაქტორი დავით ერცისთავი, რომელსაც ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან, თავის გაზეთში, ალბათ, თუნდაც შემოკლებით, ილიასეულ რუსულ თარგმანს გამოაქვეყნებდა, ისევე როგორც აკაკი წერეთლის მიერ კატკოვის გაზეთის კორესპონდენციის საწინააღმდეგოდ დაწერილ წერილს, რომელიც გაზეთის იმავე ნომერშია დაბეჭდილი (გვ. 1—2). აკაკის ეს სტატია 1882 წლის 4 მარტს გადაბეჭდა „დროებაში“ (№ 45, გვ. 1—2) სათაურით „ვერა ხედავთ?“ შენიშვნები შენიშვნით: „ეს სტატია შემოკლებით იყო დაბეჭდილი გაზეთს „კავკაზში“, აქ უფრო სრულად ვებეჭდავთ“. მართლაც, ამ სტატიის ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის საგრძნობი სხვაობაა. სხვათა შორის, აკაკი „კავკაზში“ გამოქვეყნებული სტატიის ბოლოს წერს: «Очевидно, что корреспондент не видел этой пьесы, незнаком с содержанием ее, а подхватил одно только слово «Родина», и, подобно одному господину, который в давно прошедшие времена принял шиллеровский «колокол» за герценовский, забыл их набатить». აკაკის წერილის ქართულ ვარიანტში ეს ნაწილი არაა. („ვერა ხედავთ?“ ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტომეულის მე-12 ტომ შიამეტანილი, მაგრამ მის სარედაქციო შენიშვნებში გათვალისწინებული არაა „კავკაზში“ გამოქვეყნებული ამ სტატიის რუსული ვარიანტი).

„კავკაზის“ იმავე ნომერში (№ 55, გვ. 3) მოყვანილია სომხური გაზეთების „მშაქის“, „მელუსა“ და „არძაგანქის“ გამოხმაურებები ათა ნაწყვეტები კატკოვის გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენციის გამო. გაზეთ „არძაგანქის“ ცნობით, «нашедший гостеприимство на столбах моско вской газеты, автор корреспонденции есть некий господин, шесть месяцев тому назад удаленный из редакции газеты «Порядок» и скрывающийся под инициалом С. Р.

На этот раз С. Р., который поставил себе девизом: «все пожирать», захотел сделать то же с армянскою и грузинскою сценами. Для этого он отправляет из Тифлиса корреспонденцию в «Московские Ведомости», в которой он делает несправедливые доносы и нападки на грузинскую молодёжь... იქვე მითითებულია, რომ სომხეთის თეატრალურ კომიტეტს განზრახული აქვს პასუხი გასცეს ამ მის წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებას.

შეენიშნავთ, რომ ილიასა და აკაკის გარდა, კატკოვის გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენციის საწინააღმდეგო წერილები გამოაქვეყნეს აგრეთვე ქიბოსრო გელოვანმა — „საქართველოს დროშაზედ“ (იხ. „დროება“, 1882 წლის 28 მარტი, № 64, გვ. 1—2) და თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ლუარსაბ მაღალაშვილმა, რომელმაც თავისი საპროტესტო წერილი პეტერბურგის გაზეთ „გოლოსში“ დაბეჭდა (№ 70). შემდეგ ეს წერილი „დროებაშიც“ გამოაქვეყნა (იხ. „დროება“, 1882 წლის 23 მარტი, № 61, გვ. 1—2).

აღსანიშნავია, რომ მ. კატკოვს და მის დამქაშებს საკადრისი პასუხი გასცა ცნობილმა რუსმა პუბლიცისტმა ნ. მიხაილოვსკიმაც. პეტერბურგის ჟურნალ „ოტჩენსტვენნი ზაპისკიში“, რომელსაც მაშინ მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი რედაქტორობდა, მან ნ. მ.-ის ხელმოწერით გამოაქვეყნა სტატია⁶, რომელშიც აღნიშნულია: «Можете вы себе представить, что в тифлисском театре была дана историческая драма «Родина» на грузинском языке, в которой изображалось торжество грузин над персиянами... Но есть солнце на небе, есть М. Н. Катков в Москве. Проницательным взором полководца, посевшего в боях за отечество, он усмотрел, что нам собираются гадить еще с одной стороны, и, сделав строгое внушение кавказскому цензурному комитету, вместе с тем, предложил «продать грузинские знамена в цирк для украшения пантомим»... Это было предложение высокоблагородное и глубоко патриотическое. Но, увы! хотя «М. Вед». и продолжают издавать громы, но это уже не туча, а только куча. Сам же М. Н. Катков так много и так неустанно мелет, что наконец, его скоро поставят вместо декорации мельницы в опере «Русалка» и оперный князь будет, указывая на него, меланхолически петь: «Вот мельница! Она уже развалилась!».

Рецензия Белинского на шестое издание «Общей риторики» Н. Кошанского, напечатанная в 1939 году в «Литературном прибавлении» к «Русскому инвалиду», фактически подвергает критике все написанные до того времени учебники по теории словесности. «Мы все, — пишет Белинский, — ощущаем крайнюю необходимость в руководстве, в котором заключалось бы хорошее систематическое изложение законов мысли и чувства относительно выражения в формах языка вообще и в формах языка русского в особенности. Но можно сказать утвердительно, что у нас до сих пор нет ни одной порядочной учебной книги, которая удовлетворяла бы этой необходимости и которую составить тем труднее, что обработыванием теории отечественной словесности могут заняться одни русские, между тем как систематические изложения большей части остальных наук приготавливаются для нас всею образованною Европой». Статья эта в некотором роде программная, так как Белинский сам собирался создать учебник по теории словесности, поэтому в ней, наряду с отрицанием старых «риторик», есть определенные рекомендательные положения. «Главная ошибка наших теоретиков состоит в том, что они в своих системах, излагая законы словесных произведений, не умели порядочно отделить внутренней их стороны от внешней идеи, от формы, и, таким образом, в состав их риторик входят логика и теория изящного, не разграниченные между собою никакими ощутительными, точными пределами. Действительно, все, что прежде в наших теориях словесности говорилось об изобретении и расположении мыслей, о составе и расположении дидактических сочинений, — все это гораздо подробнее изложено в логике, особенно во второй ее части, называемой «систематикою» или «методологиею». Если передать логике и теории изящного все захваченное риторикой, «в удел сей последней останется только учение о слоге, составляющее предмет высшей, так сказать, прикладной грамматики». Но все равно, «наставнику словесности достанется еще много дела». «Кроме грамматического изучения русского языка, он должен взглянуть на язык с исторической и догматической стороны его, изложить историю его развития, его преимущества и недостатки относительно к другим языкам,



показать, в какой степени в настоящую эпоху способен он к выражению отвлеченных идей и художественной живописи, и все свои положения подкрепить примерами, извлеченными из творений наших писателей. Напишите логику и теорию изящного в применении их к русскому языку и составьте хорошую теорию слога — вот за что будут вполне благодарны и учащие и учащиеся». Такова программа. Далее Белинский переходит непосредственно к критике построения учебников. Так, он пишет, что главы «О расположении мысли» должны быть отнесены к логике. Называет странной главу «О прозе ораторской», так как Аристотель, Цицерон и Квинтилиан «считали красноречие искусством, а не наукою и не думали (особенно последние) подводить его под какую-нибудь систему». Тем более, что «оно было тогда необходимо, повседневно, общепотребительным ремеслом», не то, «что ныне». Следовательно, «решительно нельзя построить теории, по крайней мере, такой, какую предполагают создать наши систематики». Иронизирует Белинский над главой «О письмах, где, «не шутя, они научат вас, как писать к другу, к вельможе, к знатной даме...» В главе «Об изящном слоге» критик говорит, что вместо «понятий о красоте и проявлении ее в колорите языка» излагаются «целые ряды фигур и тропов с объяснениями и примерами, извлеченными иногда из Карамзина и Пушкина, и иногда из Крашенинникова и Хераскова». Завершает статью следующий вывод: «Спросим по совести, много ли полезных правил из этих книжек почерпнули люди, которые хотели приложить к практике эти правила? Нет, теория прозы требует у нас значительной переработки».

В том же номере журнала, что и первая статья, печатается рецензия Белинского на второе издание книги М. Розберга «О развитии изящного в искусствах и, особенно, в словесности». Противопоставляя Кошанского-ритора «прежнего времени» и Розберга — «образчик наших нынешних исследователей теории изящных искусств вообще и словесности в особенности», Белинский говорит, что, несмотря на противоположность друг другу, «эти крайности приводят к результатам довольно сходным». Если старые словесники «бросились научить всякого желающего словесному искусству, сделать его писателем, поэтом или оратором», из этого получилось то, «что из самых лучших учеников их выходили самые нестерпимые краснобаи, самые холодные, вялые, скучные бумагомаратели», что с другой стороны «нынешние теоретики ударились в другую крайность: они, приглашая желающих исследовать законы изящного, отрешаются от фактов и явлений, в своих высших взглядах заносятся так высоко, что совершенно теряют из виду положительную реальность, и, увлекаясь или блестящими гипотезами, или замысловатыми сближениями, тешатся сами и потешают других, правда, заманчивыми, пестрыми игрушками, но в то же время пустыми, ни к чему не ведущими, исчезающими, словно мыльные пузыри, при всяком столкновении с холодным рассудком». Вывод о результате этих теорий следующий: «Искусство не выигрывает, наука страдает». Знаменательно то, что говорит Белинский о теории искусства в заключении статьи: «Да не подумает кто-либо, что мы восстаем против теории искусства — О, нет! Теория есть жизнь искусства: без нее оно мертво, не одушевлено, не согрето: пусть художник изучает законы изящного, но да будут законы эти утверждены на прочном, незыблемом основании...»

В рецензии на седьмое издание «Общей ретирики» Н. Кошанского («Отечественные записки» 1840, т. XIII, № 12) Белинский в полемическом резком тоне критикует непосредственно учебник Кошанско-

го за его догматизм и практическую непригодность и лишь в заключении обращается ко всем риторикам: «Риторика» для того и пишут, чтоб учить писать не для жизни, не для общества, а для школы — и это уж, право, не моя вина: не я выдумал «ретику». Впрочем, походите, я «сочиняю «ретику» на совершенно новых основаниях: я определяю ее не так, как делали это в старину во время Тредьяковского и Сумарокова «наукою изобретать и располагать мысли», а «наукою убивать способности, уничтожать развитие и делать педантов». Не знаю, понравится ли вам моя «ретику», но я уверен, что вы не откажете мне хоть в откровенности и в том, что я прямо указываю на свою цель».

В 1841 году в «Отечественных записках» (т. XV, № 3) появляется статья Белинского «Разделение поэзии на роды и виды», которая, как указывается в редакционном предисловии, «есть отрывок из Эстетики; он может служить в некотором отношении образом целого сочинения». Белинский собирался написать большой труд. Как указывалось в том же предисловии: «Книга его явится под общим названием «Теоретического и критического курса русской литературы» и заключит в себе следующие части, тесно связанные между собою единством основной мысли и систематическим изложением: Общее введение; Эстетику (развитие идеи искусства вообще и теории поэзии в частности); Теорию русского стихосложения; Теорию словесности вообще (теория красноречия и взгляд на так называемые беллетристические, или собственно-литературные — а не художественные — и догматические сочинения, не принадлежащие ни к искусству в строгом смысле, ни к ученой литературе); Взгляд на народную поэзию вообще; Критическое рассмотрение памятников русской народной поэзии («Слово о полку Игоревом» и русские песни эпического и лирического содержания); Историческое обозрение памятников русской письменности от ее начала до времен Петра Великого; Историю книжной русской литературы от Кантемира и Ломоносова до Карамзина, от Карамзина до Пушкина и от Пушкина до 1841 года включительно; Общий взгляд на русскую литературу, надежды в будущем, заключение». Белинскому удалось написать лишь последние три части из задуманного труда — это одиннадцать статей «Сочинения Александра Пушкина» и статья «Мысли и заметки о русской литературе». Эстетику и теорию словесности ему написать не удалось. В письме к В. П. Боткину от 1.III.1841 года Белинский так объясняет свой отказ от задуманной работы: «В номере 3 «Отечественных записок» ты найдешь мою статью (статья «Разделение поэзии на роды и виды») — истинное чудовище! пожалуйста, не брани, сам знаю, что дрянь. Чувствую, что я голова не логическая, не систематическая, а взялся за дело, требующее строжайшей последовательности, метода и крепкой мыслительности. Катков оставил мне свои тетрадки. (Тетрадки Каткова содержали в себе конспект «Лекций по эстетике» Гегеля). — Я из них целиком брал места и вставлял в свою статью. О лирической поэзии почти все его слово в слово. Вышло что-то неуклюжее и пестрое. Впрочем, — что же! Если я не дам теорию поэзии, то убью старые, убью наповал наши ретику, пиитики и эстетики, — а это разве шутка? И потому охотно отдаю на поругание честное имя свое...» Скорее всего, неудача постигла Белинского не из-за причин, изложенных в письме Боткину, а потому, что в своей литературной деятельности он стремился к выработке идеологии, а не норм словесности. Что же касается критики учебников по теории словесности, то тут Белинский активно берется за дело.



В 1842 году он пишет большую рецензию в № 9 (т. XXIV) «Отечественных записок» на учебник П. Георгиевского «Руководство к изучению русской словесности», а в № 11 (т. XXV) «Отечественных записок» того же года на «Общую реторику» Н. Кошанского. Обе рецензии написаны в резком, издевательском тоне. Белинский разбирает, в основном, общие положения учебников и критикует в целом-то устаревшие способы построения фраз и терминологию.

Следующие две статьи, посвященные учебникам по теории словесности, Белинский пишет в 1845 году. Первая — это рецензия на шестое издание «Частной реторики» Н. Кошанского и на второе издание «Умозрительных и опытных оснований словесности» А. Глаголева («Отечественные записки», т. XIII, № 11). Назвав реторику Кошанского «курьезом», Белинский в основном разбирает учебник Глаголева. Тут он окончательно отказывает теории словесности в научности. «Что за наука словесность? Ее выдумали педанты, школяры, которые стихотворство смешивают с поэзией, а красноречие считают искусством, в смысле художества, творчества, и ораторов, следовательно, почитают артистами, художниками, творцами. Г-н Глаголев под словесностью, как наукою, разумеет грамматику, реторику и пиитику: так думали люди только во времена варварской схоластики, рабску подражая во всем древним, которых они не понимали. Но подобные предрассудки не стоят опровержения, и потому лучше представим читателям самые курьезные диковинки из книжицы г. Глаголева». Вместо опровержения, Белинский дает пример красноречия из книги Глаголева, выдержанный в манере «высокого стиля», что, конечно, являлось анахронизмом для литературной речи 1845 года. Затем Белинский очень потешается над высказыванием Глаголева о том, что «в наших деловых бумагах кроется все древнее красноречие со всеми его видами: судебным, совещательным», что «по части ученой достойны уважения труды: Тредьяковского, Ломоносова, Соколова, Борна, Рижского, Никольского, Талызина, Левицкого, Кошанского, Остолопова, Могилевского, Балага, Плаксина». «Всем сестрам по серьгам!» — говорит Белинский. — В самом деле, из всех наших схоластов, учивших в школе писать так, как никто не пишет на свете, самые замечательные, бесспорно, суть гг. Тредьяковский, Рижский, Толмачев, Кошанский, Плаксин и — Глаголев...».

В заключении Белинский пишет: «Но забудем слог и вкус схоластического «словесника» и заметим только, что его книга является теперь в том самом виде, в каком вышла в начале 30-х годов, когда забытые теперь «Повести Белкина» (Пушкина) были свежеею новостью, когда Гоголь издал только еще свои «Вечера на хуторе близ Диканьки», а повести Марлинского считались гениальными произведениями. Неужели же с тех пор ничего не изменилось в литературных понятиях и взглядах? И что такое история какой бы то ни было литературы, прерывающаяся с лишком за десять лет до минуты, в которую она выходит из типографии? Не следовало ли бы г. Глаголеву поправить и пополнить свою книгу, выдавая ее в другой раз в свет, через десять с лишком лет после ее первого издания? Хотя для схоластов нет прогресса, и время ничто не изменяет в их фразах, которые они, зазубрив раз в школе, твердят всю жизнь свою...».

В комментариях Издательства Академии наук СССР (т. IX) по этому поводу говорится следующее: «Книга А. Г. Глаголева, действительно, вышла в 1845 году только с переменной заглавного листа. Это была спекулятивная проделка, в которой автор книги был не повинен, так

как в это время его уже не было в живых — он умер в 1844 году. Белинский этого не знал».

Завершает цикл статей об учебниках по теории словесности рецензия Белинского на девятое издание «Общей риторики» Н. Кошанского («Отечественные записки» 1845, т. XXXVIII, № 1). В ней автор, без излишнего полемического жара критикует основные положения риторик и дает наиболее полное представление о своих взглядах на вопросы обучения красноречию и словесности. В начале статьи Белинский указывает на устарелость риторик и, следовательно, невозможность практического применения почерпнутых из них знаний. Из чего выводит, что «риторика — вздорная наука и вредное знание». (с. 505, ИАН, т. XI). Затем критик дает необычный генезис риторик и поэт: «Иной эстетик — критик судит лучше художника о произведении самого этого художника, но сам не в состоянии ничего сказать. В сфере искусства ученый знает, художник умеет».

Не все, к сожалению, понимают это и теперь; еще меньше все понимали это прежде. Вот откуда явилась **риторика**, как наука красноречия, наука, которая брала на выучку кого угодно сделать великим оратором; вот откуда явилась **поэтика**, как наука делать поэтами даже людей, которые не способны даже мостить мостовую». (с. 506).

Следующим этапом критики является попытка доказать ненужность риторического искусства для красноречия. «Красноречие есть искусство, — не целое и полное, как поэзия; в красноречии есть цель, всегда практическая, всегда определяемая временем и обстоятельствами. Поэзия входит в красноречие как элемент, является в нем не целью, а средством. Часто самые увлекательные, самые патетические места ораторской речи вдруг сменяются статистическими цифрами, сухими рассуждениями, потому что толпа убеждается не одною красотой живой изустной речи, но вместе с тем и делом, и фактами. Один оратор могущественно властвует над толпой силою своего бурного вдохновения; другой — вкрадчиво грациозно изложение; третий — преимущественно ирониею, насмешкой, остроумием; четвертый — последовательностью и ясностью изложения и т. д. Каждый из них говорит, соображаясь с предметом своей речи, с характером слушающей его толпы, с обстоятельствами настоящей минуты. Если б Демосфен вдруг воскрес теперь и заговорил в английской нижней палате самым чистым английским языком, — английские джентельмены и Джон Буль ошарашали бы его; а наши современные ораторы плохо были бы приняты в древней Греции и Риме. Мало того: французский оратор в Англии, а английский во Франции не имели бы успеха, хотя бы они, как и в своем отечестве, привыкли владычествовать над толпой силою своего слова. И потому, если вы хотите людям, которые готовятся быть ораторами, дать понятие о том, что такое красноречие, а людям, которые хотят быть ораторами, дать средства к изучению красноречия, — то не пишите риторики, а переберите речи известных ораторов всех народов и всех веков, снабдите их подробною биографиею ораторов, необходимыми историческими примечаниями, — и вы окажите этую великую услугу и ораторам и не ораторам». (с. 508—509). Таким образом, если на публику может воздействовать лишь современный и национальный оратор, то тем более необходима теория ораторского искусства, современная и национальная, обобщающая практический опыт ораторов всех времен и народов, чем и являлась риторика, а не хрестоматия с речами разных ораторов, какую предлагал Белинский и которая могла быть лишь подспорьем в работе оратора.

Далее Белинский переходит к вопросу об умении писать. Он считает, что писать «правильно» обучает грамматика, а «писать хорошо» — стилистика, а не риторика. Стилистика — это «окончательная часть грамматики, высший синтаксис». (с. 510). «Этот высший синтаксис должен заключать в себе главы: 1) о предложениях и периодах, 2) о тропах и 3) об общих качествах слога — чистоте, ясности, определенности, простоте и проч. в отношении к выражению. В главе о предложениях и периодах должны быть объяснены общие, на логическом строении мысли основанные формы речи; в периоде должно показать силлогизм; надобно обратить особенное внимание на то, чтоб отделить внешнюю форму от внутренней и научить по возможности избегать школьной формы выражения». (с. 510). «...В главе о тропах не должно гоняться за пошлыми примерами или искать их непременно в сочинениях известных писателей, но брать их преимущественно в обыкновенном разговорном языке, в пословицах и поговорках. Надо показать ученику, что тропы породили необходимость образного выражения и что тропы лучше всего объясняют и оправдывают философское положение: «Ничего не может быть в уме, чего не было в чувстве». (с. 510). Тем самым Белинский вводит в школьное образование бытовую речь. Тропы же он понимает, как способность образного выражения, свойственную словам изначально, и таким способом происходит изображение чувств. Чувства, в свою очередь, являются основой мыслительного процесса у человека.

Критик также противопоставляет теории трех стилей «выражение Буффона: в слоге весь человек», т. е. сколько людей — столько видов слога.

Последний довод против риторики — это то, что Белинский отказывает ей в научности. «Всякая наука должна иметь определенное, только ей одной принадлежащее содержание; она не должна соединять в себе нескольких наук вдруг. Так как наука есть органическое построение идеальной сущности предмета, составляющего ее содержание, — то в ней все должно выходить и развиваться из одной мысли, а эта мысль должна быть вполне схвачена ее определением. Г-н Кошанский даже не позаботился определить, что такое риторика и какое ее содержание. Он начинает с того, что ничто столько не отличает человека от прочих животных, как **сила ума и дар слова**. До сих пор мы думали, что человека отличает от животных **разум**, а не **сила ума**. По определению г. Кошанского, выходит, что у животных есть ум, только не столь сильный, как у человека. Сила ума, по мнению г. Кошанского, открывается в **понятиях, суждениях, умозаключениях**, составляющих предмет логики. Дар слова заключается в прекраснейшей способности выражать **чувствования и мысли**, что составляет предмет **словесности**; а словесность заключает в себе грамматику, ретиорику и поэзию (поэзия — наука!) и граничит с эстетикой. Потом грамматика занимается у г. Кошанского словами; риторика — преимущественно **мыслями** (которыми недавно занималась у него логика); поэзия — **чувствованиями** (стало быть, в поэзии нет мыслей!..); в эстетике хранятся (словно в архиве!) **мечтательные начала** не только словесных наук (грамматики, ретиорики и поэзии...), но и всех искусств изящных...» (с. 513).

Заканчивается статья следующим высказыванием: «Всякая риторика есть наука вздорная, пустая, вредная, педантская, остаток варварских схоластических времен; все ретиорики, сколько мы ни знаем их на русском языке, нелепы и пошлы; но риторика г. Кошанского пере-

щеголяла их всех. И эта книга выходит уже **девятым** изданием! Сколько же невинного народа убила она собою!» (с. 514).

Высказывания В. Г. Белинского по поводу риторики Н. Кошанского и других сочинений того же плана говорят о следующем:

1. Белинский критикует не только литературно-художественные тексты, но и нормы главных теорий, ставивших себе целью изучить речь и научить читать и писать. Таким образом, критика Белинского распространялась не только на художественные произведения как факты художественной словесности, но предполагала добиться изменения языкового обучения населения, изменить языковое сознание читателя в целом. Хотя главным объектом критики Белинского была, разумеется, художественная литература, Белинский оказал сильное влияние на школу. Как показывает последующее развитие теории словесности, Белинский изменил состав литературного образования в России. А. А. Потебня в своих лекциях по теории словесности (из «Записок по теории словесности» и «Лекций по теории словесности»), считает Белинского величайшим критиком, воплостителем идеи народного духа и следует Белинскому во всех основных положениях, высказанных последним. Указание на это находим у Г. Н. Джигладзе в монографии «Виссарион Белинский» («Критические этюды», кн. II, Госиздат Гр. ССР, Тбилиси, 1955, с. 84, на грузинском языке).

2. Литературная критика Белинского была направлена на то, чтобы сделать художественную литературу главным, наиболее важным видом словесности. Русское общество до 40-х годов XIX века считало художественную литературу развлекательным, а не серьезным видом словесности. Отстаивая права и предоставляя привилегии художественной литературе перед другими видами словесности, Белинский не только внушал художественному слову необходимость быть серьезным, но и перестраивал сознание массового читателя, поэтому было необходимо опровергнуть нормативный учебник, в котором ведущая роль отводилась серьезным видам речи: деловому, научному, документальному, церковным видам речи, а художественная литература толковалась как второстепенная, обращенная лишь к чувствам, но не мыслям читателя. Поскольку прозаическая литература и деловая управлялись риторикой, а точнее, частной риторикой, Белинский старался подвергнуть критике сам предмет риторики в его исходной форме — красноречии. Белинский, как видим, полагает, что красноречие — это дело одаренных и нет нужды специально изучать его, так как можно самому усовершенствовать свою речь. Вместе с тем, речевая одаренность понимается Белинским как одаренность художественная, эстетическая. Такие категории, как изобретательность, способность к логическому аргументированию, внесение не эстетической эмоции, такой как страх, Белинский не рассматривает. Это объясняется тем, что Белинский расширяет область художественного слова, отводя ему роль не только учительную, но и организующую. Это значит, что по мысли Белинского художественному слову должны принадлежать часть функций, а может быть, и все функции риторических жанров.

Можно думать, что революционная направленность идей Белинского выражалась в желании приостановить действительность основных прозаических жанров, таких как документ, поскольку документ является прямым средством регламентирования действий людей, что в условиях времени Белинского означало подчинение николаевской администрации. Художественное слово было единственным, за исключением фольклора, в котором наименьшим образом чувствовалась направляющая рука режима, в то время, как остальные виды слова, находясь

под непосредственным контролем церкви и правительства, были обречены на сервильные функции по отношению к правительственному аппарату России. Перенос внимания на художественное слово, желание придать ему по крайней мере часть функций прозаических жанров означало создать конкуренцию основной официально-деловой и проповеднической речи и, тем самым, нарушить их функцию.

3. Возможность выдвинуть художественную речь на место основного вида речи складывалась потому, что художественная речь к середине XIX века занимала место самого распространенного вида речи. При этом тиражи изданий в России, общий объем художественной речи постоянно возрастали. Вставала проблема становления русской классики, то есть отбора хрестоматийных текстов. Художественная речь была самым прогрессивным видом речи, обладавшим самым массовым читателем и продолжавшим завоевывать новые пласты читателей. Поэтому борьба Белинского за весомость художественного слова, за идейное и художественное его совершенство не была беспочвенной. Она основывалась на реальностях издательских возможностей и движении литературного процесса. Как видим, Белинскому многое удалось сделать в признании за художественной литературой ведущего вида слова, в утверждении этой идеи в системе образования. Современная структура филологического образования ставит художественную словесность в положение основного и почти единственного вида литературного авторства. Мы как бы продолжаем дальше бороться с документным оборотом словесности, научными публикациями, средствами массовой информации и информатики, которые представлены прозаическими нехудожественными текстами. Ставя в нашем образовании художественное слово на первое место, как вслед за Белинским предлагали сделать Потебня, Овсянко-Куликовский и другие, мы делаем школу начальной основой предпочтения художественному слову других видов словесности, в том числе деловой прозы. Однако надо помнить, что наша проза и средства информации воплощают социалистическую государственную идеологию. В этой связи литературно-художественное творчество, как показывает опыт многих советских литераторов, идет на сближение с деловой прозаической речью. Это проявляется не только в индивидуально-художественных стилях, но и в развитии жанров и жанровых разновидностях. Из области жанровых разновидностей можно отметить появление в XX веке романа-репортажа (К. Паустовский, «Кара-Богаз» и др.), линии очеркового стиля рассказов (например, у И. Бабеля), документальные повести (В. О. Богомолов, «В августе сорок четвертого»), репортажной публикации дневников и другого подобного. Эти сдвиги неоднократно отмечались советской критикой и историками советской литературы.

Вместе с тем, замечено оживление переходных прозаико-поэтических жанров, таких как нерифмованный стих, осложненная ритмика стиха, сближающая традиционные ритмы стиха с логоэдами, появление стихотворений в прозе и, наконец, появление верлибра, который характерен как для творчества ряда русских литераторов, так и для творчества литераторов, пишущих на грузинском и других национальных языках. Эти жанровые сдвиги показывают появление некоторых новых соотношений поэзии и прозы в художественной речи. Изучение этих сдвигов представляет собой одну из актуальных задач литературоведения в области теории жанров.

Кафедра русского и грузинского языков Тбилисского государственного медицинского института

Представил академик Академии наук Грузинской ССР Г. Н. Джибладзе

კახა ჯამბურია

„კალმასობის“ ჟანრული თავისებურებანი

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ტექსტზე მუშაობის დროს წამოიჭრება საკითხები, რომელთა გარკვევასაც პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ერთ-ერთი მათგანი არის ნაწარმოების ჟანრობრივი სპეციფიკის გარკვევის აუცილებლობა. როგორც ცნობილია, „კალმასობა“ ტრადიციულად ენციკლოპედიურ ნაშრომად ითვლება და ის მხატვრული ფორმა, რომლითაც ოსტატურად არის გადმოცემული ენციკლოპედიური ცნობები, ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ „კალმასობამ“ მრავალრიცხოვან მკვლევართა ყურადღება მიიპყრო, ჯერჯერობით ნათლად არ გამოკვეთილა, თუ რა ფუნქცია აკისრია „კალმასობის“ მხატვრულ ქსოვილს (შ. ნუცუბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაფორმებას ძეგლისა“) ნაწარმოების მთლიან კონსტრუქციაში. უფრო ზუსტად: რა მიმართებაშია თხზულების მხატვრული „ჩარჩო“ იმ მეცნიერულ ინფორმაციებთან, რომლებიც ძეგლის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასურველია გაირკვეს, ავტორმა მხოლოდ მეცნიერული ცნობების გადმოსაცემად მიმართა გამოსახვის თავისებურ საშუალებებს (ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს) და ეს მხოლოდ ენციკლოპედიური ნაშრომის გაფორმების ორიგინალური ხერხია, თუ ამ თხზულების მხატვრული ქარგა თავისთავად დამოუკიდებელ ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს.

ერთი შეხედვით, საკითხის ამგვარად დასმა თითქოს საფუძველშივე პრინციპულად მცდარია, რადგან ჩვენ კარგად ვიცნობთ იოანე ბატონიშვილის შეხედულებას, რომ პატარა ერების ხსნა ფართო განათლების, მრავალმხრივი ცოდნის დაუფლებაში მდგომარეობს: „... მიზეზი ერთა ბედნიერებისა არს მარადის განათლება გონებისა მათისა, და რომელ გავითარება გონებისა შეიყუანებს მათ კეთილდღეობასა შინა და აღიყუანებსცა ერთბაშად თხემსა ზედა კეთილსუფობისასა. ამისთვის სიყვარულისა და ერთგულების გამო მამულისა ჩუქნისა ვიძიებულე ველზეად წიგნისა ამის სულთა განმანათლებლისა, ვინაჲდგან მცირედ არიან ესე გუარანი უკუშ წერილნი ქართულსა ენასა ზედა“, — წერს იოანე ბატონიშვილი თავისი „სწავლანის“ წინასიტყვაობაში (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდი, № 2198, გვ. 1—2). სრულიად გასაგებია, რომ სამშობლოს სამუდამოდ მოწყვეტილი, ქვეშაირი პატრიოტი და უაღრესად ნიჭიერი პიროვნება — იოანე ბატონიშვილი, რომლისთვისაც ცხოვრების აზრს საქართველოსა და ქართველ ხალხზე ზრუნვა წარმოადგენდა, სწორედ ამ მიზნით ქმნიდა თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებს, რომ ქართველი ხალხისთვის მეცნიერების ზოგიერთი დარგის საფუძვლები გაეცნო, ცხოვრებისეულ მოვლენებზე ელემენტარული მეცნიერული ცოდნა მიეცა. „კალმასობისთვის“ თვალის ერთი გადავლენაც კი საკმარისი ჩანს, რომ ეს კეთილშობილური მიზანი ამოვიცნოთ. მაშინ, რა თქმა უნდა, ეჭვის ქვეშ დგება — საერთოდ გამართლებულია თუ არა მეცნიერული ცოდნის გადმოცემის თავი-
 5. მ ა ც ე ნ ი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 3

სებურ ხერხებში — გამომსახველობით საშუალებებად მხატვრული სახეების გამოყენებაში — დამოუკიდებელი მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენა ვეძიოთ.

მაგრამ საკითხის ამგვარად დასმა რომ აუცილებელი და გარდაუვალიც კია, ამას გვაფიქრებინებს თვით უშუალოდ ტექსტზე დაკვირვება. საქმე ის არის, რომ მეცნიერული ნაშრომის მხატვრული ხერხებით გაფორმება, ენციკლოპედიური ცნობების გადმოცემა რომანის ქანრისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებით (არსებობა ერთი საერთო სიუჟეტისა, რომლისაც ექვემდებარება თხზულებაში გადმოცემული ყოველი ეპიზოდი, ჩამოყალიბებული ლიტერატურული ხასიათები და მათი განვითარება. ცალკეული ეპიზოდების დიდი ექსპრესიული ძალა) თავისთავად უპრეცედენტო ფაქტია ქართულ მწერლობაში. თვით ის მოვლენაც, რომ იოანე ბაგრატიონი დრამატურგიული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი დიალოგური ფორმით აგებს ენციკლოპედიურ ნაშრომს და მას მხატვრული ნაწარმოების ფორმას აძლევს, დიდ ინტერესს წარმოშობს „კალმასობის“ სტილური თავისებურებების შესასწავლად. როგორც მართებულად შენიშნავს ცნობილი რუსი ლიტერატორი გ. პოსპელოვი, „по отношению к стилю произведения все стороны и свойства его содержания являются стилеобразующими факторами“¹.

საფიქრებელია, რომ „კალმასობის“ მხატვრული ფორმაც მასი მრავალმხრივი შინაარსიდან „გამომდინარეობს“. ე. ი. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ძირითად სიუჟეტურ რეალს — ხელაშვილისა და ლამბარაშვილის საკალმასოდ „რონისს“ — ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ვიდრე „მთავარი“ სათქმელის გადმოცემაში.

ამ მოსაზრებამ განაპირობა ინტერესი იოანე ბაგრატიონის მხატვრული სტილის შესწავლისადმი. „კალმასობის“ მხატვრული სტრუქტურის ანალიზის დროს წამოიჭრება ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ტიპოლოგიურ შესწავლას მოითხოვს. ტიპოლოგიური შესწავლის ცდისათვის კი აუცილებელი პირობა სწორედ ზემოთ დასახელებული საკითხის გარკვევაა. ამდენად, საკითხის ამგვარად დასმა — „კალმასობის“ მხატვრული სტრუქტურა ენციკლოპედიური ცნობების გადმოცემის თავისებური ხერხია თუ თავისთავადი, დამოუკიდებელი ლიტერატურული მოვლენა — მართებული ჩანს.

ამ საკითხის გადასაკრელად, ალბათ უმჯობესი იქნება პირველ რიგში გაირკვეს თუ რა ადგილი უჭირავს ამ მხატვრულ სტრუქტურას ძეგლის საერთო არქიტექტონიკაში.

ვფიქრობთ, ცოტას არ უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ ტრადიციამ ამ ნაწარმოებს სათაურად „კალმასობა“ დაუმკვიდრა, თუმც ავტორს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, ძეგლისთვის ეს სახელწოდება არ მიუცია. მართალია, ჩვენამდე თხზულების თავფურცელი არ მოღწეულა, მაგრამ მის ანდერძში გარკვევით წერია: „დასრულდა წიგნი ესე ხუშარქსწავლა“. სრულიად ნათელია, რომ მართებული იქნებოდა ძეგლისთვის „ხუმარსწავლა“ გვეწოდებინა, რაკი თვით ავტორი ამგვარი სახელწოდებით იხსენიებს მას. კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე ამ ფაქტზე მსჯელობის დროს მეტად დამაჯერებელ არგუმენტაციას იძლევიან: „ასეთი სახელი უფრო შეეფერება თხზულებას, ვინაიდან ის წარმოადგენს ხუმრობის და გართობის კი-

¹ Поспелов Г. Н., Теория литературы, М., 1978, გვ. 306.

ლოთი დაწერილ შრომას: იონა ხელაშვილი ხუმრობის კილოთი გადასცემს სხვადასხვა პირთ, რომელნიც მას ხედებიან მოგზაურობისას, მათთვის საინტერესო სწავლასა და ცოდნას. თხზულებაში შიგადაშიგ ხუმრობის ჩართვით თვით ავტორი მკითხველს ინტერესს უცხოველებს. რთული მსჯელობით დაღლილ მკითხველს სახუმარო ამბებით, თუ შენიშვნებით ავტორი კვლავ იბყრობს. იზიდავს და ახალი „სწავლისთვის“ ამზადებს. ერთი სიტყვით, ხუმრობის საშუალებით „კალმასობის“ ავტორი ცდილობს მკითხველს გაუადვილოს მეცნიერული სწავლის ათვისება. „ხუმარსწავლა“ თავისებური ლიტერატურული ენარია, რომელიც XVII—XVIII სს. უნდა გაჩენილიყო ჩვენს მწერლობაში, ყოველ შემთხვევაში, ტერმინი „ხუმარსწავლობა“ აღნიშნული საუკუნეებიდან გვხვდება. მკვეთრი გამოხატულება ასეთ ენარს სწორედ ამ ნაშრომში მიუღია“².

შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ აქ ნათლად არის დასაბუთებული, რომ ამ თხზულების სათაური, რომელიც მას ტრადიციამ დაუმკვიდრა, არ არის ზუსტი და, ამდენად, მიუღებელია. მაგრამ სწორედ კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე იცავენ ტრადიციულ სახელწოდებას (მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე დაასაბუთეს მისი მცდარობა). საყურადღებო ჩანს იმის გარკვევა, თუ რატომ დაუმკვიდრდა ამ თხზულებას სათაურად ამგვარი სახელწოდება.

როგორც ვიცით, სათაურში მუდამ ნაწარმოების მთავარი აზრი, მთავარი იდეა არის გატანილი. სათაური თითქოს ერთგვარი „გასაღებია“ ნაწარმოების ქვეშარიტი აზრის გასახსნელად. არა ერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, თუ როგორ შეიცვლება ნაწარმოების აზრი მისი სათაურის შეცვლით. დიდი მოცულობის, მრავალპლანიანი ნაწარმოების სათაური სწორედ მთავარი სათქმელისკენ მიმართავს მკითხველის ყურადღებას, მიუთითებს, თუ რა არის ძირითადი და მეორეხარისხოვანი ტექსტში.

იოანე ბაგრატიონის ენციკლოპედიურ ნაშრომს ტრადიციამ სათაურად რომ „კალმასობა“ დაუმკვიდრა, ეს უკვე თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. გამოდის, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ამ თხზულებაში ძირითადი აზრი, ნაწარმოების მიზანი სწორედ მხატვრულ ქსოვილში დაინახა და არა ბეგლის მეცნიერულ ნაწილში. მკითხველთა ყურადღების ცენტრში მოექცა „საკალმასოდ რონინი“ და მეკალმასეთა ფათერაკიანი თავგადასავლები. ამას ხელს უწყობს არა მარტო სათაური, არამედ ნაწარმოების პირველი სცენაც — ბერისა და ღამბარაშვილის შეხვედრა. ტექსტი ამგვარად იწყება: „ოდეს გამგზავრა ბერი იოანე, იხილა მდოესსა და ხიდისთავის საშუალ გზასა ზედან მომავალი ცხენით ვინმე და ჰსთქვა ესე მტერ ჩვენდა, ანუ ჩვენ კერძო, და დაუწყო გულს მოდგინედ ყურება; ოდეს მოაზლოვდა იგი, მყისვე იცნო იოანემან და ჰრქვა, მშვიდობა შენდა ღამბარა-შვილო!“³. ამას მოსდევს მათი გასაუბრება, ზურაბას ოხუნჯობა და გადაწყვეტილება ერთად იმოგზაურონ „პურის მოსაშროებლად“. მთელი ამ სცენის სისადავე და ბუნებრიობა საოცარი ცნობისწაღილით განაწყობს მკითხველს ამ გმირების მომავალი თავგადასავლებისადმი. იბადება ისეთივე რლიერი ინტერესი, როგორც რომანების კითხვის დროს უჩნდება ხოლმე მკითხველს: „რა მოხდება შემდეგ?“ და „რით (ან როგორ) დამთავრდება ამბავი?“ როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა, რომ საზოგადოებამ „კალმასობა“ ისე აღიქვა, როგორც მხატვრული ნაწარმოები, როგორც რომანი.

² „კალმასობა“, ტ. I, თბ., 1936, გვ. 111.

³ „კალმასობა“, ტ. I, თბ., 1936, გვ. 3.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ „კალმასობის“ დღემდე არსებული ყველა გამოცემა ამ ტრადიციას ეყრდნობა არა მარტო სათაურის შერჩევისას, არამედ ტექსტის ადაპტირების დროსაც. როგორც ვიცი, „კალმასობა“ დღემდე არ არის სრულად გამოცემული და დღემდე არსებული ყველა გამოცემა შემოკლებულია. მაგრამ, როგორც წესი, ყველა გამოცემაში ვრცელი მეცნიერული ცნობებია შემოკლებული, ხოლო თვით „საკალმასოდ რონინი“ — ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა — არასდროს არ ზარალდება. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მიუთითებს ძეგლის მხატვრულ ღირებულებაზე და უფლებას გვაძლევს ვიკვლიოთ „კალმასობა“ როგორც მხატვრული ნაწარმოები.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კიდევ ერთი გარემოება: მხატვრულ სტრუქტურაში ჩართულია ერთი ძალზე ძლიერი მხატვრული პასაჟი — ეს არის ზურაბა ღამბარაშვილის თვითმკვლელობის სცენა. ამ ეპიზოდის დიდი ექსპრესიული ძალა ძალაუნებურად წარმოშობს კითხვებს: რატომ ჩაურთო ეს ეპიზოდი ავტორმა ამ ძეგლში, თუ ეს ძეგლი თავისი არსით მეცნიერული თხზულებაა და არა მხატვრული? რა ფუნქცია აკისრია მას — მკითხველის დაინტერესების ხერხია, ან მეცნიერული განსჯით ვადაღლილი გონების განტვირთვის საშუალება, თუ ლიტერატურული ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი და სიუჟეტის კანონზომიერი განვითარება? და საერთოდ რა მნიშვნელობა (როგორი მხატვრული დატვირთვა) აქვს ზურაბას სიკვდილს — მხოლოდ ყოფითი ამბავია, თუ რაღაცის მიმანიშნებელი სიმბოლური ეპიზოდი, რომელიც გარკვეულ განზოგადებას მოითხოვს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელს გახდის დაკვირვებას იოანე ბატონიშვილის მხატვრულ ოსტატობაზე და თან დაგვეხმარება თხზულების ეპრობრები თავისებურებების გარკვევაშიც.

საქმე იმაშია, რომ ზურაბა ღამბარაშვილის მიმართ ავტორი თავიდანვე სიმპათიურად განაწყობს მკითხველს. მისი ოხუნჯობებით, მხიარული ხასიათით, გარე სინამდვილის მიმართ რამდენადმე ირონიული დამოკიდებულებით ეს პერსონაჟი თავს აყვარებს მკითხველს. ზურაბა კეთილი, უბრალო, ღარიბი გლეხია, რომელიც იოანე ხელაშვილს დიდად ჩამორჩება ინტელექტით, მაგრამ პიროვნულად ისიც სპეტაკი და ღირსეული ადამიანია. მისი ყოველი ხუმრობა, რომელიც იოანე ბერის პრინციპულობის წინააღმდეგაა მიმართული, ბერის დაცინვა კი არაა, არამედ ირონია იმ რეალობის მიმართ, რომელიც სიკეთისა და სიმართლისმოყვარე ადამიანებს თრგუნავს.

ასეთი მხიარული და ოპტიმისტური პერსონაჟის თვითმკვლელობა ამ ეპიზოდს დიდ ექსპრესიულობას ანიჭებს და ხსნის თვით ამ გმირის, ერთი შეხედვით, ცალმხრივ ხასიათს მთელი თავისი სიღრმითა და ტრაგიკული ბედით.

ეს სცენა „კალმასობის“ ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდია. დიდი ხნის ფათერაკებიანი მოგზაურობის შემდეგ დაღლილი და მოტეხილი გმირები მკითხველის წინაშე სრულიად ახალი ასპექტით წარმოდგებიან. მრავალგზის დაჩაგრული და დამცირებული სიმართლისმოყვარე ბერი ფარსადან ციციშვილთან უსიამოვნების შემდეგ კიდევ ერთხელ შეურაცხყოფილი, გატეხილი და ხელჩაქნეული ბრუნდება სახლში. და „რა ბერი მოვიდა შინა, შეეცყო დამბარაშვილს და მოვიდა ბერთან...“ „კალმასობის“ ეპიზოდების საერთო სქემას მიჩვეული მკითხველი ძალაუნებურად ელოდება, რომ მხიარული ზურაბას ოხუნჯობით განიტვირთება დაძაბული სიტუაცია (როგორც ეს არა ერთხელ

ხდება სხვა ეპიზოდებში). მაგრამ სრულიად მოულოდნელად გამოუსწორებელი ქილიკა გლეხი სრული სერიოზულობით მიმართავს ბერს: „მიხარის, რომ მშვიდობით მოხველ და გნახე, ჩემი სული შენ გელოდაო“. ეს იმდენად მოულოდნელია მარად მხიარული ზურაბასაგან, რომ მკითხველის ყურადღება ერთბაშად იძაბება. მეგობრის სევდიანი კილო აკრთობს იოანესაც: „შენ კარგად მთლათა ხარ და რას ამბობ?“ ეს არის ერთადერთი მომენტი ამ უზარმაზარი მოცულობის წიგნში, როდესაც თხზულების მთავარი გმირები დამსწრეების გარეშე, ყოველდღიური ყოფითობისაგან მოწყვეტით, სრულიად სერიოზულად საუბრობენ ერთმანეთთან, რაც ამ ეპიზოდს კიდევ უფრო მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს. თავისი მოულოდნელობის გამო განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს მკითხველზე ზურაბას სიტყვები: „რად მინდა თავი ცოცხალი, მამული მიმიღო სულხან მდივანმან უსამართლოდ, და ვერსად ვიშოვე სამართალი და ახლა საიქიოს მინდა წავიდე, და ღმერთმან უყოს მაგვიერი“. ამგვარი ლაკონური და უაღრესად კომპაქტური ფრაზებით დიდი ემოციების გადმოცემა საერთოდ ახასიათებს იოანე ბატონიშვილის მხატვრულ სტილს. ზურაბას ამ ერთ ფრაზაში მთელი ის ტრაგედიაა ჩატეული, რომელიც უზადლო იუმორით დაკვილოებულ გლეხს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს და ამ ლიტერატურულ ხასიათს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალით ავსებს. ასევე ემოციურად დატვირთულია ბერის მოკლე წამოძახილი: „რას ანობ, თავი არ მოიკლა!“ და სწორედ ამ დროს კიდევ ერთ უაღრესად კომპაქტურ ფრაზაში (რომელსაც ზურაბა წარმოთქვამს) უაღრესად დიდი ოსტატობით არის ჩატეული ის ფაქიზი ადამიანური ურთიერთობა, რაც განუყრელ თანამგზავრებს შორის არსებობს: „შენც მშორდები, რუსეთს მიხვალ, და ყოვლითურთ უნუგემო შევიქენ, მშვიდობით, მამაო!“ ამ ერთი ნიუანსით მეგობრების უაღრესად ფაქიზი ურთიერთობის გახსნის შემდეგ კიდევ უფრო ტრაგიკულად ქლერს ზურაბას თვითმკვლელობის ამსახველი ფრაზა: „და გამოვიდა გარე, და საარკმლით გარდავიგდო თავი მტკვარსა შინა და მოიშოთო!“⁴.

თუ ჩვენ იმ დებულებიდან ამოვიდოდათ, რომ „კალმასობა“ ენციკლოპედიური ნაშრომია და მას მხატვრულ ნაწარმოებთან არაფერი აქვს საერთო, მაშინ, ცოტა არ იყოს, ძნელი ასახსნელი იქნებოდა ზემოთ განხილული (და მისი მსგავსი), მხატვრულად დახვეწილი ეპიზოდების არსებობა ნაწარმოებში. თუ ამოსავალ დებულებად მივიჩნევთ იმას, რომ ეს ეპიზოდები წარმოადგენენ მეცნიერული თხზულების გაფორმების საშუალებას, მაშინ ეს დებულება და ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება უფლებას მოგვცემს „კალმასობის“ მხატვრული ქსოვილის სტილური თავისებურებები ვიკვლიოთ. ასეთი კვლევა კი შებრუნებული გზით მიგვიყვანს იმავე დასკვნამდე, რომ საქმე მხატვრულ ნაწარმოებთან გვაქვს, რადგან გვერდს ვერ ავუვლით ფორმისა და შინაარსის განუყოფლობის და, რაც მთავარია, მათი ურთიერთშესაბამისობის საკითხს.

დ. ლიხაჩოვი ნაშრომში „Принцип историзма в изучении единства содержания и формы литературного произведения“ აღნიშნავს, რომ ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობაზე საუბრასას, უნდა განიჩინოს მათი კონკრეტული განუყოფლობა და მათი მხატვრული ერთიანობა, ურთიერთშესაბამისობა⁵. პირველ შემთხვევაში შინაარსისა და ფორმის ერთი-

⁴ „კალმასობა“, ტ. II, თბ., 1949, გვ. 153.

⁵ Вопросы методологии литературоведения, М.-Л., 1969, გვ. 143.

ნობა უნივერსალური კანონია ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების არსებობისათვის — ნებისმიერი ნაწარმოების შინაარსი ვერ იარსებებს, თუ იგი არ იქნება გაფორმებული. როდესაც საუბარია იმის შესახებ, რომ სტილი არის ნაწარმოების იდეების და თემების ერთიანობა სიუჟეტთან, კომპოზიციასთან და მხატვრულ ენასთან, მხედველობაში აქვთ არა ზოგადი კანონი შინაარსისა და ფორმის ერთიანობის შესახებ ხელოვნებაში, არამედ რალაც სხვა: სტილის ტყვეობას, ურთიერთშესაბამისობას. და თუ ეს ასეა, მაშინ თვით ეს განსაზღვრებაც კი უნდა ასახავდეს ფორმის მეორად როლს შინაარსთან შედარებით, მის დამოკიდებულებას შინაარსზე.

გ. პოსპელოვის დებულებაზე დაყრდნობით, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „კალმასობის“ მხატვრული ფორმა ნაწარმოების ძირითადი სათქმელის, მთავარი აზრის გამოხატულებაა. ამასვე გვაფიქრებინებს აღწერილი „შებრუნებული გზა“. გამოდის, რომ გვაქვს გარკვეული საფუძველი დავუშვათ, რომ „კალმასობის“ ცალკეული ეპიზოდები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათის მეცნიერულ ინფორმაციებს შორის არის გაბნეული, ერთიანობაში შეიძლება აღვიქვათ. როგორც მხატვრული ნაწარმოები. ამგვარ დაშვებას მხარს უჭერს თუნდაც ის გარემოება, რომ ავტორმა ეს ნაწარმოები ფართო საზოგადოებისათვის დაწერა და მრავალი იუმორისტული და სათავგადასავლო ელემენტებით შეზავებული თხზულება სასიამოვნოდ და საინტერესოდ საკითხავი წიგნი გახადა. იგი ისევე უნდა წაეკითხა საზოგადოებას, როგორც მხატვრული ნაწარმოები, როგორც რომანი. ვფიქრობთ, რომ მართალია, დაგვიანებით, მაგრამ სწორედ ასე მიიღო იგი ქართველმა საზოგადოებამ. ნიკოლოზ ყიფიანი წერს მამას, დიმიტრი ყიფიანი: „კერესელიძეს ქუთაისიდან ვიზიტის წიგნი მოსვლია (ეს წიგნი „ციხისკარში“ დაბეჭდა იმანა, რომელიც დღეს გამოვიდა), ვითომც იქ წარმოუდგენიათ „გაყრა“ და კიდევ რალაც კომედია, „კალმასობა“ მეფე გიორგის შვილის იოანეს შეთხზული: ეს კომედია ღუბერნატორს გიორგი ერისთავს უპოვნია სადღაც იმერეთში და იმისთანა ეგზემპლარები, ამბობენ, არსად არ არისო...“⁶ ხოლო „კალმასობის“ პირველი მკვლევარი დ. ბაქრაძე ძეგლის ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „სხვათა საქართველოს ძველთა და ახალთა მწერლობათა შორის ისე განსხვავდება „კალმასობის“ ავტორი, როგორათაც განსხვავდება მზე პლანეტათა და ვარსკვლავთა შორის. იოანე არის ჩვენი ჰომერი, ჩვენი დანტე, ჩვენი შექსპირი...“⁷

გ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „კალმასობა“ განიხილავს № 2153 ხელნაწერში (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდი) დაცულ გეგმას „კალმასობის“ ერთი ნაწილისა და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ეს თხზულება მხატვრული ნაწარმოებია, ხოლო ენციკლოპედიური ცნობები მასში თითქოს მოგვიანებით არის ერთგვარად „ჩართული“⁸. მისი მოსაზრების მიღება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, მაგრამ აქ ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ მკვლევარი „კალმასობის“ მხატვრულ ფორმას თავისთავად, დამოუკიდებელი მნიშვნელობის ლიტერატურულ მოვლენად მიიჩნევს და მეცნიერულ ნაწილს მეორად ფუნქციას ანიჭებს. იგი წერს:

⁶ საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, № 14958—6.

⁷ კალმასობა, დიმ. ბაქრაძის წინასიტყვაობით, თბ., 1895, გვ. XVII.

⁸ გ. ჯავახიშვილი, კალმასობა, თბ., 1933, გვ. 29.

„კალმასობის“ მნიშვნელობა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების შესასწავლად დიდია. მაგრამ ამასთანავე იგი შედარებით კარგ მხატვრულ ნაწარმოებად გვეჩვენება, თუ ჩამოვაცილით იმ მრავალ ზედმეტ დანართს, რომლებიც აქა-იქ ჩამატებული აქვს მოთხრობილ ამბებს და დახასიათებებს, მეცნიერულ საუბართა სახით»⁹.

დ. ლაშქარაძე იოანე ბაგრატიონისა და განმანათლებელთა შორის გარკვეული თანხვედრის აღნიშვნის შემდეგ „კალმასობის“ ეპიკური თავისებურებებსაც ეხება და მეტად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „კალმასობა ეპიკური თავისებურებაა უპირატესად მიეკუთვნება იმავე განმანათლებლების მიერ მტიკიდან დამკვიდრებულ მხატვრულ პუბლიცისტურ პროზას, რომლის საუკეთესო ნიმუშები ფილოსოფიური რომანის სახით მოტყევიან („სპარსული წერილები“) და ეპიკური რუსთა („ემილი“, „ახალი ელიზა“) შექმნეს, ხოლო ფილოსოფიური მოთხრობის სახით ვოლტერისა („ზადიგი“, „კანდიდი“ და სხვა) და დენი დიდროს შემოქმედებაში გვხვდება»¹⁰.

აქ ჩვენთვის უპირველესად საინტერესოა არა ის, თუ რამდენად მართებულია „კალმასობის“ ფილოსოფიურ რომანად გამოცხადება, არამედ ის ფაქტი, რომ მკვლევარი „კალმასობას“ რომანის ეპიკური მხარეების მიაკუთვნებს. მაგრამ თვით ამ ეპიკურის სპეციფიკის გარკვევის დროს იმდენად განსხვავებული და ზნობრივ ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებები არის გამოთქმული მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ, სამწუხაროდ, რომანის ცნების უნივერსალურ განსაზღვრაზე უარის თქმა გვიწევს. ცნობილი რუსი მკვლევრის მ. ბახტინის სიტყვები რომ გავიმეოროთ, «...роман не имеет такого канона, как другие жанры: исторически действительны только отдельные образцы романа, но не жанровый канон, как таковой»¹¹. და, მართლაც, რომანი ხომ გარკვეული მომენტის (დროის ცალკეული პერიოდის) ერთგვარი აღქმა და შეფასებაა გამოსახვის სპეციფიკური — მხატვრული — საშუალებებით. რაკი რომანი არის მხატვრული სახეებით ეპიკურის გააზრება, ამიტომ ალბათ ყოველმა ეპიკურმა თავისებური, განსაკუთრებული ფორმის რომანი შექმნა. ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რომანის ეპიკურის სხვადასხვა სპეციფიკური თავისებურებები განსაზღვრავს. განსხვავებულია სათქმელი (მხატვრული სინამდვილე), მწერლის მიმართება გარე სამყაროსადმი (და თვით გარე სამყაროც) და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულია გამოსახვის საშუალებები — ყველა ეპიკურის რომანს თავისებური ფორმა გააჩნია. გარდა ამისა, სხვადასხვა ეპიკურში რომანს განსხვავებული ფუნქცია აქვს — საზოგადოების გაერთიანების, გმირული წარსულის აღდგენის, ფილოსოფიური აზროვნების, წამიერი შთაბეჭდილებების ასახვის, საზოგადოების გაფრთხილების და სხვა¹². ამიტომ, სხვადასხვა ეპიკურის რომანი ფაქტობრივად განსხვავებული მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენაა და განსხვავებული როლი ეკისრება ერის კულტუროლოგიური შემეცნების უწყვეტ პროცესში.

მოკლედ, ნებისმიერი ეპიკურის ნაწარმოების ეპიკური სპეციფიკის გარკვევის დროს სწორედ იმ ეპიკურის ლიტერატურული პროცესები უნდა გავითვალისწინოთ და არა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონე.

⁹ გ. ჯავახიშვილი, კალმასობა თბ., 1933, გვ. 1—2.

¹⁰ დ. ლაშქარაძე, ვეროპოლისის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977, გვ. 212.

¹¹ М. Бахтин, Вопросы литературы и эстетики, М., 1975, гв. 448.

¹² აქედან გამომდინარე, იქმნება ბულვარული, ფილოსოფიური, ესეისტური, ანტიუტოპიური, ანტიკონსერვატიული რომანები, რომანი-ეპოპეა, რომანი-გაფრთხილება, რომანი-პროზიკა და სხვა.

XVIII ს-ში ახალი ტიპის რომანის ჩამოყალიბების პროცესის განსაზღვრისას მ. ბახტინი ამგვარ ფორმულირებას იძლევა: „1. роман не должен быть „поэтичным“ в том смысле, в каком поэтическими являются остальные жанры художественной литературы; 2. герой романа не должен быть „героичным“ ни в эпическом, ни в трагическом смысле этого слова: он должен объединять в себе как положительные так и отрицательные черты, как низкие, так и высокие, как смешные, так и серьезные; 3. герой должен быть по казан не как готовый и неизменный, а как становящийся, изменяющийся, воспитуемый жизнью; 4. роман должен стать для современного мира тем чем эпопея являлась для древнего мира“¹³.

იოანე ბაგრატიონის ეპოქის რომანების მ. ბახტინისეული ფორმულირება „კალმასობას“ თითქმის მთლიანად უდგება. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ფორმულირების მეორე და მესამე პუნქტების თანხვედრა „კალმასობის“ მხატვრულ კონსტრუქციასთან. იოანე ხელაშვილის ლიტერატურული ხასიათი ერთ პიროვნებაში აერთიანებს დადებითსა და უარყოფითს, მდაბალსა და მაღალს, სასაცილოსა და სერიოზულს (როგორც ეს ბახტინმა მეორე პუნქტში აღნიშნა). ასევე ფორმულირების მესამე პუნქტს მიესადაგება იოანე ბერის ხასიათის შინაგანი კანონზომიერებანიც. იგი ერთგვარად „დაუსრულებელია“, ყოველ ეპიზოდში ახალ-ახალი პიროვნული თვისებებით მდიდრდება და შესაძლებელიც კია, რომ თვალი გვაადევნოთ მისი ხასიათის თანდათანობით განვითარებას.

მაგრამ აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს — ამ ეპოქის რომანებში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ხასიათის დინამიკა. მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში რომანის ისტორიის მიმოხილვის დროს ე. წ. „პლუტური რომანის“ შესახებ ნათქვამია: „... в плутовском романе не оформилась еще существенная черта жанра — динамика характера“¹⁴.

„პლუტური რომანი“ „კალმასობასთან“ დაკავშირებით უკვე ახსენა დ. ლაშქარაძემ: «კალმასობაში გამოყენებული საზოგადოების თითქმის ყველა ფენის მდგომარეობისა და შეხედულებების გადმოსაცემად მათთან უშუალო კონტაქტი ის ხერხია, რომლითაც სხვადასხვა დროს წარმატებით უსარგებლიათ ერაზმ როტერდამელს „სისულელის ქებაში“, გრიმელსპაუზენს „სიმპლიცისიმუსში“, ლესაჟს „ჟილ ბლაზში“ და სხვ. იგივე ხერხია გამოყენებული ესპანური „პლუტური რომანის“ ისეთ ძეგლში, როგორიცაა „ლაზარელიო ტორმესელი“»¹⁵.

„პლუტური რომანის“ (და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების) ხსენება „კალმასობასთან“ დაკავშირებით შემთხვევითი არ უნდა იყოს. რომანის ისტორია, ერთი მხრივ, განპირობებულია რეალური პიროვნების ბედით, იმით, თუ როდის, როგორ და რაწილად დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას მოიპოვებს იგი. რ. ფოკსის შენიშვნით, რომანი ვითარდებოდა მხოლოდ იქ, სადაც წონასწორობა (პარმონია) აღამიანსა და საზოგადოებას შორის დარღვეული იყო¹⁶, რის შედეგადაც წარმოიშობოდა გამოსახვის სპე-

¹³ М. Бахтин, Вопросы литературы и эстетики, М., 1975, гл. 453—454.

¹⁴ Краткая литературная энциклопедия, т. 6. М., 1971, с. 354.

¹⁵ დ. ლაშქარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

¹⁶ Р. Фокс, Роман и народ, М., 1960, с. 82.

ციფიკური, „რომანის საგანი“. „...есть, конечно, прямая связь между массо-
 вым бродяжничеством в 16—17 вв. и „расцветом плутовского романа“¹⁷.

ფრანსუა რაბლეს, ერაზმ როტერდამელისა და სხვათა ნაწარმოებებისა-
 გან „პლუტურმა რომანმა“ შეითვისა მენიპური სატირისათვის დამახასიათე-
 ბელი ნიშნები — გამონაგონის თავისუფლება, ავტორისეული გამოცდილების
 წამყვანი როლი (გადმოცემებთან და თქმულებებთან შედარებით), მოქმედე-
 ბისა და პერსონაჟის „დაუმთავრებლობა“, თანამედროვეობასთან კონტაქტი და
 სერიოზულისა და სასაცილოს შერწყმა. ეს ნიშნები ახასიათებს „კალმასო-
 ბის“ მხატვრულ ნაწილსაც. მაგალითად, საინტერესო ფაქტია ის, რომ სკაბრე-
 ზულობის უხვი მაგალითები „კალმასობაში“, უჩვეულო და კომიკური სი-
 ტუაციების თავისებური თხრობის მანერა ძალაუნებურად იწვევს მკითხველ-
 ში ფრანსუა რაბლეს გამორჩეული და თვითმყოფადი სტილის ასოციაციას.
 გარდა ამისა, იოანე ბერის ფათერაკიანი თავგადასავლების აღწერამაც შეიძ-
 ლება არაერთხელ გავაცხენოს რაბლეს გმირები და მათი უჩვეულო ამბების
 გადმოცემის ხერხი. და ბოლოს, ნიშანდობლივია ისიც, რომ ცალკეული, და-
 მოუკიდებელი შინაარსების შემცველი ეპიზოდების გაერთიანება ერთი სიუ-
 ჟეტური რაკალით და საერთო ლიტერატურული გმირებით რაბლესაც ისევე
 ახასიათებს, როგორც კოსტეროს, სერვანტესსა და ბატონიშვილს¹⁸.

რაბლესა და იოანე ბაგრატიონის მხატვრულ ხერხებს შორის თანხვედრის
 ძიება, რა თქმა უნდა, ძალზე პირობითი და საკამათოა. რასაკვირველია, არ არის
 გამორიცხული, რომ ამგვარი პარალელები საერთოდ შემთხვევითი ხასიათისა
 იყოს. მაგრამ საკითხის ამგვარად დასმას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ეს თან-
 ხვედრა შენიშნა და თავისებური მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ცნობილ-
 მა ქართველმა პოეტმა და მოაზროვნემ ტიციან ტაბიძემ. 1929 წელს დაწერილ
 ერთ ლექსს — „შემოდგომის დღე ოქროყანაში“ — ტ. ტაბიძემ ქვესათაურად
 გაუკეთა „რაბლე და კალმასობა“. თავისთავად ეს ფაქტი უკვე მრავლისმთქმე-
 ლია. ტ. ტაბიძემ, უღარესად ერთდირებულმა და ნიჭიერმა პიროვნებამ, რაბლე
 და „კალმასობა“ რომ ერთმანეთის გვერდით მოაქცია, ნიშანდობლივი და ანგა-
 რიშგასაწევი. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ლექსის უკანასკნელი ორი
 სტროფიც:

„მეც ჩავეუფლები ჩემს პანტაგრუელს,
 ცხენის ჰიხენი მესმის რაბლესი.
 და როცა ჭარი სულ გამაყრუებს,
 გამოვა ლანდი იოანესი“.

როგორც ვხედავთ, ტ. ტაბიძე სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი
 ასოციაციური აზროვნებით უკავშირებს ერთმანეთს რაბლესა და იოანეს სა-
 ხელებს, რის შემდეგაც, ფინალურ სტროფში, ჩვენთვის ძალზე საყურადღებო
 აზრს (ან, უფრო სწორედ, განწყობილებას) გადმოგვცემს:

„თითქო გავიდა ეს ასი წელი
 და ერთი წუთით გადაიშალა, —
 ვარ მოკალმასე მეც აწინდელი
 და საკალმასო გრძელია შარა“.

¹⁷ КЛЭ, т. 6, М., 1971, с. 351.

¹⁸ ბაგრატიონის, სერვანტესისა და კოსტეროს გამომსახველობით ხერხებს შორის თანხვედ-
 რის შესახებ იხ. ვ. ჯამბუჩია, კალმასობის მხატვრული კონსტრუქცია, ვურნ. „კრიტიკა“,
 1983, № 4.

აშკარად ჩანს, რომ ტ. ტაბიძე სიტყვას „მოკალმასე“ ხმარობს იმავე მნიშვნელობით, როგორც მას ენიჭება ლიტერატურული პარალელებისა (დონ კიხოტი-ულენშპიგელი-ბერი იოანე) და მათი ტიპოლოგიური კვლევის დროს¹⁹. „ვარ მოკალმასე მეც აწინდელი...“ ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ტიციან ტაბიძე „მოკალმასეს“ ხმარობს მაღალი დანიშნულების, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლი ადამიანის მნიშვნელობით. იმავე მნიშვნელობით, როგორსაც შეიცავს სიკეთისათვის მებრძოლი დონ კიხოტისა და თავისუფლების-მოყვარე ულენშპიგელის სახელები მკითხველის ცნობიერებაში. აქვე ნახსენები რაბლეს სახელიც, რა თქმა უნდა, ერთბაშად იპყრობს ყურადღებას, რადგან სწორედ ამ დიდი მწერლის კითხვის დროს „აგონდება“ ტიციანს „ლანდი იოანესი“.

ტ. ტაბიძის დაკვირვება მით უფრო საინტერესო ჩანს, რომ ალბათ მას არათუ სპეციალურად არ უმუშავია „კალმასობის“ ტექსტზე, არამედ, სავარაუდოა, რომ იგი მთლიანად არც უნდა ჰქონოდა წაკითხული, რადგან იმ დროს (1929 წ.) „კალმასობის“ მხოლოდ პირველი ნაწილი იყო ცნობილი. პოეტი ალბათ მხოლოდ იმ ერთ ნაწილს იცნობდა, რომელიც 1895 წელს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ. ხოლო ის ორტომეული, რომელიც დღეს ხელთ აქვს თანამედროვე მკითხველს (რომელიც აგრეთვე ადაპტირებულია, მაგრამ სხვა გამოცემებზე უფრო სრული), 1936 და 1948 წლებში გამოიცა. მიუხედავად ამისა, ტიციანის მწერალური ალლო კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს „კალმასობის“ ტიპოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე.

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ არ შეგვიძლია „კალმასობა“ პლუტურ ან რომელიმე სხვა ტიპის რომანად გამოვაცხადოთ. ამგვარი დასკვნისთვის, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ღრმა ანალიზია საჭირო. ჩვენ მხოლოდ იმის გარკვევა გვსურს, შეიძლება თუ არა ამ ეპოქის რომანების საერთო სპეციფიკასა და „კალმასობას“ შორის თანხვედრად უფლება მოგვცეს ეს თხზულება რომანის ქანრს მივაკუთვნოთ.

ტ. ტაბიძემ „კალმასობას“ უწოდა „უდიდესი ეპოპეა მე-18 საუკუნის ფეოდალურ საქართველოსი“²⁰, მაგრამ ამ ნათქვამში მოცემულია არა ნაწარმოების ქანრის განსაზღვრა, არამედ მისი მხატვრული ღირებულების შეფასება. შექვევლია, შეცდომა იქნებოდა „კალმასობისთვის“ ეპოპეა გვეწოდებინა, რადგან მას სწორედ ის სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს, რომლებიც განასხვავებენ რომანს ეპოპეისაგან. ამ ნიშნების განსაზღვრისას მ. ბახტინი ამბობს, რომ ესაა გადატრიალება და გადაბიჯება ერთი სამყაროდან (ეპიკურიდან) მეორეში (რომანულში): „Изображать событие на одном ценностно-временном уровне с самим собою и со своими современниками (а следовательно, и на основе личного опыта и вымысла)—значит совершить радикальный переворот, переступить из эпического мира в романный“²¹.

ეპოპეა ფორმალური დასაწყისისა და დასასრულისადმი გულგრილია. აბსოლუტური წარსულის მთელ სამყაროს ვერც ერთი ეპოპეა ვერ მოიცავს. მაგრამ მთლიანის სტრუქტურა ყოველ ცალკეულ ნაწილში მეორდება და ცალკეული ნაწილიც ისევე სრულყოფილია, როგორც მთელი. თხრობა შეიძლება

¹⁹ იხ. „კრიტიკა“, 1983, № 4.

²⁰ ტ. ტაბიძე, მწერლები, ნარკვევები, თბ., 1957, გვ. 72.

²¹ М. Бахтин, Вопросы литературы и эстетики, М., 1975, гл. 457.

დაიწყოს ნებისმიერი მომენტი და ნებისმიერად დასრულდეს („ილიადა“ ხომ ტროის ციკლის ერთ-ერთი ჩვეულებრივი, „ნებისმიერი“ ეპიზოდია). სპეციფიკური ინტერესი მოთხრობილი ამბებისა და „დასასრულის ინტერესი“ მხოლოდ და მხოლოდ რომანს ახასიათებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი ინტერესი თან ახლავს „კალმასობის“ ტექსტის კითხვას. ეს ნაწარმოები არ არის ერთგვარად „გახსნილი“ ორივე მხრიდან, როგორც ეპოპეას ახასიათებს. პირიქით, მას გამოკვეთილი და საკმაოდ ეფექტური დასაწყისი და დასასრული გააჩნია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კალმასობა“ იოანე ბერისა და ზურაბას შეხვედრით იწყება, რაც მკითხველის ყურადღებას მეკალმასეთა ფათერაკიან თავგადასავლებს მიაპყრობს. მრავალი ტრაგიკომიკური სიტუაციებით შეზავებული ამბების კვალდაკვალ თანდათანობით იკვეთება და ყალიბდება მათი ლიტერატურული ხასიათები. ღამბარაშვილის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ იოანე ბერიც შეცვლილი ჩანს. თვით მათი უკანასკნელი საუბრის დროსაც კარგად გამოსჭვივის, თუ როგორ მოღალა და მოტეხა ისინი ცხოვრებამ. ნაწარმოების ფინალში კი სიმართლისა და ცოდნის მოყვარე ბერი სრულიად განადგურებული გვეჩვენება. თხზულების უკანასკნელ სცენაში გიორგი ავალიშვილი ამცირებს, შეურაცხყოფას აყენებს მას. ტექსტი ამგვარად მთავრდება: „... გიორგის ეწყინა, აი შეჭიხიყლო ჩარჩო, და ამოჰკრა ორი პანდური. კარში გამოვიდა ბერი, და წყევლით წამოვიდა შინ. და ესრეთ დასრულდა უბნობა მათი. დასრულდა წიგნი ესე ზემარაჰსწავლა...“

რკალი შეკრულია, ამბავი დასრულებულია, ხასიათები გამოკვეთილია. ფეოდალური საქართველოს, ავტორის მიერ გაიდებულ მონარქიის, ნგრევასთან ერთად ინგრევა „კალმასობაში“ მაღალზნეობრივი მორალური ღირებულებები, ნადგურდებიან კეთილი გმირები.

შეიძლება ტექსტის ამგვარი ტრაგიკული ინტონაციით წაკითხვა, ერთი შეხედვით, ნაძალადევად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავიხსენებთ იოანე ბაგრატიონის უიმედო მდგომარეობას და იმ წლებს (1813—1828), როდესაც იწერებოდა „კალმასობა“, მაშინ არ უნდა იყოს გასაკვირი ის სასოწარკვეთა, რომელიც საუკუნეებით განმტკიცებული ფეოდალური მონარქიის ნგრევას თან ახლდა. საქართველოს უკანასკნელი მეფის ძის — იოანეს — თვალწინ გათამაშდა ის ტრაგედია, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია. უდიდესი გულისტკივილით არის აღწერილი „კალმასობაში“ ის სცენები, რომლებიც ძმათა შორის უთანხმოებაზე და შინაურ აშლილობაზე მოგვითხრობს²².

თუ საბოლოოდ ვაზიარებელი იქნება მოსაზრება, რომ „კალმასობა“ შეიძლება რომანის ქანრს მიეკუთვნოს, მაშინ უცილობლად დაისმება საკითხი, თუ რამდენად ორგანიზულია რომანისთვის ის უამრავი მეცნიერული ცნობები, რომლითაც სავსეა ეს თხზულება.

გ. ნატროშვილი სტატიაში „მოკალმასე ბერი იოანე“ სავსებით ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია „კალმასობის“ თითოეული მხატვრული პასაჟი და რამდენად ეფექტურია მათი მთლიანობაში აღქმა. აქ მკვლევარი მიუთითებს, რომ ნაწარმოებში საოცარი მხატვრული სიძლიერით აისახა ის გო-

²² ამ მხრივ მეტად საინტერესოა ავტორის მსჯელობა ადამიანის ზნეობაზე, მორალურ-ეთიკურ საკითხებზე. — იხ. ხელნაწერი H—5374, გვ. 20—21.

ნებაშეზღუდულობა და ზნეობრივი სიღარიბე, რომელიც თან ახლდა ფეოდალური სამყაროს ნგრევას: „ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს მეორე ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ასეთი სისრულით და სიზუსტით აღადგინდეს მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს. „კალმასობა“ ერთი ფართო, ვეებერთელა ტილოა, რომელზედაც დახატულია მთელი ჩვენი ქვეყანა. ესაა წიგნი, რომელსაც, როგორც მეგზურს, მივყევართ გარდასულ დროში — ორი საუკუნის მიჯნაზე, როცა საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა იწყებოდა. საქართველოს სახელმწიფოს სიკვდილის დრამა ის იყო თავდებობა, ფარდა ნელ-ნელა ეშვებოდა“²³.

იოანეს მიერ ამ სიკვდილის ტრაგიკულმა აღქმამ გამოიწვია ის, რომ „კალმასობა“ გადატვირთულია ადამიანის მორალური დაცემის, ზნეობრივი სიღარიბის ამსახველი სცენებით. როგორც ჩანს, სამეფო ოჯახში ატეხილმა ძმათა შუღლმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იოანე ბატონიშვილზე. „კალმასობაში“ უამრავია მოღალატე, ფიცის გამტეხი, გონებაშეზღუდული და უპრინციპო პერსონაჟები, რომლებიც მზად არიან პირადი კეთილდღეობისთვის ოჯახის წევრებიც არ დაინდონ. „გულისტკივილით დახეტილობს ეს ბერი თავის ქვეყანაში და ყველგან უნუგეშო სურათსა ხედავს, ხსნა არსიდან არა ჩანს, ყველგან სიბინძურე, აზიური პატრიარქალობა, ხოლო მაღალ წრეებში განუსაზღვრელი ანგარება მეფობს. ღრმა სოციალური და პოლიტიკური კრიზისის, შინაგანი დაქსაქსულობის შედეგად კვდება ძველი საქართველო და ახლის შესახვედრად არავინ ემზადება“²⁴. საქართველოს პოლიტიკური და მორალური დაცემის ასახვა „კალმასობაში“ შემზარავია. ამ გახრწნილებასა და გონებაშეზღუდულობას ებრძვის სწორედ თავისი გაუთავებელი ხეტიალითა და ცოდნის ქადაგებით ყოვლისმცოდნე და კეთილი ბერი იოანე.

ძალზე ბუნებრივი გვეჩვენება ის გარემოება, რომ განმანათლებელთა მრწამსის მოზიარე იოანე ბაგრატიონი თავის თხზულებაში ყოველივე ბნელსა და ბოროტს უპირისპირებს ცოდნისა და განათლების კეთილ ძალას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ამ თხზულების უდიდესი ნაწილი იმ დროისათვის მოწინავე მეცნიერული ინფორმაციით არის გადატვირთული. ეს ინფორმაცია არ არის ნაწარმოების საერთო სიუჟეტს მოწყვეტილი, მისი ორგანიული ნაწილია. სწორედ იმ შემთხვევაში ძნელდება თხზულების ეპიკურის გარკვევა, როდესაც ხელოვნურად ამორებენ ერთმანეთს ძველის „მხატვრულ“ და „მეცნიერულ“ ნაწილებს. მეცნიერული ცოდნა ისე უპირისპირდება იოანე ბერის სახით გარე რეალობას, როგორც კეთილი საწყისი ბოროტს. ამ დაპირისპირებაში და ბრძოლაში უნდა ვეძიოთ „კალმასობის“, როგორც მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოების, აზრი. ბოროტი ძალა ისე სრისავს კეთილს, როგორც ქვეყნად დამკვიდრებული უსამართლობა ოხუნჯ გლეხს — ღამბარაშვილს. „კალმასობა“ სრულად ასახავს ფეოდალური მონარქიის ნგრევით, ოჯახური და პირადი ტრაგედიით გამოწვეულ ავტორის უიმედობას და სასოწარკვეთას. მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

როგორც აღვნიშნეთ, იმის გარკვევა, „კალმასობა“ პლუტური რომანია, რომანი-ეპოპეა, რომანი-ენციკლოპედია, თუ კიდევ რაიმე სხვა, დღევანდელი ჩვენი მსჯელობის ფარგლებს სცილდება. მათ აქ მხოლოდ იმისთვის შევხებით,

²³ გ. ნატროშვილი, წინაპარი და თანამედროვენი, თბ., 1961, გვ. 122—123.

²⁴ გ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

რომ „კალმასობისა“ და რომანის ჟანრის სპეციფიკურ ნიშნებს შორის თანხვედრა აღგვენიშნა. თვით ის ვარაუდიც, რომლისკენაც დამატებით კვლევას მივყავართ (რომ „კალმასობა“ მხატვრული ნაწარმოებია და რომანის ჟანრს უნდა მიეკუთვნოს) ჯერჯერობით კვლევა-ძიებასა და დასაბუთებას კვლავაც მოითხოვს.

К. Г. ДЖАМБУРИЯ

ЖАНРОВЫЕ ОСОБЕННОСТИ «КАЛМАСОБА»

Резюме

При работе над текстом «Калмасоба» Иоанна Багратиони возникают вопросы, решение которых имеет принципиальное значение. Один из таких вопросов — определение жанровой специфики этого произведения.

В работе высказано мнение о том, что «Калмасоба», как художественное произведение, следует отнести к жанру романа. Это подтверждается и самим традиционным названием произведения, и его адаптацией при последующих изданиях. В работе отмечен тот факт, что «Калмасоба» почти полностью удовлетворяет определению романа XVIII века, предложенному М. Бахтиным. Отмечены также некоторые совпадения «Калмасоба» с плутовским романом по отдельным специфическим признакам.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა

დალილა ზაფიანიძე

პასტორალური ფორმის ზოგიერთი საკითხისათვის დავით
 გაბრამიშვილის „ქაცვია მწყემსში“

პასტორალი ერთ-ერთი უძველესი და მარადახალი ჟანრია მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. თავისი სპეციფიკით და პრობლემატიკით იგი უპირატესად აქტუალურია ნებისმიერი ეპოქისათვის. განსაკუთრებით მრავალმხრივადაა გამოვლენილი პასტორალი ლიტერატურაში. აქ იგი მოიცავს თითქმის ყველა ჟანრს — დრამას, რომანს, რელიგიურ-ფილოსოფიურ ნაწარმოებებს, თუმცა თავისი სრული სახითა და ორიგინალობით ყველაზე უფრო პოეზიაში იჩენს თავს.

პასტორალმა გაიარა თავისი განვითარების რთული გზა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან უბრწყინვალეს ლიტერატურულ ძეგლებამდე და დამოუკიდებელ ჟანრად ჩამოყალიბდა.

ჟანრის გენეზისის შესახებ არსებობს რამდენიმე თეორია:

«Относительно истоков буколического жанра существует несколько теорий, в основе которых лежит принцип либо иноземного (восточного) происхождения, либо автохтонного (греческого)» — (Т. В. П о п о в а, «Поэтика жанра», в книге: «Поэтика древнегреческой литературы», ред. С. С. Аверинцев, М., 1981, გვ. 100).

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმად მიღებული აზრით, როგორც პოეტური ჟანრი, ბუკოლიკა ძველი წელთაღრიცხვით III საუკუნის ელინისტური საბერძნეთში გაფორმდა საბოლოოდ. ფუძემდებლად და უმთავრეს წარმომადგენლად მიჩნეულია ამავე საუკუნეში მოღვაწე სირაკუზელი პოეტი თეოკრიტე. მის იდილიებში მოცემულია პასტორალის ჟანრობრივი მაჩვენებლები, მოხსენიებულია ბერძნულ მითოლოგიაში არსებული სხვადასხვა პასტორალური სიუჟეტები, აგრეთვე — პასტორალური სიმბოლიკა, რომელიც შემდგომი ხანის პასტორალურმა ლიტერატურამ გადაამუშავე და გამოიყენა. ამდენად, ჟანრის კვლევისას ამოსავალ წერტილად თეოკრიტეს იდილიები უნდა მივიჩნიოთ.

ბ. ა. სტაროსტინა ამგვარად განიხილავს ბუკოლიკური რეალობისა და მისი ჟანრობრივი მაჩვენებლების საკითხს:

1. ბუკოლიკური რეალობა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებას: უტოპიური არკადია დასახლებულია მწყემსებით. ეს მწყემსები მოქმედებენ — ცხოვრობენ და თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებზე სიმღერით მოგვითხრობენ.

2. მთავარი გმირი ბუკოლიკისა არის მწყემსი—თავისი ცხოვრების შესახებ იგი სიმღერით მოგვითხრობს, სიმღერები კი სრულდება შეჯიბრზე. ამრიგად, გამოიყოფა ორგანიზაციული ცენტრი—სიმღერა და, მასთან, ორგანიზაციის საშუალება—შეჯიბრი (იხ. Вопросы классической филологии, вып. III—IV, М., 1971., И. А. Старостина, Буколика Вергилия. Некоторые особенности жанровой структуры).

მწყემსის მიერ შესრულებული სიმღერის, მუსიკალური ნაწილის აუცილებლობაზე მიუთითებს ტ. ნ. პოპოვაც თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში (იხ. გვ. 143).

ეს ძირითადი ყანობრივი მაჩვენებლები სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა ფორმითა და ფუნქციითაა გამოვლენილი.

საინტერესო მიმართებას იჩენს პასტორალურ ყანთან ქართული ლიტურატურა, კერძოდ — დავით გურამიშვილი. მის შემოქმედებაში გვხვდება ღრმა პასტორალური სიმბოლიკა, ხოლო პოემა „მხიარული ზაფხული“ (იგივე „ქაცვია მწყემსი“), გამოთქმულია მოსაზრება, უნდა განვიხილოთ, როგორც ამ ყანის ერთ-ერთი ორიგინალური ნიმუში.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ პასტორალის ძირითადი მაჩვენებლების გამოვლენის ზოგიერთი ფორმა გურამიშვილის ზემოხსენებულ პოემაში თეოკრიტეს იდილიათა გათვალისწინებით.

ფორმის განხილვისას ჩვენ უპირველეს ყოვლისა, ვეყრდნობით შინაარსს ანუ «Мы понимаем форму как форму содержания и содержание как содержание формы» „როგორც ეს ზუსტად შენიშნა მიხეილ ბახტინმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმად მიღებული აზრით, გურამიშვილი ფორმის მხრივ არის ნოვატორი. მან, პირველმა ქართველ პოეტთაგან, შეძლო თავი დაედო სპარსული ზეგავლენებისა და რუსთაველის ტყვეობისაგან. მან პირველმა შეიტანა ქართულ კლასიკურ ლექსში ხალხური ფორმები და ინტონაციები, გაამდიდრა რა იგი რუსული, უკრაინული, პოლონური ფოლკლორული ტრადიციებით. ამავე დროს, გამოიყენა რა რელიგიურ-ფილოსოფიური თუ მხატვრული ლიტერატურის მრავალი მონაპოვარი, ეპოქის შესაბამისი გააზრება მისცა მათ და სრულიად ახალ კონტექსტში წარმოგვიდგინა. ჩვენთვის ცნობილი არჩილის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბას დიდაქტიკური აზრები, მამუკა ბარათაშვილის პოეტური შეხედულებანი გურამიშვილის შემოქმედებაში ავტორისეული ინდივიდუალობით და განუმეორებლობითაა აღბეჭდილი. გასაოცარია მისი ლექსის ფორმათა და ინტონაციათა სიუხვე.

ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო და ორიგინალური ნაწარმოებია პოემა „მხიარული ზაფხული“ ანუ „ქაცვია მწყემსი“. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ ეს არის პირველი ქართული საყოფაცხოვრებო სიუჟეტური პოემა, რომ იგი თავისი ფორმით და პრობლემატიკის რენესანსული გააზრებით სრულიად ახალი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში, ვინაიდან ამ პოემაში შერწყმულია ქრისტიანული რელიგიის და წარმართული კულტურის საუკეთესო და ჭანსალი იდეალები, ამავე დროს იგი აღსავსეა ქართული კოლორიტით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გურამიშვილის პოემას განვიხილავთ თეოკრიტესეულ პასტორალურ ფორმასთან მიმართებაში. ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ ის როლი, რაც ელინისტური ეპოქის ამ თვალსაჩინო მოღვაწემ ითამაშა თავის დროზე ანტიკური პოეტური ფორმის განახლებაში.

პირველი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ თეოკრიტემ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა თავის თანამედროვეთაგან, დააღწია თავი ჰომეროსის ეპიგონობას (როგორც ვხედავთ, პარალელი ნათელია: რუსთაველი — გურამიშვილი, ჰომეროსი — თეოკრიტი), რაც გამოიხატებოდა არა დიდ

წინაპრის მემკვიდრეობის უგულვებელყოფაში, არამედ — მის შემოქმედებისათვის.

მეორე — ანტიკურ ლიტერატურაში სწორედ თეოკრიტეა პასტორალური პოეზიის მამამთავარი, ისევე, როგორც ქართულ ლიტერატურაში — გურამიშვილი.

მესამე — ორივე ავტორის ძირითადი წყარო მოცემულ შემთხვევაში არის ფოლკლორი და რელიგიურ-მითოლოგიური ლიტერატურა.

მეოთხე — ორივე ავტორის ნაწარმოებებს ახასიათებს ორპლანიანობა — 1. ყოფითი პლანი, 2. პასტორალური პლანი.

მეხუთე — ორივეს დამოკიდებულება პერსონაჟებისა და მოვლენებისადმი იუმორისტულია.

ამ ორ ავტორს შორის მსგავსება-განსხვავებათა ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს, ვინაიდან იგი საგანგებო და სერიოზულ კვლევას მოითხოვს. ზემოჩამოთვლილი რამდენიმე პარალელიდანაც ნათელია, რომ ორივეს შემოქმედება გვაძლევს საფუძველს ამგვარი კვლევისათვის და მნიშვნელოვან შედეგებსაც გვაპირდება. ამავე დროს, ფაქტია, რომ ორივე ავტორის უკან დგას ორი სრულიად განსხვავებული ეპოქა და საკითხის ხელის ერთი დაკვირვებად გადარჩება შეუძლებელია. ჩვენ შევეცდებით, გამოვყოთ ამ ორი მწერლის ურთიერთმიმართების (უფრო ზუსტად — გურამიშვილის თეოკრიტესთან მიმართების) ზოგიერთი მხარე, კერძოდ — შევადარებთ მათი პასტორალური ნაწარმოებებიდან იმ მონაკვეთებს, სადაც პოეტური ფორმის შესახებ არის მსჯელობა.

ბერძენი პოეტი აშკარად წინააღმდეგობა პომეროსისეული ეპიკური ფორმისა და მისი მიმდევრებისა. თავის შეხედულებებს იგი საქმით განამტკიცებს — წერს მხოლოდ ე. წ. „მცირე ჟანრის“ ნაწარმოებებს, თუმცა, სადაც საჭიროა, უარს არ ამბობს ეპიკური ლექსიკისა და მხატვრული ხერხების გამოყენებაზე. მისი პოზიცია კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში კალიმაქოს კირენელსა და აპოლონიოს როდოსელს შორის გამართულ ლიტერატურულ პაექრობას „მცირე ჟანრის“ დამკვიდრებასთან დაკავშირებით. თეოკრიტეს შეხედულება გამოთქმულია მის ერთ-ერთ საპროგრამო იდილიაში „მოსავლის დღესასწაული“ (VII):

VII—45. „როგორც ის მშენებელი მძულს ძალიან, რომელიც ცდილობს ხოლმე ორომედონის მთის მწვერვალის სიმაღლე სახლი ააშენოს, ასევე — მუზათა ჩიტები, რომელნიც ქიოსელი მომღერლის ყაიდაზე ტყუილად „გუგუს“ გაიძახიან ნამდვილ მშრომელთა საწინააღმდეგოდ“.

„ორომედონის მთაში“ იოლი საცნობია პომეროსი, ქიოსელი მომღერალი, ხოლო „მშენებელსა“ და „მუზათა ჩიტებში“ — მისი ეპიგონები, ეპიკური ფორმის ბრმად დამცველები. თეოკრიტეს ეპოქას, იმდროინდელ საერთო განწყობილებას ლირიკული ჟანრები ბევრად უფრო შეესაბამებოდა, რაც კარგად იგრძნო პოეტმა. მოვნახოთ სათანადო ადგილი გურამიშვილთან:

„ვინ წაიყთხავს გრძლად შენს ნაწერსა,
 სულ გაიწინებ თეთრს უღვაშ-წვერსა,
 მაგ წიგნს ვიწუნებენ, არად ირწმუნებენ
 შენს ლაბარაკსა“.

(იხ. თავი — „ქაცვია მწყემსისგან კითხვა, თუ ვითარ მოიყვანა წყლით რღვნა თვალთ დამაზთ ნლომამა“).

„გრძლად ნაწერში“ სწორედ ეპიკური ფორმა უნდა იგულისხმებოდეს, რომლის არაერთი ელემენტიც გამოიყენა პოეტმა თავის „ქაცვია მწყემსში“. მართალია, გურამიშვილი უშუალოდ რუსთაველისეული ფორმის წინააღმდეგ არ გამოდის, როგორც თეოკრიტე — ჰომეროსთან მიმართებაში, პირიქით, იგი ეხმაურება რუსთაველის ცნობილ აფორიზმს — „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“, მაგრამ ეპიკური ფორმის შესახებ მსჯელობისას მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა.

პოემა, როგორც ვიცით, ეპიკური ჟანრია, მაგრამ გურამიშვილის „ქაცვია მწყემსში“ ლირიკული მომენტების სიჭარბე, მეტრიკული მხარე და სუბიექტირებული განსახოვნება საფუძველს გვაძლევს, ვიმსჯელოთ ამ პოემაზე, როგორც ლირიკულ ნაწარმოებზე ეპიკური ელემენტების გამოყენებით. მისი ფორმა თითქმის მთლიანად ექვემდებარება უძველესი ეპილონების ზოგად განსაზღვრას, რომ ეპილონი ასახავს გმირის ცხოვრების ერთ რომელიმე ეპიზოდს, ძირითადად — სატრფიალოს, და არა — მთელ თავგადასავალს. პოემის ცალკეულ თავებზე დაყოფა კიდევ უფრო აძლიერებს ამ შთაბეჭდილებას. თუ განვიხილავთ თეოკრიტესეულ მთლიან ბუკოლიკურ ქსოვილს გურამიშვილის მთელ ბუკოლიკურ ქსოვილთან მიმართებაში, თვალსაჩინო მსგავსებას დავინახავთ. ეს შესაძლოა, ჟანრის სპეციფიკით იყოს გამოწვეული და სულაც არ იყოს უშუალო გავლენის შედეგი.

ჩვენთვის ფასეულია გურამიშვილის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრებაც, რომ შთამომავლობას მარტივი ფორმით უნდა გადაეცეს მემკვიდრეობა, რადგან ფორმის სირთულე ისედაც რთული შინაარსის აღქმას კიდევ უფრო აძნელებს. კერძოდ, აქ საუბარია ბიბლიური მასალის გადმოცემისადმი დამოკიდებულების შესახებ, უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. „მეტაფრასტული“ და „კომენტური“ სტილი. ცოტა ქვემოთ კი პოეტი ეხება იგავურ სტილს, ალეგორიულ ფორმას.

„ლექსნი ითქვიან შემოკლებითა,
ან მომატებით, ან მოკლებითა,
სიტყვა განმარტებით, არ კლებით, არ მატებით
ამბის თქმა მსურის“.

სთხოვს ქაცვია მამას.

არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ აქ საუბარია არა ზოგადად პოეზიაზე, არამედ — ბიბლიური ლეგენდების, კერძოდ, დაბადების გადმოცემაზე. პოეტური ფორმა მთელ რიგ გარემოებათა გამო მართლაც ახდენს გავლენას შინაარსზე, რის გამოც ბევრი „არაკი“ და „ჭორი“ რყვნის ნამდვილ ტექსტს. აქ პოეტის მიერ დასმულია ორი პრობლემა: 1. შეიძლება თუ არა ბიბლიის გალექსვა? 2. შეიძლება თუ არა გალექსვა „არამეტაფრასტულად“?

ბიბლიური მასალისადმი არაშემოქმედებითს დამოკიდებულებას იჩენს პოეტი და ორივე შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა — თვითონ გვაძლევს რამდენიმე ბიბლიური ეპიზოდის გალექსილ ნიმუშს და წინდაწინვე ეუბნება შეილს:

„მე სიტყვებსა სწორსა, არ თუ არაკს, ჭორსა
ვეტყვი მართალსა“.
„სიტყვას არც კლებით, არც მომატებით
ყველას მოგითხრობ ჭეშმარიტებით“.

იმავეს მოწმობს მისი ესოდენ ფრთხილი დამოკიდებულება წარღვნის ლეგენდაში კამეჩის ამბის შეტანისადმი.

გურამიშვილისთვის მთავარია ჭეშმარიტება, პოეტური სიმართლე. იმავეს იმეორებს თავის VII იდილიაში თეოკრიტე, როდესაც ერთი მწყემსი პოეტი მეორეს აჯილდოებს სიმართლისათვის (ἐπιβλάσθησε) ბუკოლიკური საჩუქრით — კომბლით. შინაარსობრივად ეს სიმართლე სხვადასხვაა, მათი ავტორების მსოფლმხედველობის შესაბამისად, მაგრამ მიზანი ერთია — მსმენელს თუ მკითხველს სწორად გადასცეს თავისი ცოდნა, „ჭეშმარიტება“, რომელიც თვითონაც სხვისგან მიიღო. ლეგენდის, „ამბის“ გადაცემა ერთ-ერთი ბუკოლიკური ხერხია (იხ. თეოკრიტეს I იდილია, ვერგილიუსის VI ეკლოგა და სხვ.). „გადაცემის მომენტი“, პასტორალური კომპოზიციის ერთ-ერთი ელემენტი, ხაზგასმულია როგორც ბუკოლისტ ავტორებთან, ასევე — გურამიშვილთან:

თეოკრ. VII—90: „...მთაზე მწყემსად ყოფნისას მრავალი სხვადასხვა კარგი (სიმღერა) შემასწავლეს ნიმუშბა...“

გურამიშვილი: „შენს შვილს მიუთხარ ეს ამბებია:
 მე მომითხრობდა პაპა-ბებია“.

გალექსილი ბიბლიური ეპიზოდები, როგორც ცნობილია (იხ. ს. ცაიშვილი, გ. ნატროშვილი), ზუსტად მისდევს ძველი აღთქმის ტექსტს. გურამიშვილი მათი გადმოცემისას ასრულებს შვილის თხოვნას —

„მაშაე, ლექსად წუობითა
 მართლა არ მესმის მე შეტყობითა;
 თქვენ ბრძანებთ ივავად, მე მესმის ივ ავად,—
 მიბრძანეთ ამბად“ —

და „ამბად უბრძანებს“ მას წარღვნისა და ნოეს კიდობნის, ენის შერევისა და გოდოლის ამბებს. შვილის თხოვნაში უნდა იგულისხმებოდეს მეტაფორული და ალეგორიული სტილისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. მართლაც, მამა-შვილს შორის დიალოგამდე ნაწარმოები მდიდარია მეტაფორებით და ალეგორიული სახეებით, ხოლო დიალოგის შემდეგ — ბიბლიური მასალის მშრალ კატალოგიზაციამდე მიდის (თუმცა მწერალი არც ამ შემთხვევაში კარგავს იუმორის გრძნობას).

იგავი, როგორც ვიცით, ალეგორიის საფუძველია. გურამიშვილის შემოქმედებაში (მათ შორის „ქაცვია მწყემსშიც“) ალეგორიას დიდი ადგილი უკავია.

„დავითმა კი არ უარაყო ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ალეგორია, არამედ უფრო გააღრმავა იგი...“ ალეგორიულ ხერხს „პოეტი ძალიან ჭარბად იყენებს. ეს აიხსნება იმდროინდელი საზოგადოების სარწმუნოებრივ-მორალური მდგომარეობით. დავითი გულისტკივილით აღნიშნავს საზოგადოების სარწმუნოებრივად და ზნეობრივად დაქვეითებას. ის პირდაპირ ტირის, რომ ქართველებმა „ღმერთი დაივიწყეს“ და ცოდვის ტალახში ჩაეფლნენო. გაჯანსაღების ერთ-ერთ საშუალებად მას მიაჩნია ხალხის „მობრუნება“ ღვთისადმი. ეს შესაძლებელი იქნებოდა, მისი აზრით, იმდენად არა განყენებული ქადაგებით, რამდენადაც ტკბილ ლექსებში გახვეული „სამიჯნურო“ ურთიერთობათა ცნობილი სურათებით. აკი დავითი ეუბნება „ქაცვია მწყემსში“ თავის შვილს:

„მე ლექსად სიტყვებს ამაღ ვაწყობდი,
 უფრო ტკბილად ჩნდა, ამას ვატყობდი;
 არ მაქნენა იმედი, შენ ამაღ ისმენდი
 მოუწყენელად“.

უეჭველია, ამ „ტყბილ ლექს“ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ალევორიულად გამოთქმული აზრების პოპულარიზაციისათვის, ვიდრე „ამბად თქმულს“, — წერს აკადემიკოსი კ. კეკელიძე (ალევორია დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., № 39), და საილუსტრაციოდ მოჰყავს ე. წ. „საღვთო მიჯნურობის“, ანუ რელიგიური ალევორიის ხერხით შექმნილი სახე — იესო ქრისტესი, რომელსაც სატრფოს, მზეთა მზეს უწოდებს პოეტი; ასევე — ლექსები: „ზუბოვკელი ქალი“, „ვსთქვათ, რაც ვარდმან თავის თავზე ქმნა საქმე“, „საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა“.

დიდი მეცნიერის ეს შეხედულება ერთხმად გაიზიარა გურამიშვილის შემოქმედების შემდგომი პერიოდის თითქმის ყველა მკვლევარმა და გამოცემელმა. თუ როგორაა გამოვლენილი „საღვთო მიჯნურობა“ „ქაცვია მწყემსში“, ეს უკვე შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცნობთ იმავე ალევორიით შექმნილ პასტორალურ ნაწარმოებებს — ბიბლიურ „ქებათა ქებას“, ბოკაჩოს რომან-იდილიას „ამეტო“, ინდურ პასტორალს, რომელიც მოიცავს ლეგენდებს კრიშნას შესახებ — ლალუ ჯი ლალის „პრემ საგარს“ ანუ „სიყვარულის ოკეანეს“, რომელიც ინდური ვედების საფუძველზეა შექმნილი.

ალევორიისადმი დამოკიდებულებაზე უნდა მიუთითებდეს ქაცვიას თხოვნა მამისადმი —

„თქვენ ბრძანებთ ივად, მე მესმის ივ ივად,—
 მიბრძანეთ ამბად“.

აქ უნდა ვიგულისხმოთ გურამიშვილის რთული მეტაფორული სტილის შესახებ გამოთქმული აზრი, რომ ეს სტილი ზოგჯერ გამარტივებას საჭიროებდა, რათა ნებისმიერი ერულიციის მკითხველისთვის მისაწვდომი გამხდარიყო ნაწარმოები. მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერალი უკვე არაალევორიულად, არამედ — „ამბად“ განაგრძობს თხრობას, რაც ჩანს მისივე სიტყვებიდან:

„ესე ლაპარაკი არ არის არაკი,
 გესმოდეს, შეილო“.

ამრიგად, პოემის გარკვეული ნაწილი „არაკს“ ანუ „იგავს“ ემყარება, რაც აშკარა ალევორიაზე მიგვიითითებს, ხოლო ალევორიული დანიშნულებით, მაგრამ არაალევორიული ფორმითაა გადმოცემული დაბადების „ამბები“, რომელიც თავის პირველწყაროს სიტყვასიტყვით მიჰყვება.

იგავურ ფორმას თავისი პირდაპირი სახით ამ პოემაში წარმატებით იყენებს ავტორი — როდესაც ქაცვიას ბებია-ბაბუას არიგებს მღვდელი წირვის შემდგომ, ქადაგებისას —

„იწყეს ივადა,
 არა ივ ივადა
 ღედ-მამათ ქითხეს...“

ამ იგავებში ქორწინების საკითხი ოსტატურადაა გადახლართული სარწმუნოების, კერძოდ, ქრისტიანობის დაცვის საკითხთან. გადმოცემის ფორმა — კითხვა-მიგება — წმიდა პასტორალური ფორმაა, რომელიც არაერთგზის დასტურდება ბუკოლისტ ავტორებთან (კითხვა-მიგებას ემყარება „ქაცვია მწყემსის“ საკვანძო ადგილები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მამა-შვილის დიალოგში, როდესაც შვილი ეკითხება, მამა კი მიუგებს, ანუ — უპასუხებს).

გარდა ამ იგავებისა, იმავე საკითხს ეხება ქაჯციას დარიგება მწყემსი ქალისადმი, დედამისის დარიგება მომავალი მეუღლისადმი, მისივე ლოცვა, რომ უგვირგვინო კავშირს ხელი შეეშალოს, მამის რჩევა, თუ როგორი ცოლი შეირთოს და „რომ თვალის ნდომას გული არ მიაყოლოს“.

ამრიგად, ნაწარმოების იდეა გადმოცემულია დიდაქტიკური ფორმით — დარიგებისა და იგავის ფორმით, რომელთა გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ლოცვა. ლოცვა ამ პოემაში გვხვდება მეორეჯერაც — წილისყრისას, როდესაც მწყემსი ქალი უფალს ევედრება, მას ერგოს მწყემსი.

ლოცვას მოყვება „წერა-მწერელის“ განაჩენი, რომელიც წინასწარმეტყველების ფორმითაა გადმოცემული.

ნაწარმოებში ჩართული ეპიზოდის სახითაა მოცემული ქაჯციას მამის მეზობელი გლეხის სიზმარი, რომელიც მიცვალებულთა კულტის დაცვას ემსახურება.

საყურადღებოა ფორმის მხრივ მამის მიერ ქაჯციას საქორწინოდ კურთხევა, რასაც მოყვება ვალექსილი ბიბლიური „ამბები“.

ამრიგად, პოემის მხატვრული ფორმის შესაქმნელად გამოყენებულია შემდეგი ფორმები: ლოცვა, იგავი, დარიგება, წინასწარმეტყველება, სიზმარი, კურთხევა, ამბავი (ანუ ლეგენდა), ხოლო საერთო მხატვრული ფორმა არის იგავი, კერძოდ, სატრფიალო იგავი, თავისი დიდაქტიკური დანიშნულებით. თუ რა მიმართებაშია პოემის ფორმა იგავურ ფორმასთან, ეს შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ზემოთქმულის განსამტკიცებლად განვიხილოთ პოემის სიუჟეტის და კომპოზიციის ზოგიერთი მხარე.

ნაწარმოები შედგება სამი ძირითადი სიუჟეტისგან, რომელთაგანაც ორი — ქაჯცია მწყემსისა და მწყემსი გოგოს გამიჯნურება და ქაჯციას მშობლების რომანი — პარალელურია, ხოლო მესამე — ქაჯციას და მამამისის საუბარი — დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, მაგრამ მჭიდრო კავშირშია წინა ორ სიუჟეტთან.

პირველ ორ სიუჟეტში თემა სატრფიალოა, ხოლო მესამე სიუჟეტი თემატიკის და პრობლემატიკის დიდ მრავალფეროვნებას წარმოგვიდგენს.

სიუჟეტის მთლიანობის საკითხს ჩვენ ამჯერად არ შევეხებით, მხოლოდ გამოყოფთ მასში არსებულ პასტორალურ მანევრებებს.

1. მთავარი პერსონაჟები მწყემსები არიან;
2. მოქმედების განვითარება ხდება ყოფითს გარემოში;
3. მოქმედების უცვლელი ადგილი არის ბუნების წიაღი;
4. მოქმედების დრო არის ე. წ. პასტორალური დრო — არასამუშაო დრო, ძირითადად — შუადღე, მზის ჩასვლამდე;

პასტორალურ მოქმედების დროს და ადგილს საერთოდ ახასიათებს ასტორალური თანხლება (იხ. აბრამ ეფროსის „ქებათა ქება მეფე სოლომონისა“, პანთეონი, სპბ, 1910), ყველა სხვა მნათობზე უმეტესად კი მზისა.

5. კონფლიქტი სატრფიალო ხასიათისაა;
6. პრობლემატიკის გადმოცემის ფორმა პასტორალურია — მწყემსთა მონოლოგებით ან დიალოგებით;

7. პრობლემატიკა ემყარება რთულ რელიგიურ ქვეტექსტს, რომელიც მხოლოდ გარკვეული წრისთვისაა გასაგები (იხ. პოპოვას, გრამარ-პასეკის, სტაროსტინას და სხვათა გამოკვლევები თეოკრიტეს VII იდილიაში ანალოგიური საკითხისათვის).

მოთხრობილია ორი იგავი შეყვარებული მწყემსების შესახებ, რომელთაც მწერალი დიდაქტიური მიზნით გადასცემს ახალგაზრდებს (მკითხველის, ხალხის პოზიციას მოცემულ შემთხვევაში ქაცვია მწყემსი წარმოადგენს), ხოლო შემდეგ ხაზგასმულია „ცოდნის შეძენის“ მომენტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ვინ არიან გურამიშვილის „მწყემსები“ და რას შეეხება მათი მონოლოგები თუ დიალოგები?

თეოკრიტესეულ პასტორალურ სიუჟეტში პერსონაჟები მწყემსები, ან — იშვიათად — გლეხები არიან. მწყემსები იყოფიან ე. წ. „კეთილშობილ“ და „არაკეთილშობილ“ მწყემსებად. კეთილშობილთა კასტას მიეკუთვნება — მეძროხე, ხართა მწყემსი, მეცხვარე, ხოლო არაკეთილშობილთა — მდღორე, თხის მწყემსი, მებატე და ა. შ. (იხ. თეოკრიტე 1—86: „კაცი მეძროხედ ითქმები, თხის მწყემსს კი დამგვანებია“). მათი მწყემსობა მხოლოდ გარეგნულ ფორმაში გამოიხატება, მწყემსური ნიღბის ქვეშ კი იგულისხმება: მითოლოგიური პერსონაჟები (კიკლობი, ენდიმიონი, ადონისი, პროტევსი და სხვ.), პოეტები — ე. წ. „ლექსთა მწყემსები“ (სიმინიდასი, ლიკიდასი, ისევე, როგორც — ბავიოსი და მევიოსი ვერგილიუსთან), ეპოქის ცენტრში მდგომი პოპულარული ადამიანები, სხვადასხვა რანგის ლეოთაეზანი და სხვ. პასტორალური ფორმისათვის დამახასიათებელი ეს თვისება კარგად გამოიყენა მსოფლიოს რელიგიურმა ლიტერატურამ და შუა საუკუნეების დასავლეთევროპულმა ლიტერატურამ.

თეოკრიტეს მწყემსებს ახასიათებს ღრმა განსწავლულობა, ელინისტური ეპოქის ადამიანის ტიპის შესაბამისად, მითოლოგიის და ლიტერატურის, ასევე ბიოლოგიის — ბუნების, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს საფუძვლიანი ცოდნა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა I, III, VI, VII, XI იდილიებში. მწყემსის სახე მასთან, ემყარება რა რეალურ საფუძველს, გააზრებულია სიმბოლური მნიშვნელობით. მისი რეალიზმი არის ყოფითი რეალიზმი, რომლის მიღმაც „ამაღლებული“ თემებია ჩაფიქრებული.

ანალოგიურ შედეგს უნდა ველოდეთ, თუ იმავე კრიტერიუმით მივუდგებით გურამიშვილის მთავარ პერსონაჟებს „ქაცვია მწყემსში“. მართალია, მწყემსთა „კეთილშობილ“ და „არაკეთილშობილ“ კასტებად დიფერენციაციას გურამიშვილი აშკარად არ გვაძლევს, მაგრამ ფაქტი, რომ მისი მწყემსები მეცხვარეები არიან მხოლოდ და მხოლოდ, რაღაც კავშირში უნდა იყოს ამ დიფერენციაციის ცოდნასთან.

როგორც ვიცით, პერსონაჟის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის საკუთარ სახელს. გურამიშვილი უარს ამბობს საკუთარ სახელებზე, ისევე, როგორც ტოპონიმების დაკონკრეტებაზე. ერთადერთი საკუთარი სახელი მის პოემაში (თუ გამოვრიცხავთ ბიბლიურ პერსონაჟთა სახელებს) არის ქაცვია. მის გვერდით ერთხელ მოხსენიებულია ქალის საკუთარი სახელი ლელა, მაგრამ იგი უფრო რითმისათვის უნდა იყოს მოხსენიებული (ლელასა — ყველასა), უფერულად გამოიყურება და არავითარი ფუნქცია არ აკისრია. შესაძლოა, ქართული კოლორიტის გასაძლიერებლად გამოიყენა იგი მწერალმა. საკუთარ სახელთა ჩამოშორებით გურამიშვილი აღწევს პერსონაჟთა განზოგადებას, რაც პასტორალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისებაა (გავიხსენოთ, როგორ განზოგადდა თეოკრიტეს არკადია და როგორ მიადგინა მან უტოპიურ აღთქმულ ქვეყანამდე, რომ არაფერი ვთქვათ ცალკეულ პერსონაჟებზე). რაც შეეხება საკუთარ სახელს „ქაცვია“, პოეტს იგი ისეთივე განზოგადებამდე

აპყავს, როგორც — თეოკრიტეს დაფნისი, მელიბევსი, ტიტროსი და სხვა მწყემსთა საკუთარი სახელები. იგი საერთო ბუკოლიკური ტიპაჲის სრულუფლებიან წევრად წარმოგვიდგება.

„ქაცვია“ თავისი გენეზისით უკავშირდება ბუნებას, პასტორალურ წიადს, კონკრეტულად კი ქაცვს, ეკალს. გავიხსენოთ პასტორალის ერთ-ერთი უპოპულარულესი პერსონაჲის—დაფნისის წარმოშობა: მითოლოგია გვამცნობს, რომ იგი დაფნებში დაიბადა და იმიტომ ეწოდა დაფნისი. გავიხსენოთ ასევე პრუნეოს წარმოშობა ბოკაჩიოს პასტორალური პოემიდან „ფეზოლელი ნიმფები“ (1346 წ.) (თავი CD XXXIII) იტალიური რუიო ითარგმნება, როგორც კვრინჩი, ეკალი. ასე დაერქვა ბიქს იმიტომ, რომ იგი ეკლიან ბუჩქებში დაიბადა. ქაცვია მწყემსის გენეზისიკ ასევე ეკლებს, ქაცვებს უკავშირდება.

სურათი კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ ლონგეს რომანის გმირებს — დაფნისს და ქლოეს (ქლოე ბალახს ნიშნავს ბერძნულად). ეს არის პერსონაჲის „მონათელის“ პასტორალური ხერხი და გამოიყენება მისი ბუნებასთან განუწყვეტელი კავშირის, მისი „ბუნებრიობის“ წარმოსაჩენად.

დავით გურამიშვილი ამ მხრივ თავის წინამორბედთა კვალს მისდევს. შევედაროთ სახელი „ქაცვია“ თეოკრიტეს IV იდილიაში პერსონაჲის სახელს—„ბატოსი“. გარემო იქაც ეკლიანია, იქაც ხაზგასმულია ეკლის შემთხვევით შერჭობის მომენტი, თუმცა ფუნქცია განსხვავებულია, მაგრამ დეტალები ერთი და იგივეა: ბატოსი (ბერძნ. *βῆτος, ბ.*) — *колючее растение, шип, колючка-* (იხ. *Древнегреческо-русский словарь, Дворецкий, т. I, 1959*). იცნობდა თუ არა გურამიშვილი თეოკრიტეს, ლონგეს ან ბოკაჩიოს პასტორალებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება—მისი პერსონაჲის საკუთარი სახელი თავისი გენეზისით პასტორალურ ტრადიციებს ექვემდებარება.

ქაცვია მწყემსი ამჟღავნებს ღრმა ცოდნას რელიგიური სიმბოლიკისა, რაც ჩანს მისი მეტყველებიდან და განსაკუთრებით — მონოლოგიდან, რომელსაც იგი წარმოთქვამს სატროფოსთან განშორების შემდეგ (ვამე, თუ სულ...). ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ქრისტიანული სიმბოლოები — ხნარცივი, მღვიმე, ქორწილი, საყვარელი და ა. შ. იგი უბირი მწყემსი არ არის, რომელსაც მისი ამხანაგები „ცხვრისებრ „ბეჰჰოი“, თხისებრ კიკინით“ დასცინიან და აჯავრებენ უსწავლელობისა გამო. ამ ფაქტს ადასტურებს მისი კამათიც მამასთან პოეტური ხელოვნების შესახებ. ეს დიალოგი მამა-შვილს შორის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საყურადღებოა თეოკრიტეს VII იდილის პერსონაჲებთან მიმართებით. დიალოგი ანტიკოს პოეტთანაც ორ ასაკით განსხვავებულ მწყემსს შორისაა გამართული (ლიკიდასი ხანდაზმული, გამოცდილი პოეტია, ერთ-ერთ მიუწევდომელ საფეხურად შერაცხული თავის თანამედროვეთა მიერ, ხოლო სინიხიდასი — ნიჭიერი ახალგაზრდაა, ლიკიდასის ღირსეული მემკვიდრე, თავისი ორიგინალური სახით) და მასთანაც ერთი დასკვნით მთავრდება, რომ მთავრია ჭეშმარიტების გადმოცემა ისე, რომ ფორმით არ გაართულო აღქმა, რომ პოეტურ ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია სისადავეს და უბრალოებას.

ამ დიალოგიდან ნათელი ხდება, რომ არათუ ქაცვია, არამედ მამამისიც არაა ის უბირი გლეხი, რომელსაც სიჭაბუკეში საქმე შეემთხვა „ჩხიკე-შაშე-ლიჭური“, რომ მწყემსობა მხოლოდ ნილაბია, ფორმალური ორიენტაცია. ქაცვიან მამა თვითონ ავტორი უნდა იყოს, რასაც ადასტურებს მისივე სიტყვები „აქაიქა მგზავრობის“, „თურქი-ყიზილბაშობის“, „ლეკიანობის“, „ცალთვალეიანობის და თეთრწყვრიანობის“ შესახებ, რაც პოეტის ბოგრაფიულ მომენტებს ემთხვევა.

თეოკრიტეს VII იდილიაში შებრუნებით ხდება — ავტორი სიმბიოდასში, ახალგაზრდა მწყემსში იგულისხმება, ხოლო უფროსი, დამლოცველი და ხელდამსხმელი — ლიკიდასია. მისი მწყემსობის დროც, ისევე, როგორც ქაცვიას მამისა, წარსულს განეკუთვნება.

ორივე პოეტთან ერთი და იგივეა მოქმედების გარემო და ვითარება. სიბრძნის, ცოდნის გადაცემის მომენტი ჯერ კიდევ ანტიკოს ფილოსოფოსებთან უკავშირდება კამათის ფორმას (სოკრატე, პლატონის დიალოგები) თავისუფალ გარემოში, რომელიც ხშირად წარმოადგენს ნადიმს, დღესასწაულს. თეოკრიტეს VII იდილიაში ეს მომენტი დაკავშირებულია მოსავლის დღესასწაულთან, კერძოდ, ქალღმერთ დემეტრესადმი მიძღვნილ დღესასწაულთან; გარემო არის ბუნების წიაღი, ხოლო კამათის ფორმას შეესაბამება სიმღერაში შეჯიბრის ფორმა, რაც პასტორალურ კომპოზიციაში ძირითად საყრდენ წერტილს წარმოადგენს. ე. წ. „პოეტური შეჯიბრი“ პასტორალურ სიუჟეტებში აყვანილია ფილოსოფიურ განზოგადებამდე და თუ იგი თავისი ქმედითი სახით არაა მოცემული, მაშინ შენაცვლებულია „საშეჯიბრო სიტუაციათა“ ან „საშეჯიბრო სიუჟეტთა“ მოხსენიებით. (იხ. Н. А. Старостина, «Буколика» Феокрита, как действительность жанровой формы: Вопросы классической филологии, вып. III—IV, М., 1971).

გურამიშვილის პოემაში შეჯიბრის ფორმა თავისი დაშიფრული სახითაა წარმოდგენილი. ცოდნის გადაცემის მომენტი მოცემულ შემთხვევაში უკავშირდება დღესასწაულს, ქორწილს, მაგრამ ქორწილი მხოლოდ მოხსენიებულია თავისი ყოფითი (და არა სიმბოლური) დანიშნულებით. საყურადღებოა, რომ ბიბლიური, ამაღლებული ცოდნით დღესასწაული მხოლოდ მინიშნებულია, როგორც ცოდნის გადაცემის მიზეზი, როგორც ყოფითი, ხორციელი ერთეული. მას უპირისპირდება სულიერი, ცნობიერი ერთეული — ცოდნა, კერძოდ — რელიგიური ცოდნა. მსაჯულუნად რიგრიგობით გამოდიან ჯერ ქაცვია, რომელიც ცოდნას ამჯობინებს ქორწილს, ხოლო შემდეგ — მამამისი, რომელიც აქებს შვილს ცოდნისმოყვარეობისათვის და მის ყოფითს მომენტზე ამაღლებისათვის, სულის ხორცზე გამარჯვებისათვის (მოცემულ შემთხვევაში, ზნეობრივი მიზნით), ზედა საფეხურისკენ სწრაფვისათვის (ამ მხრივ ქაცვია ძალიან წააგავს ბოკაჩიოს ამეტოს). როგორც ვხედავთ, საშეჯიბრო სიტუაცია ამ ეპიზოდში აშკარაა. პასტორალური სპეციფიკა საშეჯიბრო სიტუაციის ფინალში მოითხოვს ჯილდოს. ჯილდოდ აქ გამოყენებულია: 1. მამის სიმღერები, კერძოდ, „დაბადების“ ვალექსილი ეპიზოდები; 2. „ღვთის წყალობა“ — თეოლოგიური რეალია, რომელსაც უშუალოდ ასახელებს ავტორი —

„ამისთვის გწყალობს, შვილო, შენ ღმერთი...
რომ... ჰქმენ მოთმინებაო...“

და შემდეგ განმარტავს, რაში მდგომარეობს ეს წყალობა —

„ვინც ღვთის ბრძანებას არ ეურჩებას,
მრავალს განსაცდელს გარდაურჩებას,
გულის წმინდობითა, ღვთისა მინდობითა
განმარჯვების“.

თეოკრიტეს VII იდილიაში უმცროსი იწვევს უფროსს სამღერად. იგივე ხდება გურამიშვილთანაც — ეს არის პასტორალური კომპოზიციის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი — „საშეჯიბროდ მიპატიება“. სიმღერისათვის პერ-

სონაეები „გადიან“ ურბანისტული, ცივილიზებული გარემოდან სოფლურ გარემოში. გურამიშვილთან ცივილიზებული გარემო არ შეადგენს წინააღმდეგობის წარმომშობ მომენტს (ისევე, როგორც ბოკაჩიოსთან), იგი დასახელებულიც არ არის, ხოლო „გადასვლის მომენტი“, ბუნებასთან დაკავშირების მომენტი წარმოჩენილია:

„მამამ სთქვა: „რადგან არ დაიშალე,
 ბაღში ჩირდილში ქვეშ რამ გაშალე,
 მუნ დაესხდეთ, წამოვსწვეთ; თუ რამ მიღეს, წამოვსწვეთ
 ჩემ საღვინთა“.

გავიხსენოთ მოქმედების ადგილი თეოკრიტეს VII იდილიაში. განა იქაც ბალი და ჩრდილიანი ადგილი არ არის მოხსენიებული? განა იქაც ღვინის დათხვევის სიმბოლურ მომენტს არ უკავშირდება პოეტური პაექრობა? (VII—130—155). განა იქაც წამოწოლილი არ „სვამენ“ სიბრძნეს პოეტები? მივყვით გურამიშვილს:

„მე-თიხის კოკა, ზნოანი ჭური—
 რასაც ვაღენდე, შენ უგდე ყური;
 დალივე გულითა, არ წერილად კულთა,
 თას-ყანწ-კათხ-სირჩით.
 ჯერ ეს მაჭარი შენ სვი ხარბადა,
 მერე მე გეტყვი ყველას ამბადა;
 დალივე გულუხვად, ნულარ მთხოვ კულუხად
 საგაისოდა“.

„სმის“ სიმბოლური მნიშვნელობა ნათელია. სიბრძნის, „ცოდნის გადაცემის“ იგივე ფორმა დასტურდება თეოკრიტესთანაც. ამდენად, იგი პასტორალურ სპეციფიკას განეკუთვნება, ისევე, როგორც წყარო, რომელიც ესოდენ ხშირად მოიხსენიება პასტორალურ ლიტერატურაში. რაც შეეხება ვადასაცემ „ცოდნას“, აქ, მართალია, ხაზგასმულია მემკვიდრეობითობის პრინციპი (იხილეთ სტაროსტინას შეხედულება პასტორალური მემკვიდრეობითობის შესახებ- I. A. Старостина, «О жанровой форме буколики Вергилия, Проблемы античной культуры, Тбилиси, 1975) — „შენს შვილს მიუთხარ ეს ამბები: „მე მომითხრობდა პაპა-ბებია“, არს ბრძენთ ბრძანებული, არ მოგონებული ცუდი ამბავი“, ისევე, როგორც თეოკრიტეს VII იდილიაში ნიმფები, ლიკიდასი, ფილეტასი არიან მფარველები, წინაპრები მოცემული შემთხვევისათვის, როგორც ვერგილიუსთან სილენუსია, მაგრამ თეოკრიტეს „მემკვიდრეობა“ შინაარსით სხვაა და გურამიშვილისა—სხვა. რელიგიურ შეხედულებათა გამო ისინი სხვადასხვა პრობლემატიკაზეა აგებული, თუმცა, გადმოცემის ფორმა ერთი და იგივეა ორივესათვის—პასტორალური ფორმა (შესაძლოა, შეხების წერტილი აქაც მონიხოს, ვინაიდან ორივესათვის ამოსავალი წერტილი მითოლოგიაა: თეოკრიტესთვის—წარმართული, ხოლო— გურამიშვილისათვის — ქრისტიანული, მაგრამ იდეური სხვაობა იმდენად ღრმაა, რომ ამგვარ შედარებას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს).

კონკრეტული კავშირი თეოკრიტეს სიმბოლურსა და ლიკიდასსა და გურამიშვილისეულ მამა-შვილს შორის ალბათ არ არსებობს, მაგრამ მოდელი ერთი და იგივეა. მწყველობა პირობითი საქმიანობაა ორივე წყვილისათვის, ისევე, როგორც ხორციელი სიყვარულის განცდა.

საინტერესო სურათს მივიღებთ, თუ პასტორალური სპეციფიკის მიხედვით დავყოფთ გურამიშვილის პოემას: შესავლის შემდეგ მწყემსი ქაცვია თავის მწყემს სატრფოს უმღერის მწყემსთა სიყვარულის შესახებ (სიმღერა I), ხოლო შემდეგ — ქაცვიას მამა უმღერის შვილს ბიბლიურ ლეგენდებს (სიმღერა II). დაყოფა მეტად პირობითია, მაგრამ სიუჟეტთა პარალელურობა და იდეური ერთიანობა საკმაო საფუძველს იძლევა ამისათვის. ამ საკითხს უფრო მეტ ნათეს მოჰყვნს პასტორალური კომპოზიციის განხილვა, რასაც ჩვენ მოგვიანებით შევხვებით. ამ შემთხვევაში მასალა უნდა დაჯგუფდეს შემდეგნაირად: პოემის ძირითადი სიუჟეტი შედგება ორი შეხვედრისაგან: 1. ქაცვიასა და მისი სატრფოს შეხვედრა, რასაც მოსდევს სატრფოს თხოვნით მოყოლილი მწყემსური სიყვარულის ამბავი, რომელიც დიდაქტიკურ მიზანს ემსახურება (გადაცემის მომენტი) და რომელსაც ყოფითი ხასიათი აქვს; 2. ქაცვიასა და მამამისის შეხვედრა, რასაც მოსდევს ქაცვიას თხოვნით მოყოლილი ბიბლიური ამბავი, რომელთა მიზანიც ასევე დიდაქტიკურია (გადაცემის მომენტი აქაც გვაქვს) და რომელთა ხასიათიც ამაღლებულია. ამგვარი ფორმა არაერთგზის დასტურდება პასტორალურ ლიტერატურაში.

მწყემსი ქალების სახეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ არც მათი ნამდვილი საქმიანობა არაა მწყემსობა. ისინი მხოლოდ საბედოს საძებრად გამოვიდნენ სამწყემსურში, იპოვეს და შემდეგ წილისყრისათვის შეიკრიბნენ. პირობითი საქმიანობა მწყემსობა ქაცვიას დედისთვისაც, რომელმაც გარკვეული მიზნით გარეკა ქაცვიას მამასთან ერთად ცხვარი საძოვარზე. ამაზე მეტყველებს ქაცვიას სატრფოს სავედრებელი მონოლოგი — ლოცვა უფლისადმი წილისყრისას, რომელიც მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„საცა რომ იყოს ის ჩემი სული,
იყოს დაფარულ შენგით, დაცული.
საცა იყოს ბნელი,
გასაძლისი ძნელი
მას განაშორე!“

მსგავსება ქაცვიას წარმოთქმულ მონოლოგთან სატრფოს გაყრის შემდეგ აშკარაა როგორც ტექსტობრივი, ასევე იდეური თვალსაზრისით.

პასტორალისათვის დამახასიათებელი ტიპური სიტუაცია იქმნება წილისყრის მომენტში, კონკრეტულად ესაა საშეჯიბრო სიტუაცია. ურთულესი სახეა პოემაში წერა-მწერელის სახე, იგივე მგზავრი, რომელიც მსაჯულად და წინასწარმეტყველად მოველინება გოგონებს. უზუნაესი ცოდნის გადაცემის კლასიკური მაგალითი — ვერგილიუსის IV და VI ეკლოგები ადასტურებენ ამგვარ ფორმას. შუამაგლის ფუნქცია ლეთაებრივი ნების გადასაცემად ადამიანებისათვის ვერგილიუსთან VI ეკლოგაში სილენუსს — ლეთაებას აკისრია (იმავე ბერძნულ პანს, ძველბერძნულ მითოლოგიაში მწყემსთა ერთ-ერთ მფარველს, რომელიც თეოკრიტესთან ცენტრალური პასტორალური ფიგურაა ლეთაებათაგან), ხოლო IV ეკლოგაში — პოეტს. მართალია, გადასაცემა მასალა თემატურად განსხვავებულია გურამიშვილისეული ტექსტისაგან, მაგრამ გადაცემის ფორმა ერთი და იგივეა — წინასწარმეტყველება. განა იგივე ფორმა არაა გამოყენებული თეოკრიტეს I იდილიაში დაფნისის სიკვდილის შედეგების გამოსახატავად, რაც მხატვრულ ხერხს — „სამყაროს შებრუნებულ წესრიგს“ ემყარება? განსხვავებით ვერგილიუსისაგან, თეოკრიტესთან პასტორალური იდილიის დარღვევის, პასტორალური არკადიის დაკარგვის პრობლემას უკავშირდება სიმ-

ბოლორად ეს მომენტი. ვერგილიუსის ზემოხსენებულ ორ ეკლოგაში პასტორალური იდილია ძალაში რჩება, ისევე, როგორც გურამიშვილის პოემის ჩვენ მიერ მოხსენიებულ ეპიზოდში, რომელიც საკმაოდ დამოუკიდებელი სახითაა მოცემული (დამოუკიდებლობა საერთოდ ახასიათებს გურამიშვილის პოემის თითქმის ყველა ეპიზოდს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი ამოვარდნილია საერთო მხატვრული ქსოვილიდან — პირიქით!). ამ პარალელების შემდეგ წერა-მწერელის სახეს უთუოდ პასტორალურ პერსონაჟთა რიგში უნდა მივუჩინოთ ადგილი. მის „წინასწარმეტყველებაზე“ რომ არაფერი ეთქვათ. მხოლოდ მსაჯულის ფუნქცია იკმარებდა ამისთვის.

საინტერესო პერსონაჟია ქაცვიას მამის მეზობელი გლეხი, შუშის მოსაჭრელად ტყეში შესული, რომელსაც იგივე ფუნქცია — მსაჯულის, მოსამართლის ფუნქცია აკისრია და რომელიც მოულოდნელად გამოეცხადება შეყვარებულ მწყემს გოგო-ბიჭს. მსაჯულის მოულოდნელი გამოჩენა პასტორალური კომპოზიციის ცნობილი ხერხია, ასე ხდება თეოკრიტესთან, ვერგილიუსთან და ყველგან, სადაც საშეჯიბრო სიტუაცია ქმედითია. გურამიშვილის პოემაში შექმნილი ამგვარი სიტუაცია იდენტურობას ამჟღავნებს თეოკრიტეს V იდილიაში შექმნილ საშეჯიბრო სიტუაციასთან — ორი მწყემსი, ლაკონი და კომატასი ერთმანეთს ექიშება, ხოლო მათი მედიატორი იქაც შემთხვევითია — შუშის მოსაჭრელად ტყეში შესული გლეხი, სახელად მორსონი. თეოკრიტეს იდილიაშიც ნახსენებია ქრთამი (მცირედ განსხვავებული ფუნქციით, ვიდრე ეს გურამიშვილთანაა), რომელიც ასევე პასტორალური ჯილდოს გარკვეული სახეობაა. გადასაცემი ჯილდოები განსხვავებულია: ერთგან თასია, მეორეგან — საქონელი, მაგრამ დანიშნულება და გადაცემის ფორმა ერთი და იგივეა.

დანარჩენი პერსონაჟები — ქაცვიას მეზობლის ცოლი, დედამისი, ქაცვიას ბებია-ბაბუა, მღვდელი, ხალხი, რომელიც ქორწილში ერთობა — პასტორალური პერსონაჟები არიან მხოლოდ კონტექსტის გამო. მათ სახეებს ქვეტექსტი არ ახასიათებს. ისინი შეადგენენ ყოფითი გარემოს ნაწილს, ფონს, ჩარჩოს პასტორალურ პერსონაჟთა უკეთესად წარმოსაჩენად.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქაცვია მწყემსის ნილაბი. წილის საყრელად შეკრებილმა გოგონებმა

„მწყემსის მაგიარ ჯოხი დანახვეს,
 ქული დაზურეს, ჩოხა ჩანაცვეს;
 მათ თვალთა სამხელად
 უწოდეს სახელად
 „ქაცვია მწყემსი“.

მწყემსური ჩაცმულობის აუცილებელი ატრიბუტი — ტყაპუჭი, რომელიც დასტურდება ყველა ბუკოლისტ ავტორთან, როგორც ადამიანის ბუნებრიობის, ბუნებასთან სიახლოვის ერთ-ერთი სიმბოლო, ლერწმის სალამურს, ვუდასა, კომბალსა და მცენარეულ გვირგვინთან ერთად, გურამიშვილმა უთუოდ იცის (იხ. მისი „ადამის საჩივარი“: „ტანთ ნათელი შემომძარცვა, ცხვრის ტყავფუჩი მომახვია“, ასევე — გვირგვინები, რომელთაც ყვავილებისგან წნავენ მწყემსი გოგონები, სალამურიც), მაგრამ ქულის ანუ ფაფახის დახურვით და ჩოხის ჩაცმით იგი ქმნის ქართველი მწყემსის კოლორიტულ სახეს. ვნახოთ, რა აცვიათ VII იდილიაში თეოკრიტეს მწყემსებს: VII—15. ლიკიდასს — „თხის ტყავი ხშირბეწვიანი მხრებზე მოეგდო, ყვითელი, ახალთახალი, ჯერ კიდევ მაჭიკის სუნი სდიოდა“. ამ ჩაცმულობით იგი „თხის მწყემსს ძალიან მოგავდა“.

„ნიღბების პოეზიის“ შესახებ თეოკრიტესთან შექმნილია მრავალი გამოკვლევა, რომელთა მიხედვითაც ზემოხსენებულ იდილიაში შექმნილი სიტუაცია არის ალევგორიული მნიშვნელობის პოეტური შეჯიბრი (იხ. სტაროსტინას და პოპოვას ზემოხსენებული ნაშრომები), პოეტური დღესასწაული, დაკავშირებული სიუჟეტისა და ნაყოფიერების ზეიმთან, რომელშიც მხოლოდ პასტორალურ ცოდნას ზიარებული „ნაკურთხი“ პოეტები მონაწილეობენ. პასტორალური ფორმის მქონე XV იდილიასთან შეპირისპირებით, სადაც ამგვარი ცოდნის არმქონე ორი სირაკუზელი ქალია მთავარი პერსონაჟი და რომელნიც ამ ცოდნის უქონლობის გამო ზეიმის მასურებლები არიან მხოლოდ და არა ისეთივე მონაწილენი, როგორც აღონისის ჰიმნის შემსრულებელი მომღერალი ქალი, კარგად ჩანს სხვაობა ყოფით გარემოსა, „უცხო“ პერსონაჟთა და პასტორალისათვის „შინაურ“ პერსონაჟთა შორის. სწორედ ამგვარ „შინაურ“, ზიარებულ, ნაკურთხ პოეტთა წრეს მეთკუთვნებიან ქაცვია მწყემსი და მამამისი.

თეოკრიტეს „ნიღბები“ VII იდილიაში დღეისათვის ნაწილობრივ ახსნილია. სამეცნიერო ლიტერატურისათვის ცნობილია, რომ სიმინიდასში ავტორი იგულისხმება, ხოლო ლიკიდასში — მისი ერთ-ერთი მომხრე თუ უფროსი მეგობარი. სავსებით შესაძლებელია, ანალოგია მოიძებნოს გურამიშვილის ორ მწყემსს შორისაც, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთში აშკარად ამოიცინობა ავტორი. კონკრეტულად ვინ შეიძლება იყოს მეორე პოეტი — ქაცვია, ეს საკითხი სავანგებო კვლევას მოითხოვს. შესაძლოა, აქ საქმე გვქონდეს პოეტის პიროვნების გაორებასთან — ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობის პერიოდთა შესაბამისად. შესაძლოა, იგი გურამიშვილისათვის სულიერად თუ ფიზიკურად ახლობელი რომელიმე ქართველი პოეტიც იყოს. შესაძლოა, ვახტანგ მეექვსის კართან დაახლოებულ ქართველ პოეტთაგან რომელიმეც იგულისხმებოდეს. მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილია, ამ წრისათვის უცხო არ იყო პოეტური შეჯიბრებები. მწყემსის სახის სიმბოლური გააზრება, გურამიშვილის დაეითიანის შესავალშივე გვხვდება (იხ. თავი „ქართველ უფალთა მეგვარტომობის ამბავი“), სადაც ავტორი პოეტებს მოსაწველ ფარასთან აიგივებს:

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ,
არჩილ მოსახის ძმურადა,
მეფე ვახტანგ და იაკობ
დაბლა ზილს მიეტკურება;
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი,
ონანა ბანს ეშურება,
დვრინვენ ყარან და მამუჯა,
მე მსურის მათი ყურება.
ბეერთა და ცოტას მწველელნი
სწორეთ გავლიან ბერასა,
განაყენებენ შურალს ცალკე,
ამად მოიწველს ვერასა;
სკობს ქვემო ბოლოს შინ დგომა
შეინთ გარეამ მზერასა,
მღერენ და მეც ბანს შევაწყობ,
დამგობენ ამაზე რასა?“

„პასტორალური ნიღაბი“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თეატრალური სპექტიფიკისა, რასაც წარმატებით იყენებს მთელი პასტორალური ლიტერატურა. პასტორალური ჟანრის ნაწარმოებებში შეინიშნება ეპოსის, დრამის, ლირი-

კის, ასევე — ფოლკლორულ ტრადიციათა შემოქმედებითი გამოყენება. მისი სტრუქტურა რთული და მრავალმხრივია. პასტორალის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებაა ქანრთა ფუნქციური ურთიერთმოქმედება, ე. წ. „ურთიერთთანამშრომლობა“. თეატრთან და დრამატულ ნაწარმოებებთან საერთოდ იმდენად ღრმაა პასტორალის კავშირი, რომ შუა საუკუნეებში არაერთი პასტორალური დრამა შეიქმნა (იხ. ჯამბატისტა გვარინის „ერთგული მწყემსი“, ტორკვატო ტასოს „ამინტა“ და სხვა). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გ. წერეთლის აზრი, რომელიც უძველესი ბუკოლიკების საფუძვლად მიმურ საწყისებს ასახელებს (Г. Ф. Церетели, Мимиамбы Герода, Тифлис, 1929).

გურამიშვილის პოემა მდიდარ სურათს გვიჩვენებს დრამატურგიასთან საზიარო ფორმების — მონოლოგებისა და დიალოგების რაოდენობის მხრივ. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები ძირითადად მათ კანონზომიერ მონაცვლეობას ემყარება, რასაც უკეთესად აჩვენებს კომპოზიციის ანალიზი. შეიცავს თუ არა გურამიშვილის პოემა მიმურ ელემენტებს?

მიმი ეს არის ყოფითი სცენა, ძირითადად — უბრალო ხალხის ცხოვრებიდან აღებული, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს გვიჩვენებს და რომლის ტიპაჟიც შედგება ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანებისაგან ყოველდღიური საზრუნავების ფონზე. «Пустая встреча, визит, праздник, столкновение — все это было подходящим фоном для мима, и затем на этом случайном фоне развивалась соответствующая сценка монологического или диалогического характера. Разговор велся на обычном, иногда простонародном языке, с примесью поговорок, пословиц, крылатых слов. При таком разговоре вскрывался быт данных людей, их нравы, привычки, взгляды, думы и ощущения, — словом, все, из чего составляется определенный тип или характер (Г. Ф. Церетели, Мимиамбы Герода, Тифлис, 1929, გვ. 13). მიმის გრიგოლ წერეთლისეული განსაზღვრების ფონზე, ასე ვთქვათ, დამაკმაყოფილებლად გამოიყურება „ქაცვია მწყემსი“. პოემაში არის რამდენიმე ეპიზოდი, რომელთაგანაც თითოეული შეიძლებოდა განგვეხილა როგორც დამოუკიდებელი სცენა. მათში გამოიყოფა მოქმედი გმირები და ყოფითი დეტალები, რომელთაც ემყარება მოქმედების განვითარება. პირველი ასეთი სცენაა ქართა ბრძოლა. ავტორი, როგორც ყოფილი სამხედრო პირი, პაროდულ სტილში, გადატანითი მნიშვნელობით წარმოგიდგენს ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლას, რომელთა ჯარიც ქარებისაგან შედგება. მოქმედი გმირები აქ ქარები არიან.

მეორე სცენაა ქაცვიასა და მისი სატრფოს შეხვედრა და ურთიერთგაცნობა. იგი გვიჩვენებს ქაცვიას ალეგორიული ხასიათის მონოლოგით, რომელიც დატირების ფორმითაა გადმოცემული.

დამოუკიდებელ მიმად შეგვიძლია განვიხილოთ ქაცვიას მშობლების სიყვარულის ისტორია. თავისი სცენიურობით, პერსონაჟთა ყოფითი ხასიათებით იგი აღემატება პოემის დანარჩენ ეპიზოდებს. დიალოგები გოგო-ბიჭს შორის, შესიმჭრელთან შეხვედრა, ლხინი და ჩხუბი, დიალოგი შესიმჭრელსა და მის ცოლს შორის, ასევე — სიზმრის ამბავი, ჯვრისწერა და საქორწინო ცერემონიალი, რასაც წინ უსწრებს ქაცვიას მშობლებსა და მათ კეთილისმყოფელ მეზობელს შორის კამათი — ეს ყველაფერი გადმოცემულია არა აღწერით, არამედ — ცოცხალი მოქმედებით. პოემის ყოფითი პლანი, ის მხარე, რის გამოც მას „საყოფაცხოვრებო სიუჟეტური პოემა“ ეწოდა და რომელიც ესოდენ ძლი-

ერია მასში, სწორედ უბრალო ხალხის ყოველდღიური ცხოვრებიდან არის აღებული. ტიპაჲც რიგითი ადამიანებისაგან შედგება. ისინი არიან თანასწორნი და თანასწორუფლებიანნი, რაც იდილიური განწყობილებებით მსჭვალავს მთელ შინაარსს.

იგივე შეიძლება ითქვას წილისყრის სცენაზე — როდესაც მწყემსი გოგონები ნაპოვნთა გაყოფას შეუდგენენ. გოგონები, ქაცვიას ფიტული, კაცი „ჭკვათამყოფელი“ დასრულებულ სურათს წარმოადგენენ თავიანთი მოქმედებით თუ მეტყველებით.

ბოლო სცენა — ქაცვიას და მამამისის შეხვედრაც ასევე მიმურ საწყისებს ემყარება: მამა აკურთხებს შვილს საქორწინოდ, შემდეგ კი ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებს მას. აქ შეიძლება მრავალი ყოფითი სიუჟეტის გამოყოფა, რომელთაგანაც თითოეული გამოდგებოდა მიმის ასაგებად. მწერალი ამ სიუჟეტებს მოლაღატე და ერთვულ ცოლთა შესახებ აღარ განაჯერებს, მხოლოდ ჩამოთვლითაჲც კმაყოფილდება, მაგრამ ამ ჩამოთვლაში შეაქვს ყოფითი მოქმედების განვითარების მიმანიშნებელი შტრიხები, ასახელებს მოქმედ პირობებს, რითაც მათში მიმური საწყისები ჩნდება.

მთელ პოემას ახასიათებს დინამიკურობა და აღწერითი მომენტების სიმცირე. თვითონ ისეთი უსულო საგანიც კი, როგორც ხმელი ეკალი — ქაცვია, მოქმედებს და ნაწარმოების ერთ-ერთ ძირითად პერსონაჲად გარდაიქცევა, რომ არაფერი ვთქვათ „ჩხიკვ-შაშვ-ლიჭზე“.

თუ როგორ ვითარდება მოქმედება ამ ცალკეულ სცენებში, რა მიმდევრობით მიჰყვებიან დიალოგები და მონოლოგები ერთმანეთს, ეს უკვე კომპოზიციის კვლევის საგანია. ჩვენ მხოლოდ მიეუთითებთ იმ სპეციფიკურ მიმურ მაჩვენებლებზე, რომელნიც პოემაში შეინიშნება და რომელნიც, მოხვედრილნი პასტორალურ კონტექსტში პასტორალის კუთვნილებად არიან გადაქცეულნი (პასტორალის მიერ ამგვარი „მითვისების“ საილუსტრაციოდ გამოვედგება დიალოგის მაგალითი: დიალოგი ნებისმიერ ორ მოქმედ პირს შორის არ არის პასტორალისათვის დამახასიათებელი ფორმა, მაგრამ საკმარისია ეს ორი მოქმედი პირი იყოს მწყემსი, რომ ფორმა უკვე პასტორალის კუთვნილებად გარდაიქცევა, მით უმეტეს, თუ ამას ხელს უწყობს თემატიკა).

ამრიგად, პასტორალური ფორმა, როგორც ქანობრივი პირობითობა, გურამიშვილის პოემაში თავისი მოქმედი სახითაა განხორციელებული. ჩვენ განვიხილეთ „ქაცვია მწყემსში“ ამ ფორმის გამოვლენის ზოგიერთი მხარე, შევხებთ პოემის საერთო მხატვრულ ფორმასაც პასტორალური სპეციფიკის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ წარმოგვეჩინა პოემაში არსებული პასტორალის ძირითადი ქანობრივი მაჩვენებლები და ის ზოგიერთი მხატვრული ფორმა, რომელთაგანაც პოემის მხატვრული ქსოვილი შედგება.

ქანობრივი მაჩვენებლები — მწყემსები, სატრფიალო თემატიკა, ამაღლებული და ყოფითი პრობლემატიკის მონაცვლეობა, ბუნების წიალი — როგორც მოქმედების გარემო, მუსიკალური (იგივე მღერითი) ნაწილი, რომელიც აქ მონოლოგებითაა შეცვლილი, მიმური ელემენტები, მწყემსურ „სამოსელში“ გახვეული რელიგიურ-ფილოსოფიური ქვეტექსტი „ქაცვია მწყემსში“ თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი. მღერითი ანუ მონოლოგური ნაწილები გადმოცემულია დალოცვის, ლოცვის, დატრების, წინასწარმეტყველების, სიზმრის, კურთხევის, დარიგების, „ამბების“ ანუ ლეგენდების ფორმით. ყოველი მათგანი პასტორალური ფორმის კუთვნილებას შეადგენს და დასტურდება როგორც თეოკრი-



ტესთან, ასევე ვერგილიუსთან (მხოლოდ პასტორალურ კონტექსტში მხოლოდ-რის შემდეგ, რასაკვირველია).

პასტორალური სპეციფიკა რთული და მრავალმხრივია. მისი ბოლომდე ამოცნობისათვის საჭიროა ნაწარმოებების კომპოზიციურ-სიუჟეტური და იდეური მხარის, ასევე მხატვრულ სახეთა და საერთო შინაარსის ანალიზი. ჩვენ მხოლოდ მივეთითეთ ის ზოგიერთი პრობლემა, რომელიც აუცილებლად წამოიჭრება „ქაცვია მწყემსის“ როგორც პასტორალური პოემის კვლევის დროს.

რა მიმართებაშია ეს პოემა პასტორალური პოეზიის საპროგრამო ნაწარმოებებთან — ბიბლიურ „ქებათა ქებასთან“, ბოკაჩიოს „ამეტოსთან“, ვერგილიუსის ეკლოგებთან, ახალ აღთქმასთან და თვითონ გურამიშვილის მთელ შემოქმედებასთან? რა ფუნქცია აკისრია ალეგორიას „ქაცვია მწყემსში“? რა არის ამ პოემაში ორიგინალური და რა არის უანრობრივი სპეციფიკის გავლენით შესული? რა ადგილი უკავია მას ქართულ ლიტერატურაში?

ამ პრობლემათა გადაჭრა მხოლოდ შემდგომი კვლევის საფუძველზეა შესაძლებელი.

დ. ა. БЕДИАНИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ПАСТОРАЛЬНОЙ ФОРМЫ В ПОЭМЕ Д. ГУРАМИШВИЛИ «ПАСТУХ КАЦВИЯ»

Резюме

В статье дан как общий обзор пасторального жанра и некоторые его формы в поэме Давида Гурамишвили «Пастух Кацвия», так и отдельные вопросы пасторального сюжета и композиционных деталей. Установлено, что непосредственная связь поэтических взглядов Гурамишвили с античными основоположниками пасторальной поэзии исключена, однако идентичность этих взглядов вызвана специфичностью жанра.

Рассматриваются также отдельные художественные формы, из которых состоит общая ткань поэмы — мольба, сон, наставление, предсказание, легенда, притча, благословление. Большинство этих форм встречается также у Феокрита и Вергилия, но произведение Гурамишвили богаче своими формами. На основе анализа делается вывод, что поэма принадлежит к числу дидактическо-аллегорических пасторальных произведений.

В статье показана связь поэмы Гурамишвили с древним сценическим жанром — мимом.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ზვიად გამსახურდია

რუსთველი და ანტონი I*

2. ვეფხისტყაოსანი და „წყობილსიტყვაობა“

ჩვენს ნაშრომში „რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები“, სადაც ვცადეთ დასაბუთება რუსთველის პოემაში ეზოტერული ცოდნის ელემენტების არსებობისა, აღვნიშნავდით, რომ დავით გურამიშვილის გარდა, რუსთველის პოემაში თითქმის ვერავინ ამჩნევდა ეზოტერიზმს (ვახტანგ VI-ის პოზიცია ამ საკითხში საკმაოდ მერყევი და არათანმიმდევრული იყო). ჩვენ იმხანად ღუმილით ავუარეთ გვერდი ანტონი I-ს, ვინაიდან ჩვენთვის ჯერაც არ იყო გარკვეული მისი პოზიცია ამ საკითხში, მაგრამ ამჟამად „წყობილსიტყვაობის“ ზოგიერთ ადგილებზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდის, რომ ანტონი I ნაზიარები იყო ღრმა ეზოტერულ სიბრძნეს და ეზოტერული თვალსაზრისით განიხილავდა რუსთველის პოემას, თუმცა, ცხადია, ამას ღიად და ოფიციალურად არსად აღიარებდა. უფრო მეტიც, ნიღბავდა თავის ჭეშმარიტ დამოკიდებულებას რუსთველისადმი და აღნიშნავდა მის „ამაოდ დაშურობას“ იმჟამინდელი ქართული სამღვდლოების საკმაოდ ძლიერი რეაქციული ფრთის რიდით.

ანტონი I-ის „წყობილსიტყვაობაში“ არის ერთი სტროფი, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიისათვის, და რომელიც ხსენებული თვალსაზრისით ჯერ არ განუხილავთ მკვლევარებს. ეს სტროფი ეხება არა რუსთველს, არამედ დავით აღმაშენებელს, მაგრამ მისი ანალიზისას ცხადი ხდება ანტონის ნამდვილი დამოკიდებულება რუსთველთან და მის პოემასთან, არეოპაგიტულ მისტიკურ ღვთისმეტყველებასთან და ქრისტიანულ ეზოტერიზმთან. ანტონი „წყობილსიტყვაობაში“ შემდეგნაირად მიმართავს დავით აღმაშენებელს:

„წარსდდი აქათ უკანედ უზომოდ
მზისა სრბისათა ღროთა სცვალებდი, დავით,
ღამისა მიმართ მზისა აღიცისკრებდი,
მწუხრით უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის,
ტრფილი სიბრძნით ნამდვილ სატრფილოისა“.

ვიღრე გადავიდოდეთ მოცემული სტროფის ანალიზზე, განვიხილოთ „წყობილსიტყვაობა“ მთლიანობაში და, კერძოდ, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი თავი.

„წყობილსიტყვაობა“, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მიზნად ისახავს ანტონის „ღვთისმეტყველებისა“ და „მზამეტყველების“ მსგავსად, სუმირებას აღმოსავლეთის ეკლესიის მამათა საღვთისმეტყველო ნააზრევისას. ამასთან „წყობილსიტყვაობა“ კანონიკური თვალსაზრისით აშუქებს ქართველ წმინდანთა და მოღვაწეთა ღვაწლს. „წყობილსიტყვაობაში“ მოცემული თვალსაზრისი ამა თუ

* ვაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1984, № 1.

იმ საეკლესიო თუ საერო პირზე მარტოოდენ ანტონის პიროვნულ დამოკიდებულებას კი არ ავლენს, არამედ ეკლესიის საერთო თვალსაზრისსაც. ამრიგად, „წყობილიტყვაობაში“, ისევე როგორც ანტონის ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში, მოცემულია როგორც დოგმატური, ასევე მისტიკური ღვთისმეტყველების „სუჴმა“. ოღონდ ანტონი, როგორც ღვთისმეტყველი, ორივე გზას ორგანულად ათავსებს თავის ნააზრევში, ისევე როგორც რუსთველის პოემაში ერთ მთლიანობაში გვეძლევა როგორც დოგმატური, ასევე მისტიკური ღვთისმეტყველების ელემენტები.

დოგმატურ ღვთისმეტყველებას ანტონი უწოდებს „დადებითს“, ანუ „ბუნებითს“, ხოლო მისტიკურს — „ზესთაბუნებითს“. მისი თვალსაზრისით, ბუნებითი ღვთისმეტყველება გონებას ეყრდნობა, ხოლო ზესთაბუნებითი — გამოცხადებასა და ამავე დროს გონებას. თავის „ღვთისმეტყველებაში“ ანტონი განგვიმარტავს: „ღვთისმეტყველება დადებითი მდგომარეობს მარტივსა შინა ცნობასა, ანუ განმარტებასა შინა დოღმატათა, საღმრთოთა შინა წერილთა ანუ პაზრთა შინა წმიდათა მამათა და კრებათასა და განწმედასა ყოველთგან პაექრობათა და წინააღმდეგომ თქმათა“ (§ 16). ხსენებული განმარტების საფუძველზე ანტონის ღვთისმეტყველების I, III, IV ტომები, „მზამეტყველება“ და „წყობილიტყვაობის“ ნაწილი შესაძლოა, მივაკუთვნოთ დოგმატურ ღვთისმეტყველებას, კატაფატიკას, ბუნებითს ანუ დადებით ღვთისმეტყველებას. ჩვენ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ანტონისეული განსაზღვრება მარტივი ცნობისა, რათა შემდგომში ნათელი გახდეს, თუ როგორ არიან მის მიერ კლასიფიცირებულნი ქართველი ღვთისმეტყველნი, რომელთაგან ზოგს იგი „მარტივს“ უწოდებს.

იმავე ნაშრომში ანტონი გვამცნობს: „ღვთისმეტყველება მისტიკა ანუ ღვთივ მობერეილი დაპნიშნავს რომელსამე სახეობასა ბრძენებრსა და მალალსა ღვთისმეტყველებისასა, რომელიცა ესა იცაან ღვთიესულიერთა კაცთა (იხილუ მისტიკაჲ ღვთიემობერეილი ანუ სასაიდუმლოჲ ღვთისმეტყველებაჲ).

ღვთისმეტყველება ესე მდგომარეობს ცნობასა შინა ღვთისასა და საქმეთა მისთა.

გარნა არა ესევეითარსა შეცნობასა, რომელიცა მოიგების ჩუეულებითითა სახითა, არამედ ამას შინა, რომელსაცა შთაასხამს ღმერთი ვისდამიმე თავით თვისით უსაშუალოდ და რომელსაცა აქუს კმად ძალი ამისდ რა მოიუჴანოსმცა სული კაცობრივი მყუდროსა შინა მდგომობასა, რა უქუნაქცივოს იგი საძაგელისაგან შეძინებოსა, რა აღატყინოს იგი წმიდითა კრძალულებითა, რა შეერთოს იგი შინაგანთ დვთისადმი (ხაზი ჩვენია. — ზ. გ.). რა განანათლოს გონებაი მისი, რა განახურვოს და განამხნოს ნებაი მისი რომლითამე უმაღლესითა ხატითა.

წერილთა შორის, რომელსაცა მიაწერენ წმიდისა მიმართ დიონისიოს არეოპაგელისა, არს იგი მოგონება ღვთივ მობერილი ღვთისმეტყველება და სხვანიცა მრავალნი ძველნი და აწინდელნი მწერალნი არიან, რომელნიცა მსწერენ ამისთვის“ (§ 15).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საიდუმლო ღვთისმეტყველების, ანუ ეზოტერულ-ქრისტიანული ინიციაციის, გზა მდგომარეობს „ცნობასა შინა ღვთისასა და საქმეთა მისთა“, ოღონდ „არა ესევეითარისა შეცნობასა, რომელიცა მოიგების ჩუეულებითითა სახითა“, ე. ი. ჩუეულებრივი შემეცნება როდი უდევს საფუძველად ამ სიბრძნეს, არამედ „ზესთაბუნებითი“, ინტუიტური. იგი ეყარება

ჩვეულებრივ განსჯაზე და გონებაზე უფრო მაღალ უნარებს ადამიანში. ეს არის გზა ღმერთთან „შინაგნით შეერთებისა“, „საღმრთო სიახლე“, „შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“, რუსთველის ტერმინები რომ ვიხმაროთ.

როგორი უნდა იყოს ამ გზის ადგენი? უწინარეს ყოვლისა მას უნდა შესწავლავდეს ძალი რათა „მოიყვანოს სული კაცობრივი მყუდროსა შინა მდგმოობასა“, ე. ი. მიაღწიოს აბსოლუტურ შინაგან სიმშვიდეს და წონასწორობას, ბედისა და უბედობისადმი განურჩევლობას. მან უნდა „უქუნაქცივოს სული საძაგელისაგან შეძინებისა“, ე. ი. გაიაროს კათარზისის, სულიერი განწმენდის, ანუ, რუსთველისებურად, რომ ვთქვათ, „სულთა ლხენის“ გზა, რათა „აღატყინოს იგი წმიდა კრძალულებითა, რა შეაერთოს იგი შინაგანით ღვთისადმი“.

აქ უადგილო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა რუსთველისეული იდეალი „მაღალი და მაღალდმხედი“ ბრძენისა:

„ანუ არის ბრძენი ვინმე მაღალი და მაღლად მხედი,
 არცა ჭირი ჭირად უჩანს, არცა ლხინი ზღა-ზედი,
 ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
 სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, ვონება უც ვითა ტრედი“.

ვინ არის ეს მაღალი და მაღლად მხედი ბრძენი? ეს გახლავთ ენოტერიკოსი, ადგენი ქრისტიანული ინიციაციური გზისა, მესაიდუმლე, მიწვენილი ანუ ხელდასხმული, ვინაიდან ინიციაციის მიზანია საზეო სიბრძნის მიცემა ადამიანისათვის¹.

მოცემულ სტროფში „ტრედის“ ასოციაცია შემთხვევითი არ არის. რუსთველის დონის შემომქმედთ აროდეს სჩვევიათ შემთხვევითი შედარებების ხმარება. მტრედი ასოციაცია სულიწმიდისა, რომელიც განწმენდელია სწორედ ადამიანის გონებისა და ეს ღვთივსულიერი გონება, განწმენდილი და ფრთაშესხმული, სწორედ მტრედს ედრება, როდესაც მიისწრაფვის თავისი საზეო წყაროსაკენ. ამიტომაც ფიგურირებს ეს ფრინველი ქრისტიანულ სახისმეტყველებითს ღვთისმეტყველებაში სულიწმიდის სიმბოლოდ.

ანტონის ოქრობირობა ამ სახის გარკვევაშიც გვეხმარება: „თქმულთა მათ აღსავალთა აღსრული და ზედა უზენაესისაცა, რომელ არს მეხუთე, შეწვენითა ღვთისაითა, რომლისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს, უმანკობითა მომგებელი ფრთეთა ტრედისათა აღფრინდების და განისუენებს წიალთა შინა მამისა ზეციერისათა თანა, რათა არა ფრთენი იგი სულისანი იყუნესმცა სილაღეი მშობელი უსწავლელობისა...“ (§ 564).

ფრთების სიმბოლიკა ქრისტიანულ სახისმეტყველებაში ზეშთაგონებით აღმაფრენას, ღვთისადმი ზეაღსვლას აღნიშნავს. ამიტომაც მისტიკურ თეოლოგიაზე საუბრისას ანტონი გვამცნობს: „ესრეთ ცნობილ იქმნა ჩუენდა თეოლოგია მისტიკა, ვითარმედ მწერალსა მისტიკა თეოლოლიისასა თანა ამს ქონებად სულსა შინა ფრთენი არწივისანი. ფრთენი იგი ქონებულნი იოანესაგან ღვთისმეტყველისა (როგორც ცნობილია იოანე მახარობლის გვერდით არწივს ხატავდნენ, ზ. გ.), მიზეზისა გამო სიტყვისა მკერდსზედაობისა, აღფრინებელ ხედვისა სიმაღლისა მიმართ და სიწლოისა განუცდელისა: ვინა უკუნ იქცევის გონებაი შიშნეულქმნილი შეხებისაგან უზესთაესისა ძალისადმი“ (§ 7). „შიშნეულქმნილი გონების უკუნქცევა შეხებისაგან უზესთაესისა ძალისადმი“ ხატონად აღმოგვეცემს ირაციონალიზმს მისტიკური თეოლოგიისას.

¹ იხ. Bleeker C. J., Jnitiation, Leiden, 1973.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ თავის დროის სხვა იერარქებისაგან განსხვავებით ანტონი უკრიტიკოდ როდი იზიარებდა არეოპაგიტული ტრაქტატების დიონისე არეოპაგელისადმი მიკუთვნებას. ამ საკითხში იგი ფილოლოგისათვის დამახასიათებელ სიფრთხილეს იჩენს, რაც საკმაოდ უჩვეულოა იმეამინდელი ლეთისმეტყველებისათვის: „თვის თეოლოდიისა ღვთივმოებრვილისა რაიცა ათქუა იგი ესრეთ გულისხმა ჰყავ, სწავლისმოყვარეო, ვითარმედ მაჩვენებს თუ რაი არს, ანუ ვითარმე არს თეოლოდია მისტიკა. ამას უკუე მიიწერენ მოხუცებულნი ჩუენნი დიონისიოს არეოპაგელსა (ხაზი ჩვენია, — ზ. გ.), ვითარმედ ჰაზრი მისი არს თეოლოდია მისტიკა, აწ არიან ძუელნიცა და აწინდელნი მწერალნი ამისთვის (ტ. II, § 6).

როგორც ზემოთ დავინახეთ, მისტიკურ ლეთისმეტყველებას ანტონი უწოდებს ბრძენებრსა და მაღალ ღვთისმეტყველებას, ისევე როგორც დოგმატურს იგი უწოდებს მარტივს. ახლა გავიხსენოთ, რომ ანტონი რუსთველს ახასიათებს, როგორც „ბრძენს“, „სიბრძნისმოყვარეს“ და „მაღალ ღვთისმეტყველს“. „მაღალი ღვთისმეტყველი“ ანტონის ტერმინოლოგიით კი ნიშნავს მისტიკურს, საიდუმლო ღვთისმეტყველებს, ეზოტერიულ-ქრისტიანული ინიციაციური გზის ადვოკატს. ამით ანტონი მიუთითებს, რომ ვეფხისტყაოსანში მოცემულია არა მხოლოდ კატაფატური, ანუ დადებითი, ღვთისმეტყველების ელემენტები, არა მხოლოდ დოგმატების განსაზღვრებანი და განმარტებანი, არამედ მოცემულია ღვთის შემეცნების აპოფატური გზა, გზა საიდუმლო ღვთისმეტყველებისა, სახისმეტყველების, ანუ სახისმწერლობის ფორმაში (ალეგორიულად).

| გამოთქმა „ამაოდ დაშურობა“ ორგანულად არ ესისხლბორცება რუსთველისადმი მიძღვნილ სტროფს „წყობილსიტყვაობისას“, ვინაიდან ის, ვინც არის „ღვთისმეტყველ მაღალ“, ე. ი. მესაიდუმლე, მისტიკოსი და ეზოტერიკოსი, ამაოდ არ დაშურებოდა, ანტონისავე თვალსაზრისით.² გამოთქმა „ამაოდ დაშურობა“ იძულებითი კომპრომისი რომ არ ყოფილიყო ანტონის მხრიდან, მაშინ ეს სტროფი *contradictio in adjecto* იქნებოდა, თავის თავშივე შემეცელი წინააღმდეგობისა: ვით შეიძლება ბრძენი, სიბრძნისმოყვარე კაცი, მაღალი ღვთისმეტყველი დაშერეს ამაოდ? ასეთ რამეს არათუ ანტონი, თვით რიგითი, არამოაზროვნე კაციც კი არ იტყოდა.

როდესაც ანტონი „წყობილსიტყვაობაში“ ახასიათებს დემეტრე ჰირველს, დავით აღმაშენებლის ძეს, მას უწოდებს „ღმრთის-მმეტყველებს მარტივს“. ეს არამც და არამც არ უნდა მივიღოთ დამამცირებელ ეპითეტად. „მარტივი“ ანტონის ტერმინოლოგიით, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნიშნავს გარკვეული სახეობის, გარკვეული გზის ღვთისმეტყველებას, კერძოდ ღვთისმეტყველებას პოზიტიური განსაზღვრებისას, რაციონალური განმარტებებისას. „მარტივი ღვთისმეტყველების“ ნიშნად ანტონი უთუოდ თვლის დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახს“, ვინაიდან ქართული ჰიმნოგრაფიის ამ შედეგში, მართალია, მოცემულია შესხმა ღვთისმშობლისა პოეტურ ენაზე, მაგრამ საღვთისმეტყველო თვალსაზრისით იგი არ სცილდება დადებითი განსაზღვრებების გზას: ღვთისმშობელი, ვითარცა ვენახი, ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული, ალვა სუნნელი სამოთხესა მოსული და ა. შ. ამ ნაწარმოებში რომ

² გავიხსენოთ აგრეთვე ვახტანგ VI: „ესევეთარი მეცნიერი კაცი არა დაშურებოდა წარსაწყენდელად“.

ყოფილიყო ალოგიზმები, ანტინომიები, ნეგაციები, როგორთაც ვხვდებით, მაგ., „მზიანი ღამის“ სტროფში, ან „წყობილსიტყვაობის“ ზემოთ ციტირებულ სტროფში, ანტონი აღარ იხმარდა ეპითეტ „მარტივს“. აქედან ცხადი ხდება, რომ ანტონი ამა თუ იმ მოღვაწის შეფასებისას უწინარეს ყოველისა ამოდიოდა მისი ნაწარმოებების სპეციფიკიდან და არა მხოლოდ ამ პიროვნების შესახებ არსებული ისტორიული მონაცემებიდან.

დოგმატური ღვთისმეტყველებისათვის მიუწვდომელია ღვთის არსი, ბუნება. იგი გვესაუბრება ღვთის ატრიბუტებზე, საგნებზე, რომელნიც ამა თუ იმ მიმართებაში არიან ღვთაებასთან. თავად ღვთაების არსი კი გამოუთქმელია რაციონალურ, ცნებით ენაზე. ღვთის არსი ყოველგვარი განსაზღვრებების მიღმაა, ამიტომაც იხვევს უკან მის წინაშე „შიშნულქმნილი გონება“.

„არსებისათვის ღვთისა თქმათა შინა სახმარ ვიეთმე არს ესე, ვითარმედ არს არსი ს ა ჭ ი რ ო (რთული. — ზ. გ.) რომელიცა წინააღმდეგომთქმითსა იპყრობდეს თვის შორის. მაგალითად: ღმერთი არს, ღმერთი არა არს, ყოველსა წინააღმდეგომ თქმითსა შორის ერთი ვიეთმე მარადის ქეშმარიტად არს, ხოლო მეორე მარადის ცრუ“. (აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ რუსთველის გამოთქმები: „ძნელად სათქმელი, ს ა ჭ ი რ ო გამოსაგები ენათა“ და „მიჯნურობა ს ა ჭ ი რ ო ა“).

დიონისე არეოპაგელის გარდა ღვთის არსის ამგვარი წინააღმდეგომთქმითი განსაზღვრებების შესახებ გვესაუბრება იოანე დამასკელი თავის „გარდამოცემასში“: „ღვთაება მიუწვდომელია და რაღა თქმა უნდა გამოუთქმელი. ჩვენ არ უნდა ვეძიოთ სახელი მისი არსისა, რამეთუ არ ვუწყით ეს არსი. განა სახელმა თავისი საგანი არ უნდა გადმოსცეს? ღმერთი, მართალია, კეთილია, მან არყოფნიდან ყოფად მოგვიყვანა, რათა ვზიარებოდით მის კეთილობას და შექმნისას მოგვამალა ცნობის უნარი; მაგრამ არ გვაზიარა არსებას თვისას და არც ცოდნა მოგვამალა თვისი არსებისა. რამეთუ არ ძალუძს უმდაბლეს ქმნილებას შეიმეცნოს უზენაესი არსი. მით უმეტეს, თუ შემეცნება შემოისაზღვრება ყოფიერებით, ვით უნდა შევიმეცნოთ ზეარსობა? ოღონდ გამოუთქმელი სიკეთით ინება მან თავად სახელდებული ყოფილიყო ჩვენს შორის ხმარებული სახელებით, რათა არ დაეშთენილიყავით მისი ცნობის კიდევან, რათა ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც გვექონოდა მასზე. ამადაც უსახელოა იგი, რამეთუ მიუწვდომელია სახელდებისათვის. ხოლო ვითარცა მიზეზი ყოველისა, ყოველთა არსთა მიზეზებისა და საფუძვლის თავისთავში შემცველი, იგი ღებულობს სახელებს ყველა საგნებისას, თვით ურთიერთსაწინააღმდეგო საგნებისაც კი, როგორც მაგალითად: ნათელი ბნელი, წყალი და ცეცხლი, რათა ვუწყოდეთ, რომ იგი არსით არც ერთ მათგანს არ ემთხვევა, არამედ ზეარსულია და უსახელო; სახელებს კი ყოვლადობისგან სესხულობს, რაც კი თავად შეუქმნია, რამეთუ იგი მიზეზია ყოველი არსისა“ (თავი XII).

ახლა გავატაროთ პარალელი დამასკელის ამ სიტყვებსა და „მზიანი ღამის“ სტროფს შორის:

„ღვთის ჰე შუო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უქამოსა ქამისად,
ვის გმორჩილებენ ცოურნი ერთის ოტის წამისად,
ბედსა ნუ მიცვლი, მიჯუ, შეყარამდე ჩემად და მისად“.

აი, რარიგ ენათესავება რუსთველის აზროვნება იოანე დამასკელისას.

„მზიანი ღამის“ სტროფზე მრავალგვარი თვალსაზრისი გამოთქმულა. ერთ-ერთი მათგანი (პროფ. მ. წერეთელისა) მოითხოვდა „ღამისას“ გასწორებას სიტყვით „სამისა“. თუმც უნდა ითქვას, რომ ანტონის „წყობილსიტყვაობა“ საბოლოოდ აქარებებს ამგვარ ეჭვებს და განამტკიცებს მოსაზრებას გამოთქმა „მზიანი ღამის“ მართებულობისას. ანტონის „წყობილსიტყვაობის“ ზემოხსენებული სტროფი კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს წარმოდგენას მისი ეზოტერული ცოდნის შესახებ. ცხადი ხდება აგრეთვე, რომ ანტონი ეზოტერული თვალსაზრისითაც განიხილავდა ვეფხისტყაოსანს და განსაკუთრებით „მზიანი ღამის“ სტროფს, თუმც, ვიმეორებთ, ამას იგი ღიად არსად აცხადებდა გასაგები მიზეზების გამო და მხოლოდ მინიშნებებით კმაყოფილდებოდა. რა გვაძლევს საფუძველს ამგვარი მტკიცებისას?

ჩვენს ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ „ერთაარსება“ და „მზე — მისი ხატი“ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ გამოთქმა „მზიანი ღამე“ არის აპოფატური ანტირომია, რომელიც გამოხატავს სამების მიუწვდომელ არსს, ანტონის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „წინააღმდეგობითი“ ცნებებით. ამავე დროს დასაშვებია, რომ ეს იყოს მინიშნება ანტიურ მისტერიებში „შულამის მზის“ ხილვაზე. ჩვენს ამ მოსაზრებას განამტკიცებს ანტონისეული მიდგომა, როდესაც იგი რუსთველისეული აპოფატური ტერმინოლოგიით ახასიათებს დავით აღმაშენებლის ინიციატიურ გზას თავის „წყობილსიტყვაობაში“ და მიმართავს მას: „ღამისა მიმართ მზისა აღციკრებელი, მწუხრით უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის“. როგორც ვხედავთ, ანტონს არ მიაჩნია, რომ რუსთველისეული გამოთქმა „მზიანი ღამე“ ვადამწერის შეცდომაა. იგი მიმართავს მის პერიფრაზას, ასხენებს „ღამისა მიმართ მზისა აღციკრებას“. გარდა ამისა, მისი თვალსაზრისით, ღამის მზის ხილვა ადებატების მიერ ინიციაციის გზაზე მისტრიკური ფაქტია და ასეთ ადებატად თვლის იგი დავით აღმაშენებელს.

„ღამის მზის“ ხილვა საერთო მოვლენაა როგორც ანტიკური, ასევე ქრისტიანული ინიციაციის გზებისათვის. ოლონდ ქრისტიანი მისტრიკოსები (მაგ., სვიმეონ ახალი თეოლოგოსი) ასხენებენ ღამით საღვთო ნათლის ხილვას და ადარებენ მას მზეს, ხოლო ანტიკურ მისტერიებში, უწინარეს ყოვლისა ეგვიპტურ მისტერიებში, ხდებოდა კონკრეტული ხილვა მზისა შულამისას, ზამთრის სოლსტიციუმის, ანუ ნაბუნობის, დროს.

ანტიკურ მისტერიათა მოძღვრების მიხედვით, ინიციაცია არის ზესთა ცნობიერების დაბადება და განვითარება ადამიანში. ჩვეულებრივი ცნობიერების მქონე ადამიანისათვის მისაწვდომია მხოლოდ გრძნობათა ორგანოებით აღქმული სინამდვილე, ე. ი. ფიზიკური სამყარო, ანუ ამსოფლიოური ყოფა. ტრანსცენდენტური, მიღმური სინამდვილის აღქმისათვის კი ადამიანს სჭირდება სპირიტუალური განვითარება, სულიერი გაღვივება, რათა მისთვის გაიხსნას ზეგრძნობადი სამყაროს კარი. ზეგრძნობადი სამყაროს ის სამყაროა, რომელსაც ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცნობიერების საფეხურზე მდგომნი მოკვდავნი ჰერეტენ მხოლოდ სიკვდილის შემდგომ. ადებტი კი, რომელიც ეზიარება ეზოტერულ ცოდნას და გაივლის ინიციაციის გზას სათანადო ეთიკური და სულიერი მომზადების შემდეგ, ამ ზეგრძნობადი სამყაროს საგნებსა და არსებებს სიცოცხლეშივე ჰერეტს. ანტიკური მისტერიები წარმოადგენდნენ ინიციაციის კერებს. მისტერიებიდან გამოსული მითოლოგია სხვადასხვაგვარ სახისმეტყველებით ფორმებში გვაძლევს ადებტთა ევოლუციის გზას, მათ გამოცდებს მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლაში, თავიანთი ქვენა — ბუნების

დათრგუნვაში, უზენაეს, ზეგრძობად სამყაროსთან მათ ზიარებას. პერაკლესა და თეზეოსის გმირობანი, არგონავტების ლაშქრობა, გილგამეშისა და ენქიდუსი, რამასა და ოდისეისის თავგადასავალი პარაბოლური, ალეგორიული ვაღმორცემა ინიციაციის მისტერიებისა (სხვათა შორის, „ოდისეას“ ამგვარად განიხილავდა პლუტარქე). ჩვენი ამ საკითხებს ოდესმე დეტალურად შევეხებით, ამჯერად კი შუალამის მზის ხილვას მივუბრუნდეთ.

შუალამის მზის ხილვა ზესთაცნობიერებით, რომელიც მოემადლება ადებტს ინიციაციის, ანუ ხელდასხმის შედეგად. შუალამის მზე არ არის ფიზიკური მზე ჩვენი ხილული ცისა. ეს არის მზე სულიერი, ლოგოსი, რომელიც ეცხადება ადებტს ქვენა ყოფიერების, მატერიის ბნელეთში. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ სულიერი მზე მაშინ ეცხადება ადამიანს, როდესაც ფიზიკური მზის ძალა მინიმუმამდე დასული გარეგან ფიზიკურ სამყაროში. ეს იმიტომ ხდება, რომ ფიზიკური მზე მხოლოდ დაბრკოლებას წარმოადგენს მზის სულის ხილვისთვის. წელიწადში ყველაზე გრძელი ღამე, ე. ი. 22 დეკემბრის ღამე, სოლსტისიუმი ანუ ნაბუნობა, ქმნის ყველაზე მეტად ხელსაყრელ პირობებს შუალამის მზის ხილვისათვის და სწორედ ამ დროს ემთხვევა ყველა მისტერიებში ღამით მზის ხილვა. შემთხვევითი როდია, რომ ეს ჟამი ემთხვევა ქრისტიანულ ადვენტს და შობას, ვინაიდან ქრისტე განიხილება როგორც სულიერი მზე, რომელსაც ანტიკურობაში სპირიტუალურად ჰერეტდნენ და რომელიც პირველ საუკუნეში ადამიანის ხატით მოვევლინა კაცობრიობას სწორედ 25 დეკემბერს. ძველგვიპტური მისტერიების შუალამის მზე არის ზეპერა, რომელსაც ჰერეტდნენ ქურუმები ნაბუნობის ჟამს. ზეპერასადმი მიძღვნილი დიდებული ჰიმნით იწყება ეგვიპტური „მკვლართა წიგნი“ (ანის პაპირუსი):

„თაყვანის ვსცეთ რაას, ოდეს იგი აღმოპხდების აღმოსავლის თვალსაწიერზე! უჰერეტდ ანის, ჰოი ოზირის, აღმწერელსა საღმრთოთა მსხვერპლთა!

რომლი იტყვის: გიხაროდენ, ჰოი ზეპერაე!

ზეპერაე, ღმერთთა დამბადებელო, როს აღმოპხდები,

აღმობრწყინდები და განანათლებ ნუტს, დედას შენსას

გვირგვინოსანო მეუფეო ღმერთთა ყოველთა

მოგესალმება ნუტ, დედა შენი, ხელგამლილი“¹.

ნუტ — ეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით ცის ღვთაებაა. ე. ი. ნუტი დედაა ზეპერასი, ზეპერა განანათლებს მას (ცა ხომ ბნელია მზის გარეშე). ამ სილიადეს კი, ღამეში მზის აღცისკრებას, ჰერეტს ხელდასხმული, ზიარებული ზესთაცნობიერებას. ახლა ვასაგებია, თუ რას ნიშნავს ანტონის სიტყვები, დავით აღმაშენებლისადმი მიმართული:

„ღამისა მიმართ მზისა აღცისკრებდი

მწუხრით უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის“.

ახლა კიდევ უფრო დეტალურად განვმარტოთ ეს თავისებური პერიფრაზა რუსთველისეული „მზიანი ღამის“ სტროფისა. რას ნიშნავს „მწუხრით უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის?“ უწინარეს ყოვლისა ესეც აპოფატური ანტინომიებით მეტყველებაა, რაც აუცილებელია ღვთაების არსთან მიახლოებისათვის. გარდა ამისა, ეს გამოთქმები მიგვანიშნებენ ადებტის მიერ სხეულის და ფიზიკური სამყაროს დატოვებაზე (სიცოცხლეშივე), ფიზიკური პლანის ლო-

¹ იხ. The Egyptian Book of the Dead, N. Y., 1967. თარგმანი ჩვენია.

გიკის დარღვევაზე, ვინაიდან სულიერი სამყაროს სინამდვილის წარმოდგენა სცილდება ამსოფლიური ლოგიკის ფარგლებს და შესაძლებელია მხოლოდ წინააღმდეგობითი მეთოდით, ისევე როგორც ღვთის არსის წარმოდგენა. სულიერ სამყაროს აღარ გააჩნია ის განზომილებები, რაც ფიზიკურს, ვინაიდან დრო და სამგანზომილებიანი სივრცე მხოლოდ ფიზიკურ სამყაროს მახასიათებლებია. ინიციატია, ანუ ზეგრძობად, სულიერ სამყაროში გადასვლა ხდება მხოლოდ დროისა და სივრცის კატეგორიების დაძლევათ: „უამით გარეგან უამის“, როგორც ვეუბნება ანტონი I. „უმწუხრო მწუხრი“ რომ „მზიანი ღამის“ სინონიმია, ეს თავისთავად ცხადია. გამოთქმა „უამით გარეგან უამის“ რუსთველისეული „უუამით უამის“ პერიფრაზაა, თან ამავე დროს მიუთითებს, როგორც აღვნიშნეთ, ადებტის ვასვლაზე უამიერი ყოფიდან მარადისობაში. (ჩვეულებრივი ადამიანი უამიდან მარადისობაში გადის მხოლოდ სიკვდილის შემდეგ).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსთველისეული „მზიანი ღამე“ მრავალმნიშვნელოვანი ალუზიაა, რომელიც შეიცავს როგორც საღვთისმეტყველო, ასევე ეზოტერულ-ოკულტურ შინაარსს და მიგვანიშნებს ანტიკურ მისტერიებში ინიციაციის გზით ღამის მზის ხილვის პრაქტიკაზე.

ახლა გავაანალიზოთ ერთი შეხედვით გაუგებარი გამოთქმები „წყობილ-სიტყვაობის“ ზემოხსენებული სტროფისა: „წარსდიდი აქათ უკეანედ უზომოდ, მზისა სრბისათა დროთა სცვალეზდი, დავით“.

ვეფხისტყაოსნის „მზიანი ღამის“ სტროფი დაგვეხმარა „ღამისა მიმართ მზისა აღცისკრების“, „უმწუხრო მწუხრის“, „უამით გარეგან უამის“ გაშიფრვაში. მაგრამ „უზომოდ უკეანედ წარსვლა“, „მზისა სრბისათა დროთა ცვალეზა“ დიდი სიძნელეების წინაშე გვაყენებს, თუ მათ მივიუღებთ მარტოოდენ ჩვეულებრივი მეცნიერული თუ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ცოდნის საზომით. რას უნდა ნიშნავდეს „წარსვლა უკეანედ“, ე. ი. ოკეანედ? ოკეანეში ცურვას აქ ანტონი I ვერ იგულისხმებდა, ვინაიდან დავით აღმაშენებლის ზღვაოსნობის შესახებ არ არსებობს არავითარი ცნობა, არც გადმოცემა, მით უფრო გამორიცხულია მისი საოკეანო ზღვაოსნობა, რომელიც, როგორც ცნობილია, გაცილებით გვიანდელ ეპოქაში დაიწყო (კოლუმბი და მაგელანი იქამად ჯერაც არ დაბადებულიყვნენ).

რომელი „ოკეანე“ იგულისხმება აქ? მივმართოთ ისევ ეზოტერულ ქრისტიანულ სახისმეტყველებას და ანტიკური მითების სიმბოლურ-ალეგორიულ თარგმანებას. მისტერიათა მოძღვრების მიხედვით ყოფიერება განიყოფება სქნელებად, ანუ პლანებად. ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ დაბადებიდან სიკვდილამდე, განიხილება როგორც გრძობადი, ამსოფლიური სინამდვილე, სააქაო; საიქიო ანუ ზეგრძობადი, მიღმა სამყარო განიყოფება რამდენიმე პლანად, როგორც, მაგალითად, ინდურ მოძღვრებაში: კამალოკად, რუპა-დევაჰანად, არუპა-დევაჰანად, ბერძნულ მითოლოგიაში—ქვესკნელად, ანუ პადესად, და ზესკნელად, ანუ ელიზიუმად (პესპერიდების ბელნარი); გაეიხსენოთ აგრეთვე ქრისტიანობაში შეიდი ცისა და ორი გარეგანი ცის სიმბოლიკა და ა. შ. ყოფიერების სხვადასხვა პლანებს ასახავდნენ გეოგრაფიული გარემოდან აღებული სიმბოლოებით. ასე მაგალითად, გრძობადი სამყაროს, ამსოფლიური ფიზიკური სინამდვილის სიმბო-

⁴ Fr. Lenz, Sinndeutung, Stuttgart, 1962, გვ. 14. ხსენებულ ნაშრომში განმარტებულია, თუ რად ფიგურირებს ზღაპრებში „ზღვა“ შვენიერ სამყაროს სიმბოლოდ.

ლო იყო მიწა, დაბლობი. ზენა სამყაროს, ზეშთასოფლის, სიმბოლო—ცა; ფიზიკურ სამყაროსა და ზენა სულიერ სამყაროს შორის გარდამავალი პლანის, ანუ, ასტრალურ-იმაგინატიური სამყაროს (ინდურად კამა-ლოკა), სიმბოლო იყო ზღვა, ოკეანე, ვინაიდან ეს არის სამყარო ხატთა ცვალებადობისა, მიმოქცევისა, არამყარობისა. ეს არის მ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი ს ა მ ყ ა რ ო (სულიერისაგან განსხვავებული)⁴. ამ სამყაროში შედის ადამიანი უშუალოდ გარდაცვალების შემდეგ, ხოლო ინიციაციის გზაზე მყოფ ადებტს ძალუქს სიციცხლეშიც გადავიდეს ცნობიერად ამ სფეროში, სხეულის დატოვებით. ამიტომაც იყო, რომ ეგვიპტურ იეროგლიფებზე საიქიოს ერთ-ერთი სიმბოლო იყო ნავი, რომელზედაც დებს მიცვალებულის მუმისა ვეფხის ტყავში გამოწყობილი ქურბში (The Book of the Dead. გვ. 263). ამ ასტრალურ-იმაგინატიურ ოკეანეში სულიერად მოგზაურობს აგრეთვე ხელდასმული, ადებტი, როდესაც იგი ტოვებს სხეულს.

შუა საუკუნეთა ინიციაციის გზის სიმბოლიკა უადრესად ნაირფეროვნად აირეკლა XVI საუკუნის ფლამანდიელი მხატვრის პიერონიმუს ბოსხის შემოქმედებაში. ბოსხის რთულ ალეგორიებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ციკლი „წმინდა ანტონის ცდუნება“. თანამედროვე მეცნიერებაში უკვე სადავოდ აღარ ითვლება, რომ ბოსხი იყო მიმდევარი ეზოტერული ქრისტიანობისა და თავის ფერწერაში ასახა ინიციაციური ზესთა ცნობიერებით მიღებული გამოცდილებანი. ამგვარად განმარტავს მის შემოქმედებას თანამედროვე პოლანდიელი მკვლევარი კ. ა. ვერტჰაიმ ეიმე (A'yms) თავის გამოკვლევაში: „პიერონიმუს ბოსხის სახისმეტყველება“⁵. წიგნის შესავალში აღნიშნულია: „ამ წიგნში ნაჩვენებია, რომ ბოსხის შედარებას მისი ეპოქის სხვა, მასთან სულიერად ახლოს მდგომი მხატვრების შემოქმედებასთან, მიეყვართ იმ დასკვნამდის, რომ მის მხატვრობას საფუძვლად უდევს ეზოტერული ქრისტიანობა, რომლის საჯაროდ აღსარება იმ დროს შეუძლებელი იყო (ინკვიზიციის გამო. —ზ. გ.) ბოსხის სახეთა ყოველი დეტალი წარმოადგენს ღრმად მნიშვნელოვან, მაგრამ იდუმალ სიმბოლოს“.

„წმინდა ანტონის ცდუნების“ ციკლში არის ერთი სურათი სადაც ბოსხი გამოსახავს წმინდა ანტონს ფიროუზისფერ ლივლივა ზღვაში მცურავად. ანტონი შემოსილია თავის ანაფორით, იგი ლოცვის პოზაშია, ხელები გულზე აქვს დაკრფილი, ოღონდ იგი თავად როდი მიცურავს, არამედ მიჰყავს უხილავ ძალას ფანტასტიურ ამფიბიაზე პირალმა მწოლარე. იგი გარშემორტყმულია დემონური არსებებით, რომელთა სამკვიდრებელი, როგორც ვიცით, არის ზეგრძნობადი სამყარო, ამ შემთხვევაში ზღვად გამოსახული. ამ ოკეანეში კეთილი არსებებიც არიან, რომელნიც ანტონის საშველად მოისწრაფვიან — თევზისფარფლებიანი რაინდი თევზზე ამხედრებული, რომელსაც უკავია კიდევ ერთი თევზი (თევზი ქრისტეს იმპულსის სიმბოლოა). იქვე მოჩანს იალქნიანი ნავი, რომელსაც ძიძგნის ბოროტი, მტაცებელი თევზი (გაუკუღმართებული ქრისტიანობა) და რომელშიც თავდაყირა დგას კუდიანი (აქ არ შეიძლება არ გაიხსენოთ ეგვიპტური იეროგლიფების საიქიოს ნავი).

ოკულტურ წყაროებში აღნიშნულია, რომ ინიციაციის გზაზე მდგომი ადებტი შემდეგნაირად მიმართავს თავის სულს სულიერ სამყაროში გადასვლის წინ:

⁵ Die Bildsprache des H. Bosch, Haag, 1961.

„შეგნებულად სტოვებს ჩემი მე
ყოფიერების გარსთა საუფლოს
რათა განისვენოს სამყაროთა არსში.
აღუდ ყოფის საუფლოში, ო სულო ჩემო,
სულის შექმთოვ ოკეანე ში
სხივომფინარ ხატთა წიაღში“.

ბოლო მშენიერი-სულიერ სამყაროდან კვლავ სხეულში დაბრუნებისას იგი შემდეგ მანტრამს იმეორებს:

სხივომფინარო ხატებანო, სულის შექმთოვო ოკეანე,
დასტოვა სულმა თქვენი წიაღი,
ყოფიერების გარსთა საუფლოში
შეგნებულად შემოდის „მე“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზღვა, ოკეანე, როგორც ზეგრძნობადი, ასტრა-ლურ-იმაგინატური სამყაროს სიმბოლო, ფიგურირებს აგრეთვე ქართულ ფრესკებზე. საკმარისია გავისენოთ სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის მხატვრობა (XVII ს.), სადაც აპოკალიპსური მხეცი (რომელიც ზეგრძნობადი სამყაროს დემონური არსებაა) გამოსახულია ზღვაში, რომელშიც სხვა დემონური არსებებიც არიან. წმინდანები და მართალნი გამოსახულნი არიან ამ ზღვისაგან განკერძობით, ე. ი. ზღვა აქაც გარდამავალი სფეროა საიქიოსი, მასზე უფრო მაღალი სფეროა სასუფეველი, ანუ წმინდანთა სამკვიდრებელი (აპოკალიპსისში ხომ წმინდანები ბროლის ზღვაში კი არ იმყოფებიან, არამედ მის ზევით, იხ. გამოცხ. 4,2). სვეტიცხოვლის ხსენებული ფრესკა განსაცვიფრებელ მსგავსებას ამჟღავნებს ჰიერონიმუს ბოსხის ზემოხსენებულ ციკლთან, რომელიც თითქმის იმავე პერიოდშია შექმნილი. იგივე იალქნიანი გემები ზღვაში, იგივე თევზები, კენტაურული ტიპის არსებანი. თანაც აღსანიშნავია, რომ კედლის მხატვრობა, რომელიც შესრულებულია აპოკალიპსის თემაზე, სულაც არ მისდევს კანონიკურ კლიშეებს, მასში მოცემულია სიმბოლოები, რომელთაც აპოკალიპსის ტექსტში არც ვხვდებით: მაგალითად, ბაბილონის მეძავი შეადთავიანი ცხოველის სახითაა მოცემული, რომელსაც ქალის თავი აქვს და გარს-შემორტყმულია ქალთევზებით, აპოკალიპსური მხეცე — შეიდთავიანი გველეშაპის სახით (ათი რქა გამოტოვებულია), ხომალდების მოცემაც გადახვევაა აპოკალიპსის სიუჟეტიდან (გავიხსენოთ ბოსხის ხომალდი).

ამგვარი ნათესაობა სვეტიცხოვლის ფერწერის მოტივებისა ფლამანდური ფერწერის მოტივებთან მიგვიითითებს საერთო იდეოლოგიურ საფუძველზე. ეზოტერულ ქრისტიანობაზე, რომელიც დასავლეთში ინკვიზიციის შიშით სააშკარაოზე გამოსვლას ვერ ბედავდა, ხოლო საქართველოში მთავარი საპატრიარქო ტაძრის კედლებს ამკობდა ეზოტერული შინაარსის გამოსახულებებით. აქედანაც ჩანს თუ რაოდენ ტოლერანტული იყო თვით ორთოდოქსული ქართული სამღვდლოება ეზოტერიზმისადმი შუა საუკუნეებში. ასე რომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ანტონი მკაცრ მართლმადიდებლობასთან ერთად ეზოტერული ქრისტიანობის იდეებს იზიარებდა.

თუ შუა საუკუნეთა დასავლეთში ინკვიზიცია სდევნიდა ეზოტერიზმს, XVIII—XIX საუკუნეებში ეს დევნა შესუსტდა. საქართველოში კი პირიქით: შუა საუკუნეებში სამღვდლოებას შემწყნარებლობა ახასიათებდა ეზოტერიზმისადმი, ვინაიდან ჯერაც ცოცხალი იყო არეოპაგიტული ტრადიცია. XVIII საუკუნის შუა წლებიდან კი იწყება კლერიკალური რეაქციის გაძლიერება და

ეზოტერიზმის დევნაც, როგორც ამას ვხედავთ რომანოზ მიტროპოლიტისა და ზაქარია გაბაშვილის მაგალითზე.

ამრიგად, ახლა ვგონებ ნათელია, თუ რომელ ოკეანეში მოგზაურობას უქმნის ანტონი დავით აღმაშენებელს. ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ ეზოტერულ-ქრისტიანული სიმბოლიკის გათვალისწინების გარეშე ფრიად გაჭირდება ქართული მწერლობის ძეგლების ზოგიერთი ბუნდოვანი და ძნელად გასარკვევი ადგილების ინტერპრეტაცია. ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „წარსდიდი აქათ უკეანედ უზომოდ“ ნიშნავს: გადადიოდი სააქაოდან („აქათ“) მიღმა სამყაროს მშვენიერი-სულიერ ოკეანეში, რომელიც უზომოა, უსასრულოა („უკეანედ უზომოდ“). ასე მიმართავს ანტონი შუა საუკუნეთა უდიდეს ადვოკატს, დავით აღმაშენებელს, რომელსაც მეფე-ხუცეს იოანეს უწოდებდნენ ჭვაროსნული ქრონიკები და რომლის ინიციაციურ და სასულიერო პრეროგატივებზე მეტყველებს ის, რომ სინას მთის წმ. ეკატერინე მონასტერში XIX საუკუნეში აღმოჩენილ ხატზე იგი დახატულია არა სკიპტრის მპყრობლად, როგორც ყოველი მეფე და იმპერატორი, არამედ ეფუდის (სამღვდელოთაგან ალმის) მპყრობელად, რაც ძველ ებრაელ მღვდელმთავართა რეგალია იყო (იხ. В. Бенешевич, Христианский Восток, т. 1, 1912), ბიბლიური მეფე-მღვდელმთავრის, მელქისედეკის კვალობაზე. დავით აღმაშენებლის მეფური სამოსიც უჩვეულოა ამ ხატზე. მასზე გამოსახულია ცხრა ხე (რაც მიუთითებს იესიან-დავითიან მეფეთა თაობებზე) და ნახევარმთავარები, რაც უთუოდ წმ. გრაალის ბარძიშის სიმბოლოა.

ახლა გავანალიზოთ „წყობილსიტყვაობის“ გამოთქმა: „მზისა სრბისათა დროთა სცვლებდი დავით“. ერთის შეხედვით, გაუგებარია, ვით შეეძლო ადამიანს, თუნდაც დიდ მეფეს და ხელდასხმულს, მზის სრბის, ანუ ცაზე მზის ხილული გადაადგილების, დროთა შეცვლა? და თუ ეს მეტაფორაა, რას უნდა ნიშნავდეს იგი? აქ ვერ დავგვხმარებთ ვერც საღვთისმეტყველო, ვერც ასტროლოგიური ცოდნა, თუ არ მოვიშველიებთ ეზოტერულ ინტერპრეტაციას. ხილული დაკვირვებისათვის ფიზიკური მზე-მნათობი ამოდის დილით აღმოსავლეთიდან და ჩადის დასავლეთით საღამო ხანს. ეს არის „მზის სრბის“ ჩვეულებრივი დრო. მაგრამ ეს დრო იცვლება, როდესაც ადვოკტი მზეს ჰვრეტს შუალამისას, ე. ი. მაშინ, როდესაც ცაზე ფიზიკური მზე არ ჩანს. ასე რომ, ადვოკტი ცვლის დროს მზის სრბისას: იგი დღის ნაცვლად ღამით ჰვრეტს მზეს. აი, რა იგულისხმება ანტონის „წყობილსიტყვაობაში“. „ლამისა მიმართ მზისა აღცისკრება“ არის ცისკრის გადატანა შუალამეზე, ოღონდ ნურგინ იფიქრებს, თითქოს აქ დრო იცვლება ობიექტურად, ასტრონომიულად, და ღამით ამოდის მეორე მზე, ისეთივე ფიზიკური, როგორც ჩვენი ხილული მზე-მნათობი. შუალამის მზის ხილვა სპირიტუალური, ნათელხილვითი ფაქტია, ეს არის ხილვა მზის სულიერი ასპექტისა სუბიექტურად, მაგრამ ამას გააჩნია ობიექტური რეალობა სპირიტუალური და არა ფიზიკური გავებით. აი, რას უწოდებს ანტონ კათალიკოსი „მზისა სრბისათა დროთა ცვლებას“, „რომელი აღმოიკითხავენ, გულისხმა ჰყავნი“ „წყობილსიტყვაობაში“ ანტონი ამბობს იოანე სინელზე, რომ მისი „კლემაქსი“ „ოცდაათთა კიბეთა აღიყვანს სიყვარულისადმი და შეაერთებს სიყვარულსა მას, უთუთქუსა მხესა“. ამ უთქვი, ანუ გამოუთქმელი, მზის ხილვა მხოლოდ ღამით შეიძლება. ამ მზის

მხილველი იყო დავით აღმაშენებელი, ამ მზის ჭკრეტას ესწრაფვიან ავრეთვე ვეფხისტყაოსნის გმირები.

ამრიგად, ჩვენ მიერ გაანალიზებული სტროფი „წყობილსიტყვაობისა“ ერთგვარი მხატვრული კომენტარია „მზიანი ლამის“ სტროფისა, თუმც არც რუსთველი და არც ვეფხისტყაოსანი არ არის ნახსენები. „მზიანი ლამის“ სტროფს და მის ანტონისეულ ინტერპრეტაციას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთი საკითხის გარკვევისათვის.

მთელი სერიოზულობით ჯერ არ დასმულა საკითხი, თუ ვით უკავშირდება ვეფხისტყაოსანი ქართულ მითოლოგიას, ქართულ წარმოდგენებს სულზე. საიქიოზე, ზენა სამყაროზე. დღემდე მკვლევარნი იკვლევდნენ რუსთველისეული წარმოდგენების კავშირს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებთან და მითოლოგიებთან. ამასთან დაკავშირებით განხილულ იქნა ძველ ეგვიპტელთა, ძველ ბერძენთა, ძველ ინდოელთა, ქალდეველთა და სხვათა მითოლოგიური, ასტროლოგიური და ესქატოლოგიური შეხედულებანი. ჩვენში შესწავლილია, თუ ვით აირეკლა და გარდაისახა ვეფხისტყაოსანი და მისი გმირები ხალხურ შემოქმედებაში, გამოთქმულია ავრეთვე ჰიპოთეზები ვეფხისტყაოსნის ხალხური შემოქმედების წყაროდან აღმოცენების შესახებ, ხალხურ ეპოსთან მისი კავშირის შესახებ, მაგრამ ქართული მითოლოგიისა და ვეფხისტყაოსნის ურთიერთკავშირი ნაკლებად არის შესწავლილი.

როგორია ქართული მითოლოგიის მიხედვით მიღმა სამყარო, საიქიო? ქართულ მითოლოგიაში საიქიოს სხვადასხვა სფერო სხვადასხვაგვარად წარმოდგინება. ერთია სფერო, სადაც გარდაცვლილის სული წარდგება სამსჯავროს წინაშე, სადაც მის სულს სასწორზე სწონიან, შემდეგ სული გაივლის ბეწვის ხიდზე, ხოლო ამ ბეწვის ხიდს ქვემოთ კუბრის ტბაა. ეს წარმოდგენა უფრო ეგვიპტურ წარმოდგენას ენათესავება, სადაც ოზირისი გვევლინება სასწორით ხელში.

მეორე, უფრო მაღალი სფერო, ქართული წარმოდგენის მიხედვით, არის სამოთხე, ედემის ბაღი, სადაც მზე, მთვარე და ვარსკვლავები ერთდროულად ანათებენ. ქართულ ფოლკლორში შემორჩენილია ლექსი, რომელიც ასახავს ამ წარმოდგენას:

„სიშრალა ვნახე ედემი აღმოსავლეთის ბაღშიო,
არის მზე, არის მთვარე, მრავალ ვარსკვლავი ცაშიო,
მივალ და ხეხილთ გავხედე: ჩარეებულა რიგშიო,
ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა კუხენი ასხია“.

როგორც ვხედავთ, აქ დარღვეულია ფიზიკური სამყაროს ამსოფლიური ლოგიკა: მზე, მთვარე და ვარსკვლავები ერთდროულად, ერთად ანათებენ, ხეები სეზონურ ცვალებადობას არ ექვემდებარებიან. თან ეს მზე, ცხადია, ის მზე არ არის, რომელიც ამსოფლად ამოდის და ჩადის. ეს უთუოდ ის მზეა, რომელსაც შუალამისას ჭკრეტდნენ მისტერიებში ნათელღებულნი.

მიუხედავად ქართული წარმოდგენის მონათესავეობისა ეგვიპტურ ტრადიციასთან, ვფიქრობთ, რომ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ერთდროული ნათება საკუთრივ ქართული სპეციფიკა უნდა იყოს საიქიოს წარმოდგენისა

⁶ „ძველი საქართველო“, II, თბ., 1913, გვ. 167.

(თუმცა „მკდართა წიგნში“ არის ერთი საკმაოდ ბუნდოვანი ადგილი, რომელიც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „მომხადლე ჰვრეტა მზის დისკოსი და მთვარის ღმერთის ხილვისა განუწყვეტლივ, ყოველდღე“). აქ არ მოჩანს გარკვევით მზის დისკო მთვარესთან ერთად იხილვება თუ ცალ-ცალკე, მაგრამ ეს სტრიქონი თითქოსდა ეხმიანება ვეფხისტყაოსანს:

„ღღისით და ღამით ვხვდვიდე მზისა ელვათა კრთომისა“.

თუმცა ღღისა და ღამის შეერთება ისე გარკვევით არსად მოჩანს, როგორც ვეფხისტყაოსანში. რუსთველოლოგიაში განხილულია თითქმის ყველა ქვეყნის სწავლა საიქიოს შესახებ, მაგრამ მზისა და მთვარის შეყრა, დღე ღამის შეყრა, ვგონებ, არსად უნდა გვხვდებოდეს.

მ. თარხნიშვილმა თავის „ქართული ეკლესიის ისტორიაში“⁷ ხსენებული ქართული წარმოდგენა დაუკავშირა ვეფხისტყაოსანის შემდეგ სტრიქონს:

„მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან ღღისა და ღამისად“.

ამგვარი ინტერპრეტაცია ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. მართლაც, ვინ არის ერთგან შემყრელი ღღისა და ღამისა? ეს არის ნიკვდილი, რომელსაც წინა სტრიქონში ახსენებს ავთანდილი: „სცთების და სცთების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“. მართლაც, ერთგან შეყრილი დღე-ღამე, გაერთიანებული დღე-ღამე — ეს არის ქართული წარმოდგენა სულეთისა, საიქიოსი, სადაც მზე, მთვარე და ვარსკვლავები ერთად ანათებენ!

იგივე წარმოდგენა უდევს საფუძვლად „ნესტანის წერილს“, სადაც ნესტანი ოცნებობს ღღისით და ღამით მზისა ელვათა კრთომის ხილვაზე.

თავის უნივერსალობასთან ერთად რუსთველი უაღრესად ეროვნული, ქართული მოვლენაა, ამიტომ შეუძლებელია მისი კონცეფციები ღრმად არ იყვნენ დაკავშირებულნი ქართულ მითოლოგიურ ძირებთან და ზეპირსიტყვაობასთან. ჩვენი აზრით, საჭიროა უფრო საფუძვლიანი კვლევა ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენათა კავშირისა ვეფხისტყაოსანთან, მის სიუჟეტთან და პერსონაჟებთან.

ამრიგად, „მზიანი ღამის“ ხილვა ამსოფლიურ სინამდვილეში ადებტის მიერ, რომელმაც გაიარა ინიციაციის გზა, პარადიგმა სულეთში გარდასულთა მიერ მზიანი ღამის ხილვისა, „ღღისით და ღამით მზის ხილვისა“, რაც ანტიკურ მისტერიებში და ქართულ მითოლოგიაში ერთნაირად წარმოდგინებულია. ეს წარმოდგენა აირეკლა ვეფხისტყაოსანში, რომლის ავტორიც ნაზიარები იყო როგორც ანტიკური მისტერიების ინიციაციურ სიბრძნეს, ასევე ქრისტიანულ თეოსოფიას და თეოლოგიას შუასაუკუნეებისას; ამასთან მისი შთაგონების უდიდესი წყარო იყო ქართული მითოლოგია, რომლის მოტივებიც მაღალბოეტურად გარდაისახა ვეფხისტყაოსანში.

რჩმა ფირცხალაწმვილი

„მეფხისტყაოსნის“ პირველი მკვლავი მიქელ*

ისტორიულ დოკუმენტთა მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება „მეფხისტყაოსნის“ პირველი მკვლავის მიქელის ოჯახის წევრთა ბიოგრაფიული პორტრეტების გამოკვეთაც.

ჯერ ორიოდ სიტყვა მიქელის ძმების — გაბრიელისა და დიმიტრის შესახებ.

გაბრიელიც, მსგავსად მიქელისა, გვევლინება ხელნაწერთა გადამწერად და გამმართველად. კერძოდ, მას, იოზისთან ერთად მდივანბეგ ორბელიშვილის დაკვეთით ბიბლია ვადაუწერია. იმ დროს გაბრიელი სრულიად ახალგაზრდა ყოფილა. ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „ღმერთო, შეიწყალე ამისი დამწერი ცოდვილი მონა ქრისტესი, დედოფლის დეკანოზის შვილი ახალმოსწავლე მწერალი გაბრიელ...“⁴⁷. ანდერძშივე აღნიშნულია: „ღმერთო განაძლიერე ბატონი მდივანბეგი, მამა სულხანისა“.

მდივანბეგ ორბელიშვილის მოხსენიება, როგორც დამკვეთისა, საკვებით ბუნებრივია, მაგრამ აქვე გადამწერს საჭიროდ დაუნახავს იმის აღნიშვნაც, რომ „ბატონი მდივანბეგი“ სულხანის მამაა. რატომ დასჭირდა გადამწერს „ბატონი მდივანბეგის“ ერთი ვაჟის მოხსენიება, ისიც აუცილებლად სულხანისა? (მდივანბეგ ორბელიშვილს, სულხანის გარდა, ხომ კიდევ შვიდი ვაჟიშვილი ჰყავდა?!). ვფიქრობთ, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ გადამწერს ახლო მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა სულხანთან და დიდი პატივისმცემელიც ყოფილიყო მისი. სხვათა შორის, იოზი, რომელიც გაბრიელთან ერთად ხელნაწერის გადამწერად მოიხსენიება, უნდა იყოს მიქელისა და გაბრიელის ბიძაშვილი, ყაყას ძმა — იოზი. იგი ფიგურირებს აბელისა და მისი ძმების მამულის განჩინების საბუთში⁴⁸.

ისტორიული დოკუმენტაცია მრავალ შემთხვევაში ერთად წარმოაჩენს ძმების — მიქელისა და გაბრიელის სახელებს. მიქელი საერო პირი ყოფილა, ხოლო გაბრიელი თავიდანვე სასულიერო პირად ჩანს. ამავე პერიოდში მიქელის საგვარეულოში, მის ბიძაშვილთა წრეში, მეორე გაბრიელიც მოჩანს, რომელიც აგრეთვე სასულიერო პირია. ქართული მწიგნობრობის საქმეში დამსახურება მიუძღვის მეორე გაბრიელსაც. ამ ორი გაბრიელის ერთმანეთისგან გამიჯნვისათვის უნდა გვახსოვდეს, რომ კარის დეკანოზის შვილი გაბრიელი (მიქელის ძმა) თავიდანვე გაბრიელის სახელით არის ცნობილი ისტორიულ დოკუმენტებში, ხოლო მეორე გაბრიელი ერისკაცობაში გარსევანი ყოფილა და დოკუმენტებში გარსევანყოფილ გაბრიელად იხსენიება.

* დასასრული. დასაწყისი იხ. მაცენ, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 2.

⁴⁷ H-885.

⁴⁸ სესა, ფ. 1449, საბ. № 424.

მიქელის ძმა გაბრიელი გარკვეულ პერიოდში კარის დეკანოზი გამხდარა. ვიდრე დეკანოზი გახდებოდა, იგი საბუთებში ხელმწიფის კარის მღვდლად იხსენიება. ჩვენამდე მოღწეულა გაბრიელის ხელით დაწერილი არაერთი ისტორიული დოკუმენტი, რომელთა თარიღებია 1682, 1703, 1705 და 1713 წლები⁴⁹. ამ პერიოდში გაბრიელი ჯერ კიდევ არ ყოფილა დეკანოზი. „ზე კლმწიფის კარის მღვდელს პეტრეს შვილ გაბრიელს დამიწერია და მოწამე-ცა ვარ“, — აღნიშნულია 1713 წლის საბუთში.

უფრო გვიან გაბრიელი სიონის დეკანოზად იწოდება. ასე, 1720 წლის ერთი შეწირულების წიგნის დასასრულს ვკითხულობთ: „მე სიონის დეკანოზ გაბრიელს დამიწერია“⁵⁰. ამავე წელს სიონის დეკანოზ გაბრიელს დაუწერია სხვა საბუთიც⁵¹.

1721 წელს შედგენილი ერთი ნასყიდობის წიგნის დასასრულს აღნიშნულია: „დაიწერა სიგელი ესე კელითა სიონის დეკანოზის გაბრიელისათა“...⁵²

ირკვევა, რომ სიონის დეკანოზი გაბრიელი ასრულებდა კარის დეკანოზის მოვალეობასაც. ეს ჩანს კონსტანტინე მამამად ყული-ხანის წყალობის სიგელიდან, რომლითაც მას მამულის მფლობელობა განუახლებია გაბრიელ დეკანოზისათვის⁵³. საბუთში გაბრიელს ოფიციალურად ეწოდება კარის დეკანოზი. საბუთი თარიღდება 1720—1722 წლებით.

ცხადია, ისმის კითხვა, მაინც საიდან ჩანს, რომ ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწე ორი გაბრიელისაგან კარის დეკანოზი სწორედ გაბრიელ პეტრეს შვილი (მიქელის ძმა) ყოფილა და არა გარსევანყოფილი გაბრიელი, რომელიც იესეს ძე იყო? საკითხის გასარკვევად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. იმ დროს, როცა საბუთში ერთ გაბრიელს უკვე დეკანოზი ეწოდება (სიონის ან კარის), მეორე — გაბრიელ იესეს ძე მხოლოდ მღვდლად მოიხსენიება⁵⁴. ცხადია, დეკანოზად გაბრიელ პეტრეს შვილი უნდა ვივარაუდოთ.

გარსევანყოფილი გაბრიელი ცნობილი მესტამბეა ვახტანგ VI-ის სტამბაში. მისი სახელი, როგორც მესტამბისა და ტექსტის გამმართველისა, შემოუნახავს 1716—1722 წლებში გამოცემულ ხუთ წიგნს, მათ შორის 1722 წელს გამოცემულ „უამხსაც“. გარსევანყოფილი გაბრიელი ამ გამოცემებში მოიხსენიება მხოლოდ მღვდლის და არა დეკანოზის ტიტულით, მაშინ როცა მეორე გაბრიელის 20-იან წლებში უკვე დეკანოზად ვხედავთ. ვფიქრობთ, ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ დეკანოზი გაბრიელ სწორედ პეტრეს შვილია.

იმ უდიდეს საქვეყნო უბედურებას, აღმოსავლეთ საქართველოს რომ დაატყდა თავს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს და რომელსაც ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების კატასტროფა მოჰყვა შედეგად, როგორც ჩანს, ტრაგიკული გავლენა მოუხდენია ძმების — მიქელისა და გაბრიელის პირად ცხოვრებაზეც. საფიქრებელია, რომ მიქელი მსხვერპლად შეეწირა საქვეყნო უბედურებას. მისი სახელი უკანასკნელად ერთ უთა-

⁴⁹ Ad-96021; სცხა, ფ. 1450, დავთ. 35, საბ. № 7; Sd-616; სცხა, ფ. 1449, საბ. № 1099.

⁵⁰ სცხა, ფ. 1449, საბ. № 2203.

⁵¹ სცხა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. № 7.

⁵² სცხა, ფ. 1450, დავთ. 29, საბ. № 6.

⁵³ სცხა, ფ. 1449, საბ. № 2382.

⁵⁴ სცხა, ფ. 1451, წიგნი 2ა, საბ. № 294.

რილო დოკუმენტში გვხვდება, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი სავსებით მართებულად ათარიღებს 1722—1723 წლებით⁵⁵. წიგნი თვით მიქელს დაუწერია («მე კელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს დამიწერია»). ამის შემდეგ წყდება მიქელის სახელის ხსენება ქართულ წყაროებში. ველარ ვაჟულობით მის სახელს ვერც ხელნაწერთა ბოლოს გადაწერთა ცნობებში, ვერც ისტორიულ დოკუმენტაციაში და ველარც ვახტანგ VI-ის თანმხლებ პირთა შორის რუსეთის ემიგრაციაში. გაქრა მიქელის ხსენება თვით საოჯახო საბუთებშიც, რაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. სავსებით დასაშვებია, მიქელის სახელის გაქრობა იმ პერიოდში თბილისის თავზე დატრიალებულ უდიდეს ეროვნულ უბედურებას დავეკავშიროთ. ცნობილია, რომ 1723 წელს კონსტანტინე მაჰმად ყული-ხანის სისხლიანი ავანტიურების შედეგად თბილის-ქალაქი ლეკთა სათარეშოდ იქცა. ამ წლის გაზაფხულზე მრავალჯონი იერიშისა და შიდა ღალატის შედეგად კონსტანტინემ თბილისი აიღო და აიკლო. მაჰმად ყული-ხანთან «ვახტანგის დამარცხების შემდეგ ოსმალები ქართლში შემოიჭრნენ და 1723 წლის ივნისში თბილისს მოადგნენ. კონსტანტინემ უბრალოდ დათმო ქალაქი. თურქებმა დაიპყრეს ქვეყანა და იქ თავიანთი წესრიგის დამყარება დაიწყეს»⁵⁶.

სწორედ 1723 წლის სისხლიან ტრაგედიებს ემსხვერპლა ვახტანგის სტამბაც. ვინ იცის, იქნებ ქართული სტამბის ივარყოფისავე შეეწირა ღვაწლმოსილი მესტამბე და პირველ გამოცემათა ამაღლარი მუშაკი მიქელ? იქნებ ქართულ სტამბას, მწიგნობრობის ამ ახალ დიდ კერას მხალშემართული იცავდნენ მისი მუშაკნიც და სწორედ ქართული სტამბის ჩაქცეულ კედლებთან და ცეცხლმოდებულ კარიბჭესთან დაიდგარა პირველ მესტამბეთა, მათ შორის მიქელის სისხლიც?

მძიმე ხვედრი ხედომია წილად მიქელის ძმას გაბრიელ დეკანოზსაც. იმ საშინელი რბევა-აწიოკების ეამს, თბილისს რომ დაატყდა თავს ლეკთა და ურუმთაგან, დაუტყვევებიათ გაბრიელ დეკანოზიც. სიონის დეკანოზი სწორედ სიონის აკლების დროს შეუპყრიათ. გაუტაცნიათ სიონის ღვთისმშობლის ხატიც. ხატის გატაცებისა და სიონის დეკანოზის დატყვევების შესახებ ცნობას გვაწვდის იესე ტლაშაძეც თავის „კათალიკოს-ბაქარიანში“. იესე ტლაშაძე სახელდებით არ ასახელებს, მაგრამ ხოტბით მოიხსენიებს დატყვევებულ დეკანოზს:

გაღეს კარი ციხისა, გამოსქდა ციხის თათარი,
 იმთ გატეხეს სიონი, აიკლეს ბერი ღვთათარი,
 სიონის ხატი წაიღეს, არავენ იცის სად არი,
 და დატყვევდა დეკანოზიცა, კაცი წმინდათა საღარი.

იესე ტლაშაძისავე ცნობით სიონის დეკანოზი კათალიკოსს დაუხსნია, ხატი კი დაკარგულა... იესე ტლაშაძე საქართველოდან 1724 წელს წავიდა სტამბოლს (დომენტი კათალიკოსთან ერთად). ცხადია, ხატის შემდგომი ბედის ამბავი მან არ იცის.

ამავე ვითარების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგს გვაუწყებს: «ხოლო მისცეს მამად ყული-ხანს ქალაქი და შევიდნენ ლეკნი, ივარ-ყვენს

⁵⁵ Hd-2000. იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 6. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 201.

⁵⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 420.

და მრავალნი ტყუე-ყვენეს. ეგრეთვე გამოვიდენ მცველნი ციხისა თათარნი და დაწუეს და შემუსრეს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა სიონისა... სისხლი მართალთა დაითხია ურჯულოთაგან... ქკსა ჩლკგ, ქარ. უია⁵⁷.

ამ ელტა-აწიოკების შესახებ ცნობები შემოუნახავს ისტორიულ დოკუმენტაციასაც. 1724 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...ქკა აიხრებისა ლეკთაგან სიონისა ეკლესიისა და შდ ურუმთაგან ქალაქისა და ქთლისა დაპყრობისა...“⁵⁸ ჩვენამდე მოღწეულა თვით გაბრიელ დეკანოზის ანდერძიც, შედარებით გვიან, 1737 წელს შედგენილი, რომელშიაც იგი მოიხსენებს თავისი ადრინდელი დატყვევების ამბავსაც: „... მერმე ჟამთა ვითარებისაგან და ქვეყნის არეულობისაგან ოდეს ლეკთა, ურუმთა და ყიზილბაშთა ქვეყნები მოახრეს (sic.), იმ დროს მეც ლეკთ დამპყრობეს და დღისტანში დამატყვევეს და დიდს გაჭირებაში ვიყავ და მაშინ კიდემ უფრო დიდის სასოვებით აღთქმით პირობით და გულს მოდგინებით შეეწირეთ მღთითა და წმინდის ნინოს მადლითა იმ დიდის შეჭირვებისა და გაუძლებელის ტყვეობისაგან ამ წმინდის ნინოს მადლით დეიხსენ...“⁵⁹ მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგრძნობა ერთგვარი წინააღმდეგობაც მოყვანილი დოკუმენტისა და იესე ტლაშაძის ცნობებს შორის. დოკუმენტის ცნობით გაბრიელ დეკანოზი ლეკებს შეუპყრიათ და დაღესტანში წაუყვანიათ, იქ მას დიდი ტანჯვა-განსაცდელი გამოუვლია და შემდეგ დაუხსნია თავი. იესე ტლაშაძის ცნობით კი სიონის დეკანოზი აქვე დაუხსნია დომენტი კათალიკოსს („ის ხომ ორ თუმნათ დაიხსენ, ხატი კი დაიკარგაო...“). ცხადია, უპირატესობა დოკუმენტის ცნობას უნდა მივანიჭოთ. იესე ტლაშაძეს თუმცა სცოდნია უეჭველი ფაქტი დეკანოზის დატყვევებისა, მაგრამ შესაძლოა სწორი ცნობები არ ჰქონოდა მისი განთავისუფლების შესახებ. დოკუმენტის ცნობა, რომელსაც თვით გაბრიელ დეკანოზი წერს, ცხადია, ყოვლად უეჭვოა. არც ისაა გამორიცხული, იმ საშინელ აწიოკებათა ჟამს გაბრიელ დეკანოზი ორჯერ დაეტყვევებინათ. პირველად, შესაძლოა, მართლაც დომენტი კათალიკოსს დაეხსნა იგი, როგორც იესე ტლაშაძე გვაძენობს, ხოლო მეორედ — უმძიმესი ტყვეობა ხედომოდა წილად დაღესტანში. ასეა თუ ისე, გაბრიელ დეკანოზს ბოლოს კვლავ სამშობლოში ვხედავთ. სხვათა შორის, როგორც ჩანს, მოგვიანებით დეკანოზი გამხდარა გაბრიელ იესესძეც. კერძოდ, 1748 წლის ერთ-ერთ ცნობაში მოხსენიებული გაბრიელ დეკანოზი სწორედ იესეს (და არა პეტრეს) ძე უნდა იყოს. 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილებას ხელს აწერენ ერეკლე მეფე, ანტონ კათალიკოსი, ზაქარია ხუცესი და სხვანი, მათ შორის „გაბრიელ დეკანოზი, მეფეთა მოძღვარი“⁶⁰. აქ რომ სწორედ გაბრიელ იესეს ძე იფულისხმება, ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: 1754 წელს სიონის დეკანოზი ნიკოლოზი თავის თავს გაბრიელ დეკანოზის ძედ მოიხსენიებს⁶¹. ამავე დროს იესე ოსევილის ცნობის თანახმად ნიკოლოზ დეკანოზი მისი ბიძაშვილია; ხოლო თუ ეს ასეა, ცხადია, ნიკოლოზი და იესე ძმათა შვილებად უნდა ვიგულისხმოთ. მართლაც, მათი მამები — გაბრიელი და ოსე — ძმები იყვნენ და ამავე დროს ეს პირნი იყვნენ იესე დეკანოზის ვაჟებიც.

⁵⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 503—504.

⁵⁸ სცსა, ფ. 1451, დავთ. 1,2, საბ. № 54.

⁵⁹ სცსა, ფ. 1449, საბ. № 2883.

⁶⁰ Q-412.

⁶¹ H-1246.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა (მიქელისა და მის ძმათა) ჩამოთვლის მწკრივში ისტორიული დოკუმენტაცია გაბრიელის შემდეგ დიმიტრის სახელს წარმოაჩენს. დიმიტრიც დიდად განსწავლული პირი და ძმათა მსგავსად მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა უერთგულესი ყოფილა. მას თავიდანვე არჩილ მეფის სამსახურში ვხვდავთ. არჩილს თან ჰხლებია იგი რუსეთშიაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ სწორედ დიმიტრი ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის სახელთან დაკავშირებული მასალებით ხდება შესაძლებელი გარკვევა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხისა, ქართული მწიგნობრობის ისტორიაში დიდად ნაღვაწი წრის — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა გვარის საკითხისა.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს დიმიტრის 1702 წელს გადაუწერია არჩილ მეფის მიერ რუსულიდან ქართულად ნათარგმნი „მართლმადიდებელი აღსარება“. როგორც ცნობილია, არჩილი 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთს, საიდანაც აღარც დაბრუნებულა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული არჩილ მეფე დიდ მწიგნობრულ მუშაობას აჩაღებს რუსეთში. ცნობილია, რომ არჩილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ სტამბას მოსკოვში და არჩილის ქართულ სტამბაში 1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“. ცხადია, არჩილს უნდა ჰყოლოდა ერთგული და დიდად განათლებული მწიგნობარი თანამეწეენი, სტამბის განსწავლული მუშაკნი, სარედაქციო საქმეში მისი შემეწეენი. საფიქრებელია, რომ სწორედ ერთი იმათგანი უნდა ყოფილიყო ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი დიმიტრიც, მიქელის ძმა. დიმიტრის მიერ გადაწერილ ხელნაწერს („მართლმადიდებელი აღსარება“), შემდეგი ანდერძი დაუცავს: „ადიდე ღმერთო ორსავე ცხოვრებასა ძე მეფის ვახტანგის, მეფე მორწმუნე პატრონი არჩილ, რომელმან იწება წიგნისა ამის რუსულისგან ქართულად გარდმოლება, თუთ იყო კეთილად წიგნისა ორსავე ქართულისა და რუსულისა სწავლულ და მთარგმნელ. დაიწერა ქორანიკონსა დასაბამითგან აქამდე გარდასრულსა წელსა შვიდათას ორას ათასა, კელითა ფრიად ცოდვილისა კარის დეკანოზის შვილის დიმიტრისათა, ქალაქსა დიდსა მოსკოვს, მპყრობელობასა პეტრე ალექსი შულისასა“⁶².

დიმიტრის გადაუწერია აგრეთვე „დავითნიც“⁶³. ვინაიდან 1705 წელს სწორედ „დავითნი“ დაიბეჭდა არჩილის სტამბაში, საფიქრებელია, რომ ამ ფაქტისაგან შორს არ იქნებოდა მოსკოვში არჩილთან მყოფი „დავითნის“ გამამწერი და, მაშასადამე, სარედაქციო სამუშაოებისათვის ყველაზე უფრო შესაფერი პირი — ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი დიმიტრი. ანდერძი ხელნაწერისა გვამცნობს: „სრულიქნა წმიდაი ესე დავითნი კელითა ფრიად ცოდვილისა ქართველის ბატონის შანაოზისი დეკანოზის შვილის სწლით დიმიტრისითა“. ამრიგად, თუ თბილისში ვახტანგ მეექვსის სტამბაში სწავლულ თანამშრომლად, რედაქტორ-კორექტორად ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი გვევლინება, გვაქვს საფუძველი უფრო ადრე მოსკოვის ქართულ სტამბაში არჩილის თანამეწეეთა შორის მიქელის ძმა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი დიმიტრი ვივარაუდოთ.

1703 წელს დიმიტრის „სამოციქულო“ გადაუწერია. სწორედ ამ ხელნაწერს შემოუნახავს ანდერძი, რომელიც გვამცნობს ხელმწიფის კარის დე-

⁶² H-83.

⁶³ S-3626.

კანონის შეიღობა გვარს. ნათელი ხდება გვარი მიქელ რუსთველოლოგისაც და ქართული მწიგნობრობის ისტორიაში დიდად ამაგდებული წრის, ქართული სტამბის მესაძირკვლეთა ერთი წრისაც.

ხელმწიფის კარის დეკანოზის შეიღობა გვარად კავკასიძენი ყოფილან. ამის შესახებ ცნობა მოწოდებულია თვით ხელმწიფის კარის დეკანოზის შეიღობის დიმიტრის ანდერაში, მაგრამ ვიდრე წინასწარ არ გამოკვეთილით ამ დიმიტრის ვინაობას, საერთოდ მიქელის ოჯახის წევრთა — მამისა და ძმათა სახელებსა და ტიტულაციას, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა მათი გვარის დადგენაც. შესაძლებელი ვახდა მოძიება ცნობისა, სადაც აღნიშნულია ხელმწიფის კარის დეკანოზის შეიღობის დიმიტრის გვარი, მაგრამ ამ ცნობას მხოლოდ მაშინ ენიჭება გადაამწყვეტი მნიშვნელობა მიქელის გვარის გასარკვევად, როცა წინასწარ დოკუმენტურად დადგენილია, რომ საქმე სწორედ მიქელის ძმას დიმიტრის შეეხება და არა იმავე პერიოდში მოღვაწე ამავე სახელის მქონე სხვა რომელიმე პირს. იგივეობის ნიშნის დასმა ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენიებულ პირთა შორის უდიდეს და უჩინარ წინასწარ სამუშაოს გული-სხმობს. ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგ კი სრულიად უეჭვო ხდება ხელმწიფის კარის დეკანოზის შეიღობა გვარი — კავკასიძე.

„სამოციქულოს“ შემდეგი ანდერაძი შემოუნახავს. „დიდებაი ღმერთსა ყოვლისა არარსისა დამაარსებელსა, რომელსა ძლით სრულ ვყავ წმიდაი ესე წიგნი აპოსტოლე (!) აღწერა საქართველოს ჯელმწიფის კარის დეკანოზის პეტრეს შეიღობან, ფრიად ცოდვილმან და ყოველთა მწერალთა უმრწემესმან, კავკასიძემ დიმიტრემ ქალაქსა დიდსა სამეფოსა მოსკოვს, მპყრობელობასა პეტრე აღექსის შეიღობისასა, ქკს ტყა, ნოენბრის გასულს ით“⁶¹. ცნობაში წარმოჩენილია მიქელის ოჯახის სრული ტიტულაცია („საქართველოს ჯელმწიფის კარის დეკანოზის პეტრეს შეიღობან“) და, ცხადია, საძიებელი გვარიც ყოველად უეჭვოა.

ახლა, როცა ხელმწიფის კარის დეკანოზის შეიღობა გვარი ნაპოვნია, შესაძლებლობა გვეძლევა თვით კავკასიძეთა დოკუმენტური მასალებით შევამოწმოთ დასკვნათა სისწორე. გარდა ამისა, ნათელი ეფინება ლიტერატურის ისტორიისათვის დიდად საინტერესო და დღემდე გაურკვეველ ორ საკითხსაც. ერთი — ირკვევა ზუსტი ვინაობა და მთელი სისრულითაც წარმოჩინდება ბიოგრაფიული პორტრეტი XVIII საუკუნის ისტორიულ დოკუმენტაციაში მრავალგზის სახელდებული პირის, ცნობილი მწიგნობრის, გადამწერისა და რედაქტორის, მუხრან-ბატონ ბაგრატიონთან კარზე დიდად ნამსახურის, ვახტანგ VI-ისა და ბაქარის მდივნის, მათივე ამაღლის წევრის რუსეთს და იქ მწიგნობრული საქმიანობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის — მელქისედეკ კავკასიძისა. ამგვარად, ჩვენს ცოდნაში აღსდგა ნათესაური ხაზი XVIII საუკუნის ორი მწიგნობრის — მიქელ და მელქისედეკ კავკასიძეებისა. მელქისედეკი მიქელის ძმისწული და მისი ოჯახის გაუყრელი წევრია.

ზემოთ მიქელის ოჯახის საბუთებში მრავალგზის წარმოვაჩინეთ მელქისედეკი.

ვიცოდით ისიც, რომ მელქისედეკი იყო მიქელის ადრე გარდაცვლილი ძმის, აბელის ვაჟი.

⁶¹ H-971.

ამავე დროს დამოუკიდებლად ამისგან ცნობილი იყო ვახტანგ VI-ისა და ბაქარის კარზე დიდად წარმოჩენილი მდივან-მწიგნობარი, შემდეგ მათივე თანმხლები რუსეთის ემიგრაციაში, ბაქარის შვილის — ლევან ბატონიშვილის აღმზრდელ-მასწავლებელი, გადამწერი და რედაქტორი მელქისედეკ კავკასიძე. მაგრამ საკითხის არსი მაინც გაურკვეველი რჩებოდა. ამ ორ პირს, ორ მელქისედეკ შორის იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლებელი იყო, ვიდრე მიქელის გვარს, მისი ოჯახის ისტორიასა და მის წევრთა ბიოგრაფიულ პორტრეტებს არ გამოვკვეთდით. ახლა საესებით აშკარაა — მელქისედეკ კავკასიძე მიქელის ოჯახისა და თვით მიქელის მიერ შეილად აღზრდილი პირია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მიქელი და მელქისედეკი არა მხოლოდ ერთი ოჯახის წევრნი, არამედ ერთი მწიგნობრული სკოლის წარმომადგენელიც უნდა იყვნენ. რაკი ობლად დარჩენილი ბავშვი შვილივით აღუზრდია მიქელის ოჯახს, ე. ი. ბიძებს, საფიქრებელია, პირველი მწიგნობრული წვრთნაც სწორედ მიქელის ოჯახში, შესაძლოა თვით მიქელისაგანაც მიეღო. ყოველ შემთხვევაში, რედაქტორულ საქმიანობაში მელქისედეკის პირველ მწვრთნელად უთუოდ ბიძა მიქელი უნდა ვივარაუდოთ. ამდენად, ცხადია, საესებით საფუძვლიანია მათი რედაქტორული მეთოდის ერთგვარობაზე ყურადღების გამახვილება. თავისი რედაქტორული მეთოდის შესახებ ზოგიერთ ცნობას თვით მელქისედეკი გვაწვდის. ცხადია, ამ მეთოდის შემუშავების საქმეში ივარაუდება მიქელის ღვაწლიც. ამიტომაც, ვფიქრობთ, მელქისედეკის რედაქტორული მეთოდის წარმოჩენა შესაძლებლობას მოგვცემს თვით მიქელის რედაქტორული მეთოდის შესახებაც გავითვალისწინოთ ზოგი რამ.

მეორე საკითხი, რომელსაც ნათელი ეფინება ხელმწიფის კარის დეკანოზთა და მათ მემკვიდრეთა ვინაობის გარკვევის შემდეგ, იესე ოსეშვილის გვარის საკითხია. აშკარა ხდება, რომ იესე ოსეშვილი, ავტორი XVIII საუკუნის ცნობილი მემუარული თხზულებისა, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს დიდად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროსაც შესაბამისი ეპოქისა, გვარად კავკასიძე, ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახური წრის ერთ-ერთი გვიანდელი წარმომადგენელი ყოფილა. ამ საკითხის გარკვევა დიდად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიქელის ოჯახურ-ნათესაური წრის გამოკვეთის თვალსაზრისით, არამედ თვით იესე ოსეშვილის თხზულების ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებითაც. როცა ნათელი ხდება იესე ოსეშვილის წინაპართა გვარი და ვინაობა, მათი პოლიტიკური პოზიციები ისტორიულად, სხვა ფასი ედება თვით თხზულებაში წარმოდგენილ არაერთ ცნობასაც. ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, ახლა კი გადავხედოთ საკუთრივ კავკასიძეთა ისტორიულ საბუთებს და ვნახოთ, მოიხსენიებიან თუ არა ამ გვართ მიქელის წინაპარნი. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: მიქელის წინაპართა, კერძოდ, მისი მამის (პეტრეს) და ბიძის (დავითის) გვართ მოხსენიება საბუთებში ძალიან იშვიათია, რადგან გვარის მაგივრობას მათ უწყევლათ მყარად გამოკვეთილი ტიტული — ხელმწიფის კარის დეკანოზი. მაინც იძებნება ზოგიერთი საბუთი, რომლებიც სწორედ კავკასიძის გვართ მოიხსენიებს ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის წევრებს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიქელის მამის, პეტრე დეკანოზის უწინარეს ხელმწიფის კარის დეკანოზი ყოფილა მისი უფროსი ძმა დავითი. აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა ერთ-ერთი

ბიძა დავითის უფროსი ძმა მოსე. და აი, იძებნება საბუთები, რომლებიც კავკასიის გვარით მოიხსენიებს სწორედ ამ პირთ.

ჩვენამდე მოღწეულა დედანი XVII საუკუნის ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტისა, რომელშიაც სახელდებით იხსენიება „ბატონის კარის ხუცესი“ დავით კავკასიძე. 1667 წელს („ტნე“) დავით კავკასიძე წერს ოთარ არაგვის ერისთავის ერთ საბუთს. საბუთის ბოლოს შემონახულა ცნობა: „დაიწერა მტკიცე და შეუცვალბებელი ესე სიგელი ქქსა ტნე კელითა ბატონის კარის ხუცესი კავკასიძის დავით მღდლისითა“⁶⁵. სრულიად უეჭვოა, რომ საქმე სწორედ მიქელის ბიძას, პეტრე დეკანოზის უფროს ძმას, დავით კავკასიძეს შეეხება. 1667 წელს, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სწორედ დავითი იყო ხელმწიფის („ბატონის“) კარის დეკანოზი.

ოთარ არაგვის ერისთავი, ვის საბუთსაც დავით კავკასიძე წერს, ვახტანგ V-ის უერთგულესი პირი ყოფილა. სწორედ მას ეყრდნობოდა მეფე ზაალ არაგვის ერისთავთან დაპირისპირების უამს. როგორც ჩანს, მეფის უერთგულეს თავადებთან ახლო ურთიერთობა ჰქონია დავით კავკასიძესაც.

ერთ-ერთ საბუთში კავკასიძის გვარით მოიხსენიება დავით და პეტრე დეკანოზთა ადრე გარდაცვლილი ძმა — მოსეც. იმავე საბუთიდან ირკვევა, რომ მათ ადრე ჰყოლიათ კიდევ ძმა საბაც, რომლის შვილებია იოვანე და სესია: „ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალბებელი ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვიტ ჩვენ კავკასიძემ მოსემ, ჩემა ძმისწულმა საბას შვილმა იოვანემ და სესიამა... და მე ბატონის დედოფლის შინაყმას მთავარდიაკონ იოკიმეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი“⁶⁶.

საბუთი უთარილოა, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ იგი XVII საუკუნის პირველ ნახევარში, შუა წლებამდე შედგენილი უნდა იყოს. ამას შემდეგი ფაქტორი ადასტურებს: საბუთის გამცემი მოსე კავკასიძეა, იგი კი 1651 წელს უკვე გარდაცვლილი ჩანს. ზემოთ მოვიყვანეთ მარიამ დედოფლის მიერ ხელმწიფის კარის დეკანოზის ოჯახისათვის 1651 წელს მიცემული წყალობის წიგნის ტექსტი. მასში დასახელებულია ხელმწიფის კარის დეკანოზი დავითი, მისი ძმები პეტრე, ზაქარია და მხატვარი. მოსე და საბა საბუთში აღარ მოიხსენიებიან; ცხადია, ისინი ამ დროს უკვე აღარ არიან ცოცხალთა შორის.

კავკასიძე მესხური გვარია. მოგვიანებით ისინი მესხეთიდან ქართლს გადმოსულან. კავკასიძე ძველ მთავართა გვარი ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი შრომის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „მთავართა გულთათუს“, გვაუწყებს: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან“... ჩამოთვლილია მრავალი გვარი („ბაღლუაში, რომელი იყო ლიპარიტისძე“, მარტუშისძე, კახაბერიძე, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანიძე, გამრეკელი, სამშივარი, ჩოლოყაშვილი, შარვაშიძე, ჯაყელი და სხვ.) და მათ შორის კავკასიძეც. მიქელის ოჯახის წარმომადგენლნი საბუთებში ძირითადად აზნაურებად იწოდებიან.

თავის მესხურ წარმომავლობაზე მიუთითებდა მეღქმისედეკ კავკასიძეც ერთსტროფიან ლექსში, რომელიც მას მის მიერვე გადაწერილ ვახტანგ VI-ის კრებულისათვის დაურთავს. ძველ ცნობებში იძებნება არაერთი კავკასიძე,

⁶⁵ სცხა, ფ. 1448, საბ. № 8904.
⁶⁶ სცხა, ფ. 1450, დავთ. 14, საბ. № 95.

ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის წევრებზე გაცილებით ადრე მცხოვრები პირნი, მაგრამ მათი ვინაობისა და მოღვაწეობის სახის დადგენა დღეს ვეღარ ხერხდება⁶⁷.

მმათა კავკასიძეთა, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათი სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ მათსავე გვერდით არ წარმოჩნდა ბიოგრაფიული პორტრეტი მეღქისედექ კავკასიძისა.

მეღქისედექ კავკასიძე ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილთა ოჯახის ის წევრია, რომელსაც წილად ხვდა ბოლო გზაზედაც ერთგულად ემსახურა ვახტანგ მეექვსისა და ბაქარისათვის. ვახტანგისა და ბაქარის თანმხლებ პირთა შორის რუსეთის ემიგრაციაში საფიქრებელია, რომ ვიხილავდით მიქელისა და გაბრიელის სახელებსაც, მაგრამ მიქელი ცოცხალთა შორის აღარ იყო 1724 წელს, ხოლო გაბრიელი ლეკთა ტყვეობაში იტანჯებოდა დაღესტანს... როგორც ბიძათა, ისე საკუთარი მოვალეობა მეფეთა წინაშე აღუსრულებია მეღქისედექს.

მეღქისედექ კავკასიძის სახელს დოკუმენტებში პირველად 1704 წელს ვპოულობთ („ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს, გაბრიელს, დიმიტრის, იოსებს და მეღქისედექს“⁶⁸). თარიღობრივად მეორე ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტი, რომელიც მეღქისედექის სახელს მოიხსენიებს 1712 წელს განეკუთვნება⁶⁹, ხოლო უკანასკნელად ქართული წყარო 1763 წელს წარმოაჩენს მის სახელს. რაკი აბელის ნაცვლად მიიღო მეღქისედექი მიქელის სახლმა, დოკუმენტებში მას ეწოდება არა მხოლოდ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი, არამედ პეტრეს შვილიც („... პეტრეს შვილებს მიქელს, გაბრიელს, დიმიტრის, იოსებს და მეღქისედექს...“⁷⁰). მეღქისედექი მმათა გაუყრელ ოჯახში ერთ-ერთი სამმო წილის მეთათრია.

ჩვენამდე მოღწეულა მეღქისედექ კავკასიძის ბრწყინვალე კალიგრაფიული ხელით დაწერილი მრავალი ისტორიული საბუთი, მათ შორის სამეფო სიგელებიც. მეღქისედექის ხელი წააგავს მიქელის ხელს, მხოლოდ უფრო სტილიზებულია.

მეღქისედექ კავკასიძე ვახტანგ VI-ისა და ბაქარის სამეფო კარზე დიდად პატივდებული პირია. 1724 წელს მას მდივნობა მიუღია. შემონახულა ვახტანგ VI-ის სიგელიც, რომლითაც იგი მდივნობის სახელის სწყალობს მეღქისედექ კავკასიძეს: „ნებითა და შეწვენითა ღმთისათა ჩვენ ღმთივ აღმატებულმა ღმთივ დამყარებულმა და ღთივ ცხებით გვირგვინოსანმა იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოიანმა და ყოვლისა საქართველოსა თვითმპყრობელმან მეფეთ მეფემ პატრონმა ვახტანგ და თანამეცხედრებმა ჩვენმა ჩერქეზთ ბატონის ასულმა დედოფალთ დედოფალმა პატრონმა რუსუდან, პირმშომა და სასურველმა ძემან ჩვენმან პატრონმან მეფემ ბაქარ და პატრონმა გიორგიმ ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და ყოვლითურთ უცვალბელი და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობისა მამულისა და სახელის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენსა ერთგულსა და წე-

⁶⁷ იხ. მინაწერები A-97 და A-144 ხელნაწერებისა.

⁶⁸ Qd-9604.

⁶⁹ Hd-842.

⁷⁰ Qd-961.

სისაებ ნამსახურსა და მრავალ გვარად გარჯილსა ყმასა კარისა ჩვენისა დეკანოზის შვილს აზნეურიშვილს კაცკასიძეს აბელის შვილს მელქისედეგს და მასა შენსა გიორგის... შეგიწყალეთ და გიბოძეთ სახელო ჩვენის კარის მდივანობა და ჩვენი სახასო არადეთს გლეხები... ქკს უიდ ქრისტეს აქათ ჩღვე-ვახტანგ. რუსუდან⁷¹.

მელქისედეკის პიროვნების გასათვალისწინებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაქარის 1728 წლის წყალობის სიგელი. ამ სიგელს შემოუნახავს ზოგიერთი მეტად სინტერესო ცნობა მელქისედეკის ბიოგრაფიის შესახებ. ირკვევა, რომ მელქისედეკი სიყრმიდანვე ბაქარის უახლოესი პირი, მისივე თანშეზრდილი ყოფილა. ცხადია, იგულისხმება, რომ ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის წევრები დაახლოებულნი უნდა ყოფილიყვნენ სამეფო ოჯახის წარმომადგენლებთან. მიძიე ვითარებასა და შეჭირებებაში მელქისედეკი ყოფილა ბაქარის განუყოფელი მზღებელი. ამ დოკუმენტში ერთხელ კიდევ ვპოულობთ იმის დადასტურებას, რომ მელქისედეკის ოჯახის წევრები (ე. ი. მამა-პაპა და ბიძანი) თავიდანვე უერთგულესი მისანდონი ყოფილან მუხრან-ბატონ ბაგრატიონებისა. საბუთში აღინიშნება თვით არჩილ მეფის წყალობაც ამ ოჯახის მიმართ⁷²: „ნებითა და შეწევითა ლთისათა... მეფემ ბატრონმა ბაქარ და მამან ჩუენმა ბატონიშვილმა ბატრონმა გიორგიმ ესე ამიერ უკუნისამდე ქამთა და ხანთა საბოლოთ გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი მამულისა და წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერთგულსა და მრავალგვარათ გარჯილსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურსა და სიყრმითგან ჩუენს თანშეზრდილს და კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრად დადგინებულსა კაცკასიძეს, მდივანს მელქისადეგს და მასა შენსა გიორგის და ყოველთავე მამავალსა თქუენსათა მას ქამსა, ოდეს ხონთქარმა გუძლია და ქვეყანასა ჩუენსა თურქმანთ დაიბანაკეს, ჩვენ თვისთა ტახტსაპატრონოთა განკიდე ვიქმენით და ლთისაგან სამართლად დიდად ამაღლებულსა ძლიერსა და უძლეველსა კელმწიფეს რუსეთისა და სრულიად ჩრდილოეთის თვით მპყრობელს იმპერატორს პეტრე ალექსიშვილს ვეხმენით, წავედით და პეტრებრუსს იმპერატორის ეკატორინეს ვიახელით. მან შვილურად შეგიწყნარა და დიდათ გვითვისა, შენ ჩუენი კარის მდივანი მელქისადეგ თან გვიახელი პეტრებრუსს და რაც ოდენ ძალი გეღვა დიდათ ერთგულად გაი-სარჯე და გემსახურე და ამას წინათ კიდევ რაქასაც გუახლდი და როდესაც გაგუიჭირდა, არას დროს არ გაგვეყრიხარ... და თქვენის მრავლის ნამსახურების სამუქფოთ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენი სახ[ა]სოთ ყოფილი თქუენი და არადელთ სამკვიდროთ ნაქონი და არჩილ მეფისგანაც თქუენად ნასამ[ა]რთლად გან[ა]ჩენით ნაბოძები... რაც ჩუენი სახასო ყოფილა და პირველიდგან თქუენთა და არადელთ ნაქონი, აგრეთვე შეგიწყალეთ და გიბოძეთ ფრონეს გადმოღმართ ჭალა... ქკს უიდ, მაისს 8. მეფე ბაქარ“.

მეფეთათვის თავშეწირულ მელქისედეკ კაცკასიძეს, როგორც ჩანს, პირადი ცხოვრება არც ჰქონია. დოკუმენტებში არ მოჩანს, რომ მას საკუთარი ოჯახი ჰქონოდა. ვახტანგის ამაღლის წევრთა სიიდან ირკვევა, რომ მელქისედეკი მარტო ერთი მსახურის ამარა ხლებია ემიგრაციაში მეფეს⁷³. არც სამ-

⁷¹ სცსა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. № 132.

⁷² Qd-9605. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება პირი აღნიშნული დოკუმენტისა, დედანი დაუტლია ოქსფორდში. იხ. Qd-9602-9611.

⁷³ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 133.

შობლოში დარჩენია მელქისედეკს ცოლ-შვილი. უფრო გვიან მის დოკუმენტებში შეიღობა ნაცვლად ძმისწულნი — გიორგის შვილები დავითი და აბელი იხსენებან. მელქისედეკი ბოლომდე მარტო დარჩენილა და ბაქარის შვილთა აღზრდისთვის შეუწირავს დღენი. სიცოცხლის ბოლო ხანა, მოხუცებულობის ეპი კი მოუშხამა ბაქარის ვაჟის, თავისი ვაზრდილის ლევან ბატონიშვილის უდროო და უეცარმა გარდაცვალებამ.

ტრაგიკულ ყოფაში განვლო ვახტანგის ამალის წევრთა, მათ შორის მელქისედეკ კავკასიძის ცხოვრებამაც ემიგრაციაში. სამშობლოს სევდა მძიმე ლოდად აწვთ ამალის წევრებს, ცრემლმა იძალა მათ პირად ცხოვრებასა და მწიგნობრულ ღვაწლშიც. თვალსა და ხელს შუა გაუქრათ ჯანის სიმრთელე, სულიერი მხნეობა, იმედი და რწმენა, საბას ლექსიკონის თავის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში მელქისედეკი გვაუწყებს, რომ მწიგნობრული საქმიანობა ერთგვარ საშუალებად დაუსახავს „სევდისა გასაქარებლად“⁷⁴. მაგრამ აღარაფერს შეეძლო მისი უმძიმესი სულიერი განწყობილების განქარვება. მრავლის მთქმელია ის ფაქტიც, რომ თვითმობხსენებისას თავის მყარ, ლამის განუშორებელ ეპითეტად მელქისედეკს აურჩევია „უნდო“ (უნდო — „არად საკმარი“ — საბა). ეს სიტყვა წარმოაჩენს გაწამებულ ადამიანს, რომელსაც ბედმა სამშობლოსგან მოწყვეტაც არგუნა ხვედრად. მელქისედეკ კავკასიძეს, ისე როგორც მრავალ სხვათაც მის ბედში მყოფთ, არად სახმარად ესახება თავისი ყოფა სამშობლოსაგან მოწყვეტით.

მელქისედეკის ხელით დაწერილა მრავალი ისტორიული დოკუმენტი⁷⁵. მასვე გადაუწერია არაერთი ხელნაწერიც, კერძოდ: Q-548, ვახტანგ VI-ის კრებული (XVIII ს.), „ზრძანებითა მეფეთ-მეფისა პატრონისა ვახტანგისათა“⁷⁶. S-4500, ვახტანგ VI-ის ლექსები და პოემები, 1723 წ.; A-74, პროკლე დიადოხოსი, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთის მეტყუჟლებითნი, 1731 წ.; H-621, მოკლე სიტყვიერება სოგრატისა, ბაქარ მეფის დაკვეთით, 1745 წ.; H-1736, საბას ლექსიკონი, 1756 წ.

უკანასკნელად, 1763 წელს, უკვე მხცოვან მელქისედეკ კავკასიძეს გადაუწერია თავისი ვაზრდილის, ლევან ბაქარის ძის მიერ თარგმნილი მსოფლიო ისტორია. ესაა მელქისედეკის უკანასკნელი ნაღვაწი. თავისი შრომის დასრულების შემდეგ მალევე ლევან ბატონიშვილი მოულოდნელად გარდაცვლილა. მისი გარდაცვალება უდიდესი ლახვარი ყოფილა მელქისედეკისათვის და შესაძლოა, ამ ტრავმამ დააჩქარა კიდევ თვით მელქისედეკის გარდაცვალებაც. სწორედ 1763 წლიდან ქრება მელქისედეკ კავკასიძის სახელის ხსენება ქართულ ხელნაწერებსა თუ ისტორიულ დოკუმენტაციაში.

თავის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში მელქისედეკი გვაწვდის ორიოდ ცნობას, რომლებიც მეტად საინტერესოა მისი, როგორც ტექსტთა გადაწერ-გამმართველის, მეთოდის გასათვალისწინებლად. კერძოდ, საბას ლექსიკონის მის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში მელქისედეკი გვაუწყებს: „სრულიქნა სიტყვის კონა ესე წიგნი რომელ არს ლექსიკონი ქეს

⁷⁴ H-1736.

⁷⁵ სცა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. № 135; ფ. 1450, დავთ. 10, საბ. № 1071; ფ. 1448, საბ. № 5650; ფ. 1448, საბ. № 105 და სხვ. იხ. აგრეთვე: დოკუმენტები, საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 6. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, № 311; იქვე, № 316.

⁷⁶ ეს კრებული დაელო საფუძვლად ვახტანგ VI-ის ლექსებისა და პოემების გამოცემას ალ. ბაჩაიძის რედაქციით 1947 წელს.

აქათ 1756... კელითა უნდოს მდივნის კნიაზ მელქისედექ კავკასიძისათა სევედისა გასაქარებულად თუთ საბას უქანასკნელს დანარჩომს ლექსიკონზედ დიდის სიფრთხილითა გარდაწერილი, და ამის გამო შენდობის წყალობას ვმოქენოვბ თქვენ მიერ უფალნო ჩემნო, ვინცა ამიზეზა მიზეზი, მიზეზად პოვა მიზეზი...⁷⁷ როგორც ვხედავთ, ანდერძში საგანგებოდ აღნიშნულია, თუ რაოდენ „დიდის სიფრთხილით“ ეკიდებოდა მელქისედექ კავკასიძე ტექსტის გადაწერის საქმეს. ამ თქმით სავსებით აშკარა ხდება ტექსტთა გადაწერა-გამართვისას მისი დიდი პასუხისმგებლობითი შეგნება.

ლევან ბაქარის ძის მიერ თარგმნილი მსოფლიო ისტორიის ანდერძში მელქისედექ აღნიშნავს: „... მე მონასა მისსა, ნეტარ ხსენებულის მამის მათის ბრძანებისაგერ ზედამხედველად დადგინებულს მათის სწავლისათვის, მათის სიმაღლის მამა-პაპის მდივანს მელქისედექ კავკასიძეს მებრძანა სასასჯლონი სასჯელნი და აღმძრნა მისმან კეთილნაყოფიერობისა გამო ბუტყუნამან და რაც ოდენ ძალ-მედვა ვიმუშავე მცხოვანებისა ეამსა, ვინათგან თუისნი ნამუშავევის ნუსხანი გარდასაწერ გასამართავად მეზოძა და აღვსწერენ 65 რვეულნი... ხოლო აწ მწადს სამწუხარონი სიტყუისა მოხსენებანი. ოდეს განასრულა წიგნი ესე ყოვლითურთ, ანაზდათ მიგეტაცნა უხვაიწმომან და ყოველთა შეუწყალებელმან სიკუდილმან ყოვლით სრული და ძვირფასი იგი საუნჯე 1763, ივლისის 23, წლისა 35...“⁷⁸.

ამგვარად, ლევან ბატონიშვილს მელქისედექ კავკასიძისათვის დაუვალეზია არა მხოლოდ გადაწერა თავისი ნამუშავევისა, არამედ გამართვაც, ე. ი. სარედაქციო სამუშაოები („... გარდასაწერ გასამართავად მეზოძა...“). ანდერძისავც ცნობით აშკარა ხდება ისიც, რომ გამართვა აქ გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ტექნიკური მხარის მოწესრიგება. ამ აზრით განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა — „მებრძანა სასასჯლონი სასჯელნი“. ეს თქმა, ვფიქრობთ, ზედმიწევნით წარმოაჩენს, რომ ტექსტის გამართველის მელქისედექის შრომა სწავლული რედაქტორის შრომაა, რომელსაც ხელეწიფება სწორებაც სარედაქციო ტექსტისა. მოვიგონოთ მნიშვნელობა მელქისედექის ცნობაში მოხმობილ სიტყვათა: „საშველ-ი, სასჯელ-ი, სარველ-ი, სარჩელი-ი — „შვა“, „ტანჯვა“, „სატანჯველი“, სამართალი, სამსჯავრო, განაჩენი, „მსჯავრი“, „მშჯავრი“, „დასჯა“⁷⁹. როცა ამ მნიშვნელობებს ვითვალისწინებთ, სრულიად აშკარა ხდება მელქისედექ კავკასიძის ცნობაში მოხმობილი თქმის („სასასჯლონი სასჯელნი“) აზრიც: მელქისედექისათვის, როგორც ტექსტის გამართველისათვის, უბრძანებიათ სჯა, განსჯა, მსჯავრდება, განაჩენი, მსჯავრი სარედაქციო ტექსტისა. ეს კი ნიშნავს, რომ მისთვის მიუნიჭებიათ სრული უფლებამოსილება სარედაქციო ტექსტის სწორებისავც. ცხადია, ენდობოდნენ მის ცოდნასავც და რედაქტორულ შესაძლებლობებსავც. ხოლო თუ მელქისედექს მიქელის ნამოწფარ-ვაზრდილად ვივარაუდებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგ VI-ც, ალბათ, ისევე ენდობოდა მიქელის განსჯასა და მსჯავრს, როგორც მისი შვილიშვილი ლევან ბაქარის ძე მიქელის ძმისწულის მელქისედექის აზრს.

ამგვარია ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისა და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი სურათი, რომლის აღდგენა ხერხდება ისტორიული დოკუმენტაციის მონაცემებით.

⁷⁷ H-1736.

⁷⁸ S-385.

⁷⁹ ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 317.

ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის ორი შტოსაგან ჩვენ ძირითადად პეტრე დეკანოზის შტო წარმოვაჩინეთ. თუმცა ჩვენს მთავარ ინტერესს სწორედ ეს შტო (მიქელ რუსთველოლოგის სახლი) იწვევდა, მაინც არ იქნებოდა გამართლებული აქ წერტილის დასმა. ორიოდ სიტყვა დავით დეკანოზის შტოს შესახებაც უნდა ითქვას, რათა ზოგადად მთლიანობაში წარმოჩნდეს XVII—XVIII საუკუნეთა საქართველოს ერთი დიდი კულტურული წრის — ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის ისტორია. ამავე დროს ამ შტოს ისტორია დიდ საინტერესოა იმ მხრივაც, რომ სწორედ დავით დეკანოზისა და მის მემკვიდრეთა მასალებით ეფინება ნათელი ხელმწიფის კარის დეკანოზთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხსაც. კერძოდ, ამ შტოს მასალებით ირკვევა ხელმწიფის კარის დეკანოზების დავით და პეტრე კავკასიელების მამის ვინაობა. ამ საკითხის გარკვევა კი კარის დეკანოზთა ისტორიის სხვა საკითხთა გადაწყვეტის შესაძლებლობასაც იძლევა. ნათელი ხდება თვით დავით დეკანოზის მწიგნობრული ღვაწლიც, იგი წარმოჩნდება ხელნაწერთა გადამწერადაც. კერძოდ, მას გადაუწერია „ეამნი“. ამრიგად, ირკვევა XVII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერის ზუსტია ვინაობაც. იგი კავკასიეცაა მწიგნობრული ოჯახის ერთ-ერთი წევრი, იმ დროს მღვდელი, შემდეგ კი დეკანოზი დავითია.

ამავე შტოს მასალებით ცნობილი ხდება იესე დეკანოზის წარმომავლობაც. უეჭოდ ირკვევა, რომ იგი ხელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახის მემკვიდრეა, შთამომავალია იოკიმე დეკანოზისა, და რამდენადაც იესე დეკანოზი პაპა იესე ოსეშვილისა, მაშასადამე, ამ უკანასკნელის წარმომავლობაც სწორედ ამ შტოს მასალებით ხდება ნათელი.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ცნობები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ XVII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძსა და მინაწერებში⁸⁰.

ხელნაწერის ანდერძი, რომელიც შესრულებულია ტექსტისავე ხელით, ვაგაცნობს: „რომელი შეიწირე მსხუშრპლად უფლისად, ეგრეთვე შეწირულ იქმნენ წინაშე შენსა ნამუშავენი ესე დღესა განსჯასა განსამართლებლად და მორწმუნეთა მეფეთა განსაძლიერებლად. მკითხველთა ჩემთა ხილვად და მშობელთა იოაკიმს დეკანოზს, ანას შესანდობელად და მღვდელს დავითს კეთილად საკსენებელად, თქუშნცა მოგეგოს, ამინ“. მინაწერებში ვკითხულობთ: „შეიწყალე, ქრისტე, მღვდელი დავით“. „მონა ღმრთისა უღირსი მღვდელობისა ძე იოაკიმ დეკანოზისა, მომლოდე ქრისტეს ძალითა მორწმუნეთა მე[ფ]ეთა განძლიერებლად... გვედარები, ღმერთო ძლიერო, აღსრულებად თხოვათა ჩემთა, დავით...“

„ქრისტე, დეკანოზს, დავითს მღვდელს მეოხ ექმენ იოკიმი[ს] ძეს“ და სხვ. ანდერძისა და მინაწერების ცნობებით სრულიად აშკარაა, რომ გადამწერი ხელნაწერისა, რომელსაც ეკუთვნის მინაწერებიც, დავით მღვდელი (შემდეგში დეკანოზი) ძეა იოაკიმ დეკანოზისა.

დავით და პეტრე დეკანოზების მამის იოაკიმ დეკანოზის შესახებ შემონახული უფრო გვიანდელი ცნობებიც (XVIII საუკუნისა), მაგრამ მათ ქვემოთ შევხებით.

⁸⁰ სცა, ხელნაწერი № 48. იხ. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, თბ., 1949, გვ. 43—44.

პეტრე დეკანოზის გარდაცვალების შემდეგ სიონის ღვთისმშობლის ხატის დეკანოზად მოჩანს მისი უფროსი ძმის დავითის ვაჟი იესე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტრე დეკანოზი 1684 წელს უკვე გარდაცვლილია. სწორედ იმავე წელს სიონის დეკანოზად იესე მოიხსენიება. იესე, როგორც ჩანს, ასრულებდა კარის დეკანოზის მოვალეობასაც, თუმცა საბუთებში ის უფრო ხშირად სიონის დეკანოზად იწოდება. პირველი დოკუმენტი, რომელშიაც იესე დეკანოზად იხსენიება, ორბელიშვილების ნასყიდობის წიგნია. იგი თვით იესეს დაუწერია 1684 წელს („მე იესე სიონის დეკანოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ ქკს ტობა“)⁸¹. შემდეგ იესე დეკანოზს ვხვდებით 1691 წლის საბუთში⁸². 1703 წელს მას დაუწერია ტფილელი მიტროპოლიტის დომენტის წყალობის წიგნი საყდრის მხატვარ გიორგისა და მისი შვილის მიქელისადმი⁸³. ეს მეორე მიქელია (მიქელ ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის თანამედროვე), რომელსაც სიონის საბუთებში ვხვდებით. თვით გიორგი მხატვარი 1716 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი „დავითნის“ თავფურცელზე სტამბის მეურნედ იხსენიება: „გაიმართა კელითა გარსევან ყოფილი მღვდლის გაბრიელისა თა ქალაქსა ტფილისისასა. დასაბამითგან ვე აქამომდე კსკდ ქრისტეს აქეთ: ჩლივ განსრულდა დავითი ესე თვესა ივნისსა, ქკსა უდ სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატვრისასა“⁸⁴.

ამ გიორგი მხატვართან დაკავშირებით უთუოდ კვლავ უნდა მოვიგონოთ მარიამ დედოფლის 1651 წლის წყალობის სიგელი. აღნიშნული საბუთი, როგორც უკვე ვთქვით, პირველი მოხსენიებაა დოკუმენტაციაში ხელმწიფის კარის დეკანოზის დავითისა და მისი ძმებისა. დავითის ერთ-ერთ ძმად სიგელში სახელდების გარეშე დასახელებულია მხატვარი. რაკი საქმე შეეხება ხელმწიფის კარისა და სიონის ღვთისმშობლის ხატის დეკანოზის ოჯახს, მხატვარი, რომელსაც ძმებთან ერთად წყალობს მარიამ დედოფალი, ცხადია, სიონის მხატვარია. აშკარაა ისიც, რომ 1703 წლის ზემოთ მითითებულ საბუთში მოხსენიებული სიონის საყდრის მხატვარი გიორგი და 1716 წელს „დავითნის“ თავფურცელზე წარმოჩენილი სტამბის მეურნე გიორგი მხატვარი ერთი და იგივე პირია. ხოლო თუ მხატვრის თანამდებობა სიონის ტაძარში მემკვიდრეობით იყო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გიორგი მხატვარი მემკვიდრეა სიონის იმ მხატვრისა, რომელიც მარიამ დედოფლის 1651 წლის წყალობის სიგელშია მოხსენიებული, ე. ი. გიორგი მხატვარი მემკვიდრეა დავით და პეტრე დეკანოზების ძმისა და ბიძაშვილია მიქელისა. თუ ყოველივე ასეა, რაც ჩვენი აზრით საეჭვო არ უნდა იყოს, მაშინ ირკვევა, რომ ვახტანგის სტამბის კიდევ ერთი მუშაკი — გიორგი მხატვარიც გვარად კავკასიძე და მიქელის მამა-პაპათა ოჯახური წრის წევრი ყოფილა.

იესე დეკანოზი საბუთებში 1712 წლამდე იხსენიება⁸⁵. მას ხუთი ვაჟი ჰყოლია: ზაქარია, გარსევან, მიქელ, ოსე და დავით. ეს პირნი სიონის მღვდლები ყოფილან.

⁸¹ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 144.

⁸² სცსა, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. № 131; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV.

⁸³ ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სიძიებელი დაურ. თო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 637, № 188.

⁸⁴ ქრ. შარაშიძე, დისხ. ნაშრომი, თბ., 1955, გვ. 201—202.

⁸⁵ სცსა, ფ. 1450, დავთ. 15, საბ. № 81; ფ. 1450, დავთ. 32, საბ. № 322. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 638, № 189; საქართველოს სიძველენი, II, გვ. 242—243.

ზაქარია იესეს ძე, როგორც გადამწერი, მოიხსენიება ქან-გულანის ან-დერშში: „უფალო აცხოვნე მწერალი დეკანოზის იესეს ძე ცოდვილი ზაქა-რია“⁸⁶.

იესეს შვილი გარსევანი, რომლის შესახებ გაკვრით ზემოთაც აღვნიშნეთ, სასულიერო ცხოვრებაში გარსევანყოფილ გაბრიელად იხსენიება. გარსევან-ყოფილი გაბრიელიც ვახტანგის სტამბის მოღვაწე კიდევ ერთი კავკასიედა. მისი ხელით გამართულა ვახტანგის სტამბის გამოცემები: „დავითნი“ (1716 წ.), „ჟამნი“ (1717 წ.), „კუროთხევანი ეკლესიისა“ (1719—1720 წწ.). „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (1721 წ.), „ჟამნი“ (1722 წ.)⁸⁷.

მიქელ იესეს ძე საბუთებში იხსენიება 1713 წლიდან. იგი მესამე მიქე-ლია კავკასიეთა გვარში. დოკუმენტებში მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გა-მიჯნული მიქელ პეტრეს შვილისა და მიქელ იესეს შვილის მოხსენიება, რაც გამორიცხავს მათი აღრევის შესაძლებლობას. პეტრეს შვილი მიქელი, რო-გორც წესი, ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილად იხსენიება, ხოლო იესეს შვილი მიქელი — სიონის დეკანოზის შვილად. 1749 წელს მიქელ იესეს ძეს ხელმწიფის კარის დეკანოზად ვხედავთ. სწორედ ამ მიქელ იესეს ძის საბუ-თებით ნათელრ ეფინება თვით იესე დეკანოზის ვინაობის საკითხსაც. იესე დეკანოზის ვაჟი მიქელი თავის თავს ხშირად მოიხსენიებს იოკიმეს შვილის თეოდოტეს შვილად („მე კელმწიფის კარის დეკანოზის იოკიმეს შვილის თეო-დოტეს შვილს კარის დეკანოზ მიქელს დამიწერია“)⁸⁸. მოყვანილია ცნობით სრულიად აშკარაა, რომ მიქელი, რომელსაც XVIII საუკუნის 40-იანი წლე-ბის დასასრულს კარის დეკანოზად ვხედავთ, დეკანოზ იოკიმეს შთამომავა-ლია. ხოლო ვინაიდან იოკიმე დავით და პეტრე დეკანოზების (კავკასიეთა) მამაა, ცხადია, იოკიმეს შთამომავალი მიქელიც დავით და პეტრე დეკანოზების ოჯახის მემკვიდრეა. ამავე დროს დოკუმენტური ცნობებით უეჭვოდ ირკვე-ვა ისიც, რომ მიქელ დეკანოზი იესე დეკანოზის ერთ-ერთი ვაჟია. ეს დასტურ-დება იესე ოსეშვილის თხზულებიდანაც. იესე ოსეშვილი მიქელ დეკანოზს ბიძას უწოდებს, ე. ი. მიქელ დეკანოზი ოსეს ძმა და იესე დეკანოზის შვილია. მამასადამე, თვით იესე დეკანოზიც იოკიმეს შთამომავალი, ე. ი. გვარად კავ-კასიედი ყოფილა. იოკიმეს შვილის თეოდოტეს შვილებად, ან მარტივად იოკი-მეს შვილებად (სადაც „შვილი“ შთამომავლობითი შტოს აღმნიშვნელია) სა-ბუთებში ზოგჯერ იწოდებიან სწორედ იესეს შვილები. იგივე მიქელიც, რო-მელიც მითითებულ საბუთში იოკიმეს შვილის თეოდოტეს შვილს უწოდებ-და თავს, სხვა საბუთში წერს: „და მე ქართველის ბატონის კარის დეკანოზის იოკიმეს შვილს მიქელ მღვდელს დამიწერია“⁸⁹. სინამდვილეში კი ეს მიქელ მღვდელი (შემდგეში — მიქელ დეკანოზი) შვილიშვილის შვილია იოკიმესი და არა შვილი. რაც შეეხება იოკიმეს შვილ თეოდოტეს ვინაობას, იგი უნდა იყოს ან მართლაც შვილი, ან შვილიშვილი (ე. ი. „შვილი“ შთამომავლობითი შტოს გაგებით) იოკიმესი. თუ რომელია ამათ შორის, ამის დადგენას ჩვენ-თვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

⁸⁶ A-231 (301r).

⁸⁷ ქრ. შარაშვიდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204—207.

⁸⁸ სცსა, ფ. 1450, დავთ. 3, საბ. № 10.

⁸⁹ სცსა, ფ. 1450, დავთ. 4, საბ. № 262.

იესე დეკანოზის შვილ ოსეს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები შეიძლება ამოვიკითხოთ მისივე შვილის იესე ოსეშვილის თხზულებაშიც.

იესე დეკანოზის შვილი ყოფილა მწიგნობარ-მაგალობელი დავითიც, რომელიც საბუთებში ზოგჯერ იოკიმეს შვილადაც იხსენიება (შვილი — ამ შემთხვევაშიც შთამომავლობითი შტოს მნიშვნელობით უნდა გავიგოთ), დავითი რომ ოსეს ძმა, ე. ი. იესე დეკანოზის შვილია, ამის შესახებ აღნიშნულია იესე ოსეშვილის თხზულებაშიც („მამა ჩემის ძმა იყო, დავით ერქვა სახელად“). დავითი მწიგნობარ-მაგალობლად იხსენიება 1724 წელს⁹⁰. გაცილებით გვიან, 1749 წელს მის სახელს ეპოულობთ ერთ-ერთი დოკუმენტის დასასრულს („მე სიონის დეკანოზის შვილს დავითს დამიწერია“⁹¹).

ამრიგად, ხელმწიფის კარის დეკანოზთა თანამდებობრივი ქრონოლოგია ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტურ ცნობათა მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: დავითი (1651—1673 წწ.), პეტრე (1673—1682 წწ.), იესე (1684—1712 წწ.), იესეს შემდეგ კარის დეკანოზის მოვალეობის შემსრულებლად სხვადასხვა პირთ ვხედავთ: სვიმონ ბატონიშვილის მმართველობის პერიოდში სვიმონის კარის დეკანოზი ცნობილი პოეტი იესე ტლაშაძე ყოფილა. 1724 წელს, პაპუნა დოქიძის ნასყიდობის წიგნში იესე ტლაშაძე იხსენიება ბაქარის კარის დეკანოზადაც. („...ველითა ბაქარის კარის დეკანოზის ტლაშაძის იესესითა...“)⁹². XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ერთ ხანმოკლე პერიოდში კარის დეკანოზი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იესე გარსევანიშვილი ყოფილა. საინტერესოა, რომ რუსეთის ემიგრაციაში რუსულად დედოფლის კარის დეკანოზად სვიმონ გარსევანიშვილი იხსენიება⁹³. იგი, ცხადია, იესე გარსევანიშვილის ოჯახის წევრია.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში კარის დეკანოზად გაბრიელ პეტრეს შვილიც ჩანს. მალე ის დაუტყვევებითა და მის ტყვეობიდან დაბრუნებამდე, ცხადია, სხვა პირი თუ პირნი ასრულებდნენ ამ მოვალეობას. 1749 წელს კარის დეკანოზი მიქელ იესეს ძეა. უფრო გვიან კარის დეკანოზთა ვინაობის საკითხს აღარ შევხებით. ზოგიერთი ცნობის თანახმად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კარის დეკანოზებად არა სიონის, არამედ სეგტიცხოვლის დეკანოზები მოჩანან.

ახლა ორიოდე სიტყვა ცნობილი თხზულების ავტორის იესე ოსეშვილის შესახებაც.

თვით თხზულების ცნობითაც ვიცით, რომ იესე ოსეშვილი შვილიშვილია სიონის დეკანოზ იესესი. ამაზე შორს კი იესე ოსეშვილი აღარ გვაწვდის ცნობებს თავის წინაპართა შესახებ; მაგრამ ჩვენი ძიებით გაირკვა იესე დეკანოზის (ე. ი. იესე ოსეშვილის პაპის) ვინაობა და წარმომავლობა. ჩვენი ძიების შედეგებისა და იესე ოსეშვილის ცნობათა გაერთიანებას კი ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ: თვით იესე ოსეშვილი, ავტორი თხზულებისა, შვილიშვილი იესე დეკანოზისა და შვილიშვილის შვილი დავით დეკანოზისა, გვარად კავკასიძეა და ხელმწიფის კარის დეკანოზთა განსწავლული და ამაგდებული ოჯახის ერთ-ერთი გვიანდელი წარმომადგენელია.

⁹⁰ საქართველოს სიძველენი, II, გვ. 323.
⁹¹ სცსა, ფ. 1450, დავთ. 16, საბ. № 63.
⁹² საქართველოს სიძველენი, II, გვ. 324.
⁹³ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.



როცა ყოველივე ეს აშკარა ხდება და ვითვალისწინებთ, რა ისტორიული ცნობებით უცხოვრია ზელმწიფის კარის დეკანოზთა ოჯახს, უკვე სხვა მნიშვნელობა ენიჭება იესე ოსეშვილის თხზულებაში წარმოდგენილ არაერთ ცნობასაც. პირველ ყოვლისა ვასაგები ხდება იესე ოსეშვილის თხზულებაში მეტად საკრძნობი ტენდენცია — მუხრან-ბატონ ბაგრატიოვანთა მიმართ განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემისა (მაშინ, როცა თვით თხზულება ერეკლე მეორის მეფობის ხანაში იწერება). იესე ოსეშვილის უფროსი მეგობარნი და მფარველნი სწორედ ის პირნი ყოფილან, რომლებიც თავის დროზე ვახტანგ VI-ის ერთგულნი იყვნენ. თვით დედოფალი თამარიც, ვახტანგ VI-ის ასული, დიდად მოწყალე და პატივისცემელი ყოფილა იესეს მამის — ოსესი. იესე ოსეშვილი უახლოეს პირად ყოფილა მიღებული გივი ამილახვრის ოჯახშიც. განსაკუთრებით მფარველობდა მას გივი ამილახვრის მეუღლე ბანგუა, რომელსაც დიდი სიბოთი და სიყვარულით მოიხსენიებს იესე ოსეშვილი თავის თხზულებაში. გივი ამილახვრისა და ბანგუას სახლის კარი მუდამ ღია ყოფილა ახალგაზრდა და მარტოობაში მცხოვრებ იესესათვის. მისი მატერიალურად შემწენი და უსაპიროეს რჩევა-დარიგებათა მიმცემნიც გივი ამილახვარი და ბანგუა ყოფილან. გივი ამილახვრის მეუღლე ბანგუა ვახტანგ VI-ის უერთგულესი ოჯახის შვილი იყო. იგი იყო ასული გიორგი XI-ის თანამებრძოლის და ყანდაარში დაღუპული ვახუშტი ორბელიანისა (საბას ძმისა). ბუნებრივია, რომ თავის სულიერ მეგობრებს იესე ოსეშვილი სწორედ ამ წრეში პოულობდა.

იესე ოსეშვილის განსაკუთრებული სიყვარული და ერთგულება მუხრან-ბატონ ბაგრატიოვანთა მიმართ იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ მის შესახებ ხმაც კი გაუვრცელებიათ, ალექსანდრე ბაქარის ძესთან ფარული კავშირი და მიწერ-მოწერა აქვსო. ეს კი ერეკლე მეორის მეფობის ხანაში საკმაოდ საშიში ბრალდება იყო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ხმათა შესახებ გვაუწყებს თვით იესე ოსეშვილი, მაგრამ არც ადასტურებს და არც უარყოფს მათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბრალდებას, ალბათ, გარკვეული საფუძველიც ჰქონდა.

იესე ოსეშვილის ნამდვილი გვარი დღემდე დაფარული დარჩენილა მკითხველი საზოგადოებისა და მკვლევართათვისაც. თავის დროზე ს. კაკაბაძემ გამოთქვა აზრი, რომლის თანახმადაც იესე ოსეშვილის გვარი თითქოს მიქაძე ყოფილა⁹⁴. ს. კაკაბაძის ეს აზრი გაიზიარა გ. მიქაძემაც⁹⁵. სამწუხაროდ, ს. კაკაბაძეს არ ალუნიშნავს, რომელი წყაროს ჩვენებას ემყარებოდა ამგვარი დასკვნის გამოტანისას; ზელმწიფის კარის დეკანოზთა მასალებით კი, როგორც ვნახეთ, სულ სხვა რამ ირკვევა.

იესე ოსეშვილმა, რომელსაც მოლარეთუხუცესის, მდივნის, მსაჯულის თანამდებობები ეჭირა სხვადასხვა დროს, დიდძალი მამულები შეისყიდა. იგი ვახდა მფლობელი თითქმის ნახევარი საბარათაშვილოსი (ბარათაშვილთა და სოლადიშვილთა მამულებისა). მფლობელობის მხრივ იესე ოსეშვილი თავადებს გაუთანაბრდა. ბოლოს მას თავადობაც მიუღია ერეკლე მეფისაგან.

⁹⁴ ს. კაკაბაძე, წერილი მასალები და შენიშვნები, დამატებითი მასალები მსაჯულ იესე ოსეს ძის შესახებ, საისტორიო კრებული, II, თბ., 1928, გვ. 81.
⁹⁵ გ. მიქაძე, იესე ბარათაშვილი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, თბ., 1964.

Handwritten notes in the left margin: "არა", "91", "სა-მწ-ს", "სახლ", "სახლ", "კავშირ", "კავშირ".

1764 წელს ერეკლე მეფეს შემდეგი წყალობა უბოძებია მისთვის: „ჩვენ მეფემ ერეკლემ, ესე წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენს მდივანს იესეს, ასე რომე სოლათაშვილისა და ბარათაშვილისაგან მამულები გეყიდა, ჩვენც ნება დავვირთავს, წყალობა გვიქმნია, გვიბოძებია, დავგიმკვიდრებია და სისხლიც მათი გდიოდეს“⁹⁶. იესე ოსეშვილის ვაჟიშვილს დაეთს უკვე ბარათაშვილად ვხედავთ.

ცხადია, ბარათაშვილის გვარი იესე ოსეშვილისათვის მფლობელობის შესყიდვის საფუძველზე მიღებული გვარია და არა მემკვიდრეობითი. იესეს მემკვიდრეებს სრული უფლება ჰქონდათ ეტარებინათ ბარათაშვილის გვარი. თუმცა თვით იესეს არასოდეს უტარებია იგი. ჩვენც გამართლებულად არ გვეჩვენება, როცა ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში იესე ოსეშვილს იესე ბარათაშვილად მოიხსენიებენ. ბარათაშვილის გვარი არაფერს ამბობს პირადად იესესა და მის მამა-პაპათა ისტორიულ ცხოვრებაზე. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო თხზულების ავტორი კვლავ ტრადიციულად მოვიხსენიოთ, ისე, როგორც თვით უწოდებდა თავის თავს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ძველი ცნობები დიდად ღირსეულ პიროვნებად წარმოაჩენს იესე ოსეშვილის მამას ოსე იესეს ძესაც. დიდ განათლებასთან ერთად იგი მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამოირჩეულიც ყოფილა. მის შესახებ საკმაოდ მოთხრობილია თვით იესე ოსეშვილის თხზულებაში, მაგრამ ჩვენ გვინდა დავიმოწმოთ არა თხზულების ცნობები, რომლებიც, როგორც გამოცემული ტექსტი, თავისთავადაც მისაწვდომია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ ერთი ისტორიული დოკუმენტი. იგი იესე ოსეშვილის პიროვნებას წარმოაჩენს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს შექმნილ უმძიმეს ვითარებაში. როცა თბილის ქალაქი ლეკთა და ოსმალთა სათარეშოდ იქცა, თვით სიონიც აოხრდა და მას რეალურად დაემუქრა უსაშინლესი საფრთხე მეჩეთად გადაკეთებისა, სიონის მღვდელი ოსე იესეს ძე მოწოდების სიმალლეზე აღმოჩენილა. იგი მაღალი ზნეობრივი სიმტკიცითა და თავდადებით მწედ შესდგომია სიონის გადარჩენის საქმეს.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში აღნიშნულია გივი ამილახვრის განსაკუთრებული ღვაწლი სიონის გადარჩენის საქმეში (გივი ამილახვრის ღვაწლს წარმოაჩენს ტფილელი მიტროპოლიტის დომენტის სიგელიც), მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილი არაფერს გვაუწყებს ოსე იესეს ძის ღვაწლის შესახებ ამავე საქმეში. სიონის ტაძრის გადასარჩენად ოსეს თავდადების შესახებ ცნობებს ვაოულობთ თეიმურაზ მეორის წყალობის სიგელში, რომელიც 1757 წელს არის გაცემული. ჩვენამდე მოღწეულა დედანი დოკუმენტისა, რომელშიაც ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწყენითა ღთისათა ჩვენ ღთივ აღმატებულმან, ღთივ დამყარებულმან, ღთივ ცხების ზეცით გვირგვინოსანმა იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატომიანმან მეფეთ მეფემ თვით ხელმწიფემ პატრონმან თეიმურაზ, თანა მემცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმა ანახანუმ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმა ვახტანგ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენსა დიდათ

⁹⁶ იესე ბარათაშვილის ცხოვრება - ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავათადილ იოსელიანმა, თბ., 1950, გვ. 42.

ერთგულსა და წესისებრ თავდადებით ნამსახურს სიონთა ღთისმშობლის დეკანოზის შვილს ოსეს, შვილსა შენსა ბატონის დედოფლის მოღარეთ ხუცეს იესეს და იოანეს და მომავალთა სახლისა შენისათა: ასე რომე ოდეს ოსმალთ დაიპყრეს საქართველო და ქალაქისა მრავალჯერა მოენდომებინათ სიონთა, ეკლესიის მეჩითათ შეცვლა და ხონჭრის ფარვანაც მოსულიყო, ამაზედ დიდათ გარჯილიყავ: თეთრის გაღებით დაგეხსნათ: ეს გარჯილობა რომ ენახა ტფილელ მიტროპოლიტს დომენტის სათბილელოს სახლთუხუცესობა მოეცა და გქონდა. ოდეს ჯერჩინებითა ღთისათა საქართველოს მეფედ ცხებული ექმენით და განვაგებდით ყოველსა და მოხველ და წყალობისა ჩვენსა დამტკიცებას დაგვიავენით. ჩვენც მოკითხული ვქენით, ესცანიით და შევიტყევიით რომ დიდად გარჯილიყავ და ეკლესიაზედ დიდი ჭირნახული მიგიძლოდა. ჩვენ ახლად წყალობა გიყავით და სათბილელო სახლთუხუცესობა დაგიდევით. როგორითაც პირველთ ტფილელთ სამკვიდროთ და საბოლოოთ მოეცათ... დაიწერა ბძანება და ნიშანი ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის შანირიან მარტიროზისა შვილის მდივნის ყარანისათა ოკდონბერს ოდ, ქქს უბ⁹⁷.

თვით იესე ოსეშვილის თხზულებაში აღნიშნულია: „მამა ჩემი იყო და ბიძა ჩემები მღვდელნი წმინდისა ეკლესიისა, მარადის მღვიძარენი მსახურებასა წმინდისა ეკლესიისა და მღვდელობისასა განკრძალულნი სასუფეველისა მიმსგავსებულსა ეკლესიასა შინა და შეგებულნი დღითი დღედ ანგელოზთ მსგავსითი ცხოვრებითა ცხოვრებულნი, წვრთილნი მეცნიერებითა და საფილასოფოსაოთა და საეკლესიოთა წერილთათა და მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებლობითა“⁹⁸.

როცა მთლიანობაში ვითვალისწინებთ ოსესა და მის წინაპართა ცხოვრება-მოღვაწეობასა და მაღალ ზნეობრივ მხარეს, ნათელი ხდება — შვილური მიკერძება არ ჭარბობს იესე ოსეს ძის მიერ თავის წინაპართა შეფასებაში.

ამგვარია მიქელ რუსთველოლოგის დიდი და ღირსეული ოჯახის წინაპართა თუ მემკვიდრეთა სახე. დიდად განათლებული მწიგნობარნი, ქართული სტამბის მესაძირკვეთა წრის წარმომადგენელნი (თვით მიქელი მესტამბეთ უფროსია 1712 წელს), კორექტორნი და რედაქტორნი, ხელნაწერთა გადამწერნი და ისტორიულ დოკუმენტთა, მათ შორის სამეფო სიგელთა, შემდგენელნი; აღმზრდელ-პედაგოგნი; მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწენი, გამორჩეულნი ზნეკეთილობითა და განსწავლულობით; პოლიტიკურ სარბიელზე მუხრან-ბატონ ბაგრატიონანთა უერთგულესნი, არჩილის, ვახტანგ მეექვსისა და ბაქარის თანმზღებნი ემიგრაციაში და მათი ხვედრის ერთგულად გამზიარებელნი, ქვეყნის ჭირისა და უბედურების საკუთარ ბედზეც გარდამსახველნი, — აი, მიქელის ოჯახის სხვადასხვა წევრთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი სურათი.

⁹⁷ სცსა, ფ. 1448, საბ. № 513.

⁹⁸ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 18.

Р. В. ПИРЦХАЛАИШВИЛИ

ПЕРВЫЙ ПЕЧАТНИК ПОЭМЫ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ» — МИКЕЛ

Резюме

Первый печатник поэмы «Витязь в барсовой шкуре» Микел — заслуженное лицо в истории руствелологии. Он внес большой вклад в первое печатное издание поэмы, осуществленное грузинским царем и ученым Вахтангом VI в 1712 году. Биография Микела до сегодняшнего дня не изучена. В труде, на основе данных исторической документации, рассмотрены вопросы жизни и деятельности Микела, а также некоторых других древнегрузинских книжников.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფი-
ლება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართ-
ული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა



ქალაქი დროშაწილი

„დროშა“ სიტყვის განმარტებისათვის

ძველი ალექსის წიგნებში გვხვდება სიტყვა „დროშა“. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში იგი არა აქვს შეტანილი. ილია აბულაძე თავის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ამ სიტყვას ასე განმარტავს: **დროშა** ლოდება, დაგვიანება. „ნუ ს დ რ ო ე ბ“ 0, ზირ. 18. 22; „ნულარა ჰყოვნით“ ეპ. კეპრ. დაფლვ. 99რ; „დ რ ო ე ბ ე დ გულის-სიტყუათა, რომელნი არა პატივის-ცემენ კრებულსა“ M, იგ. სოლ. 15,22; „ეპისკოპოსი ს დ რ ო ე ბ და შერისხვასა მას მისსა“ მ. ცხ. 367. **დროშა** ვადა: „უამი დროშებისაჲ მოგცეს“ H—2251, 60რ; „დ რ ო ე ბ ა ვყო... ორ უამი ოდენ“ Ath,—11, 183რ¹. ც. ქურციკიძე ამ სიტყვას ხსნის როგორც დაყოვნებას, დაცლას, გადადროშებას: „აწ შშოიერი იგი მოკვდების... და შენ მოწყალეებასა ხვალისა ა დ რ ო ე ბ ა-ა?“ 93,25; „ვის უქადებოეს შენდა სიბერედმედ დ რ ო ე ბ ა ა?“ 147,6. **დროშის-ცემა** 147,23 დაყოვნება, ძვა—ძალა: „...შენ დ რ ო ე ბ ა-ს ც ე მ და იციცხევი და განსაცდელსა მას უგრძესად მოაწევ მის ზედა“ 90, 37².

ლექსემა „დ რ ო ე ბ ა“ ინმარება ძველი ალექსის წიგნებში, კერძოდ „იობის“ და რიცხვთა წიგნებში. „იობის“ წიგნში იგი იმ მნიშვნელობით გვხვდება, რომელიც ც. ქურციკიძეს აქვს დადასტურებული, ხოლო „რიცხვთა“ წიგნში განსხვავებულ მნიშვნელობას ვადასტურებთ.

1. S. ნუ ვინ ჰგონებნ, ვითარმედ დ რ ო ე ბ ა ა არს განსაცდელთაჲ ვიეთ ზედამე არა მოიწვეის მზირი ეგვეითარი მის მიერ.

B. არავინ ჰგონებდეს, რამეთუ არს მი ი ზ ი დ ვ ა ა მკედრობათა მისი და მას ზედა არა გარდამოვიდეს მზირი მისგან.

O. ნუ ვინ-მე ჰგონებნ, ვითარმედ დ რ ო ე ბ ა რამე არს განსაცდელთაჲ ვიეთ-ზედა-მე არა მოიწვეის მზირი ეგვეითარი მის მიერ³?

ამ ი ო რ კარბხსეჲ მქ ფოცეჲ ცაყაყიმან ზისხე ნორა. ციჲ ქირაჲ ოჯ ხსისეჲ ფარანაჲყოქჩინ აა ზ ნამან⁴.

Mḡ yáḡ tēs n̄p̄oláfiō: ḡti: ḡst̄in p̄ax̄élx̄us̄is p̄air̄ax̄taíḡ; épi: t̄ínax̄ ḡḡ ḡsx̄ ép̄alēs̄set̄ax̄: énev̄er̄ax̄ p̄ax̄ḡ aḡt̄oḡ⁵ (იობ. 25, 3).

¹ ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
² ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1983, გვ. 233.
³ გამოყენებულ ხელნაწერებს აღვნიშნავთ შემდეგი ლიტურგიები: A (H—1207), B (ბაქარის მიერ გამოცემული ბიბლია), S(A—51) და O (ოშკური 978 წლის ხელნაწერი).
⁴ სომხური ტექსტი მოყვანილია წიგნიდან: **Աստուածաշունչ մատոսան Ռին և Նոր կտակարանաց...** Ի Վ.Խենտիկ, 1805.
⁵ ბერძნული ტექსტის ციტირებისას ტექსტი მოყვანილი გვაქვს გამოცემიდან: Septuaginta id est Vetus Testamentum graece iuxta LXX inter pretes, edidit Alfred Rahfs, Stuttgart, 1952.

მცხეთური ხელნაწერის „დროების“ შესატყვისად ბაქარის ბიბლიაში არის „მ ი ზ ი დ ვ ა ლ“. მიზიდვას ილ. აბულაძე განმარტავს „წაყვანა (ძალით); წაღება, წათრევა“⁶. ეს ორი სიტყვა ამ კონტექსტებში არ არის ერთმანეთის ფარ-ლი. აქ ერთი და იგივე აზრი გადმოცემულია განსხვავებული შესიტყვებებით. სომხური პარალელური ტექსტი უფრო ზუსტად შეესატყვისება მცხეთური ბი-ბლიის ტექსტს. იქ ამ სიტყვის შესატყვისად არის *լապարոմն*, რაც ნიშნავს: медление, отсрочка, медленность, замедление⁷. ამგვარად, მცხეთურ და ოშკურ ბიბლიებში ჩვენ მიერ მოყვანილი კონტექსტი ასე უნდა გავიგოთ: ნურა-ვინ იფიქრებს, რომ ყ ო ვ ნ დ ე ბ ა განსაცდელი...

2. S. B. კაცმან, რომელმან აღუთქუას ალთქუმა უფლისაჲ, ანუ ფუცოს ფიცი დ რ ო ე ბ ი თ, ანუ დ რ ო -ყ ო ს თავისა თვისისათჳს, არა განაცრუვოს სიტყუაჲ თვისი ყოველი, რადგენი გამოვლდეს პირისა მისისაგან, ყოს იგი.

A. კაცმან ძეთაგან ისრაშლისათამან, რომელმან აღუთქუას ალთქუმა უფ-ლისა მიმართ, გინათუ ფუცოს ფიცი გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ი თ, გინა გ ა ნ -რ ა მ ე -ა ჩ ი ნ ო ს სულისა თვისისათჳს, არა შეაგინოს სიტყუაჲ თვისი ყოველივე რ ო -მელი გამოვიდა პირისა მისისაგან ყოფად.

*Այր ոք այլ՝ իթէ ուխտիցէ ուխտ տեսան, կամ երջնուցու երգումն սա-
հմանաւ, կամ սահմանիցէ ինչ վասն անձին իւրոյ, մի արասցէ
ապախտ զրան իւր. այլ գամենաւն ինչ որ ելանիցէ ի բնրանոյ իւրմէ՝
արասցէ:*

Ἄνθρωπος ἀνθρώπου, ἢ ἀν εὐχεται εὐχὴν κερὶ τοῦ ἑαυτοῦ ἔργου ἢ ἐρ-
γοῦ ἑαυτοῦ ἐπεὶ τῆς ψυχῆς αὐτοῦ, οὐ βεβήλωται τὸ βῆμα αὐτοῦ·
πάντα, ἢ αὐτὸν ἐξέλεγε ἐκ τοῦ οὐρανοῦ αὐτοῦ. ποιήσει. (რცხ. 30 : 3).

3. S. უკუეთუ დედაკაცმან აღუთქვას ალთქუმა უფალსა, ანუ დ რ ო -ყ ო ს დ რ ო ე ბ ა ი სახლსა შინა მამისა თვისისასა სიჭაბუკესა თჳსსა, და ეს-მეს მამისა მას თჳსსა ალთქუმაჲ იგი მისი და დ რ ო მ ა ს ა ყ ო ფ ა ი ი გი მისი, რომელ დ რ ო -ყ ო თავსა ზედა თჳსსა, ... დეგინ მის ზედა.

B. ... და ესმეს მამასა მისსა ალთქმა იგი მისი, და დ რ ო ყ ო ფ ა, რომელ დ რ ო -ყ ო თავსა ზედა თჳსსა და დაუღუმნეს მას მამაჲ იგი მისი. და იყუ-ნენ ყოველნი ალთქმანი მისნი და ყოველნი დ რ ო ე ბ ა ნ ი მისნი, რომელ დ რ ო -ყ ო თავსა ზედა თჳსსა, დეგინ მას ზედა.

A. უკუეთუ დედაკაცმან აღუთქუას ალთქუმა უფლისა მიმართ და გ ა ნ -რ ა მ ე -ა ჩ ი ნ ო ს გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ი სახლსა შინა მამისა თვისისასა სიჭა-ლ-წულესა თჳსსა, და ესმეს მამასა მისსა ალთქუმა იგი მისი და გ ა ნ ჩ ი ნ ე -ბ ა ი, რომელი გ ა ნ ა ჩ ი ნ ა სულისა თვისისათჳს და დაიღუმოს მამამან მის-მან, ეგნენ ყოველნივე ალთქუმანი მისნი და ყოველნი გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ნ ი მისნი, რომელნი გ ა ნ ა ჩ ი ნ ა სულისა თვისისათჳს, ელიან მას.

*եւ իթէ կինք ոք՝ ուխտիցէ ուխտ տեսան, կամ սահմանիցէ սահ-
ման ինչ ի տան հօր իւրոյ ի մանկութեան իւրում, և լսիցէ հայր նորա
գոխտ նորա, և զսահմանս նորա զոր սահմանեաց զանձնէ իւրմէ,*

⁶ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი.

⁷ А. Худяков, Армяно-русский словарь, Москва, 1838.

և լսեցէ նմա հայր նորա, կացցեն ամենայն ուխտք նորա, և ամենայն սահմանքն զոր սահմանեաց զանձնէ իւրմէ՝ հաստատեցին սմա:

Ἐὰν δὲ γυθὶ ἐμῆται: εὐχῆν κἀρίφ ἦ ὀρίσῃται: ὀρίσῃδεν ἐν τῷ οἴκῳ τῶν πατρῶς αὐτῆς ἐν τῇ νεότητει αὐτῆς καὶ ἀχοῦσῃ ὁ πατήρ αὐτῆς τὰς εὐχὰς καὶ τοὺς ὀρίσμοις αὐτῆς, οὗς ὀρίσασατο κατὰ τῆς ψυχῆς αὐτῆς, καὶ παρασωπῆσῃ αὐτῆς ὁ πατήρ, καὶ στήσονται: πᾶσαι αἱ εὐχαὶ αὐτῆς, καὶ πάντες οἱ ὀρίσμοι, οὗς ὀρίσασατο κατὰ τῆς ψυχῆς αὐτῆς, μὲνοσιν αὐτῇ (რცხ. 30:4,5).

4. S. B. უკუეთუ არა თავს-დგბით არა ითავოს მამამან მისმან ღლესა მას, რომელსა ესმეს ყოველი აღთქუმად იგი მისი და დროებანი, რომელ დრო-ყუნა თავისა თვისისათუს, არა დადევინ და განწმიდოს იგი, რამეთუ არა თავს-იდვა მამამან მისმან.

A. უკუეთუ უგულგბლებით უგულგბელ-ყოს მამამან მისმან, რომელსა ღლესა ესმენ ყოველივე აღთქუმანი მისნი და განჩინებად იგი, რომელ განაჩინა სულისა თვისისათუს არა დაადგრენ და უფალმან განწმიდოს იგი, რამეთუ არა ნებბით ნებად სცა მამან მისმან.

և եթէ ոչ ათნოყო ἰανῶν ἡγίρ ἡორა՝ ἰαուր ἰორომ ἰսիցէ ἡამենայն ἰխთა ἡორა, և ἡსահამანს ἡორ ἡსահამანს ἡყ ἡანῶნէ ἡიւრმէ, ἡჩ ἡაცցენ: և ἡთერ ἡნყარათ ἡრასიցէ ἡნა, ἡჩ ἡჯ ἡა ἡანῶნ ἡაγίრ ἡორა:

Ἐὰν δὲ ἀνεσῶν ἀνεσῶσῃ ὁ πατήρ αὐτῆς, ἦ ἂν ἡμέρα ἀχοῦσῃ πᾶσας τὰς εὐχὰς αὐτῆς καὶ τοὺς ὀρίσμοις οὗς ὀρίσασατο κατὰ τῆς ψυχῆς αὐτῆς, οὗ στήσονται: καὶ κῆრიος κἀθαρῖαι αὐτῆν, ἔ: ἀνεσῶσεν ὁ πατήρ αὐτῆς (რცხ. 30:6).

5. S. B. უკუეთუ ყოფით ქმრის ცოლი იყოს იგი ბავთთა თვისთა და დროებანი იგი, რომელ დრო-ყუნა თავისა თვისისათუს და ესმეს ქმარსა მას მისსა ღლესა მას, რომელსა ესმეს მას და დაუღუმნეს მას. და ესრეთ დაემტკიცენ ყოველნი აღთქუმანი მისნი, დროებანი მისნი. რომელ დრო-ყუნა თავისა თვისისათუს, დადევინ იგი.

A. უკუეთუ იყოს იგი ქმრისა და აღთქუმანი მისნი მის ზედალა იყუნენ განჩინებისაებრ ბავთთა მისთა, რაოდენი განაჩინა და ესმეს ქმარსა მისსა და დაიღუმოს, რომელსა ღლესა ესმეს. და ესრეთ ეგნენ ყოველივე აღთქუმანი მისნი და განჩინებანი, რომელი განაჩინა სულისა თვისისათუს.

Ապա թէ լինելով լինիցի առն, և ուխտք իւր ի նմա իցեն ըստ ուխտելոյ շրթանց իւրոց, զոր սահմանեաց զանձնէ իւրմէ, լսիցէ արն նորա և լսիցէ նմա լաուր յորոմ լսիցէ, անպէս կացցեն ամենայն ուխտք նորա, և սահմանքն նորա՝ զոր սահմանեաց զանձնէ իւրմէ, հաստատեցին:

Ἐὰν δὲ γενομένη γένηται ἀνδρὶ καὶ αἱ εὐχαὶ αὐτῆς ἐπ'αὐτῇ κατὰ τὴν διαστολήν τῶν χειλέων αὐτῆς, οὗς ὀρίσασατο κατὰ τῆς ψυχῆς αὐτῆς, καὶ ἀχοῦσῃ ὁ ἀνὴρ αὐτῆς καὶ παρασωπῆσῃ αὐτῇ, ἦ ἂν ἡμέρα ἀχοῦσῃ, καὶ ἀσῆως στήσονται: πᾶσαι αἱ εὐχαὶ αὐτῆς, καὶ οἱ ὀρίσμοι αὐτῆς, οὗς ὀρίσασατο κατὰ τῆς ψυχῆς αὐτῆς, στήσονται. (რცხ. 30:7,8)

6. S, B. უკუეთუ სახლსა შინა ქმრისა თვისისასა აღთქუმა იგი იყოს, ანუ დროებათა თავისა მისისა ფიცით.

Ապա թէ ի տան առն իւրոյ իցեն ուխտք նորա, կամ սահմանն զոր սահմանիցէ կրճամար գանձնէ իւրմէ:

Ἐὰν δὲ ἐν τῷ οἴκῳ τοῦ ἀνδρὸς ἀντὶς ἢ ἐσχὴ ἀντὶς ἢ ἔρισιμὸς κατὰ τῆς ψυχῆς ἀντὶς μῆθ' ἑραίου (რცხ. 30:11)

7. S, B. ... და ესმეს ქმარსა მას მისსა და დაუღუმნეს მას და თავს-იღვას მისი, დაემტკიცენ ყოველნივე აღთქმანი იგი მისნი და ყოველნივე დროებანი იგი მისნი, რომელ დროეთთა თავისა თვისისათს და დადგენ იგინი მის ზედა.

A. ... და ესმეს ქმარსა მისსა და დაიდუმოს მისგან და არა დრო-სცეს მას და ეგნენ ყოველნივე აღთქმანი და განჩინებანი მისნი, რომელ განჩინება სულისა თვისისათს ეგნენ მის ზედა.

...և լսիցէ այր նորա և լսիցէ նմա, և անուցու նմա լանձն, կացցեն ամենայն ուխտք նորա, և ամենայն սահմանք նորա՝ զոր սահմանեաց գանձնէ իւրմէ՝ հաստատեսցին նմա:

...και ἀκούσῃ ὁ ἀνὴρ ἀντὶς και παρասωπήσῃ ἀντῆ, και μὴ ἀνυσῆσῃ ἀντῆ, και στήσονται πασαι αἱ ἐσχαι ἀντῆς, και πάντες οἱ ἐρισμοὶ ἀντῆς, οἷς ἄρισ-ατο κατὰ τῆς ψυχῆς ἀντῆς, στήσονται και' ἀντῆς (რცხ. 30:12).

8. S, B. უკუეთუ დაბრკოლებით დააბრკოლოს ქმარმან მან მისმან დღე-სა მას, რომელსა ესმეს ყოველი, რავდენი აღმოთქუა ბაგითა თვისითა მსგავ-სად აღთქმისა მის თვისისა და დროებისა მისისა თავისა თვისისათს, არა მტკიცე იყოს მისა, რამეთუ ქმარმან მისმან დააბრკოლა იგი და უფალმან განწმიდოს იგი.

A. უკუეთუ თანაწარცოდებით თანაწარცოდა ქმარმან მისმან დღესა, რომელსა ესმეს ყოველი, რომელი გამოვიდა ბაგეთა მისთა აღთქმისაებრ და განჩინებისა მისისა, რომელ აღუთქვას სულისა თვისისათს არა ეგნენ მის ზედა, რამეთუ არა ნებაა სცა ქმარმან მისმან და უფალმან განწმიდოს იგი.

Եւ եթէ իսაփանելով իսაփանեսցէ այրն նորա՝ լորոմ ատր լսիցէ գա-մենայն ինչ որ կլանիցէ ի շրժանց նորա՝ ըստ ուխտից նորա և ըստ սահ-մանացն նորա գանձնէ իւրմէ, մի հաստատեսցի նմա, զի այր նորա գանցուց, և ատր անպարս արասցէ գնա:

Ἐὰν δὲ περιεῶν περιεῶ ὁ ἀνὴρ ἀντὶς, ἢ ἂν ἡμέρα ἀκούσῃ πάντα, ὅσα ἐὰν ἐξέλιθῃ ἐκ τῶν χειλέων ἀντῆς κατὰ τὰς ἐσχὰς ἀντῆς και κατὰ τοὺς ἐρισμοὺς τοὺς κατὰ τῆς ψυχῆς ἀντῆς, οἷς μὲναι ἀντῆ, ὁ ἀνὴρ ἀντὶς περι-εῶν, και χυριὸς καθαρῖσε: ἀντῆν (რცხ. 30:13).

9. S, B. უკუეთუ დუმლით დაუღუმნეს მამა, დლითი დღედ დაამტკი-ცოს მან ყოველი აღთქუმა მისი და ყოველი დროება მისი, რომელ ყოს მას ზედა, რამეთუ დაუღუმა დღესა მას შინა, რომელსა ესმა.

A. უკუეთუ დაღუმებით დაიდუმებდეს დლითი დღედ და დაამტკიცოს მის ზედა ყოველი აღთქმა მისი და განჩინება, რომელ არს მის ზედა, დაამტკიცოს იგი, რამეთუ დაიდუმა მისთვის დღესა მას, რომელსა ესმა.



და სქმ ქსციქ ქსხეტ ზამ ირსაორქ ზასათახეტ ზამ უამხნაქნ
ოქსანს ზქრ, ხ ძვყანამანანს ლავიოხეტ ზამ, ქასან ვქ ქსხეტ ზამ
ქაქორქ ქორქ ქოაქ:

Ἐὰν δὲ σταπῶν παρὰσταπήσῃ ἀντὶ ἡμέραν ἔξ ἡμέρας, καὶ στήσῃ ἀντὶ
πᾶσας τὰς εὐχὰς ἀντὶς, καὶ τοῖς δρῶσιν αὐτὸς τὸς ἐπ' ἀντὶς στήσῃ ἀντὶ,
δύ: ἐσῶπῃσεν ἀντὶ τῆ ἡμέρα, ἧ ἡχουσεν (რცხ. 30:15).

ზემთ მოყვანილ მაგალითებში სიტყვა „დროებას“ ის შინაარსი
არა აქვს, რომლითაც იგი წარმოდგენილია ილ. აბულაძის ლექსიკონში. რო-
გორც ჩანს, მისი მნიშვნელობების წრე ამ ლექსიკონში წარმოდგენილით არ
ამოიწურება. „რიცხვთა“ წიგნის 30-ე თავში ლაპარაკია იმ წესებზე, რომ-
ლებიც ამცნო უფლმა მოსეს იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებიც უნდა
არსებობდეს ქმარსა და ცოლს შორის და მამასა და ასულს შორის, სანამ
ასული მამის სახლში ცხოვრობს.

ზემთ მოყვანილ მასალაში SB ხელნაწერებში „დროება“ ნახმარია ხოლმე
აღტქმის გვერდით და მის სინონიმად. A ხელნაწერში „დროებისა“ და „დროას
ყოფის“ შესატყვისად ყველგან არის „განჩინება“ და განჩინებას სულ-
ნან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „სამართლის დასკვნა“⁸.

ილია აბულაძის ლექსიკონში განჩინება ასე არის ახსნილი: „შეწირვა,
მიცემა, განთუხება, გამორჩევა, გამოჩინება, სჯა, ჩუენება, განსაზღვრება, გან-
წესება, დადგენა, დამტკიცება, გადაწყვეტა“⁹.

პარალელურ სომხურ ტექსტში ჩვენთვის საინტერესო „დროების“ შესატ-
ყვისად არის სიტყვა *սահման*, რომელიც ა. ხუდაბაშიანის ლექსიკონის მიხედ-
ვით ნიშნავს: Грань, межа, край, предел...; правило, закон, учреждение¹⁰.

შესაბამის ბერძნულ ადგილას იკითხება: ἡ ἄρσῃς, — რაც ი. დვორეცკის
ბერძნულ-რუსულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: 1. Разграничение; 2. Оп-
ределение; 3. условие, договор¹¹. რუსულ სათანადო ტექსტშია: Зарок.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში სიტყვა „დროება“,
„დროის-ყოფა“, იზმარებოდა აგრეთვე „განჩინების“ სინონიმად და აღნიშნა-
და „განსაზღვრებას, შემოზღუდვას, გარკვეულ საზღვრებში ჩაყენებას, გან-
წესებას გარკვეული აკრძალვების, შეზღუდვების დადებას. ბერძნული და
სომხური გვევიანულები სწორედ ამ შემოსაზღვრულობაზე მიუთითებენ.

Е. И. ДОЧАНАШВИЛИ

К ТОЛКОВАНИЮ СЛОВА «droeba»

Резюме

В статье выявляется неизвестное значение древнегрузинского слова «droeba». К уже известному значению этого слова: «ждать, опаздывать» (И. В. Абуладзе), «задерживать, откладывать» (Ц. И. Курцикидзе) автор на материале древнегрузинских текстов, а также греческой и армянской версий Ветхого завета добавляет следующее: «ограничение, накладывание определенных обязательств, ограниченный»..

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

⁸ სულხან-საბა ორბელიანის, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.

⁹ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი.

¹⁰ А. Худабашев, даსახ. ნაშრომი.

¹¹ И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Москва, 1958.

მ ა ნ ა ნ ა ზ ო ც ი რ ი ძ ე

„ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი როგორც თანამედროვე
 ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო

О. ბორის გაბონოვის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი უაღრესად საინტერესო ენობრივ მოვლენადაა მიჩნეული, მთარგმნელი კი ებრაული ენის ვირტუოზულ მცოდნედ და ჩინებულ სიტყვათმეომკმედ აღიქვამა. მან შეძლო აესახა დედნის როგორც აზრობრივი შინაარსი და ემოციური გამომხატველობა, ისე მისი სიტყვიერ-სტრუქტურული გაფორმება¹. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბ. გაბონოვმა მოახერხა ორიგინალის „ხიზლის“ დაჭერა და იმის გადმოცემა, რასაც ვ. ვ. ივანოვი „პოეტურ მოდელს“ უწოდებს: „ტექსტის პოეტური მოდელი გულისხმობს მის პოეტურ მნიშვნელობას, რომელიც არ დაიყვანება აწკარადის მნიშვნელობაზე. პოეტურ მოდელში შედის არა მხოლოდ ლექსის უშუალო შინაარსი, რომელიც შეიძლება ასე თუ ისე პროზაულადაც გადმოიყოს, არამედ ლექსის სტრუქტურის მოდელიც“².

უდავოა ნიჭიერი მთარგმნელის დამსახურება თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის გამდიდრებაში. საკმარისია დავეიმოწმოთ ის ფაქტი, რომ რუსთაველის პოემის ებრაული თარგმანის ტექსტიდან რიგი ლექსიკური ერთეულები (ასობზე 4—1) ექსცერპირებულია ებრაული ენის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ განმარტებით ლექსიკონში³, სათანადო ილუსტრაციების ჩვენებით, ხოლო გამოცემის მე-7 ტომში გაბონოვისეული თარგმანი ლექსიკონის წყაროებაშია დასახელებული.

ცნობილია, რომ თარგმნითი ხელოვნება ყოველთვის უწყობს ხელს ამა თუ იმ ხალხის ენის გამდიდრებას, მისი გამოუყენებელი რეზერვების მოხმობას. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი პოეტურ თარგმანებს უნდა ეკუთვნოდეს. პოეზია ხომ ლიტერატურული შემოქმედების ისეთი დარგია, რომელიც ენის უკლებლივ ყველა რესურსებს იყენებს⁴.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თარგმანებს ებრაული ლიტერატურისათვის. ლენინგრადელი მწერალი-ებრაისტი ა. ბელოვი წერს: „მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების სრულყოფილი თარგმანები წარ-

¹ თარგმანის ღირსებაზე ბევრი რამ დაწერია. იხ. მაგალითად, ზ. კიკნაძის ვრცელი ნარკვევი: „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 1, გვ. 32—48.

² В. В. Иванов, Лингвистические вопросы стихотворного перевода, Труды института точной механики, вып. II, М., 1964, гв. 370.

³ אֶבְרָהָם 'עֲבֵן-שֵׁן, hamilton heḥādās („ახალი ლექსიკონი“), 7. ტ., იერუსალიმი, 1974.

⁴ J. Mathews, Third Thoughts on translating poetry, „On Translation“, Cambridge, Massachusetts, 1959, გვ. 73.

მოაჩენენ ებრაული ენის ახალ, გაუხსნელ შესაძლებლობებს. ისინი ამდიდრებენ მის ლექსიკას, ფრაზეოლოგიას, ზოგჯერ გრამატიკულ ფორმებსაც კი. ამკვიდრებენ ახალ მეტაფორულ სახეებს, ახალ ტროპებს, ახალ ფრთიან სიტყვებს⁵.

1. მთარგმნელის სიტყვათშემოქმედებით შესაძლებლობებს განსაზღვრავს არა მხოლოდ მისი უნარი და ოსტატობა, აგრეთვე დედნის ენობრივი თავისებურებანი, არამედ მშობლიური ენის ხასიათიც.

ამ მხრივ ებრაული შედარებით „თავისუფალი“ ენაა, ცოცხალი, მოქნილი, ახალი სიტყვათწარმოებისათვის მრავალგვარი შესაძლებლობის მატარებელი. ლექსიკური მარაგის შევსებისას ის სულ უფრო აცნობიერებს ისტორიის სიღრმეში განფენილ თავის შრეებს, ცდილობს ზოგი გაწყვეტილი ფესვის გაცოცხლებას, ხმარებიდან განდევნილი ფორმის აღდგენას, ინოვაციის დამკვიდრებას. თანამედროვე ებრაული კვლავაც განაგრძობს ენობრივი ფორმების სესხებას მისი სიცოცხლის პირველი, ადრეული საფეხურებიდან. ასეთი ნასესხობები კი, პირველ ყოვლისა, ლიტერატურაში, კერძოდ პოეზიაში, იძებნება და არა ყოველდღიურ სიტყვახმარებაში. კარგადაა ცნობილი, რომ პოეტური ენა განვითარების ყოველ საფეხურზე უფრო აქტიურია, ვიდრე ჩვეულებრივი ენა⁶.

1.1. ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების შექმნისას ბ. გაპონოვი ეყარება ბიბლიისა და მიშნის ებრაულის სემანტიკურ და მორფოლოგიურ საფუძველებს და მეთოდურად იმავე ნიადაგზე დგას, რომელზედაც Waad ha-Iašon-ი და მისი წინამორბედი ლინგვისტები იდგნენ. პირველ ყოვლისა, ის მიმართავს დერეივაციას, ე. ი. ახალი სიტყვების წარმოებას ძველი ებრაული ძირებიდან ცნობილი მოდელების მიხედვით. გაპონოვისეული ნეოლოგიზმები მხოლოდ იმიტომ იკიდებენ ფეხს ენაში, რომ ისინი შემუშავებულია ებრაული ენის მორფოლოგიის წესების გათვალისწინებით, ენაში უკვე არსებული მასალის საფუძველზე. ეს სიტყვები თითქოს ფართლად არსებობენ ენაში და მათ ამოტივტივებას ერთგვარი ექსტრალინგვისტური სტიმულია სჭირდება.

„ავტორის ინდივიდუალობა თითქმის არ ატყვია მათ წარმოქმნას. ისინი ძალიან ჰგვანან ენაში არსებულ სიტყვებს. სიხლის ელფერი თითქოს იჩქმალება მათში სიტყვაწარმოების იმ ტიპის რეგულარულობის გამო, რომელსაც ეკუთვნის ნაწარმოები სიტყვა“⁷.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ ახალი, პოტენციური სიტყვების შემოქმედება მაინც უფრო დიდია, ვიდრე ძველი, ნაცნობი სიტყვებისა. ისინი თითქოს მკითხველის თვალწინ იქმნებიან სხვადასხვა მორფოლოგიური ნაწილების გამოთლიანებით⁸.

მაგრამ ბ. გაპონოვისათვის ახალი სიტყვების შემუშავებისას მთავარი სტიმულის მიმცემი, ჩვენი აზრით, იყო არა ემოციურ გამომხატველობასა და

⁵ А. Белов, А. Шлионский — переводчик «Евгения Онегина», сб. «Мастерство перевода», М., 1964, зб. 324.

⁶ Y. Naoum, *Relativization in Hebrew*, The Hague, 1973, зб. 6.

⁷ В. С. Виноградов, *Лексические вопросы перевода художественной прозы*, М., 1978, зб. 111.

⁸ Б. В. Томашевский, *Стилистика и стихосложение*, М., 1959, зб. 185.

მოულოდნელობის ეფექტზე ზრუნვა, არამედ რითმისა და ლექსოწყობის საჭიროება⁹.

1.2. გაბონოვისეული ნაწარმოები სახელებიდან რამდენიმეს დავასახელებთ: 'ésep (1550) „კრებული“; gāḥēah (387) „მაღალი“; d'gōr (1045) „გროვა“; ḥēṭel (465) „შემოსაკრავი, ნახვევი“; makkār (1069) „ვაჰარი“; ḫēṭep (293) „თანამონაწილეობა“; tišbaḥat (355; 485) „ქება“.

მოყვანილი სიტყვებიდან უკანასკნელი ორი ა. ე ვ ე ნ-შ ო შ ა ნ ი ს ლექსიკონშია შეტანილი¹⁰.

1.3. ბ. გაბონოვი ქმნის აგრეთვე ნასახელარ ზმნებსა და მიმღობებს. ასე, მაგალითად: 'ikkēs (224; 545) „უკბინა, დაგესლა“ < 'ekes „შხამიანი გველი“; hinḥil (1660) „ღვრიდა“ < naḥal „მდინარე, წყარო“; m'juh'lām (342) „ალმასისა“ < jah'lōm „ალმასი“; m'ḥummān (891) „გარვაკეცებული“ < არამ. t'manjā „რვა“ და მისთ.

1.4. ზოგჯერ მთარგმნელი აწარმოებს ახალ თემებს ზმნური ძირებისაგან, გადააქვს მნიშვნელობა ერთი თემიდან მეორეზე და თამამდ იყენებს ფორმებს, რომლებიც აქამდე აქტიურად არ იხმარებოდა. მაგალითად,

hiḏḥil — (366) „შეაშინა“ — Hip'il-ია ნაწარმოები კაუზალური მნიშვნელობით სათანადო Qāl-ისაგან dāḥal „ეშინოდა“;

niḡtar — (357) „დაუთმო“ — Nip'al-ი ჩვეულებრივ არ იხმარება. ლექსიკონებში ამ მნიშვნელობით დასტურდება pi'. uṭṭer და hiṭp. niḡṭatter;

histangēr (201)—Hiṭpa'ēl-ია ნაწარმოები ბერძნული წარმომავლობის ნასახელარი ზმნიდან sangēr „ვეკილი იყო, იცავდა (სასამართლოში)“ და შესაბამისად ნიშნავს „თავის თავს იცავდა, თავის თავს ვეჭილობდა“; pi'. ri'-ēl—(401) „მოწამლა“—მხოლოდ შუა საუკუნეების ებრაულში გვხვდება, კერძოდ, საადია გაონის (882—942 წწ.) ენაში (ჩვეულებრივ ამ მნიშვნელობით hip'il-ი იხმარება).

2. მაგრამ მთარგმნელი მაინც შედარებით იშვიათად მიმართავს ნამდვილ სიტყვათშემოქმედებას. უფრო ხშირად ის ენაში არსებულ რეალურ სიტყვათა ჩვეულებრივ, უზუალურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით წარმოქმნის ახალ მნიშვნელობას ანდა აღადგენს რომელიმე ძველი ლექსიკური ერთეულის მივიწყებულ, ხმარებიდან გასულ მნიშვნელობას. ეს კი იწვევს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის გამდიდრებას.

ა. პოტებნია თავის შრომაში «Мысль и язык» გამოთქვამს მოსახრებას უიმის შესახებ, რომ ცალკეული სიტყვა, ისე როგორც ენა მთლიანობაში, არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, არამედ განუწყვეტლივ იქმნება. უფრო მეტიც, სიტყვა მხოლოდ იმიტომ არის ურთიერთგაგებნიების საშუალება, რომ მისი შინაარსი შეიძლება გაიზარდოს და შეივსოს¹¹.

მსგავს თვალსაზრისზე დგას ინგლისელი მეცნიერი ჯ. ედკინსიცი. სიტყვე-

⁹ საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში ნაწარმოები სიტყვების დიდ პროცენტს ასევე რითმისა და ლექსოწყობის საჭიროებით ხსნიან (იხ. ივ. გიგინეიშვილი, სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“, ფილოლოგიის მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები, თბ., 1944).

¹⁰ იხ. 'a. 'eh en — šōšan, hammilōn heḥādās, ტ. VII.

¹¹ А. А. Потебня, Мысль и язык, Харьков, 1926, გვ. 140.

ბის ბუნება, მისი აზრით, რთულია, „შედგენილია“, რადგან ისინი გამუდმებით იძენენ ახალ შინაარსობრივ ნიუანსებს ენის სიცოცხლის მთელ მანძილზე¹².

ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც ბ. გაბონოვისეულ თარგმანში ახალი, აქამდე გამოუვლენელი ანდა, ყოველ შემთხვევაში, მეტად იშვიათად ხმარებული მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, რაც ზოგჯერ ქართული დედნის ენითაა დავალებული.

ამგვარი სიტყვების (პირობით შეიძლება სემანტიკური ოკაზიონალიზმებით ვუწოდოთ) მნიშვნელობის დადგენისას გავითვალისწინეთ თვით ბ. გაბონოვის შენიშვნები, რომლებიც დართული აქვს თარგმანის ტექსტს¹³.

2.1. მთარგმნელის მიერ ახლებურადაა გააზრებული სიტყვები: *ʾmānā* (829) — ჩვეულებრივ ნიშნავს: „1. ნდობა; 2. კავშირი, ხელშეკრულება, პაქტი; 3. განვადებით რამის მიცემა“. აქ კი „ანდერძი“, ე. ი. სანდო დოკუმენტი, რომელიც გარდაცვალებულის დანაბარებს შეიცავს.

šmā kiddēr (477) — საზოგადოდ ნიშნავს: „მომარგვალა, ბურთის ფორმა მისცა“ (<*kaddūr* „ბურთი“). ჩვენს შემთხვევაში კი გულისხმობს „ბურთის თამაშს, ბურთაობას“ (შდრ. ქართ.): „*ʾak — kiddarnū pa: ʾmajim pʾjōṭēr lō heʾraknū*“ („მხოლოდ ორჯერ ვითამაშეთ ბურთი, მეტი აღარ გავგივარძლებია“) შდრ. „აღარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა“¹⁴. *nedēh* (829) — პარალელური ფორმაა სიტყვისა *nʾ-dābā* „წყალობა, შეწირულება; სიუხვე, გულკეთილობა“, რომელიც დაკავშირებულია ზმნურ ძირთან *ndb*: „მსხვერპლი შეწირა, წყალობა გაიღო“. აქ კი *nedēh* „ლოცვას“ ნიშნავს. ეს მნიშვნელობა ლექსიკონებში არაა აღნუსხული, მაგრამ მთარგმნელი ეფუძნებოდა ბიბლიის ერთ აღნვილს (ფს. 119, 108), სადაც ნაჩვენები მნიშვნელობითაა ნახმარი ფორმა *nʾ-dābā*.

ოკაზიონალური ჩანს სიტყვის *ʾešet* „ფოლადი“ (203) ხმარება „საბრძოლო იარაღის, საჭურვლის“ აღმნიშვნელად, ე. ი. იმისა, რაც ფოლადისაა, ფოლადისგანაა გაკეთებული. შესაბამისად შესიტყვება *nōšē ʾešet* უნდა გავიგოთ, როგორც *nōšē kēlim* „მეაბჯრე, საჭურველმტვირთველი“ (შდრ. ძვ. რუს. *булат* „ფოლადი“, გადატ. „ხმალი, მახვილი“).

საინტერესოა სიტყვა *reṭeq*, რომლის გასწვრივაც ა. ევენ-შოშანის „ახალ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „1. სამაგრი; 2. ჯაჭვი, ბორკილი; 3. გადაბმა, შეკვრა“. რიგით მეორე მნიშვნელობა სწორედ ბ. გაბონოვისეული თარგმანიდანაა აღებული და სათანადოდაა ილუსტრირებული.

2.2. რივ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებასთან, რის შედეგადაც სიტყვა უფრო ხმარებული ხდება.

ასე, მაგალითად, *mišār* (1201) — თანამედროვე ებრაულის კუთვნილებაა და ჩვეულებრივ მუსიკაში იხმარება: „თხზულება, ოპუსი“, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში კი „სამყაროს, ქვეყანას“ აღნიშნავს (შდრ. ზმნა *jāšar* „შექმნა“).

ანდა *qebēš* (1578), რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „შენაწევრება, შესასხრება (ფეხისა)“, ე. ი. ჩვეულებრივ ანატომიური ტერმინია (მიშნა),

¹² J. E. Edkins, *The Evolution of the Hebrew language*, London, 1889, გვ. 27.

¹³ *Soṭā Rūstāyēli*, ʾōte, ʾor hannāmēr, ფრუსალი, 1968, გვ. 335—352.

¹⁴ ქართული ტექსტი ციტირებულია 1957 წ. გამოცემის მიხედვით, რომელსაც მისდევს ებრაული თარგმანი.

მოცემულ შემთხვევაში კი ნიშნავს „კრებულს“ (ხალხისა) (შდრ. ზმნა qabax „შეკრება, თავი მოუყარა“).

2.3. სემანტიკური სიტყვათწარმოების განსაკუთრებული სახეა კონვერსია, ე. ი. ერთი მეტყველების ნაწილის გადასვლა მეორეში. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბსტანტივაციასთან — ზედსართავეების ხმარებასთან არსებითი სახელების ფუნქციით, რისი ერთეული მაგალითებიც დასტურდება თარგმანში.

iaḇōt̄ (20) „ლამაზები“ (ქალების შესახებ), უდრის „ლამაზმანებს, ლამაზ ქალებს“ (დედანში გვაქვს „კეკლუცნი“): „u¹šeni šōqea¹ matā¹ ūb¹šēd̄ iaḇōt̄ t̄ rūah“ („მეორე დაბლა ეშვება და ლამაზებზე ნადირობაშია ვართულო“); შდრ. „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედან ფრფენითა“.

პოეზიის ენაში საერთოდ ხშირია ეპითეტების (როგორც epitheta ornantia, ისე perpetua) ხმარება იმ სახელების მნიშვნელობით, რომელსაც ისინი განსაზღვრავენ. მაგალითად, 'ahīr „ძლიერი“, ე. ი. „ღმერთი“, l'ḥānā „თეთრი“, ე. ი. „მთვარე“ და სხვა¹⁵.

'iqe'eṭ (1615) მდებარ. სქესის ფორმაა ზედსართავისა 'iqeṣ „მრუდე“, აქ კი აბსტრაქტული სახელის მნიშვნელობა აქვს — „სიმრუდე, გამრუდება“ (შდრ. ra¹ „ბოროტი“ და მისი მდ. rā'a¹ „ბოროტება“ და სხვ.).

3. ხშირად ესა თუ ის სიტყვა ახალი მნიშვნელობით იტვირთება მყარი შესიტყვეების შეგვეცის ხარჯზე, ე. ი. ცალკეული ლექსემა ცვლის შესიტყვებას, რომელშიც შედიოდა ერთ-ერთი კომპონენტის სახით.

მაგალითად, ḥāraš (535) „ხნავდა“ (გვაქვს კიდევ II ḥāraš „დუმდა“) — აქ ნიშნავს „გაიფიქრა, განიზრახა“: „u¹a¹ḥēšob¹: b¹rīḥ 'en-bēša¹ u¹'aḥeret¹ 'eḥ¹rōš“ („ვიფიქრე:“ დავა არას მარგებს, სხვა რამეს მოვიგონებ, მოვიფიქრებ“); შდრ. „ვეთქვი:“ „ამითა ველარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვიგვარო“. ხსენებული მნიშვნელობა უნდა მომდინარეობდეს გამოთქმიდან ḥāraš 'ālay ra'a¹ „ცუდი რამ ჩაიფიქრა, ბოროტი განზრახვა ჰქონდა“ (იხ. მაგ. იგავნი, 50, 29).

ḥāraš რომ აღნიშნულ გამოთქმას ცვლის, ეს უფრო ნათლად წარმოჩნდება ქვემოთ მოყვანილ ტაეპში (1444, 3): „u¹lō — šaḥti l'kol — neḫēš, pen — 'ālēhā taḥ¹rōš“ („არაეისთვის არ მითქვამს, ვითუ ცუდი რამ განიზრახონ, ავნონ-მეთქი“); შდრ. „არვის ვუთხარ სულიერსა, შევინახე ფარვით, კრძალვით“. nāḥal (954), რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს „შეიძინა, მეგვიდროებით მიიღო“, ცვლის გამოთქმას nāḥal 'akzābā — „იმედი გაუტრუვდა“ (სიტყვ. „შეიძინა უიმედობა, დაეუფლა უიმედობა“). შესაბამისად tiqūā nōḥeṭeṭ უნდა ითარგმნოს როგორც „გაცრუებული იმედი, დაკარგული იმედი“.

ეს „დარღვევები“ ცოდად არ უნდა ჩაეთვალოს მთარგმნელს, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად გამოაჩინოს მშობლიური ენის სიმდიდრე, გამოიყენოს მისი გაუხსნელი შესაძლებლობანი, ერთგვარად განავითაროს ენის უზუალური ნორმები. ამის შედეგად შედარებით თავისუფალია სიტყვების სავალდებულო და ფაქულტატური შეთავსებადობა, ლექსიკური ერთეულები ხში-

¹⁵ В. Гезениус, Еврейская грамматика (перевод К. Коссовича), СПб., 1874, гл. 412.

რად იქნენ ახალ მნიშვნელობებსა და მნიშვნელობათა ნიუანსებს, ფართოდება მათი კონტექსტური კომბინატორიკა¹⁶.

3.1. ზემოხსენებული ტენდენცია ვლინდება იმაშიც, რომ ერთი წყება იდიომური გამოთქმებისა თარგმანში მოდიფიკაციას განიცდის. მაგალითად, *bā'e*—*heled* (776) სიტყვასიტყვით— „ამ ქვეყნად მოსულნი“, ე. ი. „ხალხი, კაცობრიობა“ ცვლის ლექსიკონებში აღნუსხულ მსგავს შესიტყვებას *ba'e* 'ōlām (მიშნა).

'ōlām და *heled* სინონიმებია („სამყარო“).

ანალოგიურად, 'āšā 'ōn (1637) „წარმატებას მიღწეა, გაიმარჯვა“ სახეცვლილებათა მეორე ცნობილი შესიტყვებისა 'āšā ḥajil (ბიბლია). 'ōn და ḥajil „ძალას“ ნიშნავს.

ან კიდევ *k'pūi šākār* (910) „უმაღური“ ნახმარია ნაცვლად შესიტყვებისა *k'pūi tobā* (მიშნა).

თანამედროვე ენაში ამავე მნიშვნელობით იხმარება კიდევ *k'pūi tōdā* (*kā-pūi* „იძულებული“; *šākār* „სამაგიერო-საზღაო“; *tōhā* „სიკეთე“; *tōdā* „მადლობა“).

საინტერესოა, რომ თანამედროვე ებრაული ხშირად ასევე ეპყრობა სასაუბრო ენაში ხმარებულ იდიომურ გამოთქმებს. სახელდობრ, გამოთქმებში შემავალი ერთი კომპონენტი შეიძლება ფაქულტატურად იხმარონ (მაგალითად, 'anachnu kvar makirim და 'anachnu makirim „ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს“) ანდა ერთი სიტყვა შეცვალონ მეორით (მაგ. bevakasa lehakir 'et-'achoti და na' lehakir 'et-'achoti „გეთავყა, გაიცანიე ჩემი და“)¹⁷.

3.2. „ვეფხისტყაოსნის“ გაპროზისულ თარგმანში გვხვდება „ოკაზიონალური ფრაზეოლოგიზაციის“ ასეთი ნიმუშებიც:

'ered la'parōt (1038) „მოვეცდები“. სიტყვასიტყვით „ჩავალ მიწაში, სამარეში“— მომდინარეობს ბიბლიური გამოთქმიდან *lōrōd 'āpār* „მკვდარი, მიცვალებული“.

ანდა ფრაზა—*šām kol lēb l'ḥeter* (1540) „აქცია გულები ნაფლეთებად“, ე. ი. დამსხვრია გულები—იწვევს მეორე გამოთქმის ასოციაციას: *bitrē lēhāb* „გატეხილი გული“ (სიტყვასიტყვით გულის ნაფლეთები), რომელიც შუა საუკუნეების ცნობილ პოეტს იუჰუდა ჰალევის ეკუთვნის და სხვ.

4. ენის ლექსიკურ მარაგს გარკვეულად ამდიდრებს სიტყვის გადატანით მნიშვნელობით ხმარება. ეს მომენტი განსაკუთრებით საგულისხმოა ლექსით მტყვევლებში, სადაც ყოველი გადატანითი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა თუ წინადადება პოეტური წარმოსახვის გაძლიერების ექვემოტანელი საშუალებაა. ასეთი ტროპული სიტყვების მაგალითებია:

rahāb (1051) „ზღვის ბინადარი მითიური არსება, დრაკონი“—მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს ზღვის ყაჩაღებს, მეკობრეებს: „*u'e'attā māhāštī rahāb l'haqim 'et—jā'di*“ („ახლა დაეპარცე დრაკონი და ავასრულე ჩემი სიტყვა“); შდრ. „აწ დავხოცენ მტერნი თქვენნი, ვავასრულე, რაცა ვთქვენ“.

საინტერესოა კიდევ სიტყვა *šahīs* (1280) „თავთავები, რომლებიც ამოდის დაუთესავ ყანაში მიწაში ჩარჩენილი მარცვლებისაგან“: „*u'attiqāh 'et—ha'ig-*

¹⁶ იხ. А. В. Окладникова, Исследование в области языка переводов (проблемы нормы и узуса), автореферат канд. дисс., М., 1980, стр. 10.

¹⁷ H. B. Rosén, A Textbook of Israeli Hebrew, Chicago—London, 1966, стр. 145.

geret k' lōqahāṭ ṣ' hīsehā“ („აიღო წერილი, თითქოს დაუთესავ ყანაში თავთავებს კრეფდეს“).

მთარგმნელი მეტაფორულად გამოხატავს ნესტანის გაკვირვებას ფატმანის ამბით, მისი წერილით. აზრის ნათელსაყოფად მივმართოთ დედნის სათანადო სტროფის ა და გ ტაეებს:

„პირ-მზე გაკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა...
მას იგი წიგნი მონამან მისცა თავისა ხელითა“.

5. განსახილველი დაგვრჩა რთული სიტყვები, რომლებიც დასტურდება პოემის თარგმანში. რთული ფუძე, ანუ კომპოზიტი, შედგება ჩვეულებრივ ორი ფუძისაგან, რომლებიც ერთ სიტყვადაა გაფორმებული, ე. ი. მორფოლოგიური თვალსაზრისით ერთ ოდენობას წარმოადგენს. სემიტურ ენებში ასეთი რთული სიტყვები თითქმის არ არის, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იჩენს თავს ტენდენცია ორი ფუძის ერთ სიტყვად გაფორმებისა.

5. 1. კომპოზიტებისაკენ ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს სახელის შერწყმა ნეგაციურ ნაწილაკთან. ებრაულში, განსაკუთრებით გვიანდელ პერიოდში, ასეთი სიტყვები ხშირია. მათვე მიეკუთვნება ჩვენი ტექსტის *bilti—zāmīn* (183) „მიუწვდომელი, არ-მისაწვდომი“ (*bilti* „არ, არა“—ჩვეულებრივ ზედსართავის წინ დგას და მას უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს; *zāmīn* „მისაწვდომი“) და მისთ¹⁸.

5. 2. ებრაულში შედარებით ცოტაა საკუთრივ ზედსართავი სახელები. ამის ერთგვარი კომპენსაციაა ის, რომ ზედსართავებს, რომლებიც გამოხატავენ რაიზე საგნის ან თვისების ქონას, ხშირად გადმოსცემენ სიტყვები *'iṣ* „კაცი“, *ba'al* მფლობელი, პატრონი“, *bēn* „ეაჟი“ და სხვა, სათანადო საგნის ან თვისების აღმნიშვნელ სახელთან ერთად¹⁹. ასეთი „შედგენილი“ ზედსართავები იძებნება ბ. გაპონოვისეულ თარგმანშიც. მაგალითად, *ben ma'al* (857) „ვერაგი“ (*ma'al* „ვერაგობა“); *īaldē ṣahāṣ* (655) „თავხედები“ (*ṣahāṣ* „თავხედობა“; *īaldē* მრ. *ī'ladīm* „შვილი“—ისეთივე ფუნქციას ასრულებს როგორც პირველ მაგალითში *bēn*) და მისთ.

არცთუ იშვიათად ამავე წესით იწარმოება არსებითი სახელები, უმთავრესად ხელობის ან მესაჭმეობის აღმნიშვნელი.

ასე, მაგალითად, *'anṣē—zemer* (1552) „მომღერლები, მუტრიბნი“ (სიტყვ. „სიმღერის ხალხი“). *ba'al ginnā* (1063) „მებალე“ (სიტყვ. „ბალის პატრონი“) და სხვ.

5. 3. ძალზე იშვიათია ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან შედგენილი კომპოზიტები. როცა ორი სიტყვის კომბინაციით ერთი ცნება გადმოიცემა, სინტაქსურად ეს ფორმდება ე. წ. *status constructus*—ით, ე. ი. სიტყვათშეხამებით, რომლის მეორე წევრს ნათესაობითი ბრუნვის გრამატიკული მნიშვნელობა აქვს (ეს ნიშანი ახასიათებდა ზემოთ მოტანილ კომპოზიტებსაც). საილუსტრაციოდ საკმარისია თარგმანის ტექსტიდან ორიოდ ნიმუშის ჩვენება:

ṣosē—majim (1033) „მეკობრენი“, სიტყვასიტყვით „წყლის (ზღვის) ყაჩაღნი“. *ṣōse* მრ. *ṣōsīm* „მძარცველი, ყაჩაღი“; *majim* „წყალი“ (მდრ. რუს. морские пираты, ინგლ. sea—robbers, არაბ. *luṣṣū—l baḥri*). *ī'dūa' lemed*

¹⁸ შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფორმები საკმაოდ ხშირია რუსთველის ენაში. მაგ.: „არ-გაშვე-ბული ზელითა“, „ჰამისა არ-მოწყენისა“, „მალისა აქამდე არ-ლირსებული“ და მისთ.

¹⁹ B. Гезениус, დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

(1350) „ნასწავლი,“ „გასწავლილი“, სიტყვასიტყვით „სწავლით, ცოდნით გამორჩეული“ (jāḏmā' „ცნობილი, სახელოვანი, გამორჩეული“; lemed „სწავლა, ცოდნა“). jēḏmā' lemed შეიძლება ისეთივე ფრაზეოლოგიურ ერთეულად წარმოვიდგინოთ, როგორცაა ბიბლ. jēḏmā' ḥōlī (ḥōlī „ავადმყოფობა“) — „ავადმყოფური, სუსტი“ (იხ. მაგ. ისაია, 53,3).

„ვეფხისტყაოსნის“ ბ. გაპონოვისეული თარგმანის ლექსიკის ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

1. ბ. გაპონოვი იყენებს ლექსიკის გამდიდრების მორფოლოგიურ და სემანტიკურ ხერხებს.

2. ებრაული მორფოლოგიის კანონზომიერებათა გათვალისწინებით, ის ქმნის რიგ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა ნაწილი სამუდამოდ შევიდა ებრაული ენის ლექსიკურ ფონდში. ებრაული ენის ყაიდაზევეა გამართული ბ. გაპონოვისეული კომპოზიტები.

3. ხშირად ესა თუ ის სიტყვა მთარგმნელის მიერ ახლებურადაა გააზრებული ანდა აღდგენილია მისი ძველი, ხმარებიდან გასული მნიშვნელობა. ეს იწვევს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის გამდიდრებას და მისი კონტექსტური კომპინატორიკის გაფართოებას.

4. ბ. გაპონოვი არ ერიდება სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას და ხშირად ორიგინალურ ტროპულ სახეებს ქმნის.

5. „ოკაზინალური ფრაზეოლოგია“, რომელსაც ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანში, ერთ-ერთი გამოხატულებაა ბ. გაპონოვის მისწრაფებისა ენობრივი უზუსის განვითარებისა და გაფართოებისაკენ.

М. А. ГОЦИРИДЗЕ

ЕВРЕЙСКИЙ ПЕРЕВОД «ВИТЯЗЯ В БАРСОВОЙ ШКУРЕ» КАК ИСТОЧНИК ОБОГАЩЕНИЯ ЛЕКСИКИ СОВРЕМЕННОГО ЕВРЕЙСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В статье рассмотрены способы морфологического и семантического словообразования, которые применяет автор еврейского перевода «Витязя в барсовой шкуре» Б. Гапонов.

С учетом морфологических закономерностей родного языка переводчик создает ряд новых лексических единиц, вошедших в состав словарного фонда еврейского языка.

Часто слова в языке перевода приобретают новые значения и оттенки, что способствует обогащению их семантической структуры и расширению возможностей контекстной комбинаторики.

В статье даны также примеры «оказиональной фразеологии» и индивидуальных переносных употреблений слов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ზორიან კოკალიანი

 ადამიანისა და ცხოველის ურთიერთმიმართების გაგებისათვის
 აღმოსავლურ მისტიკურ აზროვნებაში

ადამიანის მსოფლმხედველობრივი ევოლუცია მოიცავს სამ საფეხურს: ანიმისტურს, რელიგიურსა და მეცნიერულს. ადამიანური გონის ევოლუციის შესაბამისად იცვლებოდა მისი დამოკიდებულება ცხოველისადმი. თუკი თანამედროვე ადამიანი ცხოველს განიხილავს როგორც არსებას, რომელიც აუცილებელია მისი იმანენტური არსებობის შესანარჩუნებლად, და თავის თავს თვისებრივ და რანგობრივ უპირატესობას ანიჭებს, პრიმიტიული ადამიანი ცხოველს მიაწერს თავისი ბუნების ადეკვატურ თვისებებს, აზროვნებისა და მეტყველების უნარს. კაცობრიობის განვითარების ანიმისტურ ეტაპზე იქმნება ადამიანსა და ცხოველს შორის ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ტოტემიზმი. მომდევნო, რელიგიურ ეტაპზე გარკვეულ წილად შენარჩუნებულია პრიმიტიული ადამიანის სპირიტუალიზმი, მაგრამ რელიგიურად განწყობილი ინდივიდის, ჩვენს შემთხვევაში მისტიკოსის, დამოკიდებულება ცხოველისადმი გართულებულია მთელი რიგი სხვა მომენტებით, რომელნიც ორგანულად გამომდინარეობენ მისი მსოფლმხედველობრივი სისტემიდან. ადამიანისა და ცხოველის ურთიერთმიმართების საკითხი — ერთ-ერთი კარდინალური საკითხია შუა საუკუნეების აზროვნებაში. როგორც სუფიზმის მკვლევარი ი. ტრიმინგემი აღნიშნავს, „ეს საკითხი საჭიროა გაშუქებულ იქნეს, რათა გავიგოთ ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ მხეცსა და კაცს შორის დამყარებულ იმ უცნაურ ჰარმონიას, რომლის ნიმუშებსაც მრავლად ვხვდებით სუფიურ პოეზიაში“¹.

ჩვენ შევეცადეთ შევხებოდით მისტიკოსსა და ცხოველს შორის არსებული მშვენიერი ჰარმონიის განმაპირობებელ ფაქტორებს.

სამყაროს ტრადიციული სურათის მიხედვით, ცხოველი თვისებრივად განსხვავებული და რანგობრივად დაბლა მდგომი არსებაა ადამიანთან შედარებით. ამ აზრის შექმნის ძირითადი მიზეზი არის გონი (ratio), რომელსაც ცხოველისაგან განსხვავებით ფლობს ადამიანი და რომელიც განაპირობებს მის განყენებულ აბსტრაქტულ აზროვნებას: «Одинаково сильно превосходит человек их и мощью, и страданиями. Животные живут только в настоящем, человек сверх того и в будущем и прошлом вместе»².

ცხოველი ratio-ს უქონლობის გამო შემოსაზღვრულია რეალური ობიექტებით, რომლის აღქმაც ხდება მის მიერ უშუალოდ და დროის გარკვეულ მომენტში. მისთვის დამახასიათებელი აზროვნება ყოველთვის მიმდინარეობს კონკრეტულ ფარგლებში. ცხოველში არ შეიძლება მოხდეს გონის გაბატონება ინსტინქტზე მაშინ, როდესაც ადამიანში შემეცნება შეიძლება გათავისუფლდეს

¹ I. Trimmingham, *Islam in West Afrika*, Oxford, 1959, გვ. 65.

² А. Шопенгауэр, *Мир как воля и представление*, Москва, 1900, გვ. 37.

ემპირიული მე-ს სამსახურისაგან და ინდივიდი წმინდა შემეცნებითი სუბიექტის დონემდე ამბლდღეს.³ ძირითადად ამ მომენტის გამო ადამიანი თავის თავს იაზრებს თვისებრივი უპირატესობის მქონე არსებად, ხოლო ცხოველს ვანიხილავს, როგორც მისი იმანენტური არსებობის შესანარჩუნებლად აუცილებელ ატრიბუტს.

რაც შეეხება მისტიკოსს, იგი ცხოველისადმი რადიკალურად განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენს, რაც განსაზღვრულია მისტიციზმის ორგანიზებული ბუნებით.

მისტიკური კოსმოლოგიის მიხედვით, სამყარო შედგება ღვთაებრივი ემანაციისა; ერთადერთი, რომელიც ფლობს ყოფიერების აბსოლუტურ სისასვეს, თითქოს გადმოდის თავისი საზღვრებიდან და ქმნის ახალ ყოფიერებას. მაგრამ ერთადერთი მაინც რჩება ერთადერთად, როგორც მზე რჩება მზედ, მიუხედავად იმისა, რომ მისგან მომდინარეობს სხივი, რომელიც ციალებს მზისგან დამოუკიდებლად. ამრიგად დაწყებული ემანაცია ექვემდებარება გარკვეულ კანონს, რომლის მიხედვითაც ყოველი შექმნილი დაბლა დგას შემქმნელზე. ასე წარმოიშობა მთელი გრადაცია ყოფიერებისა. განსხვავებით ერთადერთისაგან ყოველი დანარჩენი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დაკავშირებულია მასთან. იგი უცქერის ერთადერთს და ღებულობს მისგან სიცოცხლეს. უმაღლესი სრულყოფილება, რომელიც წარმოიშობა ერთადერთისაგან, არის გონი. გონი არის უმაღლესი მთლიანობაც, როგორც წმინდა აზრს, გონს შეუძლია შეიმეცნოს მხოლოდ ერთადერთი. ერთადერთისაგან წარმოიქმნება სულიც. ეს უკანასკნელი ისეთივე მიმართებაშია გონთან, როგორშიც გონი — ერთადერთთან. მაშინ, როდესაც გონი მიმართულია თავის თავისაკენ, სული მიმართულია გარეთ. სულის გარეთ მიმართებას მიეყვართ მატერიისთან. სული ქმნის დემონურ, ადამიანურ, ცხოველურ და მცენარეულ სულთა სიმრავლეს.

როგორც იბნ-ულ არაბი აღნიშნავს: „ცხოველის იდეა პრეექსისცენტრულად არსებობდა ღმერთის შემეცნებაში, საიდანაც შემდგომ გამოხსივებულ იქნა“⁴.

მაშასადამე, მისტიკური კოსმოლოგიის მიხედვით, ცხოველთა სამყარო ერთ-ერთი გრადაციაა ღვთაებრივი ემანაციისა, რომელიც უშუალოდ უძღვის წინ ადამიანურს. ხოლო ადამიანი, როგორც მისტიკოსები აღნიშნავენ, არის მიზეზი სამყაროს განსხეულებისა.

„მთელი ქვეყანა შეიქმნა, რათა ემსახუროს და დაემორჩილოს მას. ჯერ შეიქმნა მინერალი, შემდეგ — მცენარე, შემდეგ — ცხოველი და ბოლოს — ადამიანი“⁴.

ადამიანში ღვთაებრივი ნება გადმოცემულია მთელი სისასვით. იგი ასლი და ხატია ღმერთისა. თუმცა ადამიანში, როგორც იდეაში, ღვთაებრივი ნება გადმოცემულია მთელი სისასვით, მარტო ის ვერ შეძლებდა გამოეხატა მთელი არსი ღვთაებრივობისა. იმისათვის, რომ გამოვლენილიყო თავისი ჰეგემონიკი ფორმით, ადამიანის იდეა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი და მოწყობილი. მას უნდა მოეცვა ყველა ქვედა საფეხური, მცენარეთა და ცხოველთა ყველა ფორმა. ყველა ისინი მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს ნების სრულ

³ Islam Ansiklopedisi, c. 5, Istanbul, 1951, გვ. 95.

⁴ Э. Джавелидзе, У истоков турецкой литературы, Тбилиси, 1979, გვ. 135.

ობიექტივაციამდე და ისევე გულისხმობენ ადამიანის იდეას, როგორც ნერგი გულისხმობს ნაყოფს. ისინი ქმნიან პირამიდას, რომლის მწვერვალიც არის ადამიანი.

„ადამიანი შუამავალია ღმერთსა და ქვეყანას შორის. იგი არ არის ამქვეყნიური ქმნილება და არც დამთავრებული პროცესი ხელოვნებისა. მხოლოდ ადამიანში იხსნება ღმერთი მთელი თავისი სისავსით. ამიტომ ღმერთმა ვერ იდღესასწაულა, სანამ არ შექმნა ადამიანი. ადამიანი არის ჯამი და უმადლესი წერტილი ქმნილებებისა. ამიტომ შეიქმნა იგი მეშვიდე დღეს, როგორც კი გამოჩნდა ადამიანი, ყველაფერი შექმნილი იყო. ამიტომ მოიცავს თავის თავში ყველაფერს. იგი ყველა ფორმას აერთიანებს“⁵.

მამასადამე, მისტიკური კოსმოლოგია ადამიანს განიხილავს, როგორც უმადლეს საფეხურს ყოფიერების იერარქიული კიბისა, ხოლო ცხოველთა სამყაროს, როგორც ერთ-ერთ გრადაციას, აუცილებელს ადამიანის იდეის სრულად გამოვლენისათვის. ამ ასპექტით უკვე არსებობს ჰარმონია მხეცსა და კაცს შორის, მაგრამ იგი დარღვეულია. მისტიციზმი ადამიანისა და ცხოველის ტრადიციული ურთიერთმიმართების მიზეზს უკავშირებს ცოდვადაცემის ფაქტს. ადამი სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდა ცხოველთა სამყაროსთან. იგი არ ავლენდა ზღვარს თავის თავსა და ცხოველებს შორის, მაგრამ ცოდვადაცემა, ეს პირველი ფაქტი ინდივიდის ემპირიული მე-ს გაღვიძებისა, განაპირობებს იმას, რომ ადამიანისა და ცხოველის ურთიერთმიმართება ძალადობით იქნეს განსაზღვრული. ბუნების უმადლესი იერარქიული ცენტრის — ადამიანის დაცემას მოჰყვება მთელი ბუნების დაცემა. როგორც მესიტერ ეკპარტი აღნიშნავს: „ადამის შეცოდების შემდეგ დაეცა მთელი სამყარო. ყველა ელემენტი ყოფიერებისა მონურ აუცილებლობას დაქვემდებარა“⁶.

წმინდა სიმეონ ღვთისმეტყველი ასე ხატავს ადამის დაცემის შემდგომ სამყაროს: „ყველა ქმნილებამ, როცა დაინახა, რომ ადამი გამოაძევეს სამოთხიდან, აღარ მოინდომა დამორჩილებოდა მას. ცხოველებმა და ყველა მიწიერმა არსებამ, რა დაინახეს, რომ ადამი მოშორდა თავის პირველ დიდებას, ზიზღით დაუწყეს ცქერა. ყველა მზად იყო თავს დასხმოდა მას“⁷.

მისტიკოსები აღნიშნავენ, რომ ღმერთი, ახორციელებს რა პროვიდენციულ გეგმას სამყაროს დანიშნულების შესახებ, კრებს ყველა განარისხებულ ქმნილებას და უწყებს მათ ადამიანის სამსახურს: „მან შეამაგრა ყველა ქმნილება თავისი ძალით და არ მისცა უფლება გაქცეოდნენ ადამს და ბრძანა, რომ ყველა ქმნილება დამორჩილებოდა მას და, გამხდარიყო რა მოკვდავი, ემსახურა მოკვდავი ადამიანისათვის, იმის მოლოდინით, რომ როცა ადამიანი კვლავ აღიდგენდა თავის დაკარგულ სახეს, თავისთან ერთად აღედგინა და გაეთავისუფლებინა მთელი სამყარო“⁸.

როგორც აღნიშნავს ნ. ბერდიაევი: «По нашей вине природа омертвела и космическое призвание человека-Микрокосма оживить природу-Макрокосм, вернуть жизнь всей иерархии естества, вплоть до камня»⁹.

⁵ Н. Бердяев, О назначении человека. Опыт парадоксальной этики, Париж, 1931, 33. 56.

⁶ М. Экхарт, Проповеди и рассуждения, Москва, 1912, 33. 101.

⁷ Н. Бердяев, Смысл творчества. Опыт оправдания человека. М., 1916, 33. 67.

⁸ Там же, 33. 68.

⁹ Н. Бердяев, О назначении человека, 33. 55.

იმ აზრს, რომ ადამიანის პირველსახის აღდგენას მოჰყვება ცხოველებთან დაკარგული ჰარმონიის აღდგენა, თანმიმდევრობით იმეორებს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მისტიკოსი.

ვედებში ვკითხულობთ: „როგორც ამქვეყნად მშოიერი ბავშვები ეკვრიან თავის დედას, ასევე ცხოველები ეკვრიან კაცს და თხოულობენ წმინდა მსხვერპლს“¹⁰.

ანგელუს სილეციუსი იტყვის: „შენ ყველას უყვარხარ, ადამიანო, / შენ-კენა გზა. შენკენ მოილტვის ყველა, / რათა მიიღწიონ ღმერთს“¹¹. ხოლო ბუდა, ჯერ კიდევ ბოდჰისატვა, ტოვებს რა მამისეულ რეზიდენციას, საბოლოოდ კაზმავს ცხენს და მიმართავს მას შემდეგი სიტყვებით: „დიდი ხანია შენ ჩემთანა ხარ, კანტაკანა, გაჭირვებისა და დაღუბნის უამსაც. ახლა კი შენ თავს დაანებებ ტარებასა და წვალებას, მხოლოდ ამჯერად, ო, კანტაკანა. წამოყვანე მე აქედან და, როცა მე შეეასრულებ კანონს (ბუდა როცა გავხდებო), მე არ დაგივიწყებ შენ“¹².

იმავე აზრს ავითარებს მისტიკერი ეკჰარტიც: „და მე ვადასტურებ ამას ქრისტიეთი, რამეთუ მან თქვა: „და ოდეს ავმალღდე მე, წარეიტაცო ყველა ჩემს თანა“. ასევე კეთილმა ადამიანმა ყველაფერი უნდა აამაღლოს ღმერთამდე, თავის პირველ საწყისამდე. ყველა ქმნილება ადამიანისთვისაა შექმნილი და ეს ყველა ქმნილებაზე ჩანს, რომ ერთი არსება მეორისთვისაა განკუთვნილი. საქონლისთვის — საძოვარი, თევზისთვის — წყალი, ჩიტისთვის — ჰაერი, ნადირისთვის — ტყე. ასევე კეთილ ადამიანს ემსახურება ყველაფერი. ყველა ქმნილებას ერთმანეთზე მიყოლებით ამაღლებს ადამიანი ღმერთამდე“¹³.

აქ ნათლად გამოიკვეთა მისტიკოსის შემეცნებაში არსებული ის აზრი, რომ ღმერთი ანიჭებს ადამიანს უფლებას — ისარგებლოს ცხოველებით ამქვეყნად, რამდენადაც თავის განთავისუფლებასთან ერთად იგი გაათავისუფლებს მთელ ცხოველთა სამყაროს.

როგორც ვნახეთ, ადამიანისა და ცხოველის ტრადიციული ურთიერთმიმართება შედგება ცოდვით დაკემისა. შეცოდების განმაპირობებელი კი არის ადამიანის ემპირიული მე-ობა *nefs-ი*. ის მსხვერპლი, რომელიც ადამიანმა უნდა გაიღოს, რათა მასა და ცხოველს შორის არსებული ჰარმონია აღდგეს, არის ემპირიული მე-ს დაძლევის რთული პროცესი, რომელსაც მოჰყვება ტრანსცენდენტური გარდაქმნა ინდივიდისა, რის შედეგადაც იცვლება სამყაროს ხედვის ტრადიციული სურათი.

მისტიციზმში ემპირიული მე-ობა აღიქმება მთავარ ხელშემშლელ პირობად ღმერთისკენ მიმავალ გზაზე. იგი ის ფენომენია, რომლის გამოც ადამი გამოთქევებულ იქნა სამოთხიდან და რომლის გამოც ეს სამყარო ასე ტრავიკულად წარმოგვიდგება თვალწინ. ადამიანი გაორებულია თავისი არსებით. ერთი მხრივ, მის არსებაში ფიგურირებს ღვთაებრივი საწყისი, რომელიც მას ზოგადადამიანურობამდე ამაღლებს, აკოსმოურებს და, მეორე მხრივ, ბიოლოგიური, ემპირიული მე-ობა, რომელიც არსებობისათვის ბრძოლაში თან-

¹⁰ Упанишады, Москва, 1967, გვ. 54.

¹¹ Р. Лотце, Микрокосм, т. I, გვ. 96.

¹² А. Шопенгауэр, Мир как воля и представление, гв. 135.

¹³ М. Экхарт, Проповеди и рассуждения, гв. 96.

დათან ძლიერდება, დომინირებს ადამიანში და ხელს უშლის მისი ღვთაებრივი წარმოშობის გათვითცნობიერებას.

მისტროსის მიზანი აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში განიეტება, მაგრამ ამ მიზანს მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაძლევეს თავის ემპირიულ მე-ობას.

მისტრიცხში, როგორც ი. ტრინინგემი აღნიშნავს, „ეძებს სრულყოფას, ემპირიული მე-ს დაძლევის საშუალებას, ეძებს mucahada-ს გზას, სულიერ jihad-ს, რომელიც, გაივლის რა სხვადასხვა მაკამს, მიგვიყვანს ღმერთთან“.¹⁴

ადამიანი, რომელიც არ ფლობს მეტაფიზიკურ ცოდნას სამყაროს არსისა და დანიშნულების შესახებ, რეალურად აღიქვამს მხოლოდ საკუთარ სხეულს. იგი მიჯაჭვულია მატერიის ამ უმცირეს ელემენტზე და უჩნდება დიდი სურვილი მისი შენარჩუნებისა. თავის ემპირიულ მე-ს იგი ყველაფერზე მაღლა აყენებს. ეს კი განაპირობებს უკიდურეს სუბიექტივიზმს, principium individuationis, რომლითაც რეალურად მოქმედებს ადამიანი ამქვეყნად და რომელიც იწვევს იმ შურს, მტრობას, ბოროტებას, რომლის გამოც მატერიალური არსებობა სატანჯველად და მოაზრებული ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მისტრიცხში. Princ. individuationis მონა, ადამიანი თავისი მე-ს შენარჩუნების გზაზე, დაუფიქრებლად აყენებს სხვა ქმნილებას (იქნება ეს ისევე ადამიანი თუ ცხოველი) ზიანს და ამ უკიდურეს ეგოიზმში მელანდება წინააღმდეგობა ღვთაებრივი ნებისა თავის თათთან.

მისტრიკურად განწყობილი ინდივიდი თავისი არსისა და დანიშნულების შესახებ მეტაფიზიკურ ცოდნას ფლობს. მისტრიკოსები აღნიშნავენ, რომ ადამიანი სამყაროს ასლი და ხატია, რომ ის, ვინც ფილოსოფიურად იაზრებს სამყაროს, არ შეიძლება თვითონაც სამყაროს საგანთა რიცხვში იდგეს. იგი მაღლა დგას ყოველივე არსებულზე. ის თვითონ არის სამყარო. ადამიანი არის მიკროკოსმოსი, ცენტრი ყოფიერებისა, რომელიც თავის თავში ყოფიერების ყველა ელემენტს მოიცავს: „ადამიანის მიერ სამყაროს სრულ შემცნებას განაპირობებს ის, რომ იგია არა მხოლოდ ერთი ნაწილი სამყაროსი, არამედ თავის თავში ყოფიერების ყველა ელემენტს ატარებს და მასზე მაღლა დგას“¹⁵.

„სამყარო შედის ადამიანში, იგი შეიმცნება ადამიანის მიერ, რადგანაც ადამიანში არის ყველა ნაწილი ყოფიერებისა, ის არის მთლიანი პატარა სამყარო“¹⁶.

აღიქვამს რა თავს მიკროკოსმოსად და ზედავს რა ყველა არსებობაში თავისი თავის გამოვლინებას, ერთსა და იმავე ღვთაებრივ საწყისს, საკუთარსა და სხვა არსებაში, ინდივიდი ათვითცნობიერებს, რომ მათდამი ტანჯვის მიყენებით იგი დაზიანებს საკუთარ თავს. იგი შეიმცნებს, რომ განსხვავება მათ შორის, ვინც ტანჯავს და ვინც იტანჯება, მხოლოდ ფენომენალურია და, ეძებს რა უმაღლეს კეთილდღეობას თავისი თავისათვის და ამ მიზნით აყენებს რა ზიანს სხვა არსებას, იგი სინამდვილეში მხოლოდ საკუთარ თავს აზიანებს.

¹⁴ I. Trimmingham, The sufi orders in Islam, Oxford, 1971, გვ. 139.

¹⁵ Н. Бердяев, Философия свободы, Москва, 1911, гв. 95.

¹⁶ Там же, гв. 96.

გაღვიძებული თვითშემეცნება, რომელიც ემპირიული მე-ს სამსახურში პრაქტიკული გონის ფენომენამდე დავიდა, ნელ-ნელა თავისუფლდება *princ. individuationis* მირაჟისაგან. თვითგამორკვევის პირველ ეტაპზე, ხედავს რა თავის არსებობას სხვა არსებობაში, ინდივიდს უჩნდება სამართლიანობის გრძნობა სხვა ქმნილებებისადმი, რომელიც მოგვიანებით *nefs*-ის დაძლევის სხვადასხვა ეტაპის შესაბამისად, სიბრაღულში და ბოლოს ყველა ქმნილებისადმი სიყვარულში გადაიზრდება.

ყველა ქმნილებაში ღვთაებრივი ნების ერთგვაროვნობის თეზა ფუნდამენტური თეზაა მისტიციზმისა. ამ ერთგვაროვნობის ჩვენება უპირველესი მიზანია სულიერი ხელმძღვანელისა.

რუმი იტყვის: „ყველას უმეგობრე, რომ მუდამ ვარდნარში იყო. წმინდანებს ყველა უყვართ, ყველას მეგობრობენ, კეთილად მიიჩნევენ, ამას სხვისთვის არ აკეთებენ, საკუთარი თავისთვის სჩადიან“¹⁷.

ხოლო გურუ ინიციაციის გზაზე დამდგარი მისტიკოსის წინ ჩაატარებდა ცხოველის ყველა სახეობას და სპეციალურად შერჩეული რიტმის თანხლებით იმეორებდა მისტიციზმის კარდინალურ ფორმულას: *Tat twam asi* (ეს არის არსებობა, რომელიც ჰკიებებს ყველაფერში — ეს შენა ხარ).

ამრიგად, მისტიკოსის შემეცნებაში ფიგურირებს ის აზრი, რომ ცხოველისადმი ვნების მიყენებით იგი დააზიანებს იმავე ღვთაებრივ ნებას, რაც ცხოველთან შედარებით მასში ოდნავ მეტი სისასვითაა გადმოცემული. ადვოკატის უპირველესი ამოცანაა დაამყაროს თავის სულში ღვთაებრივი ჰარმონია, როგორც ვარანტია იმისა, რომ სულში მოხდეს ღვთაებრივი სიმშვენიერის გარდმოქცევა. მაგრამ ეს ჰარმონია სულისა არ განხორციელდება მანამ, სანამ ინდივიდი ჰარმონიაში არ მოვა მთელ გარე სამყაროსთან, ბუნების ყველა ელემენტთან.

„რა ევალება მურიდს? — კითხულობს იაჰია იბნ მაად არ-რაზი და თვითონვე უპასუხებს:

ისევე როგორც დედას უყვარს თავისი ერთადერთი შვილი,

ასეთივე სიყვარულის გრძნობა უნდა აღზარდოს ყველა ქმნილებისადმი თავის სულში.

მეგობრობის გრძნობა ყველა ქმნილებისადმი უნდა აღზარდოს თავის თავში.

გრძნობა, რომელიც თავისუფალია ბოროტებისაგან, მტრობისაგან, უნდობლობისაგან.

გრძნობა, რომელმაც ზემოთ, ქვემოთ, სივრცეში არ იცის საზღვარი“¹⁸.

სხვა არსებობაში საკუთარი თავის დანახვა ძალუძს მხოლოდ *princ. individuationis* მირაჟში გარკვეულ ინდივიდს, რომელიც იწყებს ქმედებას *nefs*-იდან თავის დასაღწევად.

სუფიზმში ყველაზე გავრცელებული გზა განწმენდისა შვიდი საფეხურისაგან შედგება. თითოეულ საფეხურს შეესაბამება სულის გარკვეული მდგომარეობა. მურიდის სული *nefs*-ის სრული გაჭრობის გზაზე შემდეგი საფეხურებით პროგრესირდებოდა: 1. როცა დომინირებს ცხოველური მე, სული ცოდვილია;

¹⁷ Э. Джавелидзе, У истоков турецкой литературы, гл. 200.

¹⁸ A. Gölpınar ı, Melamilik ve melamiler, İstanbul, 1932, гл. 328.

2. როცა სული ფიზიკდება; 3. როცა სული იწყებს რეალურ ქმედებას გათავისუფლებისათვის; 4. როცა ხორციელი მე განადგურებულია, სული მშვიდია; 5. როცა სული დაკმაყოფილებულია; 6. როცა სული დამტკიცებულია; 7. სული ღმერთთან ერთად ჰვებებს მარადისობაში.

თითოეულ საფეხურს შეესაბამება სულის განსაზღვრული ატრიბუტები, ჩვენთვის საინტერესოა მე-3 საფეხურამდე ამალეებული სულის ატრიბუტები. მისთვის დამახასიათებელია «დიდსულოვნება, ტკივილების მოთმინებით გადატანა, მეგობრობა ყველა ქმნილებასთან»¹⁹ იმ მოტივით, რომ ღმერთი ყველა ქმნილებას განსაზღვრული მიზნით ქმნის.

«ცოდნა ყველაფრისა მიწიდან ცამდე, დატევება ყოველივესი, გარდა ღმერთისა, სიყვარული ყველა ქმნილებისადმი»²⁰.

როგორც ვნახეთ, მეგობრობის დამყარება ყველა ქმნილებასთან იმ მოტივით, რომ ღმერთი ყველა ქმნილებას განსაზღვრული მიზნით ქმნის, აუცილებელი პირობაა ინიციაციის გზისა. თუკი მურიდი არ ეზიარა ამ ქვეშაირიტებას და არ დაუმეგობრდა ცხოველებს, იგი ვერ ეზიარება საღვთო სიმშვენიერის ხილვას.

5. Подробное, хотя и неоднозначное освещение получили в трудах интересующей нас эпохи такие фундаментальные понятия и категории сравнительно-исторического языкознания, как сущность и значение праформ, пути развития родственных языков, диалектное членение праязыка, относительная хронология и др.

ЛИТЕРАТУРА

1. Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960.
2. Д. К. Зеленин, К вопросу об изучении социальной стороны языка, ИОРЯС, 1915, т. XX, № 3.
3. Ф. М. Березин, Русское языкознание конца XIX — начала XX века, М., 1976.
4. Т. С. Шарадзеидзе, Лингвистическая теория И. А. Бодуэна де Куртене и её место в языкознании XIX—XX веков, М., 1980.
5. И. А. Осовецкий, Начальные этапы развития русской диалектологии.—История русской диалектологии, М., 1961.
6. В. В. Виноградов, Алексей Александрович Шахматов, Пб., 1922.
7. А. А. Шахматов, Курс истории русского языка, ч. 1. СПб, 1910—1911.
8. И. А. Бодуэн де Куртене, Избранные труды по общему языкознанию, т. I, М., 1963.
9. А. Н. Боголюбов, Об изучении литературных языков. Методологический очерк, Казань, 1914.
10. А. А. Алексеев, Предисловие к кн.: А. И. Соболевский. История русского литературного языка, Л., 1980.

11. Предварительный съезд русских филологов, СПб, 1903.
12. В. В. Виноградов, Очерки по истории русского литературного языка XVII—XIX веков, М., 1938.
13. В. В. Виноградов, История русского литературного языка, М., 1978.
14. В. В. Виноградов, О языке художественной прозы, М., 1980.
15. К. Аппель, О некоторых общих вопросах языкознания, Варшава, 1886.
16. С. П. Обнорский, Разработка русского языка за 25 лет, ИАН СССР, ОЛЯ, 1944. т. III, вып. I.
17. Н. С. Чемоданов, Сравнительное языкознание в России, М., 1956.
18. Д. Н. Овсяннико-Куликовский, Очерки науки о языке, «Русская мысль», 1896, № 12.
19. Ф. Е. Корш, Способы относительного подчинения. Глава из сравнительного синтаксиса, М., 1877.
20. А. Грушка, Фёдор Евгеньевич Корш.—Некрологи Ф. Е. Корша и А. Н. Шварца, М., 1916.
21. Памяти А. А. Потебни, Харьков, 1892.
22. В. К. Поржезинский, Введение в языковедение, М., 1913.
23. И. А. Бодуэн де Куртенэ. Избранные труды по общему языкознанию, т. II, М., 1963.
24. В. К. Журавлёв, Григорий Андреевич Ильинский, М., 1962.
25. Г. А. Ильинский, Ешё раз о праславянских дублетах типа jelenъ: ojeľъ -Slavia, roč. IV, seš. 2. Praha, 1925.
26. Д. Н. Кудрявский, A. Meillet. Introduction a l'étude comparative des langues indoeuropéennes. 1903—реф. СПб, 1903.
27. С. Б. Бериштейн, К вопросу о научных школах и направлениях в языкознании.—Общее и романское языкознание, М., 1972.
28. В. А. Богородицкий, Курс сравнительной грамматики ариоевропейских языков. Тетрадь I, Введение, Казань, 1904.
29. С. И. Бериштейн, А. А. Шахматов как исследователь русского литературного языка.—А. А. Шахматов. Очерк современного русского литературного языка, М., 1941.
30. М. Мюллер, Лекции по науке о языке, СПб, 1865.
31. Д. Н. Ушаков, Краткое введение в науку о языке, М., 1929.
32. Л. В. Щерба, Восточно-лужицкое наречие, т. I, Пг. 1917.
33. А. А. Шахматов, Заметки по истории звуков лужицких языков. По поводу книги Л. В. Щербы «Восточно-лужицкое наречие», Пг., 1917.
34. В. В. Виноградов, Общелингвистические и грамматические взгляды акад. Л. В. Щербы—Памяти академика Льва Владимировича Щербы, Л., 1951.
35. Я. В. Лоя, История лингвистических учений, М., 1968.
36. Из истории языкознания (из переписки А. А. Шахматова с Ф. Ф. Фортунатовым), ВЯ, 1958, №3.
37. Л. В. Щерба, Языковая система и речевая деятельность, Л., 1974.

Отдел общего языкознания Института языкознания АН Грузинской ССР
 Представил Институт языкознания АН Грузинской ССР



ილირი სარიშვილი

რთული სიტყვის სტრუქტურისათვის სალიტერატურო თურძულ ენაში

(კომპოზიტა ფორმალური ჯგუფები)

რთულ სიტყვად მიიჩნევენ ორი ან მეტი ფუძისაგან შედგენილ სახელს, რომლის მნიშვნელობა ერთ შემთხვევაში შესაძლებელია, რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილთა (კომპონენტთა) ჯამს უდრიდეს, სხვა შემთხვევაში კი გვაძლევდეს ისეთ სემანტიკურ მთელს, რომელიც კომპონენტთა მნიშვნელობებს არ თანხვდება¹.

რთული სიტყვა, ანუ კომპოზიტი, შეიძლება იყოს როგორც ერთცნებიანი, ასევე ორ- და ორზემეტცნებიანი². მიღებულია, რომ ერთცნებიანი რთული სახელები შეადგენენ კომპოზიტებს ვიწრო გაგებით ანუ საკუთრივ კომპოზიტებს, ხოლო ორ- და მეტცნებიანი სახელები კი კომპოზიტებს ფართო გაგებით ანუ შერწყმულ სახელებს³.

ერთცნებიანი კომპოზიტები სემანტიკურად უკვე გამთლიანებულნი არიან, ორცნებიანებში კი შეიგრძნობა რთული სიტყვის შემადგენელ წევრთა სემანტიკური დამოუკიდებლობა, თუმცა აქაც შეიმჩნევა შერწყმული ფუძეების მნიშვნელობათა სწრაფვა გამთლიანებისაკენ.

სიტყვათშეერთებათა ზოგადსტრუქტურულ-სემანტიკური მოდელი ორგანზომილებიანია:

რთული სიტყვა	სტრუქტურა სემანტიკა
-----------------	------------------------

რთული სიტყვა, როგორც სტრუქტურა, ორი ან მეტი ფუძის შეკავშირებაა სხვადასხვა მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებებით.

რთული სიტყვა, როგორც სემანტიკა, ერთი ან მეტი ცნების შემცველია, მიღებული, ერთი მხრივ, სხვადასხვა მნიშვნელობათა გამთლიანების გზით, ან, მეორე მხრივ, კომპონენტთა ცალ-ცალკე მნიშვნელობათა თავმოყრით.

წერილის მიზანია რთული სიტყვის, როგორც სტრუქტურის, ფორმალური ჯგუფების დადგენა სალიტერატურო თურძულ ენაში. ამ თვალსაზრისით ჩვენ ძირითადი ყურადღება რთულ სიტყვათა ფორმალურ მხარეებს მივაქციეთ, თუმცა სემანტიკა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი კომპოზიტისა, თავისთავად იგულისხმება.

ნაშრომში რთული სიტყვები არ გაგვიმიჯნავს სემანტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. არ დაგვიყვია ისინი ერთცნებიან და ორ და ორზე მეტცნებიან კომ-

¹ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 148.
² ი. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946, გვ. 160.

³ აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

⁴ იქვე, გვ. 148.

პოზიტივად (ანუ კომპოზიტივად ვიწრო და ფართო გაგებით). შერწყმული სახელები (ანუ ორცენიანი კომპოზიტივის ერთი ნაწილი) ჩვენს დაყოფაში ქმნის ერთ-ერთ რიგით ფორმალურ ჯგუფს არა სემანტიკის, არამედ აგებულების, სტრუქტურის თვალსაზრისით.

რთულ სიტყვათა ფორმალური ჯგუფების დასადგენად, უფრო სწორად, მათი კლასიფიკაციისათვის თურქულ ენაში, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს შესიტყვებათა როგორც სინტაქსური პლანი, ასევე მათი მორფოლოგიური აგებულება (რთული სიტყვის სტრუქტურა გრამატიკის ამ ორივე დარგის მომცველია⁴).

რთული სიტყვები, მათი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან სინტაქსურ მიმართებათა თვალსაზრისით, ორ დიდ ნაწილად დაყავით. თითოეულ მათგანში ცალკე ჯგუფებისა და ქვეჯგუფების გამოსაყოფად ხან სინტაქსური, ხან კი ერთდროულად სინტაქსურ-მორფოლოგიური ნიშანი გამოვიყენეთ.

იმის მიხედვით, თუ როგორი პოზიცია უკავია რთული სიტყვის შემადგენელ წევრს მთელ სიტყვიერ კომპლექსში (ანუ როგორია სინტაქსური ურთიერთობა კომპონენტებისა სიტყვათშეერთებისას — თავისუფალი თუ ურთიერთდამოკიდებული), თურქულ ენაში დადასტურებული კომპოზიტივი ორ დიდ ნაწილად უნდა დაიყოს:

I. რთული სიტყვები, რომლებშიც შემადგენელი ნაწილები ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებულნი და ურთიერთმიმართ თანასწორი პოზიციები უკავიათ.

II. რთული სიტყვები, რომლებშიც შემადგენელი ნაწილები ურთიერთმიმართ სინტაქსურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

I. რთული სიტყვები, რომლებშიც შემადგენელი ნაწილები ერთმანეთზე (სინტაქსურად) არ არიან დამოკიდებულნი და ურთიერთმიმართ თანასწორი პოზიცია უკავიათ — აქ გამოვყოფთ ორ ძირითად ჯგუფს:

1. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტივი,
2. სხვადასხვა ფუძეთაგან შედგენილი რთული სიტყვები.

1. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტივი — აქ გამოვყოფთ შემდეგ ქვეჯგუფებს:

1. უაფიქსო ფუძეგაორკეცება,
2. ფუძეგაორკეცება აფიქსების დართვით,
3. შერთიშული შესიტყვებანი,
4. Kitap mitap-ის ტიპის შესიტყვებანი.

1) უაფიქსო ფუძეგაორკეცება. თურქულში სუფთა ფუძის გამეორებით ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნა ძალზე შეზღუდულია. ფუძეგაორკეცება ხმაბაძვით სიტყვებში შეიმჩნევა უმთავრესად, მაგრამ აქ ისინი ლექსიკურ სიახლეს ვერ აღწევენ. საქმე ისაა, რომ თურქულ ენაში ხმაბაძვით ბევრები გაორკეცების გარეშეც შეიცავენ აზრს და გაორკეცება (ზოგჯერ გასამეცება და ა. შ.) მხოლოდ სტილისტურ ელფერს ცვლის. გაორკეცებისას თავს იჩენს მხოლოდ მოქმედების მრავალგზისობა, ხანგრძლივობა, განმეორებითობა. ფუძის გაორკეცება აქ ვერ ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს⁵. ასე რომ,

⁴ А. Н. Кононов, Грамматика современного турецкого литературного языка, Москва — Ленинград, 1956, გვ. 124.

⁵ Р. А. Аганин, Повторы и однородные парные сочетания в современном турецком языке, Москва, 1958, გვ. 161.

küt ბგერათა კომპლექსი ცალკეც გადმოსცემს ხეზე კაკუნს და küt küt აღნიშნავს იმავე მოქმედებას, ოღონდ მრავალჯის. Çingir — ლითონის საგნის მიერ გამოღებული ხმის მიბაძვაა და Çingir Çingir იგივეა, ოღონდ არაერთგზის⁹. (ამ მხრივ თუ დაფუძირებისპირებთ ქართულ ხმაბაძვით სიტყვებს, გამოირკვევა, რომ აქ სხვა ვითარებაა; აღნიშნული ტიპის ქართული სიტყვები მხოლოდ გაორკეცებული სახით ქმნიან ლექსიკურ ერთეულს: მაგ.: ჩუხ — უაზრო ბგერათა თავმოყრაა, ჩუხჩუხი — სემანტიკურად სრულფასოვანი სიტყვაა. ასევე: ბუტ-ბუტბუტი, ლას-ლასლასი, თუხ-თუხთუხი და სხვ.).

ამის გამო თურქული ხმაბაძვითი სიტყვები არ შევიტანეთ არა მარტო ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა ქვეჯგუფში, არამედ რთულ სიტყვათა კატეგორიაში საერთოდ. მაგრამ ამ ტიპის სიტყვებიდან შეიძლება დავასახელოთ მცირე ნაწილი, რომელთაც შეიძლება ეწოდოს კომპოზიტები იმის გამო, რომ მათი გაორკეცებული ფორმა (გაქვევებული სახით) იმ არსებათა თუ საგანთა სახელებად ქცეულან, რომელთა ხმაბაძვითაც თვითონ არიან წარმოქმნილნი:

cırcır—ჭრჭინა, cıvcıv—წიწილა, lăklăk—ყარყატი, havhav—ძალი (ჩვილთა ვნახე), şakşak—ჩალანა, წინწილა (მუსიკ. საკრავი), çırçır—წყარო და სხვ.

2) ფუძეგაორკეცება აფიქსების დართვით. ცალკე უნდა შევეხოთ ისეთი სახის ფუძეგაორკეცებებს, სადაც თითოეულ კომპონენტს (ან ერთ-ერთს მაინც) დართული აქვს მორფოლოგიური ნიშანი და უკვე ქმნის ახალ სემანტიკურ მთელს. ასეთი სახის რთული სიტყვები ჩვენ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა ქვეჯგუფში შევიტანეთ (აღსანიშნავია, რომ არც ამ ტიპის სიტყვებია თურქულში გავრცელებული).

განვიხილოთ ქვეჯგუფში შემავალი თითოეული სახე რთული სიტყვისა:

ა) გაორკეცებული სიტყვის პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მეორე კომპონენტს დართული აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

baş — თავი — başbaşa — მარტოდმარტო
ağız — პირი — ağız ağza — ზუსტად
kuru — გამხმარი — kurukuruya — ტყუილუბრალოდ

ბ) პირველი კომპონენტი უნიშნოა, მეორეს დართული აქვს III პირის კუთვნილებითი აფიქსი, პლუს მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

zor — ძნელი, მძიმე — zorzoruna — ძლიესძლიობით
kör — ბრმა — körkörüne — სულელურად, ბრმად

გ) პირველ წევრს დართული აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი, მეორე წევრი ფუძის სახითაა მოცემული:

dar — ეწირო — daradar — ძლიესძლიობით
bugün — დღეს — bugünebugün — დღეს-დღეობით, აქამომდე.

⁹ ამის თაობაზე რ. ა. ავანიანი ნაშრომში — «О принципах подачи подражательных слов в турецких словарях», Тюрко-монгольское языкознание и фольклористика, Москва, 1960, გვ. 161 — წერს: «В разряде подражательных слов повторение может иметь форму и дуплета и триплета и т. д.: «Cemal usta...çak, çak, çak, çak diye her zaman keyifli çalışırdı»: — ისტატი ჯემალი მუდამ მხიარულიმუშაობდა და ჩაკ, ჩაკ, ჩაკ, ჩაკ აჩაკუნებდა.

დ) პირველ წევრს დართული აქვს ქონების მაწარმოებელი $1i^4$ აფიქსი, მეორე წევრს ერთვის III პირის კუთვნილებითი აფიქსი პლუს მიც. ბრუნვის ნიშანი:

baş — თავი — başlıbaşına — დამოუკიდებლად
 boy — სიმაღლე — boyluboyuna — განუწყვეტლევ, მთელ სიგრძეზე.

ე) პირველ კომპონენტს დართული აქვს III პირის კუთვნილებითი აფიქსი, მეორე წევრსაც III პირის კუთვნილებითი აფიქსი პლუს მიც. ბრუნვის ნიშანი:

boş — ცარიელი — boşboşuna — ამაოდ, ფუძად
 pis — ჭუჭყი — pisipisine — ტყუილუბრალოდ

ვ) პირველ კომპონენტს ერთვის დაწყებითი ბრუნვის ნიშანი, მეორეს — მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

iç — შიგნითა მხარე — içtenice — საიდუმლოდ
 bir — ერთი — birdenbire — უცებ, უცბად

ზ) პირველი კომპონენტი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მეორეს, რომელიც გამეორებაა პირველი კომპონენტის ფუძისა, დართული აქვს, ერთ შემთხვევაში, პროფესიის მაწარმოებელი— ci^4 , სხვა შემთხვევაში — კნინობითობის — cik^4 აფიქსი:

ben — მე — benenci — მკვებარა, ტრახაზა
 hanım — ქალბატონი — hanımhanımciğ — კარგი დიასახლისი

3). შერთმული შესიტყვებანი. ამ ჯგუფში განვიხილავთ ისეთი სახის შესიტყვებებს, სადაც მეორე კომპონენტი პირველის ფონეტიკურად შეცვლილ სახეს წარმოადგენს.

ამგვარ შესიტყვებებში მეორე კომპონენტი თითქოსდა ერთმება პირველ კომპონენტს (kivir zivir, katır kutur და სხვ.), ამიტომ მათ პირობითად, შერთმული შესიტყვებანი შევარქვით. ასეთ შესიტყვებებში პირველსა და მეორე კომპონენტებს შორის ფონეტიკური სხვაობები იჩენენ თავს. (შევნიშნავთ, რომ ეს განმსგავსებანი არავითარ ფონეტიკურ კანონზომიერებებს არ ემყარებიან, ის კი შეინიშნება, რომ თუ პირველი კომპონენტი ხმოვნით იწყება, მეორე კომპონენტში წინ თანხმოვანი აღმოცენდება და მოსალოდნელია ხმოვანთმონაცვლეობა მეორე წევრის ბგერით კომპლექსში).

abuk sabuk — უაზრო, უთავბოლო ყბედობა
 abur cubur — — — —
 ivir zivir — — — —
 allak bullak — არეული, აყრილ-დაყრილი
 ecış bñcüş — ნაღრღნი
 alan talan — არეული, აყრილ-დაყრილა
 paldır küldür — ბრაგა ბრუგი და სხვ.

4). „Kitap mitap“ — ის ტიპის შესიტყვებანი. ამ ქვეჯგუფში ცალკე გამოყოფთ „Kitap mitap“ — ისა და abuk sabuk — ის ტიპის სიტყვებს, სადაც შესიტყვებათა პირველი წევრი ცალკეც მნიშვნელობის მატარებელია, ხოლო მეორე წევრი, მასთან შერთმული, დამოუკიდებლად მნიშვნელობას მოკლებული ბგერათა კომპლექსია. ორივე ერთად კი ქმნის ლექსიკურ ნიუანსს, რის გამოც იგი

არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფრაზაში სტილური ელფერის შემტან ელემენტად.

Kitap mitap-ის ტიპის შესიტყვების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, მართალია, თავისუფალ დამოკიდებულებაშია სახელის ფუძესთან (სახელს იგი მექანიკურად ერთვის ან ჩამოსცილდება), მაგრამ სემანტიკურად ისეთ ელფერს მატებს სიტყვას, რომ იგი უნდა განიხილებოდეს სწორედ ლექსიკურ და არა სტილურ დონეზე (ასეთი წარმოება ძალზე გავრცელებულია თურქულ ენაში. ამ ტიპის შესიტყვებებს ქართულშიც ვხვდებით).

2. **სხვადასხვა ფუძეთაგან შედგენილი რთული სიტყვები.** ამ ტიპის სიტყვებში შემდგენელი ნაწილები ერთმანეთთან ფორმალურად არიან დაკავშირებული. ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე მოცემულ შესიტყვებებში ერთ-ერთ კომპონენტს შესაძლებელია დაკარგული ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ძირითადად კი ორივე წევრი ცალკე მნიშვნელობის მატარებელია. ამ ჯგუფში შემავალი ზოგიერთი ქვეჯგუფი გამოყოფილია, თუ შეიძლება პირობითად ითქვას, ლექსიკური პრინციპით (ე. ი. მხედველობაში გვაქვს რთული სიტყვის შემადგენელ წევრთა სინონიმურ-ანტონიმურობა ერთმანეთთან მიმართებაში და სხვ.).

აქ გამოყოფთ შემდეგ ქვეჯგუფებს:

ა) რთული სიტყვები, რომლებშიც კომპონენტები ერთმანეთის მიმართ სინონიმურებია ან სინონიმებთან ახლო მდგომი გამოთქმები (ასეთ კომპოზიტებში ორივე კომპონენტი ან თურქული წარმოშობის სიტყვაა, ან არა და ერთ-ერთი, ანდა ორივე კომპონენტი ნასესხებია): sağselamet — ჯანმრთელი, kırıldökük აბდაუბდა; ნაყარ-ნუყარი; içünç — საქმე, ჩხირკედლაობა, konukomşu — მეზობელ-ნაცნობობა, sessada — ხმა, ჩამი-ჩუმბი.

ბ) რთული სიტყვები, რომლებშიც კომპონენტები ერთმანეთის მიმართ ანტონიმურნი არიან (შესაძლებელია კომპონენტებს ცალკეული სახელიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსები ჰქონდეთ დართული): irili ufaklı — სხვადასხვა, დიდთან-პატართანად. içli dışlı — უბრალოდ, გული თადად, ძირფესვიანად, alış veriş — ვაჭრობა, დამოკიდებულება.

გ) რთული სიტყვები, რომლებშიც კომპონენტები რაიმე განზოგადებულ ნიშნის მიხედვით უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს ნიშანი საერთო უნდა იყოს რთული სიტყვის კომპონენტთა ორივე წევრის სემანტიკისათვის:

ana baba — დედ-მამა (საერთო ნიშანი — „შობლობა“)

karı koca — ცოლ-ქმარი (საერთო ნიშანი — „მეუღლეობა“)

adud — სახელი, პატოსნება (საერთო ნიშანი — „ხსენობა“)

saç sakal — ხსოვანება, ასაკი (საერთო ნიშანი — „გარეგნობა“)

günç belâ — სიმწლე, უბედურება (საერთო ნიშანი — „სიმძიმელი“) და სხვ.

დ) რთული სიტყვები, რომელთა კომპონენტები ზმნის პირიელი ფორმებია გაქვავებული სახით შემორჩენილი ცალკეულ ფუძეებში (ამ შემთხვევაში, ნამყო კატეგორიული დროის III პირის მხ. რიცხვის წართქმითი ფორმა):

dedikodu — ჭორი, ნალაყბევი

kaptıkacı — საბარგო მანქანა

ე) პირველი კომპონენტი ნამყო კატეგორიული დროის III პირის მხ. რიცხვის წართქმითი ფორმაა, მეორე კომპონენტი კი აწმყო-მყოფადი დროის III პირის მხ. რიცხვის ან წართქმითი, ან უკუთქმითი ფორმა:

gittigidir — გამოუსწორებელი (დამთავრებული) ამბავი
vurdumduymaz — უყურადღებო, სქელკანიანი

ვ) ორივე კომპონენტი აწმყო-მყოფადი დროის მიმღეობის ფორმებია:

yanardöner — სხედასხეაფრად მოელვარე
biçerbağlar — კომბაინი
okuryazar — განათლებული

ზ) ორივე კომპონენტი აწმყო დროის მიმღეობის ფორმითაა წარმოდგენილი:

gelengiden — სტუმრები
olanbiten — შემთხვევა, ამბავი

თ) ორივე კომპონენტი ბრძანებითი კილოს ფორმით არის წარმოდგენილი:

gelgit — უაზრო ხეტიალი; ზღვის მოქცევა-უაქცევა
gelgeç — ქარაფშუტა, უნესისყოფა

ი) რთული სიტყვის შემადგენელი წევრები რიცხვითი სახელებია:

onbir — თერთმეტი
yirmibes — ოცდახუთი

II რთული სიტყვები, რომლებშიც შემადგენელი ნაწილები ურთიერთმომართ სინტაქსურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. აქაც ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა:

1. იზაფეთური წესით შედგენილი რთული სიტყვები,
2. სხვა ტიპის კომპოზიტები,

1. **იზაფეთური წესით შედგენილი რთული სიტყვები** — აქ გამოვყოფთ შემდეგ ქვეჯგუფებს:

- ა) I სახის იზაფეთით წარმოებული რთული სიტყვები,
- ბ) II სახის იზაფეთით წარმოებული რთული სიტყვები,

გ) ეგრეთ წოდებული ერთშემდგენლიანი იზაფეთით წარმოებული რთული სიტყვები.

რთული სიტყვების საწარმოებლად თურქულში ყველაზე პროდუქტულია სინტაქსური ურთიერთობის ის სახე, რომელსაც თურქულ იზაფეთს უწოდებენ⁷.

სამი სახის იზაფეთს გამოყოფენ აქ: I, II და III. როგორც შემდეგ დავინახავთ, იზაფეთური წესით დაკავშირებულ რთულ სიტყვათაგან ყველაზე პროდუქტულია II სახის იზაფეთით ნაწარმოები სიტყვები, მასზე ნაკლებპროდუქტული — I სახის იზაფეთით, ხოლო III სახის იზაფეთური წესით აგებული რთული სიტყვები სრულიად არ დასტურდება ენაში. ეს გასაგებიცაა, — წერს ს. მაიზელი, — რადგან III სახის იზაფეთურ კონსტრუქციაში ურთიერთს შემთხვევითი სუბიექტები მიეკუთვნებიან... და ამ ელემენტთა ცენტრიდანულობა გამოუსადეგარს ზღის მათ კომპოზიტებად ქცევისათვის, რომლისთვისაც სწორედ გაერთვნებიანება, ცენტრისკენული სწრაფვაა საჭირო⁸.

⁷ Грамматическое явление, называемое «турецким изафетом», занимает ключевую позицию в синтаксисе турецкого языка и центральное место в образовании Composita в нем (С. С. Майзель, Изафет в турецком языке, М—Л., 1953, გვ. 7).

⁸ ს. მაიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

ა) I სახის იზაფეთით წარმოებული რთული სიტყვები კომპონენტთა სემანტიკურად ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ეს ქვეჯგუფი შესაძლებელია რამდენიმე პუნქტად დაიყოს:

1. პირველი კომპონენტი გამოხატავს მასალას, მეორე კი საგანს, რომელიც ამ მასალისაგანაა დამზადებული:

demiryol — რკინიგზა, altıntop — გრეფრუტი,
 kurşunkalem — ფანქარი, demirbaş — ჭიუტი, dımınçğmz — ხარბი და სხვ.

2. პირველი კომპონენტი შედარების ობიექტია, მეორე — შესადარებელი:

serçeparmak — ნეკათიო, lokmagdız — თელქუტელა, kılıçbacak — ფეხებრღვე, samurkaş — მსხვილწარბა და სხვ.

3. პირველი კომპონენტით გადმოცემული მნიშვნელობა აღნიშნავს საგანს, თვისება-ოდნობას მეორე კომპონენტისას (უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ტიპის რთული სიტყვები იმით ვანსხვავდებიან ამავე ქვეჯგუფის 1 პუნქტის სახელებისაგან, რომ თუ იქ პირველი კომპონენტი მეორისათვის ხშირად შედარების ობიექტია, აქ შედარება არ ხდება, არამედ პირველი კომპონენტი განსაზღვრავს მეორეს არაპირდაპირი მნიშვნელობით):

koçyigit — ჭაბუკი, babayigit — ვაჟაკი, başkent/başşehir — დედაქალაქი, saltabaş — მაწანწალა, şahesir — შედევრი და სხვ.

4. მეორე კომპონენტი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინია, პირველი კი ამ ნათესაობის განმსაზღვრელი:

kankardeş — ლეილი ძმა, sütanne — დედამძუღე, sünkardeş — ძუძუმტე, kaynana — დედამთილი... და სხვ.

ბ) II სახის იზაფეთით შედგენილი რთული სიტყვები. როგორც ითქვა, II სახის იზაფეთით შედგენილი რთული სიტყვები ყველაზე მრავალრიცხოვანია თურქულ ენაში. როგორც ჩანს, ამ გარემოებას ხელს უწყობს შესიტყვების შიდაბუნება. აქ კომპონენტთა ურთიერთმიმართება გადამწყვეტ როლს თამაშობს. თუ I სახის იზაფეთით აგებულ რთულ სიტყვებში პირველი კომპონენტი არის მასალა ან შედარების ობიექტი და ა. შ., ამ კონსტრუქციის რთულ სიტყვებში კუთვნილებითი ურთიერთობაა: კუთვნილება შეიძლება იყოს მეორე კომპონენტისა პირველისადმი როგორც გარეგნული ნიშნის მიხედვით, ასევე მისი ბუნების, ჩვევის, ხასიათის, მიდრეკილებისა და სხვ. მაგ.: კომპოზიტი hamamböceği — აბანოქია (აბანო-ქია-მისი), ეს რთული სიტყვა მიღებულია აღნიშნული მწერის იმ თვისებით, რომ მას სინესტისადმი აქვს მიდრეკილება. ასეთი გააზრების რთულ სიტყვას I სახის იზაფეთი მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებით ვერ შექმნიდა. ასევე, იგი ვერ შეიქმნებოდა III სახის იზაფეთის ბაზაზე, რადგან აქ, როგორც ვიცით, კომპონენტებს შორის კერძო კუთვნილებითი დამოკიდებულებაა.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ამ ტიპის რთულ სიტყვებში იზაფეთის მაჩვენებელი III პირის კუთვნილებითი აფიქსი (-i, -ı, -ü, -u// -si, -sı, -sün,

* ხშირად რთული სიტყვის პირველი კომპონენტი გამოხატავს არა იმ მასალას, პირდაპირ მნიშვნელობით, რომლისაგანაც შედგება მეორე კომპონენტი, არამედ ამ მასალისათვის დამახასიათებელ თვისებებზე მიუთითებს გადატანით, არაპირდაპირი გააზრებით.

-su), რომელიც ერთვის შესიტყვების მეორე წევრს, უმეტესწილად გაგებულა, როგორც ფუძისეული ხმოვანი და სწორედ ამიტომ ისინი II ვარიანტის ბრუნებით იბრუნვიან (როგორც ხმოვანფუძიანი სახელები): მაგ.: განუსაზღვრ.: ayakkabi, ნათესაობ.: ayakkabının, მიცემითი: ayakkabıya (და არა ayakkabına) და ა. შ. ayakkabi, მრავლობითში — ayakkabılar (და არა ayakkapları). თუმცა ეს წესი ასეთ შემთხვევებში საყოველთაო არ არის და ზოგჯერ ასეთი ტიპის როული სიტყვების ბრუნებისას ისევე დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, როგორც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულის (იგულისხმება II სახის იზაფეთი) ბრუნების დროსა ვვაქქეს: განუს.: basımevi, ნათეს.: basımevinin, მიც.: basımevine, ბრალდ.: basımevini და ა. შ. მრავლობით რიცხვში: basımevi — basımevleri (და არა basımeviler, როგორც ეს წინა შემთხვევაში გვქონდა).

რაც შეეხება მახვილს ასეთ შესიტყვებებში, იგი უმთავრესად მეორე კომპონენტს მოუღდის, რაც ამ როული სიტყვის როგორც სტრუქტურულად, ასევე სემანტიკურად გამთლიანებისაკენ სწრაფვის ძირითადი ნიშანია.

საერთოდ, ამ ჯგუფში შემავალ როულ სიტყვათა უდიდეს ნაწილს, კომპონენტების ურთიერთმიმართების პროცესში, ახასიათებთ სემანტიკური გადაზარების, უჩვეულო შედარებებისა და მიმსგავსებების დიდი უნარი.

დაბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჯგუფის როული სიტყვები უმეტესწილად დაკავშირებულია ბოტანიკურ თუ ზოოლოგიურ ტერმინოლოგიასთან. მთელი რიგი მცენარეების, ცხოველების, ფრინველებისა და ზღვის ბინადართა სახელწოდებები სწორედ ამ წესით აგებული კომპოზიტებია.

მცენარეული საფარი.: ödağacı — ალოე, maymunekmeğiağacı — ბაობაბი, geyikdili — ერთგვარი მცენარეა, kızmemesi — გრეიფრუტი, mememizümü — თითა ყურძენი, eşekkulagi — ისპანახი და სხვ.

gelincekçiçeği — ყაყაჩო, köpekçiçeği — საყურა, sığırgözümü — გვირილას ერთ-ერთი სახეობა, hanımeli — ჩიტისევაშლა და სხვ.

boynuzotu — ხარისძირა, güvercinotu — ვერბონა, peygamberdikenini — ლურჯი ნარი, dededikeni — ნარშავი, çobandavarcığı — ველური ბოლოკი¹⁰ და სხვ.

ფრინველები: gecekuşu — ქოტი, dudukuşu — თუთიყუში, devekuşu — სირაქლემბა, çalıkuşu — ნიბლია, ნარჩიტა, arıkuşu — წიწკანა და სხვ.

ზღვის ბინადარი: köpekbalığı — ზვიგენი, eşekbalığı — ვირთევზა, denizkoyunu/ayıbalığı — სელაბი, atbalığı — ჰიპობოტამი, denizignesi — გველთევზა და სხვ.

მწერები: eşekarısı — კრაზანა, yıldızkurdu//ateşböceği — ციციანთელა, orakböceği//ağustosböceği — ჭრიჭინა, hanımböceği — ჭიამაია და სხვ.

როგორც აღინიშნა, II სახის იზაფეთით წარმოებულ როულ სიტყვებს ახასიათებთ გადატანითი გააზრება. ეს კარგად ჩანს შემდეგ საგანთა და მოვლენათა სახელწოდებებში:

კოსმოსური სახელები და მოვლენები: samanyolu//samanöğrusu — ირმის ნახტომი (თანავარსკვლავედი), çobanyıldızı — ვენერა (პლანეტა), ebekuşağı — ცისარტყელა.

¹⁰ ქართული შესატყვისები უმეტესად ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიდანაა“, ამოღებული (თბილისი, 1961).

ფერების აღმნიშვნელი კომპოზიტები: ördekaşu — მომწვანო-მოლურჯო, camgöbeği — მომწვანო, bückeakabuğu — მოცისფრო-მომწვანო და სხვ.

ზოგიერთი საკმლის სახელწოდება: kadingöbeği, kadınbudu, tatarböreği, güvercinbudu, dilberdudağı, hanımgöbeği, ormankebabu და სხვ.

სხვადასხვა ცნების გამომხატველი რთული სიტყვები: derebeyi — ფეოდალი, fırınkabağı — გულგრილი, köpekmemesi — ძირმაგარა, kuşbaşı — ფანტელი, külhanbeyi — მაწანწალა, külkedisi — მცივანა, kapımandalı — უვარვისი და სხვ.

გ) ეგრეთ წოდებული ერთშემადგენლიანი იზაფეთით წარმოებულ რთული სიტყვები. ერთშემადგენლიანი¹¹ იზაფეთით თურქულში გააზრებულია სიტყვის ისეთი ფორმა, რომელსაც დართული აქვს III პირის კუთვნილებითი აფიქსი და რომლის წარმოთქმაც აღძრავს ამ სიტყვისათვის მსაზღვრელი წვერის ა-სებობის ასოციაციას, უფრო სწორად იმას, რომ იგი (მსაზღვრელი წვერი) პოტენციურად იგულისხმება (მაგ. bazı — ეს სიტყვა გულისხმობს წინამაჟღერ კომპონენტად მისთვის იმ აუცილებელ წვერს, ვთქვათ onların, რომლის გარეშე ზემოთ მოხმობილი სიტყვა ვერ გაფორმდებოდა მორფოლოგიურად ამგვარად¹²).

რთული სიტყვები, რომლებიც თავის შემადგენელ წვერად შეიცავენ ერთშემადგენლიან იზაფეთს, მომდევნო წვერად ზედსართავს იგუებენ, ასე რომ საბოლოოდ რთული სიტყვა, კომპონენტთა წყობის მიხედვით, პოსტპოზიციურია (რაც საერთოდ არაბუნებრივია თურქულისათვის; ამ ტიპის სიტყვებისათვის კი — საესებობთ ბუნებრივი): მაგ.: elüzun — ქურდი, gönükara — ბოროტი.

შევნიშნავთ, რომ ასეთი ტიპის რთულ სიტყვებში პირველი კომპონენტი ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის სახელია, მეორე კომპონენტი კი მისი როგორების მაჩვენებელი. მთლიანად, ასეთი ტიპის რთული სიტყვა იდიომატურია და თავისი სემანტიკით ადამიანის მორალური თვისებების — ღირსებისა და წინაგანი ბუნების (მორალურად ამაღლებულის ან დაცემულის) გამომხატველია. მაგ.: gönütök — მცირედით კმაყოფილი, başpek — ჯიუტი, basbos — უსაქმური, eliaçık — მოწყალე, elçabuk — მარჯვე, elidar — ძუნწი, baldırıplak ხულიგანი, kulağıdelik — შეგნებული, gönüaçık — მზიარული, gönülçak — თავმდაბალი და სხვ.

ცალკე ქვეჯგუფად შეიძლება გამოვყოთ რაოდენობრივად მცირე ნაწილი რთული სიტყვებისა, რომელთა მეორე კომპონენტი ზედსართავი კი არ არის, არამედ არსებითი სახელია, მესამე პირის კუთვნილებითაფიქსდ ართული, გაფორმებული ადგილობით ბრუნვაში; პირველი კომპონენტი ასევე III პირის კუთვნილებითი აფიქსით არის წარმოდგენილი: მაგ.: eviomuzunda — მაწანწალა, ekmeğidizinde — უმადური, kuşaklarıyerde — ბუნტისთავი და სხვ.

2. სხვა ტიპის რთული სიტყვები. ა) სიტყვათშეერთების განსაკუთრებული ტიპი. პირველ რიგში აქ უნდა განვიხილოთ რთული სიტყვის ისეთი ტიპი, რომელიც შედგენილ წვერთა ერთმანეთთან შეკავშირების ანუ სინტაქსური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით არ მისდევს თურქულ სინტაქსურ სტრუქტურას. საქმე ის არის, რომ აქ, რთული სიტყვის შედგენილობაში საქმე გვაქვს სიტყვათა ისეთ დაკავშირებასთან, სადაც პირველი კომპონენტი ზედსართავი სა-

¹¹ ამის შესახებ იხ. ს. მაიხელი, დასახ. შრომა, გვ. 123.

¹² იქვე, გვ. 123.

ხელია მსაზღვრელად მეორე კომპონენტისა (არსებითისა). სინტაქსურ პლანში აქ საქმე გვაქვს ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობასთან. სიტყვათა ასეთი დაკავშირება თურქულში გამოირიცხავს რაიმე მორფოლოგიურ ნიშანს (ან ერთი ან მეორე წევრისათვის); მიუხედავად ამ საყოველთაოდ განმტკიცებული სინტაქსური ურთიერთმიმართებისა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, ცალკეულ რთულ სიტყვათა შედგენილობაში მაინც იჩენს თავს სწორედ განსხვავებული, არანორმირებული სიტყვათკავშირები. ასე მაგ.: რთული სიტყვის პირველი კომპონენტი ზედსართაული მსაზღვრელია, მეორე — არსებითი სახელი, რომელსაც დართული აქვს III პირის კუთვნილებითი აფიქსი (მსგავსად იზაფეთური კონსტრუქციისა).

ზოგჯერ პირველი კომპონენტი მიმღეობაა მსაზღვრელის ფუნქციით: kudrettopu — ჭექა-ქუხილი, deliotu//kuduzotu — ძირშხამა, kırmızböceği — ერთნაირი მწერია, kocabaşı — თავკაცი, boğanotu — ბალახის ერთგვარი სახეობა, ölmezoglu — ფიზიკურად ძლიერი და გამძლე და სხვ.

ბ) ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი რთული სახელები, რომლის კომპონენტთა პირველი წევრი ან ზედსართავი ან რიცხვითი სახელია ან და მიმღეობა; მეორე წევრი კი არსებითია (კომპონენტთა სინტაქსური ურთიერთმიმართების მხრივ მითვა გვაქვს). მაგ.: büyükanne//büyükvalide — დიდედა, büyükbaba//büyükpeder — ბაბუა, sıvrisinek — კოლო, güzelhatun — (ბოტ.) შმაგა, delikanlı — ჭაბუკი, sogukkanlı — გულგრილი.

ტოპონიმიკური სახელები: Sivrihisar, Eskişehir, Karahisar, Sarıkamış, Inceburun და სხვ.

სხვა ცნების აღმნიშვნელი სახელები: kırkayak — ცხრაფეხა, yüzyıl — საუკუნე, beşbiyık — მუშმულა (მც.), seksen/sekiz+on/, doksan/ dokuz + on/, yana dağ — ვულკანი, atardamar — პულსი, akanyıldız — მეტეორი და სხვ.

გ) სახელი პლუს მიმღეობის ფორმა. აქ შეიძლება გამოიყოს რთული სიტყვის კომპონენტთა ურთიერთმიმართების ორი ტიპი, მართვისა და მირთვის წესით დაკავშირებული შესიტყვებანი (პირველი ნაკლებადაა დადასტურებული, მეორე უფრო გავრცელებულია).

მართვა: პირველ კომპონენტს დართული აქვს მიც. ბრუნვის ნიშანი, მეორე კომპონენტი მიმღეობის ფორმაა.: günebakan — მზესუმზირა, yüzegelen გამოჩენილი, yerebakar — ვერავი, ცბიერი და სხვ.

მირთვა: kuyruksallıyan — ბოლოქანქარა, konuksever — ხტუმართმოყვარე, kervankıran — ვენრა (პლანეტა), cankurtaran — მაშველი, demirkapan — მაგნიტი, hayırsever — ქველმოქმედი, dalgakıran — ყინულმჭრელი, öksüzsevindiren — უხარისხო, (უვარგისი), yurtsever — პატრიოტი და სხვ.

დ) პირველი კომპონენტი არსებითი სახელია, მეორე კი ზმნის პირიელი ფორმა (ნამყო კატეგ., დრ., მესამე პირი, მხ. რ.). მაგ.:

sinekkaıdı — სუფთად გაპარსული წვერი. საკმლის სახელწოდებები: külbasti, hünkərbeyendi, imambayıldı და სხვ.

gecekondu — ჯურღმული, toprakbastı — გადასახადი, mirasyedi — მფლანგველი, serdengeçti — თავზეხელაღებული და სხვ.

ე) პირველი კომპონენტი ბრძანებითი კილოს II პირის მხ. რიცხვის (წართქმითი ან უკუთქმითი) ფორმაა, მეორე კომპონენტი ან ნაცვალსახელია ან არსებითი (დამატების ფუნქციით), კომპონენტთა ურთიერთმიმართების მხრივ მართვა. მაგ.:

albeni — გულწარმტაცი, incitmebeni — (მედიც.) კიბო, unutmabeni — ლურჯი ფერის პატარა ყვავილია, çalçene — ყბედი და სხვ.

ასეთია ძირითადად რთული სიტყვის სტრუქტურა თურქულ ენაში.

ЛИТЕРАТУРА

1. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
2. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი, 1946.
3. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961.
4. А. Н. Кононов, Грамматика современного турецкого литературного языка, М—Л., 1956.
5. Р. А. Аганин, Повторы и однородные парные сочетания в современном турецком языке, Москва, 1958.
6. Р. А. Аганин, О принципах подачи подражательных слов в турецких словарях, Тюрко-монгольское языкознание и фольклористика, Москва, 1960.
7. С. С. Майзель, Изафет в турецком языке, М—Л., 1957.
8. Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, Москва, 1931.
9. Д. А. Магазаник, М. С. Михайлов, Русско-турецкий словарь, Москва, 1943.
10. М. А. Ağakaya, Türkçe Sözlük, Ankara, 1959.

Э. Р. САРИШВИЛИ

О СТРУКТУРЕ СЛОЖНЫХ СЛОВ В ЛИТЕРАТУРНОМ ТУРЕЦКОМ ЯЗЫКЕ

(формальные группы композитов)

Резюме

Сложные слова (компози́ты) в литературном турецком языке можно разделить на две основные группы:

I. сложные слова, компоненты которых синтаксически не зависят друг от друга;

II. сложные слова, компоненты которых находятся синтаксически в зависимом положении между собой.

I группа делится на две подгруппы:

а) композиты с удвоенными основами;

б) композиты, компоненты которых состоят из двух самостоятельных слов.

II группа делится также на две подгруппы:

а) композиты, компоненты которых связаны между собой изафетом (I и II типа);

б) композиты иного типа.

Каждая подгруппа делится на отдельные единицы.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურ-
ქოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიქიამ

3. მ. ЧОПИКАШВИЛИ

О СЕМАНТИЧЕСКОЙ СТРУКТУРЕ ЗНАЧЕНИЯ ИМЕН НЕОТТОРЖИМОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ И ЕЕ РЕАЛИЗАЦИИ В РАМКАХ ФРАЗЕОЛОГИЗМОВ

(на материале соматизма *цæст* (глаз) в осетинском языке)

За последние десятилетия объектом синхронного изучения разных языков становятся как общие проблемы фразеологии, так и конкретные вопросы ее структуры и семантики. В советском языкознании использование научно обоснованных методов исследования создало предпосылки всестороннего изучения фразеологии. Наметилось два основных подхода к изучению семантической структуры фразеологических единиц (ФЕ): а) объектом анализа служит готовая структура ФЕ, целостная по форме и содержанию; изучается ее лексико-грамматический состав, возможные варианты; б) описываются способы создания семантической структуры ФЕ, закономерности сочетаемости ее компонентов и всей ФЕ в целом [2].

При изучении семантической структуры ФЕ в центре внимания оказывается семантическая структура значения слова — компонентов. Традиционный постулат о «десемантизации» компонентов ФЕ все чаще подвергается пересмотру. Исследователи говорят о «семантическом сдвиге», «модификации» отдельных значений слова в рамках ФЕ, о «косвенной номинации» [3].

Статья посвящена анализу семантической структуры значения соматизма *цæст* (глаз) и ее реализации в рамках ФЕ *цæстæй кæсын*, *цæст дарын*, *цæст ахæссын*, *цæст æрхæссын*.

Компонентный анализ позволяет выделить набор сем прямого и переносного значения, диагностируемых глагольной дистрибуцией.

Аспекты прямого значения: 1. имя неотторжимой принадлежности человеческого организма; 2. орган, осуществляющий неотторжимое чувство человека — «видение»; проявителем семы служит его структурный актант — *уынын* — видеть; 3. орган, осуществляющий неотторжимую функцию, как действие, осуществляемое глазом — «смотрение», «глядение». Структурный актант, глагол *кæсын* (смотреть, глядеть); 4. сема «подвижность» имеет своим основанием физическое свойство глаза как подвижного органа. Структурный актант *разил-базил кæнын* (двигаться, вращаться) и другие глаголы этого семантического разряда; 5. как орган человеческого организма глаза могут болеть. Структурный актант *рыссын* (болеть). Имея свою дифференциальную структуру, аспекты прямого значения сами по себе не несут никакой специальной информации. Инвариантом прямого значения соматизма *цæст* является сема «неотторжимость».

Семантический сдвиг при переносном значении диагностируется его сочетаемостью с неструктурными актантами (*дарын* — держать, *хæс-*

сын — нести и т. д.) и носит метафорический характер. Семь переносного значения реализуются в модели лицо + притяж. мест. + *цәст* объект (как ед. ч. так и мн. ч.) дарын. Функция подлежащего приписывается самому человеку; структурным актантом «неотторжимости» становится притяжательное местоимение. Переносное значение является носителем информации, связанной с экстралингвистическими факторами. Ср.: *Ләппу йәе цәстәйәе дардта дохтырмәе* (Мальчик показывал свои глаза врачу)—букв. держал к врачу.

Совокупность сем прямого и переносного значения составляет семантическую структуру соматизма *цәст*. Анализ показывает, что аспекты прямого значения порождают аспекты переносного значения в зависимости от того, какие признаки берутся за основу носителями языкового коллектива при сближении понятий. В семантическую структуру соматизма *цәст* входит его потенциальная валентность на неструктурный глагольный актант.

Индикатором тончайших оттенков значения семантической структуры соматизма *цәст* становится фразеологическая единица, в зависимости от характера актантов функционирующая в условиях различных контекстов и ситуаций.

Притяж. мест. + *цәстәй*¹ *кәсын* (букв. своим глазом смотреть). Идентификатор—*суләфын* (здохнуть). Сема: «состояние внутреннего дискомфорта», имеющая в своей основе нарушение неотторжимой семы, «удовлетворительное состояние» человеческого организма, его настроения. Ср.: *Искәй хәд-зарән уынафәе кәнын зын у, фәлә әхсәны куыстмәе куы цәунис, адамы әхсәнмәе куы фтис, уәд дәе цәстәй ракәсис* (4,268). Трудно советовать чужой семье, но если бы ты была на общественной работе, бывала бы среди людей, то ты бы ожила². Актуализованная сема поддерживается синтаксическим контекстом (условное предложение), содержащим указание на внешние причины, вызывавшие угнетенное состояние человека. О высокой степени абстракции фразеологического значения от прямого значения соматизма говорит метонимический перенос значения с части на целое (глаза—состояние человека). В. Г. Гак обращает внимание на сложность происходящего процесса: «...устраиваемая сема исчезает не сразу, она долгое время остается в «скрытом», потенциальном положении, готовая в любой момент перейти в эксплицитное состояние» [3].

Прилагательное + *цәстәй кәсын*

Семантическая структура этой ФЕ исключает наличие идентификатора. Сема: «взаимоотношения людей» (дружелюбие, враждебность, недоверие и т. п.) Ср.: *Иннаетә та йәе әндәер цәстәй кәсын райдыдтой* [4,139] букв. — А другие стали смотреть на него совсем другим глазом (относиться по-другому). Соматизм *цәст* в сочетании со структурным актантом *кәсын* (смотреть) обладают семой «неотторжимость» и не могут быть носителями новых сем. Для актуализации они нуждаются в дифференциальном признаке. Соматизм *цәст* имеет открытую семантическую валентность на качественный определитель, которая заполняется в осетинском языке прилагательными.

¹ В составе ФЕ соматизм *цәст* функционирует в форме ед. ч.

² На русском языке предложения даются в переводе.

Сочетание соматизма *цәст* с неструктурными глагольными актантами способствует семантическому сдвигу его значения и формированию ФЕ.

Различные эмоциональные оттенки значения ФЕ *цәст дарын* реализуются в общей модели *лицо + притяжат. мест. + цәст дарын + объект*.

1. Идентификатор *кәсы* (смотреть). Сема «смотрение», «глядение» модифицируется в сему «внимательное целенаправленное смотрение». Активное зрительное восприятие объекта сопровождается взволнованными размышлениями субъекта, выдавая его состояние, отношение к объекту. Ср.: *Мәскуы... Фыццаг хатт æ ләууыди ацы зæххыл. Уынгтæ, бæрзонд хæдзæрттæ, машинæтæ, фосы дзугтау... Адæм, адæм, адæм!.. Машинæйы рудзынгæй йæ цәст дары, бирæ цыдæр зæгъинагтæ, бирæ цыдæр фæрстытæ йæм ис. [4, 319]. Москва... впервые он ступил на эту землю. Улицы, высокие дома, машины, как тучные стада... Люди, люди, люди! Из окна машины он внимательно приглядывается ко всему, много невысказанного, много разных вопросов накопилось у него.*

2. Идентификатор—*хъахъхъæнын* (наблюдать). Сема «глядение», «смотрение» не нейтрализуется, а актуализирует сему «внимательное наблюдение за объектом», вызванное взволнованным состоянием субъекта (недоверие, тревога, подозрение и т. п. Ср.: 2). Например: *Фысым иу дзырд дæр нал скодта, аласта бæхы чысыл æддæдæр æмæ уырдыгæй йæ цәст дардта уазæгмæ [5,77]. Хозяин не проронил больше ни слова, отвел коня в сторону и оттуда наблюдал за гостем. Сема «глядение», «смотрение» не нейтрализуется, а актуализирует сему «внимательное наблюдение за объектом», вызванное состоянием субъекта (недоверие, тревога, желание выяснить ч-л). Объект грамматически реализован.*

3. Идентификатор *кәсын* (переносное значение) присматривать за к-л. Сема «отношение» (забота, уход, просмотр) актуализируется при полном погашении семы «смотрение», «глядение». Характер отношения раскрывается контекстом. Ср.: *Уæддæр æм тынг сæ цәст дардтой бинонтæ, хæринаг æмæ нуæзты дæбæхæй йæ хъуаг нæ уагътой [5,62]. Все же семья очень заботилась о нем, у него не было недостатка в хорошей еде и напитках.*

4. Идентификатор *æххуыс кæнын* (помогать). В контексте имеются такие слова как *æххуысгæнæг* (помощник), *фæкæсæг* (помошник) и т.п. Сема «смотрение», «глядение» погашается, актуализируется сема «помощь», «поддержка». Ср.: *Уыцы чызгмæ цәст фæдарын хъæуы. Аххуысгæнæг ын куы уайд, уæд... [4, 260]. Этой девочке надо помочь. Если бы ей помогли, то...*

Таким образом, в одной и той же ФЕ (*цәст дарын*) в сознании носителей языка могут быть отражены различные аспекты действия.

Притяжат. мест. + цәст æрхæссын + объект (букв. пронести свой глаз по объекту сверху вниз, внешность человека). Идентификатор— *бакæсын* (посмотреть). Сема «смотрение», «глядение» не погашается; она актуализирует сему «оценка объекта» путем зрительного сравнения его с другим объектом. Объект сопоставления и результаты оценки даны в контексте. Ср.: *Фыл фæстæмæ разылд, сæрай къæхтæм фыртыл йæ цәст æрхаста. Ацы хатт æм аслæр фæкасти: йæхицæй бæрзонддæр, уæнгджынтæ*



[4,295] Отец обернулся, с головы до ног окинул сына внимательным взглядом. На этот раз он показался ему взрослее: ростом выше отца, крепкого телосложения.

Притяж. мест. + цаест ахæссын + объект (букв. пронести глаз по обширному объекту, расположенному по горизонтали).

Идентификатор значения — ахæсын (посмотреть). Сема «критическая оценка объекта» актуализируется семой переносного значения компонента цаест «направленное зрение». Контекст содержит указание на результаты оценки. Объект оценки не всегда является лицом (люди, скот, двор, поле и т. п.). Ср. Темырболат сæхи хæдзарыл йæ цаест ахаста. Ардæм куы арлыгъдысты, уæдыгон у. Йæ хæдын къултæ ныггæлиртæ сты. Йæ æмбарæндуртæн сæ фылдæр сæстытæ. [4,295]. Темырболат [окинул свой дом критическим взглядом. Он стоит здесь со времени их переселения. Деревянные стены в щелях. Большая часть черепицы разбита.

Диагностирующая сила структурных и неструктурных актантов колеблется в зависимости от наличия или отсутствия сем прямого или переносного значения компонента цаест во ФЕ. Набор дифференциальных сем позволяет определить инвариант плана содержания проанализированных ФЕ как «взаимоотношения людей», «оценка объекта».

ЛИТЕРАТУРА

1. Телия В. Н., Раздел «Фразеология», в сб.: Теоретические проблемы советского языкознания, М., 1968.
2. Гак В. Г., Семантическая структура слова как компонента семантической структуры высказывания, в сб.: «Семантическая структура слова, Психологические исследования», М., 1971.
3. Гак В. Г., Проблема лексико-грамматической организации предложения, докт. дисс., М., 1967.
4. Агузаров А. А., Солнцеворот (роман на осетинском языке), Орджоникидзе, 1964.
5. Коцоев Арсен, Рассказы на осетинском языке, Орджоникидзе, 1971.

Кафедра общего языкознания Тбилисского государственного университета

Представила член-корреспондент Академии наук Грузинской ССР М. К. Андроникашвили

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ათონელთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტი

გასულ წელს ქართველმა მეცნიერებმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს ათონის ივერთა მონასტრის დაარსების 1000 წლისთავს. თითოეული მათგანი უთუოდ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული კულტურის ამ დიდებული კერის შესახებ. აქ მე შევეცხები ერთ ნაშრომს. რომელიც რიგი საკითხის სრულიად ახლებური გაშუქებით, ვფიქრობ, საავანგებო ყურადღებას იმსახურებს.

შეკვლევართათვის კარგა ხანია ცნობილი იყო ქართველ მთაწმიდელთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტის არსებობა. ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებელი შეხედულებით, ეს უნდა ყოფილიყო იოანეს და ეფთვიმეს, ავრეთვე გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებათა“ ბერძნული თარგმანი, შესრულებული ერთ-ერთი ქართველი ბერის მიერ თვით დიდ ათონელთა ეპოქაში (XI ს.).

მას შემდეგ, რაც მ. მაჩხანელმა ქართული თარგმანითა და შესანიშნავი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ამ თხზულების ბერძნული ტექსტი¹, აღნიშნული შეხედულება რადიკალურად უნდა შეიცვალოს. გამოირკვა და უცილობლადც დადგინდა, რომ იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ბერძნული „ცხოვრება“ ქართულიდან თარგმნილი ძეგლი კი არ არის, არამედ ორი გინაღური ბერძნული ნაწარმოებია, ბერძენი ავტორის თხზულება; ეს ნაწარმოები შექმნილია არა ათონელთა ეპოქაში, არამედ XVIII საუკუნის შუა წლებში; თხზულების მესამე პერსონაჟი (გიორგი) გიორგი მთაწმიდელი კი არ არის, არამედ მონასტრის მესამე წინამძღვარი — გიორგი მამუკაშვილი; ნაწარმოები დაწერილია ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში.

ვფიქრობ, ზემოთ თქმულიდანაც კარგად ჩანს ბერძნული ტექსტის მოპოვებისა და მისი კვლევის შედეგების მნიშვნელობა. მაგრამ მ. მაჩხანელი ამით არ იფარგლება და სხვა სიახლეებსაც ვეთავაზობს. უდავოა მათი მნიშვნელობაც, მაგრამ ჯერ საკუთრივ ბერძნულ თხზულებაზე შევჩერდები ორიოდ სიტყვით.

შეიძლება ვინმეს ეჩვენოს, რომ ბერძნული „ცხოვრების“ დაწერის თარიღის გადატანამ XI საუკუნიდან მეოთხრამეტეში ერთგვარად დააქინა ამ თხზულების ღირებულება. ცხადია, „ცხოვრება“ რომ თვით ათონელების ეპოქაში ყოფილიყო შექმნილი, მასში დაცულ ცნობებს მეტ ნდობას გამოვუცხადებდით და ძეგლის საისტორიო მნიშვნელობაც მეტი იქნებოდა. მაგრამ აქ ორ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ერთი ის გახლავთ, რომ ბერძენი ავტორი ეყრდნობა ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და ბერძენთა შორის გავრცელებულ ზეპირ გადმოცემებს თხზულების პერსონაჟების შესახებ. ცდილობს იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი მთხრობელი. შესავალში მკითხველს პირდაპირ აუწყებს, რომ ჩემი მიზანია, ვასაგები ვენი გადმოვცე ეს, რაც მათი ცხოვრების შესახებ მოვიძიე. „თხრობას არც არაფერს მივუმატებ, არც დავაკლებ, რათა შემატებამ მოთხრობა არასამიედო და საევეო, ხოლო გამოკვლევამ — დაუსრულებელი და უნაყოფო არ გახადოს“ (გვ. 122). ავტორი უპირატესად ასრულებს კიდევ ამ დაპირებას.

მეორე მხრივ, და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, თხზულება ნათელი დალასტურება იმისა, თუ რაოდენ დიდი მოკრძალებითა და მადლიერებით იფარებდნენ XVIII საუკუნის ბერძენები მათგან თითქმის რვა საუკუნით დაცილებულ ქართველ ათონელებს. უთუოდ საგულისხმა ავტორის სიტყვები: „ასეთია ცხოვრება წმიდა და დამრთუმოსისი ჩვენი მამებისა და ქტიტორებისა, რომელთა სათნოებასაც მთელი არსებით უნდა მივბამოთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საჭიროა, არამედ იმიტომაც, რომ ვიყოთ მემკვიდრეები როგორც მათ მიერ აგებული მონასტრისა, ასევე მათი სიქველისა. შეილი ღირსეულად მამის ითვლება, თუ ავამტლებს მამის საქმეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სახელი აქვს შვილისა, სინამდვილეში კი უკანონოა“ (გვ. 144—145).

¹ იოანე, ეფთვიმე, გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“ ბერძნული ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევით გამოსაცემად მოამზადა მინანა მაჩხანელმა, თბილისი, „მეცნიერება“, 1982.

ბერძნული „ცხოვრების“ ავტორი გულწრფელად არის აღტაცებული იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის მოღვაწეობით. ეფთვიმეს მთარგმნელობით და სამწერლობო საქმიანობაზე საუბრისას ის შენიშნავს: „სამართლიანად უწოდებდნენ ქართველები ახალ ოქროპირს ეფთვიმეს, რომელმაც გაამდიდრა თავისი ღარიბი ხალხი ოქროს ნაწარმოებებით და უფრო მეტად გააღამაზა და ცნობილი გახდა, ვიდრე კიროსმა თავისი ხალხი გამაჩვენებელი, ხოლო კრებმა — უთვალავი სიმდიდრით. ისინი სოზმარივით გაქანდნ და ისე დადნენ, როგორც აღზე ცვილი, ხოლო ახალი ოქროპირი — ეფთვიმეს ოქროს წიგნები მარად უკვდავ იქნება, როგორც ქვეშაირი მოწმე და სამუდამო მაცნე მისი ორგავარი სიბრძნის, დიდებისა და განსაცვიფრებელი სათნოებისა“ (გვ. 134).

ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ეფთვიმეს ხსენების დღე — 13 მაისი — ყოველთვის ზემოთ აღინიშნებოდა და აღინიშნება ათონის ქართველთა მონასტერში. იოანესა და გიორგის ხსენების დღეები კი გაუგებარი მიზეზით სავსებით მივიწყებიათ. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ იოანესა და გიორგის ხსენება კვლავაც ზემოთ აღინიშნება საქართველოში (იოანესი — 14 ივნისს, გიორგისა — 28 ივლისს). აქაც, ათონზე, ვიდრე ეს წმიდა მონასტერი ქართველებით იყო დასახლებული, მათი ხსენების დღეს საზეიმოდ იკეთებოდა აკოლოთიები და მრავალრიცხოვანი ტროპარები. ავტორის აზრით, ეს ტრადიცია კვლავაც უნდა აღდგეს და მტკიცედ დამკვიდრდეს. „მე ვფიქრობ, — წერს ის, — არ არის სამართლიანი, რომ ჩვენ ამ თარიღებს არ ვუვიმობთ, ხოლო მათ ცხოვრებას მოკლე მოთხრობით მაინც არ ვაღმოვცემთ. ეს კი სრულიად აუცილებელია, რადგან ბევრისათვის არ არის ცნობილი მათი საქმიანობა. ეს არცოდნა კი ახლოს არის ბივიერებასთან და ჩვენი დანაშაულია. ხომ ცოდვია ღვთის წინაშე, ვიცნობდით ბევრ სხვა წმიდანს, მათ ცხოვრებას, მათ გმირობას და არ ვიცოდეთ, თუ რა არის დაწერილი ჩვენი საკუთარი მამებისა და ქტიტორების შესახებ“ (გვ. 122—123).

ბერძნული „ცხოვრების“ შექმნით ეს ხარვეზი აღმოიღებრა. ამიერიდან 13 მაისს, ეფთვიმეს ხსენების დღეს, წაიკითხებოდა ბერძნულ ენაზე დაწერილი სამი ქართველი ქტიტორის „ცხოვრება“.

თხზულების ავტორი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ივირონის ახლანდელი მამები იოანეს, ეფთვიმეს და გიორგის მემკვიდრეები არიან. თითოეულ მათგანს წარმოგიდგენს წმიდანად და მისაბამ ობიექტად; ქართველ მოღვაწეებს უყოყმანოდ მიიჩნევს ბერძენთა სახელოვან და საამაყო წინამორბედად; მათთვის არ იშურებს სახობო ეპითეტებს და, რაც მთავარია, გულწრფელად ცდილობს დაუკლებლივ წარმოაჩინოს მათი ღვაწლი და უდიდესი დამსახურება.

ივირონში მოღვაწე ბერძენი ბერის ამგვარი განწყობილება, ერთი შეხედვით, შეიძლება მოულოდნელად ერგვნოს ყველას, ვინც რამდენადმე მიიჩნევს იცნობს ათონის ისტორიას. მართალია, პირველ ხანებში ბიზანტიის საერო და სასულიერო წარწერების გავლენიან პირებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ივირონის მოღვაწეებთან, მათი ავტორიტეტუი ძალზე დიდი იყო ათონის მთაზე, მაგრამ მდგომარეობა თანდათან მწვავედებოდა და ბერძენები აღარც ფარავდნენ ივერთა მონასტრის დაპატრონების წაღილს. შეცამტე საუკუნიდან კი, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დაეცა, ბერძენები კიდევ მეტად გააქტიურდნ და ივირონის კანონიერი მფლობელები უკიდურესად შეაფიწროვეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კალისტე პირველმა (1350—1363) ქართველებს მთავარი ტაძარი ჩამოართვედა და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა. მართალია, ამით ბრძოლა საბოლოოდ არ დამთავრებულა, ქართველები კვლავაც ენერგიულად იღწუოდნენ კანონიერი უფლებების შესანარჩუნებლად, მაგრამ მათი მდგომარეობა, მიუხედავად ხანმოკლე ეპიზოდური წარმატებებისა, საგრძნობლად რთულდებოდა.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ბერძენები ყოველნაირად ეცდებოდნენ, დაეკინებინათ ქართველთა როლი და მათი უფლებები ივირონზე. რაღა თქმა უნდა, აზრდაც არ მოუვიდოდათ, წარმოეჩინათ ქართველი ქტიტორების დამსახურება და ისინი თავიანთ სახელოვან წინამორბედებად დაეცხათ.

მაგრამ ასეთი ნაწარმოები მაინც დაიწერა ბერძნულ ენაზე. უთუოდ მართებულად შენიშნავს მ. მაჩხანელი, რომ „მეტყარამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ივირონში ქართული ელემენტი ფაქტურად აღარ არსებობს და მინიმუმამდე დასული ურთიერთობის ის სიმძაფრე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველთა მონასტრის ისტორიის პირველ საუკუნეებში“ (გვ. 19). ბერძენებს უკვე აღარ სჭირდებოდათ ქართველთა დეაწლის მიჩქამლება და დაკნინება. მეორე მხრივ, ისტორიული წარსულისადმი ინტერესის მძაფრი გაღვივება, რაც იმ პერიოდის საბერძნეთისათვისა და მახასიათებელი, მონასტრების წინაშე აყენებს საკუთარი ისტორიის ობიექტური შესწავლისა და ცოდნის საკითხს. ობიექტურობა კი ივირონის მამე-

ნებელთა, ათონზე ქართველთა სამონასტრო ცხოვრების დამაარსებლების ჯეროვან დაფასებას გულისხმობდა. ასეთ ვითარებაში დაიწერა ათონელთა ბერძნული „ცხოვრება“. იმდროინდელი ბერძენი მოღვაწეები (ისევე, როგორც თხზულების ავტორი) ამაყობდნენ კიდევ თავიანთი სახელგანთქმული ქართველი წინამორბედებით.

როგორც ვთქვით, „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტის მოპოვება ჩვენი მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. თხზულების კვლევის იმ თვალსაზირო შედეგების პარალელურად, რაზეც ზემოთ გავკრიტი მიუვითეთ და რომელთა მნიშვნელობაც უდავოა, მ. მაჩხანელი სხვა სიახლეებსაც ვეთავაზობს. შევხვებით ზოგიერთ მათგანს.

ჩემი აზრით, ნაშრომში საკვებით სარწმუნოდ არის დადასტურებული, რომ გიორგი მამუწენგელი იყო კტიტორი ათონის მთავარი ეკლესიისა. „ცხოვრების“ ბერძენი ავტორი გვაუწყებს: „სწორედ რომ მან ააშენა ეს ბრწყინვალე შენობა, კათოლიკონი, ჩანს მრავალი ფირფიტიდან, რომელიც მოთავსებულია წმიდა ეკლესიის ცენტრში, ჰალის ქვეშ“ (გვ. 144). იქვე მოყვანილია წარწერის ტექსტი, რაც ასე ითარგმნება: „მე გავამყარე ეს სვეტები და უკუნისამდე არ შეიძრან. გიორგი, ქართველი ბერი და მამუწენგელი“.

ამ ცნობას მ. მაჩხანელი საკმაოდ მყარი არგუმენტებით ამარაგებს.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სახელდობრ გიორგი მამუწენგელს გულისხმობს ტაძრის კტიტორული წარწერა (რომელსაც ზუსტად იმეორებს „ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილი ტექსტიც): „მე დაეამტკიცენ სვეტნი მისნი და უკუნისამდე არა შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და მამუწენგელი“.

ეს წარწერა უნახავს მეთვრამეტე საუკუნის ცნობილ მოღვაწეს ტიმოთე ვაბაშვილსაც, მაგრამ ტაძრის ამგებელ მას გიორგი მთაწმიდელი მიუჩნევია. სხვათა შორის, გიორგი მამუწენგლისა და გიორგი მთაწმიდელის აღძვრის შესაძლებლობა გათვალისწინებული აქვს ბერძენ ავტორსაც და ამიტომ თხზულებაში საგანგებოდ მიუთითებს: „ცდება ის, ვინც ამბობს, რომ ამ ამბებიდან ასი წლის მერე მოვიდა გიორგი მთაწმიდაზე. იგი ან ეფთვიმესთან ერთად მოვიდა, ან ერთი წლის შემდეგ. დროის მონაკვეთი ამგვარია“ (გვ. 144).

გიორგი წლების მანძილზე (მ. მაჩხანელის აზრით, 17 წლის განმავლობაში) კანაგებდა ივირონის მონასტერს. ჩვენ არ მოგვებოვება უბრალო მინიშნებაც იმაზე, რომ ის ეწეოდა მონივრებულ-ლიტერატურულ მუშაობას. მაშასადამე, გიორგის პრაქტიკული საქმიანობა საშვებელი მოღვაწეობით შემოიფარგლა. ამ სფეროში მოღვაწეობამ კი მას „დიდისა“ და „მამუწენგლის“ ეპითეტები დაუწყვიტა. თუ აქვე გავითვალისწინებთ გიორგის ავტორიტეტსა და გავლენას ათონის მთაზე, მის სიახლოვეს საიმპერატორო კართან, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ესოდენ დიდ პატივსა და სახელს მხოლოდ სარესტავრაციო მამუწეობები ვერ მოუტანდა. საამისოდ საუბრო იყო განსაკუთრებული დამსახურება.

ივირონის კტიტორად მოიხსენებს გიორგის კელრენის „ისტორია“ და „ტურიონოს კომპილიაცია“.

ამრიგად, აქ მითითებული ყველა წყარო (ბერძნული „ცხოვრება“, კელრენის „ისტორია“, „ტურიონოს კომპილიაცია“, აგრეთვე ზემოთ დამოწმებული წარწერა). მთავარი ტაძრის კტიტორად გიორგის ასახელებს. გასარკვევი რჩება ამ გიორგის ვინაობა. მ. მაჩხანელის ნაშრომში ეს საკითხიც წარმართული არის გადაჭრილი და დადგენილია, რომ ყველგან ივირონის მესამე წინამძღვარი გიორგი ივლისსმებდა.

დაეუმატოთ ამას მკვლევრის სხვა გაინტერესო მოსაზრებებიც და ნათელი გახდება, რომ დებულება გიორგი მამუწენგლის კტიტორობის შესახებ მყარ მეცნიერულ ნიადაგზეა დაფუძნებული.

აქვე გავკრიტი შევხვებით გიორგი მამუწენგელთან დაკავშირებულ ერთ საკითხსაც.

როგორც უკვე აღვნიშნე, გიორგის მტკიცედ დაუწყვიტადა ეპითეტები „დიდი“ და „მამუწენგელი“. ამასთან, ქართულ წყაროებზე დაყრდნობით მ. მაჩხანელმა ნათელი გიორგის უდიდესი დამსახურება და გავლენა ათონის მთაზე (სხვათა შორის, ამას მხარს უჭერს ბერძნული „ცხოვრებაც“). ამ თვალსაზრისით ურთიერთსაპირისპირო ცნობებს გვაწყდის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაც“. ერთი მხრივ, გიორგი აქ წარმოდგენილია როგორც უაღრესად ზნესრული და ფართოდ სახელგანთქმული პიროვნება: „კორციელთა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო და მის ქამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან და მთავ ყოველი დიდად პატივს-სცემდა და გერბალოდა“. იოანე ათონელს იგი მიუჩნევია ერთადერთ კანდიდატურად, რომელსაც ეფთვიმეს შემდეგ უნდა ეტვირთა მონასტრის წინამძღვრობა... მეორე მხრივ კი, მას საკმაოდ მძიმე ბრალდებები აქვს წაყენებული. ასე, მაგალითად: წინამძღვრად დადგენილად „არა მრავლისა ქამისა შემდგომად მამა გიორგი დაეწყევლად მოვიდა და არცა ერთი

რამა ზრუნვამ აქუნდა ქართველთა აღორძინებისა, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა“. სხვა ადგილას ბრალდება კიდევ მეტად არის დაამძიმებული: „კჳალად ბერძენნი ფრიად რამე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიღრკა, ზოლო ქართველნი, ვითარცა ნახსურანი რამე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამცირნა“. უფრო მეტიც. გიორგის უარსუვანია თვით იოანესა მიერ დამკვიდრებული წესები: „კინდა-და უმეტესნი წესთაგანნი შეცვალნა და თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუთა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებამ“.

რასაკვირველია, გიორგის შეფასების თვალსაზრისით, ეს ცნობები უთუოდ საპირისპიროა, მაგრამ, ჩემი აზრით, ისინი არც წინააღმდეგობას შეიცავენ და, მით უფრო, არც ურთიერთ გამომრიცხველნი არიან. ეფექტობ, აქ მოცემულია გიორგის თანდათანობითი ცვლილების სურათი („არა მრავლისა ეამისა შემდგომად“. „თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის“ და სხვა).

მ. მაჩხაელი ცდილობს მოხსნას გიორგის ყველაზე დიდი ბრალდება, რაც „ცხოვრების“ შემდეგ სიტყვებში გამოიხატა: „შეიყუარნა და განამრავლნა ბერძენნი, ზოლო ქართველნი უგულებელს-ყვნა და შეამცირნა“. მკვლევარი წერს: „უძრალდება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: „ცხოვრებამ იოანესი და ეფთვიმესი“, რომელშიც დაცულა ეს ცნობა, პარობითად ორ ნაწილად იყოფა: I. საკუთრივ „ცხოვრება“ გიორგი ათონელის კალამს ეკუთვნის, II. „მოსახსენებელი“ ანუ შემორანდუმი ანონიმი ავტორისა, რომელიც ივირონის ბერებს შეუდგენიათ სვიმეონის მამობის დროს (1041—1042 წლებში) და შემდეგში მექანიკურად დაურთათ გიორგის თხზულებისათვის. საინტერესოა, რომ გიორგი დიდის დახასიათების „ნეგატური“ ნაწილი სწორედ ამ „მოსახსენებელში“ გვხვდება“ (გვ. 56).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგის დახასიათების „ნეგატური“ ნაწილი მხოლოდ „მოსახსენებელში“ არ გვხვდება. მეორე მხრივ კი, ჩემი აზრით, გადაწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას. ეკუთვნის თუ არა შემორანდუმი გიორგი ათონელს. ჭერ ერთი, მასში გამოხატულია ათონის შიის იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა საერთო განწყობილება: „ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შეეკვრებით და ერთთა განზრახვითა ესე ქუეშო წერილი მოსასხენებელი დაეწერეთ...“ მეორეც, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ შემორანდუმის შედგენაში მონაწილეობა არ მიეღო გიორგი ათონელს, რომელიც ამ დროს ივირონი იმყოფება და 1042 წელს დეკანოზად იქნა დადგენილი.

მართებულად შენიშნავს მ. მაჩხაელი, რომ ბერძნული ელემენტი ქართველთა მონასტერში იოანეს დროიდანვე იჩენს თავს. სწორია ისიც, რომ ეფთვიმეს წინამძღვრობაში ბერძენთა რიცხვი კიდევ მეტად გაიზარდა. გიორგი ათონელის სიტყვით, ეფთვიმემ, „ვიანათგან სიმორტ ქუეყანისა ჩუენისაჲ დიდ იყო, და სიერცე ამის დიდებულისაჲ ფრიად იყო, შემწველ და მსაჭურად შეიწყნარა ბერძენნი უმანკობით და სირწფობით და ესრეთ განმრავლდა ნათესავი ბერძენთაჲ ლაგრასა ამას“. მაგრამ, ალბათ, გაუიარღება ჩვენი მკვლევრის შენიშვნის გაზიარება: „ამაზე დიდი ბრალდება არცა აქვს გიორგი დიდს. ის, რაც აპატიეს ეფთვიმეს, არ ეპატია გიორგი მაშენებელს“ (გვ. 57).

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ გიორგის სხვა დიდი ბრალდებებიც აქვს წაყენებული (ქართველებისადმი გულგრილობა, იოანესა და ეფთვიმეს მიერ შემოღებული წესების უგულებელყოფა). ამჭერად სხვა არის მთავარი. გიორგის შემდეგ ვიდრე შემოხსენებული შემორანდუმის შედგენამდე ივირონს განაგებდნენ გრიგოლი („ნათო-საუფლელი ქართულია ნათესავისა და ნუგეშინის მცემელი“), არსენი („კაცი ორითავე მარჯულ და სასვე გონიერებითა“) და სვიმეონი. მათი მოღვაწეობის დროს მდგომარეობა კიდევ მეტად გამწვავდა. საგრძობლად შემცირდა ქართველთა რიცხვი („ფრიად შემცირებულ ვიყვენით“). ზოლო ბერძენები „ვითარცა ციხელნი ადგუნენ ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხვრნა ჩუენი ენება და დაყრობამა სამკურდებელისა ჩუენისაჲ“. ერთი სიტყვით, ბერძენთა მოზღვავებამ და ქართველთა შემცირებამ ამ პერიოდში ძალზე მძაფრად იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, ათონელ ქართველებს აზრადაც არ მოსვლიათ, ბრალი დაედოთ დასახლებული წინამძღვრებისათვის. შემორანდუმში პატივით და მადლიერებით მოიხსენებს გრიგოსლავ და არსენსაც და ამაყობა ეს გვაძლევს უფლებას, რომ ვთქვათ: ის, რაც აპატიეს გრიგოსლავ და არსენს (რამა თქმა უნდა — ეფთვიმესაც), არ ეპატია გრიგოსლავს მაშენებელს? ცხადია, არა! როგორც ჩანს, შემორანდუმის შედგენელთ ჰქონდათ მყარი საბუთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ გააწიარდნენ ქართველთა მთავარი ეკლესიის ქტიტორს. შემორანდუმის ხასიათი და დანიშნულებაც მისი ავთენტურობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ათონელთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტი

მაგრამ ქართველებმა გიორგის უდიდესი დამსახურებაც არ დაივიწყეს და ამ დამსახურების გამო „ლიდი“ და „მამუნებელი“ უწოდეს.

ამრიგად, გიორგი, თუ შეიძლება ითქვას, გაორებული სახით წარმოგვიდგება. დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი არ არის ესოდენ შესამჩნევი გადატყვის მიზეზი. აქ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. თუ გიორგი მართლაც მონაწილეობდა იმპერატორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, ოფიციალური წიგნების წინაშე მოსამოგებლად, შესაძლოა, მას ზოგჯერ ისეთი ნაბიჯის გადადგმა უხდებოდა (იქნებ საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც), რომელსაც თვალსაჩინო ზიანი მოჰქონდა ქართველებისათვის. ასეთი მოქმედება უთუოდ ეპატრიბოდა გიორგი-შეთქმულს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — გიორგი-წინამძღვარს.

სწორია მ. მაჩხანელის მოსაზრება, რომ ქართველთა მონასტერში ბერძენთა მომარაგებას ობიექტური მიზეზები ჰქონდა და არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ პროცესს შეაჩერებდა. მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ ვითარებაშიც შესაძლებელია აქტიური და პასიური წინააღმდეგობა. ჩანს, შემორანდუმის შემდგენლებმა ზოგი ისეთი რამ იცოდნენ, რაც ჩვენთვის უცნობია.

მ. მაჩხანელის გამოკვლევაში საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი ბერძნული „ცხოვრების“ წყაროების საკითხს.

მკვლევარი შენიშნავს, რომ თხზულება წარმოადგენს კომპილაციურ ნაწარმოებს. იგი შედგება სამი სხვადასხვა „ცხოვრებისაგან“. მაგრამ ჩაფიქრებულთა და აღიქმება როგორც ერთიანი, ერთი მიზნითა და დანიშნულებით დაწერილი თხზულება. ანალოგიური შედგენილობის ნაწარმოები არც ქართულად მოგვეპოვება და, მით უფრო, არც ბერძნულად. ამიტომ, ცხადია, რომ ანონიმი ავტორი თითოეული ნაწილისათვის იყენებდა და ეყრდნობოდა სხვადასხვა წყაროს. მ. მაჩხანელი სწორედ ამ გზით წარმართავს თავის ძიებას.

თხზულების შესავალიში ავტორი ზოგადად სახელებს ორ წყაროს: ქართულენოვანს (რომელზედაც ჩაწერილია ყველაფერი ათონელთა მოღვაწეობის შესახებ და რომელსაც ის გასცნობია ქართული ენის მცოდნეთა დახმარებით) და ბერძნულენოვანს (ბერძენი მისახლეობისაგან შეკრებილი ცნობები). ამრიგად, ავტორისავე სიტყვით, ის იყენებდა ქართულ წერილობით და ბერძნულ ფოლკლორულ მასალას.

მ. მაჩხანელის აზრით, ამას უნდა დაემატოს ბერძნული წერილობითი წყაროები. ასე, მაგალითად: ანონიმი ავტორის თითქმის სიტყვასიტყვით აქვს გამოყენებული ათანასე ათონელის 984 წლის ცნობილი სიგელი იოანესადმი.

რაც შეეხება ქართულ წყაროებს, აქ ავტორი იყენებს გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას“ და ეფთვიმეს ცხოვრების პირველ სეინაქსარულ რედაქციას.

მ. მაჩხანელის ეს შეხედულება ნაშრომში განმტკიცებულია ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებით და მათი საფუძვლიანი ანალიზით.

ოღონდ ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ არის აქ ცალკე გამოყოფილი მთავარი ეკლესიის ქტიტორული წარწერა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ სახელდობრ მ. მაჩხანელმა ნათელყო ბერძნული „ცხოვრების“ ერთი უაღრესად საყურადღებო ცნობის წარმომავლობა დასახელებული წარწერიდან.

ანონიმი ავტორის თხზულების ათონელთა ქართულ „ცხოვრებებთან“ მიმართების კვლევის პროცესში მ. მაჩხანელმა გამოაგლინა ისეთი ცნობები, რაც ან საერთოდ არ იყო ცნობილი, ანდა რამდენადმე ამღიარებს ჩვენს ცოდნას ათონელთა ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ. ასეთია რიგს ვკითხვინა: იოანეს როლი ქართველი მეფის კარზე, იოანეს მარშრუტი სამშობლოდან ათონის მთამდე, ეფთვიმეს მიზარება კონსტანტინოპოლის ბერძნულ სკოლაში, ცნობები ეფთვიმეს საწერლობო მოღვაწეობის შესახებ და სხვა. ამ ცნობების ერთი ნაწილი მკვლევარს მისაღებად მიანიძა, ზოგიერთის ავთენტურობის დასადასტურებლად კი დამატებითი საბუთების მოძიებას თვლის საჭიროდ.

სათანადო მაგალითების მოხმობით მ. მაჩხანელმა ნათელყო, რომ ბერძნული „ცხოვრება“ არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი რუსული კრებულისა „ათონური პეტრიკი“. აქ მკვლევარი კიდევ მეტად აზუსტებს თავის მოსაზრებას. ირკვევა, რომ კრებულის შემდგენელს უშუალოდ ბერძნული „ცხოვრება“ კი არ გამოუყენებია, არამედ ის ორი ბერძნული კრებული, რომელთაც ჩვენი ანონიმი ავტორის ნაწარმოები დასდებია საფუძვლად.

მ. მაჩხანელმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 1035 წლის თეოქისტიკე პროტოსის აქტზე მესამე ხელრთვა არის გიორგი ქართველსა. რაი ამ დროს გიორგი მამუნებელი უკვე გარდაცვლილია და ვერც გიორგი მთაწმიდელს ვივლისისხმებით ხელის მოწერად, მკვლევარი

დასკვნის, რომ 1035 წელს ივირონის წინამძღვარი ყოფილა გიორგი მეორე და იქვე დასძენს: „ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ივირონის წინამძღვართა არც ერთ რიგში, რომელიც დღემდე მოგვეპოვება (კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი...) ეს ფაქტი გათვალისწინებული არ არისო“ (გვ. 55).

ვფიქრობ, აქ მართლაც საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჩემთვის არ არის მთლად ნათელი, რატომ უნდა დაესაზოთ მითითებულ საბუთზე ზელისმომწერი მაინცდამაინც წინამძღვრად? გიორგი (ქართველი) ზელს აწერს 1016, 1017, 1018—1019 წლების ანალოგიურ აქტებსაც, მაგრამ ამ დროს ივირონის წინამძღვარი ეფთვიმე ათონელია.

ამასთან დაკავშირებით, ორიოდ სიტყვით შევეხები ეფთვიმესა და გიორგის მოღვაწეობის თარიღს.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ეფთვიმე 14 წელს ვანაგებდა ათონის ივერთა მონასტერს, ხოლო მის შემდეგ წინამძღვრად გიორგი (მაშენებელი) დაუდგენიათ. მ. მაჩხანელი ყოველგვარი განმარტების გარეშე მიუთითებს, რომ გიორგი 1012—1030 წლებში ვანაგებდა მონასტერსო. აქედან კი ის უცილობელი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ეფთვიმე ათონელის წინამძღვრობას ჩვენი მკვლევარი 998—1012 წლებზე სდებს. მართალია, ასეთი ვარაუდი წინათაც არსებობდა, მაგრამ კ. კეკელიძემ თარიღი შეცვალა და ჩვენს მეცნიერებაში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეფთვიმე ათონელი 1005—1019 წლებში ვანაგებდა მონასტერს. რაკი მ. მაჩხანელი კვლავ ძველ თარიღს გვათავაზობს, ვფიქრობ, ვალდებული იყო დაესაბუთებინა კიდევ თავისი მოსაზრება. შესაძლოა, ერთ საბუთად მკვლევარი სწორედ იმას თვლის, რომ 1012 (უფრო ზუსტად — 1016)—1019 წლებში შედგენილ რამდენიმე აქტს გიორგი აწერს ზელს. თუ ასეა, მ. მაჩხანელმა უნდა განეკუთვნებინა, რატომღა ვხედვებით ამავე პერიოდის საბუთებზე ეფთვიმე ათონელის ხელრთვის.

მეორე მხრივ, ეს ფაქტი (ორი სხვადასხვა პირის ხელრთვა ერთი და იმავე პერიოდის აქტებზე) იმასაც ადასტურებს, რომ ანალოგიურ საბუთებზე ზელისმომწერთ ყოველთვის ვერ დაესაზოთ მონასტრის წინამძღვრად.

ქართველ ათონელთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტი მ. მაჩხანელმა დაადგინა ორი ხელნაწერი ნუსხისა (ათონური და ვატიკანური) და ათენში გამოცემულ ქართველთა მონასტრის პროსკინეტარიონში დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით. მკვლევარმა განსაზღვრა მათი ურთიერთმიმართება და თავისებურებანი. უთუოდ საყურადღებოა ავტორის დასკვნა, რომ დასაზღვრულ სამივე ტექსტს აქვს ერთი და იგივე წყარო, უფრო სწორად, პროტოკრაფი და ისინი მხოლოდ ვარიანტულ დონეზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კითხვის გასაადვილებლად ტექსტი დაყოფილია პარაგრაფებად და აბზაცებად, გახსნილია ქარაგმები, გასწორებულია კალმისმიერი შეცდომები...

დასასრულ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მანანა მაჩხანელის ნაღვაწი (მხედველობაში მაქვს ბერძნული ტექსტის გამოცემაც, ქართული თარგმანიც და გამოკვლევა) თვალსაჩინო წვლილს შეიტანს ათონის ისტორიის შემდგომ კვლევაში.

მახტან ბაკაშვილი

ხანმეტი ტექსტები, ნაკვ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, „მეცნიერება“, 1984

„ხანმეტი“ წერილობითი ძეგლების აღმოჩენა უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო არა მარტო ქართული ფილოლოგიისათვის, არამედ ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით საზოგადოდ. ამიტომ საეგზეთო კანონზომიერი და ბუნებრივი იყო ის ინტერესი, რომელსაც ქართული მეცნიერები იჩენდნენ ამ ძეგლებისადმი, განსაკუთრებით კი თვით აღმოჩენილი — აკად. ი. ჯავახიშვილი. ხანმეტი და ჰემეტი ტექსტების მეცნიერულ შესწავლას ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ამ საკითხს მიეძღვნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის ნაშრომებს უკავია.

ამავე გამოქვეყნებული ხანმეტი ძეგლები ი. ჯავახიშვილისა, ა. შანიძისა, ი. ბერძენოსისა, მიუხედავად თავისი დიდმნიშვნელოვანებისა, მოცულობის მხრივ რამდენადაც დიდ კორპუსს არ ქმნიან. ეს, ერთი მხრივ, შეპირობებული იყო ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი წერილობითი ძეგლების სიმცირით, მეორე მხრივ კი — ხანმეტ პალიმფესტთა ამოკთხვასთან დაკავშირებული სიძნელით, რადგან ძველი ფენა პალიმფესტებისა საველდაველო არის გადაფხვილი და შეუიარაღებელი თვალთ მასზე მუშაობა შეუძლებელია. რამდენადაც ხანმეტი ძეგლები ქართული ენისა და ლიტერატურის უძველეს ძეგლებს წარმოადგენდნენ, რომელთა გარეშე ძნელია წარმოდგენა შეიქმნას ქართული ენის განვითარების პირველ ეტაპზე, ხსენებული ხარვეზის შევსება ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩებოდა. ნებისმიერი სამწერლო ენის ისტორიული გრამატიკა, აგრეთვე შესაბამის ენაზე შექმნილი ლიტერატურის ისტორია აუცილებლად საჭიროება გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებული, ზუსტად ან მიახლოებით დათარიღებული წერილობითი ძეგლების არსებობას, რომელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა საწყის, უძველეს პერიოდს ენიჭება. საყოველთაოდ გაზიარებული აზრის მიხედვით, ამგვარ წერილობით ძეგლებს წარმოადგენს ხანმეტი ტექსტები. ყოველივე ამის გამო საეგზეთო აშკარაა ღირებულება ყოველი პუბლიკაციისა, რომელიც ამგვარ ტექსტებს შეიცავს.

გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოაქვეყნა ლ. ქაჯაიას მიერ გამოსაცემად მოამზადებული პირველი ნაკვეთი „ხანმეტი ტექსტებისა“ (რედაქტორი მ. შანიძე), რომელიც ხანმეტის ოთხთავის ტექსტს შეიცავს. ამ ტექსტის ერთი ნაწილი გამოქვეყნებული იყო ი. ჯავახიშვილის მიერ², ხოლო შემდგომ გადატანილ იქნა ე. მოლიტორის მიერ გამოცემულ ხანმეტ და ჰემეტ ტექსტთა კორპუსში, რომელიც შეიცავდა ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის მიერ გამოცემულ ტექსტებს ლათინური თარგმანითურთ. ლ. ქაჯაიას ნაშრომში ტექსტი მნიშვნელოვნად შეესებულება და, ხშირ შემთხვევაში, გასწორებულია არსებული უზუსტობანი გამოცემული ტექსტისა. სარეცენზო რევიზის ტექსტი ეყვარება ორ პალიმფესტურ ხელნაწერს — A—89-სა და A—844-ს. ნაშრომს ახლავს სათანადო ფილოლოგიური აპარატი: გამოკვლევა და სიმფონია.

ყოველი მეცნიერული ნაშრომისა და პუბლიკაციის შეფასებისას პირველი საკითხი, რომელიც აღიბრუნს სპეციალისტებსა და მომხმარებელში წყნისა, ასეთია: რა არის ახალი გამოქვეყნებულ ნაშრომში? რას სძენს იგი მეცნიერების შესაბამის დარგს? სარეცენზო ნაშრომში ამგვარი სიახლე სხვადასხვა ხასიათისაა: 1. მასლობრივი და 2. ინტერპრეტაციის

¹ დაწერილობითი მიმოხილვა ხანმეტი და ჰემეტი ტექსტებისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურისა იხ. ნ. სარჯველიძის ნაშრომში — „ხანმეტ და ჰემეტ ტექსტებში დიასტრეფულ ზმნის პირიან ფორმთა სპიტილები, თბილისი, 1971, გვ. 3-41.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 274—366.

³ Monumenta Iberica antiquiora, Textus chanmeti et haemeti ex inscriptionibus, s. Biblis et Patribus, Collegit et in linguam latinam convertit addito glossario J. Molitor, Louvain, 1956.

პლანისა. პირველ რიგში მიანიც მასალის სიახლე უნდა აღინიშნოს, რადგან ის არის განმსაზღვრელი მეორე მომენტისა ამ კერძო შემთხვევაში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ხანმეტი ტექსტების არაერთი პუბლიკაცია არსებობდა ლ. ქაჭაიას წიგნის გამოცემაზე. მაგრამ ეს გამოცემა ემყარება უთუოდ შედარებით აღწინდელ ხელნაწერებს, რომლებიც V—VI სს-ით თარიღდება. რომ ეს მართლაც ასე უნდა იყოს, ამას მოწმობს თვით ბ- პრეფექსის ხმაარება. საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტში მისი ხმაარება სისტემურად არის გატარებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ორილა გამონაკლისს. სხვა ხანმეტი ტექსტები (ხანმეტი ლექციონარი, ხანმეტი მრავალთვი) ასეთი რეგულარობით არ ხასიათდებიან. ეს ფაქტი საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ ე. წ. „ხანმეტობა“ როგორც ნორმა საკმაოდ ადრეულ პერიოდში ჩანს მოშლილი და VI—VII საუკუნეებში გარკვეული ინტენციით გადადის, რაც შეპირობებულია სალიტერატურო ენის კონსტრუქციული ბუნებით. ზ. სარჯველაძის აზრით, რომელიც საგანგებოდ იკვლევს ქართული სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთმიმართებას მისი მთელი ისტორიის მანძილზე, ხანმეტი ტექსტები, ნორმათა თვალსაზრისით, არსებითად ერთიანია. და თუ ამ პერიოდის ძეგლები გვიჩვენებენ ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენაში გაბატონებულ ნორმათა სისტემას ეწინააღმდეგება, ეს ცოცხალი მეტყველების ზეგავლენით აიხსნება. ამრიგად, ეს წინააღმდეგობა შეიძინება კერ კიდევ ენა-ეტიმოლოგის დონეზე, ხოლო მომდევნო პერიოდში სხვაობა უფრო იზრდება. აქედან კეთდება დასკვნა: რაც უფრო ძველია წერილობითი ძეგლი, მით უფრო ახლოსაა მისი ენა სასაუბრო მეტყველებასთან. ხანმეტი ოთხთავში გამოვლენილი სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევების უმნიშვნელო რაოდენობა სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების სიახლოვეზე მიუთითებს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ — ძეგლის სიძველეზე.

რით განსხვავდება გამოქვეყნებული ტექსტი ივ. ჯავახიშვილისეული პუბლიკაციისაგან? აქ განმსაზღვრელია ახლადგამოცემული ტექსტის მეტი მოცულობა. ლ. ქაჭაიას მიერ ამოკითხულია 166 გვერდი პალიმფესტისა, რაც საკმაოდ სოლიდურ კორპუსს ქმნის. აქ არ შეიძლება გვერდი აუღაროთ იმ მომენტს, რომ ავტორმა ტექსტი შეუიარაღებელი თვალთ ამოკითხა, რაც მეტად დიდ სიმწელებასთან და დაძაბულობასთან იყო დაკავშირებული. ეს არაა მეორეხარისხოვანი მხარე, რადგან იგი თავისი საქმის დიდ სიყვარულსა და პასუხისმგებლობას მოწმობს. ვინც ამ თვისებებით არაა დაჯილდოებული, ის, რა თქმა უნდა, ამ „განწირულ საქმეზე“ დაბრმავების შიშით ხელს ჩაიქნევდა. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, ლ. ქაჭაიას მიერ კორექტირებულია ზოგი ადგილები ტექსტის ადრე გამოქვეყნებული ნაწილისა.

მეორე მხრივ, ნაშრომი საყურადღებოა იმიტომ, რომ ხანმეტი ოთხთავის ტექსტი შესწავლილი და გამოცემულია არა იზოლირებულად, არამედ IX—X სს-ის სხვა ოთხთავებთან მიმართებით. ეს ასახულია არა მარტო გამოცემაში, არამედ თვით ტექსტშიც, სადაც სქოლიოში მოცემულია აღნიშნის, ჯრუჰის, პარხლის, ოპიხის, ტბეთის, ბერთის ოთხთავების იკითხვისებები.

გამოცემას ერთვის სიმფონია და გამოკლევა. სიმფონია აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს ყველა უძველესი ტექსტის პუბლიკაციისა. ხანმეტი ოთხთავზე დართული სიმფონია არ წარმოადგენს მხოლოდ ფილოლოგიური მიზნების მქონე ინტექსს ან კიდევ ტექსტში სათანადო სიტყვის მოძებნის გადავლელის საშუალებას. იგი დამოუკიდებელი ღირებულების მქონეა. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ერთ-ერთ ბაზას ქართული ენის ისტორიული ლექსიკონისას. რამდენადაც ხანმეტი ტექსტების ფუნქციონირების მიახლოებით ქრონოლოგიური ჩარჩოები ცნობილია, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს განვსაზღვროთ ამა თუ იმ სიტყვა-ფორმის პირველი წერილობითი ფიქსაციის დრო. ეგვევ ითქმის ნასუსებში ლექსიკის დათარღების შესახებ. ცნობილია, რომ X საუკუნის ქართულ ოთხთავებში დასტურდება სიტყვა კუბასტი (მთ. 23,5). ეგვევ სიტყვა გვაქვს ოპიხის ბიბლიაში, „საქმე მოციქულას“ ტექსტში და სხვაგან. საყურადღებოა, რომ კუბასტი ორგან არის ნახშირი „შუშანიკის მარტულობაში“, რომელიც X საუკუნის ნუსხით არის ჩვენამდე მოღწეული. ამათვან განსწავვებით, ხანმეტი ოთხთავსა და აღნიშნულ ოთხთავში კუბასტი არ ჩანს, მის ნაცვლად ნახშირია შესაბამისად ხაყო და ხაოხელი. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა ნასუსებია ქართულში

⁴ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 5—6.

საკმაოდ გვიან — დაახლოებით X საუკუნის დასაწყისში, რადგან იგი არ ჩანს არც ხანმეტი ტექსტებში, არც სინურ მრავალთავში (864 წ.), არც აღიშის ოთხთავში (897 წ.)? რაც შეეხება „შუშანიის მარტულობას“, მასში იგი უნდა მოხვედრილიყო X საუკუნეში ტექსტის გადაწერის დროს. ვეგვე ითქმის ჯრუჟისა და პარხლის ოთხთავების შესახებაც.

სიმფონია არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოქვეყნებული ტექსტის ლინგვისტიკური შესწავლის მხრივაც, და ამდენად, გარკვეული აზრით, ლინგვისტური ტიპოლოგიის სამსახურშიც დგება.

საყურადღებოა სიმფონიაში ზმნების მეთაური ფორმების მოწოდების პრინციპი. რომელიც საინტერესო სახალს შეიცავს. სალექსიკონო ფორმად მასდარის გამოტანა ტრადიციულია ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში. მაგრამ ამგვარი მეთაური ფორმის ქვეშ თავს იყრის, როგორც წესი, ზმნის პირიელი ფორმებიც, მასდარიცა და მიმდებარეც. ასეა ყველა ლექსიკონში, გარდა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონისა, სადაც ზმნები აწმყოს მე-3 პირის ფორმით არის წარმოდგენილი. სარეცენზოი შრომის ავტორმა გვერდი აუარა არსებულ ტრადიციას და სცადა პირიელი ფორმების და ნაზმნარი არსებითი სახელის გარჩევა მარტივი წესის მიხედვით: პირიელ ფორმებს მოუყარა თავი ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოდგენილ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვა-ფორმის ქვეშ, ხოლო ნაზმნარი არსებითისათვის გამოიყენა სახელობით ბრუნვაში დასმული ფორმა, რომელიც შესაბამისი სიტყვის სახელურ ბუნებაზე მიუთითებს. ამრიგად, ვამიჯნულია: ბრძანება (ზმნა) — ბრძანება-ა (სახელი), გააყურება — გააყურება-ა, დადიგნება — დადიგნება-ა, დათხევა — დათხევა-ა, დათხრა — დათხრა-ა, რცხევა — სირცხელი-ა და სხვ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია **ხიტყუს**, **ხიტყოდა** ფორმებისათვის მეთაურ ფორმად არა **თქუმა**-ს გამოტანა ან **ტუუ**- ძირისა, არამედ მოქმედების აღმნიშვნელი ძველი ქართული ფორმისა **სიტყუა**, რომელიც სათანადო ნაზმნარი არსებითისაგან **სიტყუა-ა** გარჩეულია ბრუნვის დაბოლოების უქონლობით (გვ. 233—235). სასურველი იყო ავტორს ეს ხაზი გაეტარებინა უგამონაკლისოდ და **ხივლტოღის** და მისი რიგის პირიელი ფორმების მეთაურ სიტყვად გამოეყენებინა არა **ვლტოლა**, არამედ **ხივლტოლა**, რომელიც, ისევე როგორც სიტყუა, ს—ა ცირკუმფექსით ნაწარმოები უფრო ბუნებრივი ფორმაა, ვიდრე **ვლტოლა**. ვფიქრობთ, სალექსიკონო ფორმათა შერჩევის ეს წესი არა მარტო პრაქტიკული ღირებულების მქონეა, არამედ ლინგვისტურისადაც და, სადაც ძველი ქართული სალიტერატურო ნორმის მიხედვით ეს მოსახერხებელია, იგი უნდა გატარდეს და დაინერგოს.

გამოკვლევა, რომელიც ტექსტის ერთის, ასეთი აგებულებისა: 1. ოთხთავის გამოცემების მოკლე მიმოხილვა; 2. ხანმეტი ოთხთავის შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა; 3. ხანმეტი ოთხთავის ტექსტის რედაქციული შედგენილობის ანალიზი; 4. ხანმეტი ოთხთავის ენობრივი თავისებურებების შესახებ მსჯელობა; 5. ხანმეტი ოთხთავის ბერძინზმები.

ხანმეტი პალიმფსექტების აღწერილობიდან ჩანს, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა რაოდენობის სათვალავს შეიცავს. კერძოდ, A—89-ში ასეთი არის ოთხი: 1. რვეულებრივი, შესრულებული ასომთავრული ასოებით (XI ს.), 2. მხედრული ასოებით შესრულებული (თითოეული რვეულის პირველ ოთხ ფურცელზე), 3. გვერდობლივი, რომელიც ციფრებითაა აღნიშნული; 4. თანამედროვე ფურცლებრივი სათვალავი. A—844-ში ორი სათვალავია: რვეულებრივი, შესრულებული ასომთავრული, და თანამედროვე.

ორივე ხელნაწერი, თანამედროვე სახით, წარმოადგენს აღნიშნული უფრო დიდი ფორმატის ფურცლების ნახევარს, მათი ორად გაკეცვის გამო, ძველი ტექსტის გადარეგების შემდეგ ხელახალი გამოყენების მიზნით. ორივე ხელნაწერის ზედა ტექსტი ნაწერია ერთი და იმავე ხელით (კუთხოვანი ნუსხურით), რომელიც პალიოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI საუკუნის მიეკუთვნება. ორივე ხელნაწერის ზედა ტექსტის გადაწერის არის ვინმე კრიკე.

A—89 ხელნაწერის ქვედა (გადარეცხილი) ტექსტი გადაწერილია სადა, ლამაზი ასომთავრულით. ტექსტი დაყოფილია მუხლებად. გამოცემლის აზრით, ეს არის ამონის ალექსანდრიელის სტიქომეტრიული დაყოფის მანვენებელი, რომელსაც, როგორც ირკვევა, ადგელი ჰქონდა V—VI საუკუნეებშიც. გადარეცხილი ფენა მთლიანად ოთხთავის ტექსტს წარმოადგენს.

A—844 ხელნაწერის ქვედა (გადარეცხილი) ტექსტი, ლ. ქაჯაიას აზრით, ოთხი სხვადასხვა ხელითაა ნაწერი (ი. ჯავახიშვილი მხოლოდ ორი ხელის განსხვავებაზე მიუთითებდა). ამ ოთხიდან 3 ასომთავრულია, ერთი კი — ნუსხური. ვიარკვე, რომ ხელნაწერი სხვადასხვა დროს გადაწერილი ფურცლებისგან არის შემდგარი. ნუსხურად ნაწერი ტექსტი, როგორც

ლ. ქაჩია ვარაუდობს, უნდა იყოს არა უგვიანეს IX საუკუნისა. ასომთავრულად ნაწერი ტექსტი მთლიანად ხანშეგნა, რომელშიც 3 ნაწილი გამოიყოფა: 1. საუცხოო კალიგრაფიული ასომთავრულით შესრულებული ესაიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები (პალეოგრაფიული მონაცემებითა და ხანის გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე ძველი ჩანს); 2. უფრო მცირე ზომის ასომთავრულით შესრულებული ნაწყვეტები მათესა და იოანეს თავებიდან; 3. ი. ჭავჭავაძის მიერ შესწავლილი ტექსტი, რომელიც 107 ფურცლისაგან შედგება და რომელიც გამოქვეყნებულია სარეცენზიო ნაშრომშიც.

A—89 და A—844 ხელნაწერი პალიმფსესტების საგულდაგულო შესწავლამ ლ. ქაჩია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს დღევანდელი ორი ხელნაწერი ადრე ერთი ხელნაწერის ნაწილებს უოფილა. ეს დებულება ნაშრომში მტკიცედ არის არგუმენტირებული და ექვს არტოვებს. ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს: 1. გარეგანი მხარე და ფორმა ხელნაწერებისა (სვეტების სივანის, მათ შორის დაცილების მინიშლის, სვეტში სტრიქონების რაოდენობის, სტრიქონთა შორის ინტერვალის, სტრიქონზე მოთავსებულ ასოთა რაოდენობის, ასოთა მოყვანილობის იდენტურობა ორსავე ხელნაწერში); 2. სასვენ ნიშანთა გრაფიკული გამოსახულებისა და სიტყვათა დაქარაგმების იგივეობა ორსავე ხელნაწერში; 3. შინაარსობრივი მხარე: ერთ ხელნაწერში შეწყვეტილი ტექსტის ზუსტი გაგრძელება მეორე ხელნაწერის ფურცლებზე. შინაარსობრივი თანმიმდევრობის საილუსტრაციოდ გამოკვეთვაში მოყვანილია რამდენიმე მაგალითი: მთ. 7,16 (A—89): „მო-ნუ-ისთულიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კურაჲს (A—844) თავთაგან ლუჯ“; ლ. 16,17 (A—89): „ხუადილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლუა, ვიდრეღა შექლისაგანი ერთი (A—844) მოხატული დაკრძომად“; ლ. 12,29 (A—844): „და თქუენ ნუ ხეძიებთ, რაჲ ზემოთ და რაჲ.. დანუ“ (A—81)ცა განხებრებთ...“

ამრიგად, ხსენებული ორი პალიმფსესტური ხელნაწერის შეერთებით მიღებულია 261 ფურცლისაგან შემდგარი ერთი ხელნაწერი, რომელიც ხანშეგნ ოთხთავს შეიცავს.

გამოკვლევის მომდევნო ნაწილში ავტორი არცევეს ხანშეგნ ოთხთავის მიმართებას ალიშის ოთხთავში წარმოდგენილ რედაქციასთან და ე. წ. A ტიპის რედაქციასთან, რომელიც მოცემულია ჭრუჭის, პარხლის, ოპიზის, ტმეთის, ბერთის ოთხთავებში. ხანშეგნ ოთხთავი თანაჯლულია, იწყება მათეს მე-5 თავის მე-18 მუხლიდან. ტექსტის მონაკვეთი — მთ. 5,18—11,7 ხანშეგნ ხელნაწერისა ტექსტობრივ საერთოა ალიშის სახარების ტექსტთან და განსხვავდება A ტიპის რედაქციისაგან. მთელი დანარჩენი ნაწილი ხანშეგნ ოთხთავისა ამჟღავნებს სიახლოვეს A რედაქციასთან. ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს შემდეგი არგუმენტები:

1. XC (ხანშეგნ და ალიშის ოთხთავის) ტექსტი ლექსიურად განსხვავდება A რედაქციისაგან. მოყვანილი სიტყვების სიდიან ამოვიღებთ 2 მაგალითს, რომელიც მეორდება მეორე სიაშიც, როცა XA : C დაბირისპირება გვაქვს, ესაა: კორცთაჲ (XC) — გუამისაჲ (მთ. 6,22) (A), ჭერკულა (XC) — ხენეშა (მთ. 7,18) (A).

მომდევნო ნაწილში, სადაც ხანშეგნის გვერდით A რედაქცია დგას, შებრუნებული სურათია: გუამი (XA) — კორცნი (მთ. 27,58—59) (C), ხენეშ (XA) — ჭერკულ (მთ. 12,33) (C).

როგორც შედარებიდან ჩანს, კორცი და ჭერკული ახსიათებს არა ხანშეგნ ხელნაწერს, არამედ ალიშურს და, როგორც კი ალიშის ოთხთავი ცალკე დგება, ეს ლექსემები თან მოაქვს, ხოლო ხანშეგნ ხელნაწერში თავს იჩენს უკვე A რედაქციისთვის დამახასიათებელი ლექსემები გუამი და ხენეში, რომელიც ამ რედაქციის X-თან გაერთიანების შემდეგ ვლინდება.

2. ფრაზის სტრუქტურა, დამუარებული გრამატიკულ ფორმათა ცვალებასზე, ტექსტის პირველ ნაწილში საერთოა ალიშურ რედაქციასთან, მეორე ნაწილში კი — A ტიპის რედაქციასთან:

XC

A

არა მეზურეთათა ეგრევე (ეგრე C) ყვიანა (ყვიან C). რამეთუ მეზურენიცა და ცოდვილნი ამას-ვე პყოფენ (მთ. 5,46).

და რაჲმს ხილოციედ (ილოციედ C), ნუ და რაჲმს ილოციედთ, ნუ მრავალსა იტყუთ (მთ. 6,7).

შდრ. საპირისპირო შემთხვევები ტექსტის მომდევნო ნაწილში:

XA

C

წარავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა.

წარავლინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე შენსა (მთ. 11,10).

ყოველი მეთუფებაჲ, რომელი განხველის (განვეთის A) თავსა თუსსა, მოოჯრდის.

ყოველი სამეუფოჲ, გათული თავსა ზედა მისსა, აღოჯრდის (მთ. 12,25).

3. ზოგიერთი ადგილის კლებას ხანმეტი ოთხთავის მეორე ნაწილში (მთ. 11,7 და შემდგომ), საერთო A ტიპის რედაქციასთან, უპირისპირდება აღიშრთი რედაქცია, რომელშიაც შესაბამისი ადგილი დაცულია. ამასთანავე აღრიხდელი ვითარება წარმოდგენილია ხანმეტურ და A რედაქციის ოთხთავებში, რამდენადაც, როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურრიდან, ასეთი ადგილები გვიანა ჩამატებული აღიშრთი ხელნაწერში. ეს ადგილებია: მთ. 18,11 C (—XA) და მთ. 28,18-ის ბოლო=C (—XA). პირველი ფრაგმენტი, როგორც ბერძნული ნუსხები ვეჩვენებენ, გადმოტანილია ლუკას 19.10 მუხლიდან, ხოლო მეორე — იოანეს 20,21 მუხლიდან (იხ. სარეცენზიო ნაშრ., გვ. 313—314). კლება-მატების სხვა შემთხვევები მითითებულია ცალკე პარაგრაფში (გვ. 314).

მიუხედავად XA ნუსხათა მსგავსებისა ტექსტის მეორე ნაწილში, X და A, როგორც მართულად შენიშნავს ლ. ჭაჭავია, იდენტური მაინც არაა. მათ შორისაც არის განსხვავებული იკითხვისები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში C რედაქციის ტექსტთან პოულობენ პარალელს (გვ. 314).

ჩვენი აზრით, მეტის თქმაც შეიძლება: ტექსტის პირველ ნაწილშიც, სადაც X და C ერთი რედაქციისა ჩანან, არის რიგი განსხვავება მათ შორის, რომელიც ზოგჯერ A რედაქციის ემხრობა და პირიქით: მეორე ნაწილშიც ბევრია ისეთი ადგილი, სადაც XA-ს რედაქციული მსგავსების მიუხედავად, მის ტექსტში C-სთან თანხვედრილ იკითხვისებს ეპოულობთ. საპროლო მიგვაჩინა ზოგი მათგანის დასახელება; I.XC:A-ს შემთხვევაში:

X=A

C

ხოლო თქუენი თავისა თმანი (თმანიცა E) ყოველნი განრაცხილ არიან.

ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი აღრაცხილ არიან (მთ. 10,30).

და ნეტარ არს, რომელი არა დააკოლდეს (დაბრკოლდეს ADF, დაბრკოლდეს BE) ჩემდა მომართ.

და ნეტარ არს, რომელი არა სცთეს ჩემდა მომართ (მთ. 11,6).

და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიხუტევიებთ თანამდებთა მათ (მათ — DE) ჩუენთა.

თანანადებნი ჩუენნი, რაითა ჩუენცა მიუტეოთ თანამდებთა ჩუენთა (მთ. 6,12).

მეორე მხრივ, პირველ ნაწილში ხანმეტი ტექსტისა (მათეს 11.8-მდე), სადაც იგი აღიშრთის უახლოვდება რედაქციულად, გვაქვს იკითხვისები, რომლებიც განსხვავდებიან როგორც A ტიპის რედაქციისაგან, ისე აღიშრთისაგანაც, ან კიდევ მუხლის ერთ ნაწილში აღიშრთის ემთხვევიან, მეორეში კი — A ტიპისას:

X

C

DE

რამეთუ სადაცა არიან საფახენი თქუენნი, მუნცა გულნი თქუენნი ბიყუნედ.

რამეთუ სადაცა არიან საფახენი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი.

რამეთუ სადაცა არს საფახენი თქუენი, მუნცა იყუნენ გულნი თქუენნი (მთ. 8,21).

რავამს ბიქმოდო ქველის საქმესა, ნუ ხქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შოვრის შესაკრებელთა და შოვრის უბნებსა, რაითამცა ხილიდნენს იგინი კაცთაგან. ამენ გიტუჲ თქუენ: იგი არს სასყიდელ მათა.

რავამს იქმოდო ქველის საქმესა შენსა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შოვრის შესაკრებელთა და შოვრის უბნებსა, რაითა ილიდნენ იგინი კაცთაგან, რამეთუ მათგან მიიღიან სასყიდელი მათი.

ხოლო რავამს იქმოდო ქველის საქმესა შენსა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბნთა ზედა, რაითა ილიდნენ კაცთაგან. ამენ გიტუჲ თქუენ: მიუღებთ იესასა სასყიდელი მათი (მთ. 6,2).

მუხლის დაბოლოება განსხვავებულია როგორც C-საგან, ისე DE-საგან.

X
 ... უკუეთუ სასყიდელ არა
 გაქუნდეს თქუენ მამისა
 თქუენისა ზეცათაჲსა.

CDE
 ... უკუეთუ არა, სასყიდელ
 არა გაქუნდეს მამისა თქუ-
 ენისაგან, რომელ არს ცა-
 თა შინა (მთ. 6,1).

ანალოგიური მაგალითები მოყვანილი აქვს ლ. ქაჭაიასაც (გვ. 325).

დაბოლოს, ტექსტის მეორე ნაწილში, სადაც X ახლო დგას A ტიპის რედაქციასთან, არის შემთხვევები, როცა X გვიჩვენებს არა A-ს მსგავსს, არამედ C-ს მსგავსს იკითხვისებზე; 2. XA: C-ს შემთხვევაში:

X = C

DE

და იცნეს იგი კაცთა მის აღგილისათა და
 წარავლინეს (წარავლინენს C) იგი ყოველსა
 მას სანახებესა...

და იცნეს იგი კაცთა მის აღგილისათა და
 წარვიდეს ყოველსა მას სანახებესა... (მთ.
 14,35).

... რომელი შემძლებელ არს დატვენად, დახი-
 ტვიდინ (დაიტვიდინ C).

... რომელი შემძლებელ არს დატვენად,
 დაიტვე (მთ. 19,12).

ამ ნაწილშიაც ტექსტისა არის ადგილები, რომლებიც ზოგი იკითხვისით C-ს ხედებიან, ზოგით კი — DE-ს (მთ. 21,18; მთ. 27,55; მთ. 17,2 და სხვა). ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ხანშეტი ოთხთავისა და A ტიპის რედაქციების მიმართება საკმაოდ რთულ სურათს გვიჩვენებს და ცალსახად ვერ გადაწყდება. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ნაწილია ხანშეტი ტექსტისა ორგანული ან პირიქით. მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანია ის დასკვნა, რომლის გამოტანის შესაძლებლობაც ავტორს მისცა ხანშეტი ოთხთავის შესწავლამ სხვა ოთხთავებთან მიმართებით: „ქართულში ხანშეტი ტექსტის ორი სხვადასხვა თარგმანი ერთმანეთს პარალელურად ადრეული პერიოდიდანვე (V—VI სს.) არსებულა“ (გვ. 227). გამოდის, რომ ორი შატბერდული რედაქცია ქართული ოთხთავისა არქაული ვითარების ამსახველი მოვლენაა. ორივე ეს რედაქცია ემყარება ხანშეტობის დროინდელ ორ რედაქციას, შესაძლოა მათ ნუსხებაც კი წარმოადგენდნენ. აღნიშნულ ოთხთავში ხანშეტობის კვალი შეინშნა ა. შანიძემ. მან ყურადღება მიაქცია ხოლო კავშირის უადგილო ხმარებას აღნიშნულ ოთხთავში და მის უქონლობას ჯრუჟ-პარზლის ტექსტის შესაბამის ადგილას. ამ ფაქტის საფუძველზე მკვლევარმა ივარაუდა, რომ ხოლო აქ არის გვიანდელი ვადამწერლების ვაზრიალების შედეგი, რომელთაც ხ-პრეფიქსის ფუნქცია უკვე აღარ ესმოდათ და ამიტომ ხ დააქარაგმეს, რის შედეგადაც მივიღეთ ხოლო (-ხ-). ა. შანიძის ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლ. ქაჭაიას მოჰყავს დამატებითი მასალა:

1. ხეკრძალენით ქველის საქმესა თქუნესა (მთ. 6,1 X). შდრ. C: ხეკრძალენით, ABDEF: ეკრძალენით;
2. ხითხოვდით და მოგეცეს თქუენ (მთ. 7,7 X); AC: ხითხოვდით, BDEF: ითხოვდით;
3. ხეყოს-მე ვინმე თქუენგან... (მთ. 7,9); C: ხეყოს;
4. ხეკრძალენით ცრუქვიწარმეტყუელთა მათგან (მთ. 7, 15 X); C: ხეკრძალენით; ABDEF: ეკრძალენით.

ამრიგად, დღეს უკვე საბოლოოდ დამტკიცდა ქართულ მკვლევართა დიდი ხნის წინათ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ოთხთავის თარგმანი ქართულ ენაზე უკვე V საუკუნეში უნდა არსებულებოდა. ამის დასასაბუთებლად თუ აღრე იყენებდნენ სხვადასხვა ცნობას „შუშანიკის მარტილობიდან“ ან ამავე ძეგლში წარმოდგენილ ციტატებს საბარებოდან, დღეს ამის საჭიროება აღარ არის, რამდენადაც ჩვენ წინ არის ხანშეტი ოთხთავი, რომელიც მართალია ნაკლებია, მაგრამ ეს ხარვეზები ხელნაწერის დაკარგული ფურცლების ან სრულიად გადარეცხილი ადგილების ხარჯზე მოდის და თვით ტექსტის ნაკლებეანებაზე ეს არ შეტყუვლებს. ამას ემატება ისიც, რასაც ნაკლებად თუ ვინმე ელოდა: უკვე V საუკუნე

5 А. Г. Шанидзе, Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX—XI веков, Сообщения груз. филиала АН ГССР, т. I, № 3, 1940, гв. 237—240.

ნეში არათუ გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანი, არამედ მისი ორი რედაქციაც კი უღიდეგის მნიშვნელობის ფაქტია ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

გამოკვლევის მომდევნო თავი ხანმეტი ოთხთავის ორთოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებათა განხილვას ეძღვნება. ძალიან საინტერესო ფაქტებია მოწოდებული ორთოგრაფიულ ნაწილში: გულისხმის-ყოფა ზმნისა და მისი ფორმების დაწერილობაში არავითარი მერყობა არაა — ყოველთვის გვაქვს ხ-ანი, თავყვანის-ცემის პირველი ნაწილი მუდამ წარმოდგენილია თავყუანის ფორმით, მრჩობლი თ და ჩ ფესისრებულია სიტყვებში **თთუე** და **ჩჩელი**, მ-ს ხმაარება რაიმე წესს არ ემორჩილება და სხვა. ფონეტიკური და ორთოგრაფიული მოვლენები გამოკვლევის ამ ნაწილში მკაფიოდ გამოჩნული არ არის. ზგერათვანეთთარების ნაცვლად ლაპარაკია ზოგჯერ გრანეთთარებაზე (გვ. 330—331), მექანეიკური შეტდომები ვადაწერისა ფონეტიკის ნაწილშია გადატანილი (გვ. 332) და სხვა.

ძეგლის მორფოლოგია ყურადღებას იპყრობს სახელთა ბრუნების, თვალსაზრისითაც. ავტორი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სახელთა ბრუნება კლასიკური ენის ნორმებს ემორჩილება (გვ. 333). ვფიქრობთ, სასურველი იყო აქ საგანგებოდ აღნიშნულიყო ის ფაქტი, რომ საკუთარ სახელთა ბრუნების წესის არც ერთი დარღვევა არ გვაქვს პირველად (არანათარ-საობითარ) ბრუნებებში, ორად ორი შემთხვევაა, როცა ნათარსაობითარ ვითარებითში მოსალოდნელი -ისა დაბოლოების ნაცვლად გვაქვს -ისსა/-ისა: ი. 6, 71. „ხიტყოდა იუდასა სიმონისსა“ (-იუდასა სიმონისისა), ლ. 3, 36; „რომელი საგონებელ იყო ძედ... ნოვასსა“ (-ნოვისა). რაც შეეხება სახელს ქრისტე, იგი საკუთარ სახელბეში არ უნდა იქნეს ჩარიცხული. ბერძნულად ქრისტე ნიშნავს „უფლის მიერ ცხებულს“, „მესიას“⁶, ამით ჩანს შებირობებული ის ფაქტი, რომ ის საზოგადო სახელსავით იბრუნვის მოთხრობითში, მიეცემისა და ვითარებითში. მეორე მხრივ, ნათარსაობითისა და მოქმედებითის ფორმები მის საკუთარ სახელთა რიგში აყენებს⁷. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას ქრისტეს მკიდრო კავშირით საკუთარ სახელთან იესუს სახელობითი და წოდებითი ბრუნვის ფორმები ვადაწყვეტი მნიშვნელობისა არაა, რადგან სახელობითში მ დაბოლოება ეს ეკვივალენტადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, ხოლო წოდებითში ნულოვანი დაბოლოება ზოგ საზოგადო სახელთანაც გვაქვს: **ხუციეს**, **მოძლუარ**, **მეფე** და სხვა. თავისი შინაარსით ქრისტე რომ საზოგადო სახელია, ამას მოწმობს ოთხთავისავე ადგილები: „არამედ ესე ვიციით, ვინაა არს, ხოლო ქრისტე ოდეს მოვიდეს, არავინ იცოდის“ (ი. 7, 27 X); „შენ ხარ ქრისტე (ქ^მ) ძმ ღმრთიასა“ (მთ. 16, 16 X; ლ. 4, 41 X; ი. 6, 69 X).

ავტორს აღწერილი აქვს ხ- პრეფიქსის ფუნქცია გამოცემულ ძეგლში, ცალკე არის მიუთითებული მისი გამოყენება S₂-დ, O₂-დ ირბო-ობიექტური და პირდაპირ-ობიექტური (მიცემითი დასმული) სახელებში, ვნებითი გვარის ფორმებში. ფორმათა სიაში გააპარულა ზოგი შეტდომი: S₂-დ არის მიჩნეული ხ ბრძანებითი კილოს ფორმაში თავყუანის-ხეც (გვ. 333), ვნებითი გვარის ფორმებშია შეტანილი ხქმოდეთ (გვ. 334).

ლ. ქაჯიას მოჰყავს სია ზმნებისა, სადაც მოსალოდნელი ხ- არ დასტურდება. ამ სიაშიც შეტდომით აღმოჩნდა ფორმა ნუ შეძარწუნდებინ, სადაც ხ- არც იყო მოსალოდნელი. მეორე მხრივ, ამ სიას აკლია რიგი ფორმა, სადაც ხ- მოსალოდნელი იყო და ტექსტში კი არა გვაქვს: **განვასხემდით** (მთ. 7, 22 X), **იყვალა** (მთ. 17, 2); **შეურაცხ-ყოთ** (მთ. 18, 10). **განკრთეს** (მრ. 16, 5).

სასურველი იყო გამოკვლევაში მოცემული ყოფილიყო ისეთი შემთხვევები, როცა ზმნის ფორმაში აღნიშნულია სახელობითში დასმული სახელი O₂-ის ნიშნით, როგორცაა: **მიხყუანის** (მთ. 7, 13 X); **მოხაკიობითი** (მთ. 10, 12 X); **ხტქითი** (-ხტქითი მთ. 10, 12 X); **დახიყარეთი** (მთ. 10, 14 X) და სხვა. აგრეთვე ხ-ს შენარჩუნება II პირის ბრძანებითის ფორმაში ი-ნიან ვნებითში: **ხიყენითი** (მთ. 10, 16 X). ამ რიგის ფაქტების ჩვენება ძალზე მნიშვნელოვანია ხ-ს ფუნქციის ისტორიული გააზრების თვალსაზრისით.

ლ. ქაჯიას მოჰყავს ერთი მაგალითი, როცა, მისი აზრით, პირის პრეფიქსი ხ- ტმეისის დროს თუ კავშირის წინ დგას: **შე-ხ-თუ-იყდომინ** (მთ. 21, 37 X). ეს ფაქტი კვალიფიცირ-

⁶ W. Pape, Griechisch-deutsches Handwörterbuch, II B., Braunschweig, 1849, S. 1353; A. O. Поспишил, Греческо-русский словарь, издание III, исправленное и дополненное, Киев, 1901, გვ. 1070.

⁷ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957, გვ. 381.

ბულია როგორც გადამწერის შეცდომა. სინამდვილეში აქ **ხ** არის **ხოლო** (ქარაგმის ნიშანია დავიწყებული). **შე-ხოლო-თუ-იკლიმონ** ფორმის კანონზომიერებას გიორგი მთაწმიდელის რედაქტირებული ოთხთავიც აჩვენებს⁸.

გამოკვლევა მთავრდება ხანმეტ ოთხთავში წარმოჩენილი გრეციზმების ანალიზით. ინტერესს იწვევს ბერძნული წარმომავლობის სიტყვა **ტალანტი**, რომლის შესატყვისად ყველა სხვა ნუსხეში **ქანქარი** დასტურდება. არც ერთი შემთხვევა **ქანქარის** ხმარებისა (რომელიც სომხურიდან არის ნასესხები) არ დასტურდება ხანმეტ ოთხთავში და პირიქით: არც ერთი შემთხვევა **ტალანტის** ხმარებისა არაა ფიქსირებული სხვა ოთხთავებში. ეს ფაქტი სხვათა გვერდით უთუოდ გარკვეული ღირებულებისაა ქართული ოთხთავის წყაროს ძიებისას. დაახლოებით ასეთივე სურათია სიტყვა **სატანას** ხმარების შემთხვევებშიც: ხანმეტი ოთხთავი მხოლოდ ამ სიტყვას იყენებს (მას გვერდით უღვას ოპიზის ტბეთისა და ბერთის ოთხთავები), შატბერდულ ოთხთავებში კი შესაბამის ადგილებში მუდამ **ემშაკი** იკითხება (სარეც. ნაშრ., გვ. 337).

გრეციზმებად არის მიჩნეული ნაშრომში ზოგი საკუთარი სახელის ფორმა, წინდებულიანი ფორმების კალკები, უშემასმენლო წინადადებები, მათგან მე-20 თავის 26-ე მუხლის მეორე ნახევრის დაკლება და სხვა. საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ **ხანმეტი ოთხთავის მთარგმნელს ხელი ეჭირა ბერძნული დედანი**; ეს მნიშვნელოვანი დასკვნა შემავრცელებული სათანაო ადგილების სომხურ ოთხთავთან შედარებით.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოცემული ზოგადი განხილვაც კი ლ. ქაჯაიას ნაშრომისა უდავოდ გვიჩვენებს, რაოდენ დიდი ნაბიჯი გადაიდგა ხანმეტი ძეგლების მეცნიერული შესწავლის მხრივ. ამ ძნელმა და შრომატევადმა სამუშაომ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო: მივიღეთ პირველი ნაკვეთი უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებისა, გამოცემული მაღალ დონეზე, აღჭურვილი სოლიდური ფილოლოგიური აპარატით. ხანმეტი ოთხთავი ქართული ენისა და მწერლობის ოქროს ფონდს მიეკუთვნება. ვიმედოვნებთ, რომ ამ ნაშრომს მალე მოჰყვება მეორე ნაკვეთი, რომელსაც მეცნიერული წრეები და ქართული საზოგადოებრიობა ასევე მოუთმენლად მოელიან.

ბაპარ გიგინეიშვილი

⁸ ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი, 1979, გვ. 332.

666/26